

114

1957

N 5-6

საქართველოს
საბავშვო ლიტერატურა

მეამბიბი

114
5-6

მანბი



(151)

1957



ქოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 34-ე

№ 5

მაისი, 1957 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა კ რ ს ი

პ. 27

ირაკლი აბაშიძე — მიახლოება ნახევარ საუკუნესთან. ლექსი	3
გიორგი ნატროშვილი — უღარდელი კაცის სიკვდილი. მოთხრობა	4
გრიგოლ ჩიქოვანი — ცაცხვის ქვეშ. მოთხრობა	15
ზარიტონ ვარდოშვილი — არტურ ლასტი. ლექსი	52
ოთარ ქილაძე — ლექსები	53
რევაზ ჯაფარიძე — მოთხრობები	56
ვრეკოლ ცეცხლაძე — ლექსები	73
კლიმენტე ვოგაია — ძველებური საათი. მოთხრობა	74
მირიან აბულაძე — ლექსები	81
ნოდარ გურგენიძე — დრეზდენის გზაზე. ლექსი	85
ვახტანგ ჯავახიძე — ლექსები	86
გიორგი გიგაური — ლექსები	88
კონსტანტინე სამონოვი — პირველი სიყვარული. ლექსი, თარგმანი ილიკო შენგელიასი	89
ბენიკ ხეიარაძანი — ჩაუჭრებელი ცეცხლი. მოთხრობა, თარგმანი ივანე დავითაშვილისა	94

ქირიკა და პუბლიცისტიკა

შალვა რაჯიანი — მიხეილ ჯავახიშვილი	110
ცოლა თოფურაძე — გიორგი მილტონის პოემები ქართულ ენაზე	123

ლიტერატურული მემკვიდრეობა

შალვა სააკაძე — სამოციანი წლების ქართველი მოღვაწეებისა და რუსი რევოლუციონერი დემოკრატების ურთიერთობის ისტორიიდან	128
კონსტანტინე ჭიჭინაძე — ველისტყაოსნის ტექსტისათვის	141
შალვა ხიდაშელი — ბეტრე იბერისა და ფსევდო-დიონისე არუოზაგელის ოგივეობის საკითხისათვის	146
ალ. გამყრელიძე — ახალი უცხოური ნაშრომი სულხან-საბას ოკუაძის წიგნის სათაურის შესახებ	157
დ. შ. ლენვა — „სიბრძნე-სიძურისა“-ს სათაურისათვის	159

იხ. მე-2 გვ.

(151)





შალვა აღმაშენებელი — ვერტიკალური ინტეგრირება 166
 შოთა ძიჭიგური — ვერტიკალური ინტეგრირება და ჰორიზონტალური სასაფარი მუშაობა 166
 მოსე კვიციანი — რამდენიმე შენიშვნა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის შესახებ 166

წიგნების მიმოხილვა

ალ. ხანაძისაძე — ანდრო ლომიძის ნოველები და მოთხრობები	175
გივი გაბრიელიანი — მონოგრაფია უოტ უიტმენზე	177
პროფ. ვ. ნათაძე — საქართველოს მედიცინის ისტორიის შესახებ ტომი	179
თეიმურაზ ჩიქოვანი — ატარული ხალხური ხელოვნებების აღწერა	181
ბ. ბუაჩიძე — პლუტარქეს ქართულად გამოცემის გამო	183
არჩილ ჩაჩიბაია — ნაშრომი საბჭოთა ლიტერატურის სწავლების საკითხებზე	18
ავთანდილ იოსელიანი — ლა წერბილი ეტრნალ „მნათობის“ რედაქციის მიმართ	189
ახალი წიგნები — გარეკანის შესახებ გე	

რედაქტორი **ს. ჩიქოვანი**

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, დ. გამყარაშვილი, ლ. კალანდაძე (პემგ. მდივანი), გ. მარგველაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42, 2-11-66.

ხელმოწერილია დისამბეჭდად 21/V-57 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12. შეკვეთა № 214. ფე 01463. ანაწევობის ზომა 7¼ × 12¼. ქაღალდის ზომა 70 × 108. ტირაჟი 6000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლიგრაფიკამოცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ირაკლი აბაშიძე



მიახლოება ნახევარ საუკუნესთან

86
87

ჩაძირული სულში დიდება
კიდევ არნახულ ზაჯალოების.
ვაღერაან გაფრინდაშვილი

თუმც სულ ქართული მქონდა ბუნება:—
გული მგოსნური, სული ფრთოსნური,
ახალგაზრდობის ყველა ცდუნება
თუმცა სულ ჩემზე იყო მოსული;

თუმც გაფლანგული მაქვს ასეული
ხან სიხარული, ხან დაღონება,
მაინც ათასი ზეშთაგონება
მაქვს შენახული ვით ფასეული.

რა მიმღერია, რა მიღბენია,
მაგრამ ჩემს წლებთან ისე მიველი,
რომ კვლავ მეძახის ტრფობა პირველი,
რომელიც არსად გამიმხელია.

მე შენახული მაქვს შთაგონება
ის ხმა გულისა, სიტყვა გულისა,
ხან სიხარული, ხან დაღონება—
ცეცხლი პირველი სიყვარულისა.

მე შენახული მაქვს შთაგონება
ჩვენი ქედების, ჩვენი ველების,
მშობელ მიწაზე აგუგუნება
პირველ უთვალავ საკვირველების;

გამოდარება გლეხურ გომურის,
მსხვრევა, გოდება ძველ სართულების,
საკვირველება პირველ კომუნის,
ელვა პირველი ელსადგურების;

სევდა, სიმღერა ათასეული,
ომიანობა, შრომა, ბუნება...
როგორც საუნჯე, ვით ფასეული,
მე შენახული მაქვს შთაგონება.

მაგრამ ვაითუ სტრიქონს აწინდელს
დააკლდეს ჟღერა და ხმოვანება,

ლექსი კვლავ ვეღარ გამიყმაწვილდეს,
ბგერას არ ჰქონდეს წებოვანება:

სიტყვას დაეტყოს აზრის მეტობა,
ფერი არ დაჰყვეს მდიდარ მაისის,
ენამ დაკარგოს მიამიტობა,
დაღი დაეკრას სიღარბაისლის.

ვაჰ, თუ ლექსს თეთრი გამოერიოს
მოახლოებულ ზამთრის დასტურად,
სტრიქონს სინედლე გამოელიოს,
ვერ მოიღვენთოს ახალგაზრდულად;

შედგეს, შეგუბდეს ტუბილასურველი
დენა მშობლიურ სიტყვის ბარაქის,
ლექსმა დაკარგოს მინდვრის სურნელი,
სიღბო ნამიან ლორთქო ბალახის;

მგრძნობიარება ჰანდრის რტოების,
სმენა ქალწულის გაბმულ ფიქრისა,
თვალი მთის წვერზე განშარტოების,
ყნოსვა გაუვალ ტყის ბილიკისა;

ფრენა არწივის, სიღრმე ნაპრალის
გემო ნაჟური რკინის წყალისა,
აღფრთოვანება წითელ აპრილის,
სევდა დაკარგულ ირმის ცალისა.

ვაითუ მოტყდეს ლექსი ბებრულად,
ყელში ათრთოლდეს ჰანგი შემკრთალი,
სიმი დაჩლუნდდეს, ფუტკრისებურად
ვერ ამოსწოვოს ყვავილს ნექტარი;

ოცნებამ ღონე ვერ მოიკრიბოს,
შეკრთეს, დავარდეს მგოსნის ოცნება...
არა, ო, არა, ჩემო ფიქრებო!
ნუმც გაგვეგონოს ეს საოცრება.

გიორგი ნაგროვილი



შუარღედი კაცის სიკვდილი

მოთხრობა

გედიქის ხევი შუაზე სკრის მთელ ქიზიყს, ფარხაჩაინის ნავენახებიდან წამოსული ის ძველი ხირსის ზერებთან დააწყდება ხოლმე, იქ, საიდანაც ალაზნის ველი იწყება.

მომხიბვლელი გაზაფხული იცის გედიქის ხევა: მიწა ღონივრად რომ გაიზმორება და გაიღვიძებს, შიშველ, მუქ-წაბლისფერ სერებსა და ფერდობებზე ბაცი ალისფერი ენძელა და ყოჩივარდა რომ ამოვლენ, იმ ფერდობებში ჯერ სადღაც შორიდან, ტყიდან დაიძახებს ოფოფი, უეცრად ახლოს გამოჩნდება, საქონლის საყართან ერთიორჯერ დაჰკრავს გრძელ ნისკარტს მიწას, მერე აფრინდება და გაშლის თავის ნარინჯისფერ ქოჩორს.

სახლების სახურავებზე ბელურები გააფთრებით ჩხუბობენ, კაჭკაჭებიც დაუსვენებლად დაფრინავენ, ბუღისათვის აღვილს ეძებენ, ატირებული ბავშვებივითა ბლავიან ხბორები, ქიხვინებენ პატარა კვიციები, ვარდისფრად ჰყვავიან ატმები და ყველაფერს ამას გაზაფხული ეწოდება.

მაგრამ არაფერს ისე არ უხდება ის გაზაფხული, როგორც იმ წითელ-კრამიტთან სახლებს, ხეობაში გზისპირებზე გაშენებულ სოფლებში რომ შემოგვდებათ. ბევრი სოფელია ამ ხევზე და ის სახლები შორი-შორს არიან ერთი-მეორისაგან, მაგრამ ღვიძლ დებსა ჰგვანან, ერთი მამის შეილებს, სხვადასხვა სოფლებში გათხოვილებს. მათ ერთნაირი იერი აქვთ — ერთნაირად ფაქიზნი არიან, ძალზე უბრალონი, მაგრამ შნოიანნი. ბუნებრივ ჩაბრჩობილი კი არა აქვთ, უხვირო ოსტატმა რომ იცის, არა...

ყველას მაღალი ავალა აქვს, რომ კვამლი შორს ასწიოს, ლურჯი ცისაკენ. მარტო დელაზი ქვა კი არა, ზურდად ნახმარი რიყის თეთრი კენჭებიც კი თითქოს შეჰხაროიან და შეჰლიმიან გამვლელს, ქვეყანას, გედიქის ამწვანებულ ხევს. ეტყობა ამ სახლებს, რომ ისინი ვიღაც გულ-ლაღსა და გულმხიარულს კაცს უშენებია, სიცოცხლეზე დახარბებული რომ ყოფილა, ზაფხულში ლურჯი ვრილო რომ ჰყვარებია და ცისფერი აივნებიც ალაზნის ველიდან წამოსული ნიაგწანწალასთვის პირდაპირ შებლში შეუგებებია.

ვინ მოსთვლის რამდენ ჯეველს, ქალი რომ მოსწონებია და თავისი ბუბრის ჩადგმა განუზრახავს, მაშინ-ღა უგრძენია, რომ მისი ძველი სახლი მის ახალ ბედნიერებას ველარ დაიტევდა. ამიტომ მაშინვე მიხას მისდგომია კარზე — შენი ჭირიმე აი ერთი ასეთი სახლი ამიშენო.

და მეზობლის ეზოში გაიშვერდა ხელს, განა ნიმუშისათვის შორს წასვლა მოუხდებოდა!

მიხაც ჯერ გაექილიკებოდა, მერე ფასზე ეაჭრობსაც არ დაუწყებდა, ისე ჩააგდებდა საძირკველს...

ბევრი ქორწილი გადაუხდით იმ სახლებში და ბევრსაც გადაიხდიან, ბევრი ყრმა დაბადებულა იქ, და როგორც კი თვალი აუხილებია, როგორც კი გრძნობა მისცემია, ღედასთან ერთად ეს ლამაზი აივნები და დაქრელებული ბუბურები შეჰყვარებია.

ოსტატის ხვედრი ხომ ხშირად ის არის, რომ მისი სახელი დაავიწყდებათ ხოლმე! მიხას აქაც გაუღიმა ბედმა. აბა.



ერთი იმ ხეობაზე ჩავლისას, რომელ სოფელშიც ვინდათ იკითხეთ, ვინ ააგო ეს სახლებიო! ყველანი მაშინვე მის სახელს ასხენებენ და თანაც გაეღიმებათ. გაეღიმებათ იმ უბოროტო, ტყბილი ღიმილით, რომელსაც კარგი კაცის სახელი გამოიწვევს ხოლმე... მოდი და ვაიგე, რამ შეაყვარა ეს კაცი მთელ ამ ხეობაზე დიდსაც და პატარასაც. იქნებ სამაგიეროს მიუხლავენ — სიყვარულის ხარკსა და ღალას ხომ ამ ქვეყნად მარტო სიყვარულითვე იხდიან. იქნებ ამ ოსტატის დაუტყვეველ გულშიც ის სიყვარული დინახეს, თუმცა მისგან მწარე სიტყვის მეტი არაფერი გაუგონიათ.

მართლაც, ვის არ გააკენწლავს მიხა, როცა გზის პირას, ეზოში, ხარაჩოზე დგას, წინსაფარი ჰკიდია და კედელი ამოჰყავს. იქიდან, იმ ხარაჩოდან ხომ ყველაფერი ჩანს: გზაც, მეზობლის ეზოც, წინ ალაზნის ველიც... ის კედლის ამოყვანასაც ასწრებს, განკარგულებასაც იძლევა, მთელ ბრიგადას ხელმძღვანელობს, და თან ზუმრობასაც ასწრებს. აბა ვინ იქნება, რომ გზაზე ჩაიაროს და კალატოზს სალაში არ მისცეს. ისიც კედლიდან გადმოიხედავს, სალაშს დაუბრუნებს და ერთ კვიმაც სიტყვასაც თან გაატანს, რომელიც სოფელში მერე აღარ ავიწყდებათ. თითონ კი მერევე წუთს აღარ ახსოვს.

აი დღესაც კოლექტივის თავმჯდომარემ ჩამოიარა. მსხვილი კაცია, ბაჯბაჯა, მდევეთით მხარბეკი აქვს, ჩამოიარა და ხარაჩოზე მდგარ მიხას შესძახა: — გამარჯობა მიხა-პაპავ! ბარაქა შენს შრომას...

გაგიმარჯოსო, გადმოსძახა მიხამ, თან თავმჯდომარე თავით ფეხთამდე შეათვალეირა, ეშმაკური თვალეზი აუციმციმდა, წვეტიანი ულვაშები შეუთრთოლდა და დაუმატა: ოჰ, ნეტავი შენ-ხელა ფქვილის ტომარა მომცა ღმერთმაო...

მიხას იმავე წუთს დაავიწყდა თავისი ზუმრობა, სოფელს კი არა... თავმჯდომარემ ველარ მოიშორა ეს მეტსახელი. როცა მიხას უთხრეს — ჩვენს თავ-

მჯდომარეს ფქვილის ტომარას ეძახი-ნო, გაუკვირდა — ბიჭო, რა კარგი სახელი დაურქმევიათო.

თავმჯდომარეს ბრიგადირი მოჰყვა. არწივეთ ბიჭია, ცოლი მოსდევს გვერდით, წინა კვირაში გადაიხადა ქორწილი და მიხა-პაპაც დაპატივებული ჰყავდა. ოსტატი ქორწილში დაჰპირდა: ახალ სახლს მე თვითონ ავიშენებო; ახლა კი, როცა ბრიგადირი მიესალმა კალატოზს, მან განცვიფრებით გამოხედა, მერე ღამაშ პატარძალს შეხედა და ისევ ბრიგადირს მიუბრუნდა:

- ბიჭო, ეგ ვინ მოგდევს გვერდით?
- ესა? — ბედნიერად გაიღიმა ბიჭმა, — ეს ჩემი ცოლია, მიხა-პაპავ!
- თბოლია?
- რას ამბობ, მიხა-პაპავ! მამაც ცოცხალი ჰყავს და დედაც!
- უსინათლონი არიან შვილო?

პატარძალი ატყრეცილი თონესავით წამოჰარხლებულია, იცის, მიხა-პაპა რალაც მკვახე სიტყვას გადმოაგდებს იმ ხარაჩოდან.

ბრიგადირიც შეშფოთებულია, აღარ იცის რა უპასუხოს, რით აიცილინოს თავიდან ოსტატის კვიმატი სიტყვა და ბოლოს ეუბნება:

- რის უსინათლონი, პაპავ, განა ამის დედ-მამას არ იცნობ?
- მობუცი კალატოზი ორივეს იცნობს, ქალის დედასაც და მამასაც, მაგრამ შუბლი ისე აქვს შეკმუხენილი, ვითომ აინუნშიც არ იყოს. ის დინჯად და წყნარად ამბობს:

— აბა ასეთი ვარსკვლავით გოგო რათ გადაუგდიათ... დიდება შენდა, ღმერთო! რას არა ნახავ კაცის შვილი ამ ქვეყანაზე! — თან კალატოზის ქაღჩით პირჯვარს იწერს და ტანსაცმელზე ჩამოსდის კირი და ტალახი, მაგრამ ამას ვინღა დავაღვეს, ოლონდ ოსტატმა იხუმროს.

მაგრამ ბრიგადირს არა სწყენს, პირიქით, უხარბან კიდევ. მაინც რა საკვირველი კაცია ეს ოსტატი: ხალათი რომ სთხოვო, გაიხდის და ჩაგაცმევს... თანაც მარტო კალატო-

ზი ხომ არ არის: ძმები რომ იყრებოდნენ, იმას გააყოფინებენ ქონებას, ქორწილი იქნება თუ ქელეხი — საკლავიც იმან უნდა დაკლას და მზარეულიც ის უნდა იყოს. მინდორში მეზობლის დაკარგული პირუტყვი რომ შეხვდეს, არ დაიზარებს, თავის გზას დაადგებს და პატრონს შინ მიჰგვრის.

მარტო ერთი რამ არ მოსწონთ შინაურებს: მიხა ზომაზე მეტად უდარდელი კაცია და ხვალის ფიქრი სრულებით არა აქვს. მისი ცოლი, ქეთევანი პურს რომ აცხობს, მიხაც თონესთან დგას და ყველა ამგელე-ჩამომგელეს თითო ლავაში უნდა გადააწოდოს, და თუ ახალი შემოდგომაა, ხელადით მაჭარსა და კაკლის ქორფა ლებანსაც გამოუტანს — ცხელ ლავაში უხდებო. თუ კაცი თვალში მოუვა, ერთ ქიქას არ აქმარებს, დაილოცეო, ეტყვის და გამგელიც ილოცება ხანდახან ისე გულიანად, რომ წასვლისას ფეხებს ძლივს-ლა მიათრევს.

— რას ჩადიხარ კაცო, რათ ანიავებ შენს ქონებას, ეგ მაჭარი ბაზარზე რომ გაიტანო და ორიოდე კაბიკი იშოვნო, განა გაწყენს, არ იცი, რომ მაგაში ფულს იძლევიანო? — მუდამ უწყობიან შინაურები, მაგრამ მიხა გულიანად წამოიძახებს:

— ფულს იძლევიან? ფული რა არი? სადაც მიხა მიწას ფეხს დაჰკრავს, ფული ამოვა, — და მიწას ისე დაარტყავს ხოლმე, ფეხს, რომ მოსაუბრე შეკრთება.

ხომ ასეთი გულუხვია, მიხა, მაგრამ ეზოში გადაგდებული პურის ნატეხი რომ დაინახოს, აიღებს, სახელოთი გადასწმენდს, სულს შეუბერავს და მერე აკოცებს — ამაზე ფეხის დადგმა ცოდვააო.

და მაინც ხელგამწილი კაცის სახელი აქვს, თავისი მონაგარი რომ არ ენანება.

მოხუცდა მიხა და მთელი სოფელი მაინც მეტსახელად უდარდელას ეძახის. იქნება ამიტომაც არ დაბერდა მიხა-პაპა, ის ახლაც კაბუკივით ხალისით სავსეა. გულს ხომ დარდი ღრღინს, თმასაც

ის ათეთრებს, სახესაც ის ანაოქებს, თვალის შუქსაც ის აჭრებს. მას კი ჯერ გულიც მაგარი აქვს, თმაში მარტო აწაიქ ურევია ქალარა და თვალებიც ისე უბრწყინავენ, როგორც კაბუკობისას, ორმოცდაათი წლის წინათ.

და როგორც მაშინ, ახლაც სულ კვიმატი სიტყვისაგენ მიურბის ენა.

უწყობიან, არიგებენ, მასზე არაფერი სჭრის — ხუმრობა მისთვის ისე აუცილებელია, როგორც სუნთქვა, წყლის სმა. უამისოდ გაძლება არ შეუძლია.

ქეთევანმა, მისმა ცოლმა, ვინ მოსთვის რამდენჯერ წამოაყვედრა:

— შენ გაჭირ და გამოესალმე ამ წუთისოფელს, რომ არაფრის ფიქრი არა გაქვს... შე უდარდელავ, შენაო!

მაგრამ მიხაზე აღარც ეს საყვედურები სჭრის. მაგას ვინ-ლა დაგიდევს — ქეთევანს, ამ სიბერეში, სახელიც კი გამოუცვალა, ბებრისთვის შეუფერებელ სახელს — ციციონს ეძახის და იმ საყვედურზე ეტყვის ხოლმე: გენაცვალე, ციციონო, მაგ გაიამზევარდებულ სახეში, შენ რომ არა, ეს ოჯახი დამეჭკეოდო.

ქეთევანი ტუჩებზე ხელს მიიფარებს და ირგვლივ მყოფთ გადახედავს — ვითომდა რა ექნა, რაღა ევთხრაო.

მართლაც, რა უნდა ეთქვა ქეთევანს — აბა როგორ მოუჭრის სიტყვას თავის მეუღლეს. დაე, იხუმროსო, ამ წუთისოფელს დიდხანს ვინ შერჩენია და ბარემ თავისი კია გაახაროსო. მაგრამ ეს კი აღარ მოეწონა ქეთევანს, როცა მიხა მასაც გადასწვდა. კოპერატივში გასულიყო და ასე ეთქვა:

— ქარი რომ ამოვარდება, ჩემს ციციონს იმ წუთში ღერეფანში თოკით ბოძზე მივაბამ ხოლმე, ქარმა არ წაილოს-მეთქი.

ახლაგაზრდებმა თურმე ხარხარი დაიწყეს: ქეთევანი მართლაც თხელი ქალი იყო, გამხდარი და კაფანდარა.

ამ უდარდო კაცს პირველად მაშინ შეუტია დარღმაც და ნღველმაც, როცა ქეთევანი მოულოდნელად გარდაიცვალა. წინა დღეს რომ კაბუკი იყო მიხა, მეორე დღეს უეცრად მოტყდა, ჩაუჭრა

თვალეში ის სიხარულის შუქი, მუდამ რომ აბრწყინებდა მის სახეს, აქამდე ჩავლილმა წლებმა თითქოს თავიანთი უფლებები მოითხოვეს...

ტირილზე მომსვლელები ოსტატს ვე-
ლარა სცნობდნენ. ის უზაროდ დადიო-
და, ხან მიცვალებულთან იჯდა, ხან
ეზოში გამოვიდოდა და ქელეხის სამზა-
დის დახედავდა.

დედაკაცები თონეზე საქელეხო პურს
აცხობდნენ და რალაცას გაუთავებლად
ყბულობდნენ. მიხაკოს შექმუხენილი სა-
ხე რომ დანიახეს, უცებ დაჩუმდნენ,
მიუსამძიმრეს და მიხამაც დაიწყეს:

— ეეპ, გოგოებო, ეტყობა მაგ თო-
ნეს ისევ ჩქარა ვაახურებთ... და ნურც
მაშინ დაიზარებთ... თქვენი ჭირიმე...

პურისმცხობელი ქალები ძლივს მიხ-
ვდნენ, რომ მიხა მათ გადაკრულად ეუბ-
ნებოდათ — მეც ჩქარა მოვკვდებიო.

მაგრამ იმ საღამოს, ქელეხში მიხამ თა-
ვი ვერ შეიკავა. როცა სასაფლაოდან
დაბრუნების შემდეგ, გაშლილ საქელეხო
სუფრაზე დაგვიანებულმა შორეულმა
ნათესავმა შემოყო თავი და ქვითინი და-
იწყეს, მან თვალეში გადაუბრიალა და
უთხრა:

— რა ვატირებს, შე ძალიშვილო!
რაო, შენს ხარჯზე ხომ არა ვმარხავ...

ეს აღარ აპატიეს შვილებმა — ჯერ
უფროსმა ვაჟმა, იმავე სოფლის მასწავ-
ლებელმა გადაუბრიალა თვალეში, მერე
მომდევნომ, ქალიშვილმა, ინიინერი რომ
იყო და თბილისში მუშაობდა, ხოლო
უმცროსმა ბიჭმა, კოლმეურნემ, მამას
უთხრა:

— რა დაგემართა, მამავ! დაგვაცალე,
გვატირე დედის საფლავზეო...

მიხა წამოფითრდა, მაგრამ დიდხანს არ
გაპყვა ეს ნაწყენობა — იმავე წუთს წა-
მოიძახა:

— რა ვქნა შვილო, აგეთი გამაჩინა
დამბადებელმა... იცით ხალხო, რას
გეტყვიო... აბა, ცას ვინ შეპბერებია, ჩქა-
რა მეც ჩემს ციციწოს ვავეყვები, — და
თავის სიცოცხლეში პირველად დაუწყე-
ლიანდა თვალეში, — მეც ჩქარა მოვკვ-

დები და ერთი სათხოვარი მაქვს: არაეინ
არ იტიროთ ქელეხში, სულსიცილ-ხარ-
ხარით დამმარხეთ...

მერე წამოდგა და განაგრძო:

— ღმერთმა შეგარცხენით თუ ჩემს
საფლავზე იტირებთ... ქეთოს გვერდით,
დამმარხეთ... მეტი რაღა გინდათ, შვი-
ლო!

— კარგი, მამა, დაჯექი... ენათ ნუ გა-
იკრიფე... — უბრძანა უფროსმა ვაჟმა და
ბერიკაციც მოწყვეტით დაეშვა საკამზე.

სულ უმცროსმა ბიჭმა, ყველაზე მე-
ტად რომ უყვარდა მამა, თავის თამროს
თვლით ანიშნა — ბერიკაცი წაიყვანე და
დააძინეო, მაგრამ მიხა რძალს აღარ და-
ნებდა, დილაშუალოდ სუფრიდან ფეხი არ მო-
იკვალა.

მეორე დღეს რომ წამოდგა ბერიკაცი,
შვილებს გამოცვლილი ეჩვენათ. მიხას
სიტყვა არ დაუძრავს, სასწრაფოდ ჩაიცი-
ვა და სადაღაც წასასვლელად გაემზადა:
ჩააცივდნენ სად მიდიხარო, და მაშინ-ღა
თქვა:

— პირი მინდა გავიპარსოო...

და კარი გაიხურა, სადალაქოს გზაზე
გასწია.

ყველას ეწყინა, მგლოვიარეს ეს
სიტყვა არ შეჰფეროდა.

სადალაქო სულ ახლოს იყო, მაგრამ
მიხაკო იქ არავის უნახავს. მეორე სოფ-
ელში წასულიყო. ყველანი მიხვდნენ
რათ წავიდა ბერიკაცი იმ სოფელში და
გზა ტყუილ-უბრალოზე რათ გაიგრძე-
ლა — იმ გზაზე, სოფლებს შუა, სასაფ-
ლაოზე უნდა გაევილო... პატარა ბიჭებმაც
თურმე უყურეს კიდეც: ქეთევანის საფ-
ლაეთან გაჩერებულიყო, წყნარად ებუტ-
ბუტებოდა ახლად დაყრილ მიწას —
უჩემოდ რად წახველ ქეთევან, აქ მარტო
რათ დამტოვეო...

მიხა გაუპარსავი დაბრუნდა შინ.

მაშინ გადაწყვიტა მისმა ქალიშვილმა,
დარიკომ, რომ მამა ცოტახნით თბილის-
ში წაეყვანა, ამ ახლად გაქრილი საფლა-
ვისათვის მოერიდებია, თორემ ვინ იცის,
იქნებ მოხუცი ამ დარდს კიდეც გადაპყ-
ვებოდა.

მეხუთე დღე იყო, რაც მიხა თბილისში იმყოფებოდა. დარიკო სამსახურიდან რომ დაბრუნდა, ბავშვების ოთახში რაღაც კრიამული მოესმა, ჯერ გული შეუქანდა — ბერიკაცს ხომ არაფერი დაემართათო, მერე ყური მიუვლო და თავისი პატარა ბიჭის, ათი წლის ბაკურის ხმა გაიგონა:

— პაპე, გაჩერდი... ვიღებ... აი ასე... არ გაინძრე!..

— დამანებე, ბიჭო თავი, — ესმოდა დარიკოს მამის ხმა.

— არა, პაპე! ეგ კალათა მუხლებზე დაიდგი!..

დარიკომ ფარდაჩამოფარებულ შუა კარის ფანჯარას გახედა და დაინახა, რომ მისი პატარა ბიჭი ფოტოაპარატს აწვალებდა, უნდოდა პაპას სურათი გადაეღო, პაპას კი ქლიავით საესე კალათა მუხლებზე ედგა, არჩევდა ქლიავს და სკამდა.

— აბა გასწორდი, პაპე, კალათა ცოტა მარცხნივ გადასწიე, — იძახოდა ბიჭი.

ბაკურმა აპარატი დააყენა, სისწორე შეამოწმა და პაპას სურათი გადაუღო.

სადამოთი, როცა მაგიდის ირგვლივ ისხდნენ და ჩაის სვამდნენ, ბაკურმა პირველად გამოიტანა ის სურათი და ყველას აჩვენა: დედასაც, მამასაც, პაპასაც: მიხა იჯდა და მუხლებზე ქლიავით სავსე კალათა ედგა, არჩევდა ქლიავს და სკამდა.

მიხას თავის სიცოცხლეში სურათი არასოდეს გადაეღო. ახლა ეს რომ დაინახა, გაოცდა: ამ ბიჭის ოსტატობა ეოცა, მაგრამ ამ საქმესაც ვითომ ისევ პრაქტიკული თვალით შეჰხედა:

— ბიჭო, შენ რა კარგი ხელობა გყოფნი, შეილო! სწავლა რაღათ გინდა, მოდი იცი რა გქნათ: წამომყე, სახლში რომ პატარა ვირი გყავს, შეგვახზავ იმას და სოფელ-სოფელ ვიაროთ მე და შენ... შენ სურათებს გადაიღებ, მე კიდევ იქავე ხალხს დანებს გავუღესაც, სკამებს შე-

ვუკეთებ... ზოგი ფულს მოგვეცემს, ზოგი ქატოს გამოგვიტანს, ზოგი საკენეს... ზოგმა იქნება ორიოდ კვერციც გაიმეტოს... საჩუქარო არტელი გვექნება, ბიჭო, გესმის? სახელად ჩვენს არტელს რა დაუძახოთ, იცი? თვითშრომა!

ბიჭი კისკისებს, ეტყობა პაპას აზრი ძალიან მოსწონს...

მაგრამ დედამისი კი გაბრაზებულია: ამ ბერიკაცის მორჯულებას არაფერი ეშველა, დაე, ისევ სოფელში წავიდეს.

მიხა პაპასაც ეს უნდოდა: მას სული ესწრაფებოდა ვიდრე გედიქის ხევის სოფლებს დაუბრუნდებოდა. სიხარულით წამოვიდა შინისაკენ და როცა სოფელში ჩამოვიდა, მაშინ მიხვდა, რომ ქალაქში ტყუილად წაიყვანეს.

ახლაგაზრდა, მკლავებდაკარწახებული ქალი, უმცროსი რძალი მიხაკოსი ვარც-ლზე დახრილიყო და ცოცხლ ღონივრად ზელავდა. დროდადრო ის სულს ამოითქვამდა, ცოცხლ საფანელს წააყრიდა და გვერდით მჯდომარე მუზობლის დედაკაცს გადახედავდა. ის კი ზანტად და უხალისოდ ატრიალებდა ზორცის საკეპი მანქანის სახელურს და თან იმ მანქანის ხეიმირისებურ ყელში ზორცსა და ალყა-ალყა დაჭრილ ხახვსა სტენიდა. თამრო წამდაუწუმ ეზოში იცქირებოდა და რატომღაც ძლიერ ღელავდა, თუმცა იქ, იმ ეზოში უჩვეულო, არაფერი ხდებოდა.

ცხელოდა, ფოთოლი არ იძროდა ხეზე. სადღაც შორს სიციხისა და წყურვილისაგან გაოგნებული ძერა კენესოდა „აუ, აუ“, ჩხიკეები დაბტოდნენ ხიდან ხეზე და ისინიც რაღაცას გასძახოდნენ ერთმეორეს. აქ კი, ეზოში, კაკლის ჩრდილში პატარა, შეიდი წლის თინა ხბოსა და თიკანს ეთამაშებოდა, მარტო სახედარი არ ერეოდა იმათ მხიარულებაში, ეზოს კუთხეში რომ ება და ბალახს შეეძებოდა. თინა კი ხან ხბოს გადაჰხვევდა ხელს ლბილ ყელზე, ხან თიკანს. ბოლოს თი-

კანს რალაცაზე გაებუტა, ხბოს ტუჩებში აკოცა და დინჯად ჰკითხა:

— შენ დედა გყავს?

ხბომ პასუხის ნაცვლად თავისი ხაოიანი ენა გოგოს ლოყაზე აუსვა. რაკი-ლა თინამ პასუხი ვერ მიიღო, ისევ ჰკითხა თავის მეგობარს:

— შენ დედიკო გიწყურება, როცა მუსიკაზე არ დადიხარ?

და მეგრე გულახდილად გამოუტყდა:

— მე მიწყურება... კიდევაც მეცმს ხოლმე!..

დედამ ვარცლზე ცომიანი ხელები მოიფშენიდა, მარნის კარში გამოიხედა და ბავშვს გამოსძახა:

— წადი, გოგო, ისწავლე-მეთქი, თხუთმეტ თემანს ტყუილად ვაძლეეთ მასწავლებელს? მიდი, ახლავე დაჯექე პიანინოსთან, შე საძაგლო, შენა! არ გამომიყვანო მანდ, თორემ მოგკლავ, შე უბედურო!

პატარა თინა უცებ მოიკუპა, მოედრებლა მანამდე გაშუქებული სახე, შუბლშეკრული შევიდა ოთახში, პიანინოს მიუახლოვდა, სახურავი გადახადა, სკამზე ჩამოჯდა და დაკვრის ნაცვლად ზღუქუნის დაიწყო. გარეთ, ეზოდან ეზოში ფრთახატულა პეპლები დაფრინავდნენ, ხბო მალაყებს აკეთებს, და შენ კი, იმ დაწყველილი თხუთმეტი თემნის გულისათვის ყველაფერს უნდა მოაკლდე, მოდი და ნუ იტირებ!..

დედის ფხიზელმა ყურმა მისი ტირილი მარანშიც გაიგონა...

— არ გამომიყვანო მანდ, შე სასიკვდილე! — ისმოდა მისი ხმა, — სულ ეზოშია ქალო, — მიმართავდა იგი თანამოსაუბრეს — ღმერთო ჩემო, ეს რა ოჯახში შემოვდგი ფეხი, დიდიც და პატარაც სულ იმაზე ფიქრობს რით გაერთოს, სულ ანდაზაობაზე უქირავეთ თვალ!

მეზობელმა იგრძნო თუ ვის გადაჰკრა ქალმა მათრახი და ისიც აყვავა:

— პაპის ჯიშზე არიან წასულები... მიხა პაპას შეილიშვილი აბა სხვანაირი რათ იქნება?

მაგრამ რძალმა მამამთილის აუგი ვერ

გაბედა და ისევ თავის გოგონას გადასწვდა:

— თურმე რას სჩადის ქალო, იცი? მივა მასწავლებელთან და ოთახში დავმალეხა... ის ქალბატონიც ეძებს, ეძებს... თითონაც ხომ მაგის ჰკუთსა... ერთი დამიხედეთ მასწავლებელს, დამალობანას ეთამაშება თითისხელა გოგოს. როცა იპოვნის, განა გაუწყურება რა! ხეყნით დასვამს პიანინოსთან, მიუჯდება გვერდით, ჩაებუტებიან ერთი-მეორეს და ისევ მეცადინებოვნ... შენ კი აძლიე თვეში თხუთმეტი თემანი... ჩახუტებაზე ფული უნდა ვიხადო? გოგო, რატომ არ მესმის შენი დაკვრა, შე სამიწვე, შენა!

ოთახში ისევ დუმილი იყო. თამრომ ახლა კი ველარ გაუძლო ცდუნებას და მამამთილსაც გადასწვდა:

— აღარ ვიცი, რა ექნა, ფეფიკო! ამ ბერიკაცმა სულ გამიცლულტა ბავშვი... მე რომ გავუწყურები, ის ეფერება... ეს გოგოც ატირდება და მაშინვე იმასთან გაიქცევა... გათამაშებულა... აბა შენი ქირიმე, ამ ხნის კაცს რა შეგვადრო! არა და ძალიან წაუხდინა ბავშვს ხასიათი... ვიდრე პაპა არ დაწვება, არც ის იძინებს... გაგიკვირდება, იმათ რომ ყური დაუგდო... გეგონება ტოლები არიანო ეს თითისხელა გოგო და ის სამოცდაათი წლის ბერიკაცი...

თამრომ ბრაზისაგან ისევ მოიფშენიდა ხელები და ისევ გასძახა შვილს:

— გოგო, ნუ გამომიყვან, ნუ!

პატარა გოგომ ახლა კი ჩამოჰკრა კლავიშებს ხელი და ნამტირალევი ხმით დაიწყო:

— ერთი დააა... ორი დააა... სამი დააა... — და მეოთხეზე პატარას ისევ ამოუჯდა გული. დედის ყურს ეს არ გამოეპარა და მარნიდან გამოსძახა:

— ახლა კი ნამდვილად მოვდივარ!

პატარა თინამ, ეტყობა, შეშინებულმა ამ წამოძახილით უფრო ხმამალა დაიწყო:

— ერთი დააა, — თან კლავიშს ჩამოჰკრა, — ორი დააა, — ახლა მომდევნოს შეახო ხელი.

დღეა დაწყნარდა, მაგრამ ცალი ყური ისევ ოთახისაკენ ეჭირა. უცებ ბავშვის ხმა შეწყდა და მის ნაცვლად ქალებს მოხუცი კაცის მზიარული შეძახილი მოესმათ:

— ერთია და ერთიაა... ორია და ორიაა...

თამროს სახეზე სასოწარკვეთილება გამოეხატა.

— აი, ხომ გითხარი, — წამოიძახა მან — აბა რა უნდა ვქნა? მოხუცია, რა შეგეადრო... თორემ გაგონილა... ეგ რაღა სიყვარულია, ბავშვს აცდენს... განა მაგის ქეუისაა?..

მეზობლის ქალს გაეღიმა.

— იმ, გოგო, მიხა-პაპას შენ მოაშლენიებ ხუმრობას?..

დაკერის ხმა აღარ ისმოდა. ქალებმა მუშაობას თავი მიანებეს... ახლა ისინი უსმენდნენ რა ხდებოდა კედლის იქით (მარანი ზედ სახლზე იყო მიდგმული). კედლის იქითა მზრიდან ბავშვის ხმა ისმოდა, მომტირალი კი არა, მზიარული ხმა:

— პაპიკო, შენც მეცადინეობ?

— არა შეილო... შენ ის მითხარი, ეგ რას გასწავლიან გოგო, რასა სთვლი?

— ესა პაპავ? რა ვიცი, მასწავლებელმა მითხრა, ასე დათვალე... რიტმს ყურს მიიჩქევო...

— რასაო, გოგო?

— რიტმსაო!

— რიტმი რაღა ჯანდაბაა, შეილო?

აბა როგორ აუხსნას პატარა თინამ თავის პაპას თუ რა არის რიტმი, როცა ეს მთელი ქვეყნის ფილოლოგებს ვერ აუხსნიათ, წიგნების წერასა და კითხვაში გაქალარავებულებს.

პაწია გოგომ ველარაფერი ვერ უპასუხა. მოხუცმა რაღაც გუშანით გაიგო, მაგრამ სიტყვა არ ეყო ბავშვისათვის აუხსნა და ხელი ჩაიჭნია. თინა კი არ ცხრებოდა:

— პაპავ, შენც გასწავლიდნენ? — ჰკითხა ისე, როგორც წელან ხბოსა და თიკანს ეკითხებოდა.

— მაშ რა, გოგო! პატარაობაში მთელი ვიყავი... ჯეილი ბიჭი ვიყავ, ქვეყანაში გამოუსვლელი... მეზობელმა და-

მიძახა — ლეინოსა ვყიდი და მთვლელად დამიდევო. არ მიყვარდა ის კაცი — უყვებოდა მიხა-პაპა, — ძუნწი იყო. ჰურს რომ სქამდა, ისიც ენანებოდა, ვაი თუ ხვალისათვის აღარ მეყოს და მერე რა მეშველებო. მაინც გადავედი იმის ეზოში. ვხედავ სირაჯს ურმები ჩამოუტანია ლეინის წასაღებად...

თინა ვერ ერკვევა ვინ არიან ეს სირაჯები, ან რათ უნდოდათ ურმები, როცა ყურძნის ჩაბარება ასე ადვილია — მოიყვანენ საბარგო მანქანას და ვერც გაიგებ, ისე წაიღებენ ავსებულ მანქანას.

— მაშინ ასეთი წესი იყო, შეილო! — განაგრძობს პაპა, — აწყვის დროს პატრონი ცალკე სთვლიდა, მყიდველი ცალკე, და არ შეგვეშალოსო, მთვლელსაც დაუძახებდნენ ხოლმე. ჰოდა, მეც დამიძახეს. გადავედი... აიღო იმ ძუნწმა სპილენძის ჩაფიანი, აავსო ქვევარში, გადმომაწოდა, მეც სირაჯს მივაწოდე და დავიძახე:

— ერთია და ერთია!

— მეორე აავსო და მომაწოდა, დავიძახე:

— ორია და ორიაა!

— ორ-ორჯერ რათ იძახოდი, პაპიკო?

— იმიტომ შეილო, რომ ანგარიში არ შეგეშლოდა... მაწოდებენ ჩაფიანებს, სათვალავში ემატება და ემატება, და აი კიდევ დავიძახე: ცხრამეტია და ცხრამეტია! და ვიდრე ის ძუნწი ჩაფიანს ხელ-ახლა აავსებდა, ვკითხე:

— ქათამსა ჰკლავ-მეთქი.

ეს იმიტომ უფრო ვკითხე, რომ გარეთ მეურმეები იცდიდნენ, დალილები, გზაში დაქანცულები; ვიცოდი ის ძუნწი მშვივრებს გაისტუმრებდა და სირაჯსაც ფეხებზე არ ეკიდა. ერთი ქათამი მათ რას გასწვდებოდა, თითო ნაპერიც არ შეხვდებოდათ, მაგრამ მაინც იქნებ ინამუსოს-მეთქი... მაგრამ შენც არ მომიკვდე! სიძუნწემ რომ წამოუარა, სახეზე წამოენთო და სათვალავი სულ დაავიწყდა:

— რას ამბობ ბიჭო? ქათამი სადამყავს? ე, რასაც ეზოში ხედავ, სულ მეზობლებისა არიან!

ბრაზი მომერია. ახლა კი განანებ შენს სიტუნწეს-მეთქი, და უცებ დავიძახე: ცამეტია და ცამეტიანა!

— ცხრამეტი არ იყო პაპავ! — ისევ ახსენებს შვილიშვილი, რომელმაც თვლა ახლახან ისწავლა.

— მაშ რა? მაგრამ ექვსი ჩაფი ვაზარალე, — გულლიად იღიმება მოხუცი, უხარიან, რომ ძუნწი ასე კარგად დასაჯა.

...თამროს მოთმინება აღარ იყო. ცომიანი ხელეები მოიფშენია და ოთახისაკენ გამოეჭანა.

— არაფერი უთხრა, გოგო! ეწყინება! — დაადევნა მეზობელმა.

— გივი კი არა ვარ, რა უნდა ვუთხრა... — და დედამ ოთახისაკენ გასწია. თინიკო მუხლებზე ჩამოსჯდომოდა პაპას და განცვიფრებული უსმენდა, დედამ შვილს წყრომით შეხედა და სიტყვით კი ეს-ლა უთხრა:

— გოგო, პაპას რათ აცდენ, შე საძაგელო!

თინა ისევ მოიბუზა, ეს რა ამბავია, ყველაფერს რომ მას აბრალებენ, აბა რას აკეთებდა პაპა, რომ ამ პატარა გოგოს გაეცდინა.

პაპაც უხერხულად შეიშმუშნა, მიხვდა, რომ ლიტრას კი არა, კოკას უწყურებოდნენ, მაშინვე წამოღგა, დამნაშავესავეთ გაიღიმა და სთქვა:

— თამრო, დილაზე, ძალიან ადრინანად ცოცხზე უნდა წაივდე, ბიჭებმა მი-თხრეს, გამოგივლითო. იქნება საგზალი გამომზადო რამე...

— თამროს ახლა-ლა შეეცოდა მოხუცი:

— ახლავე პაპავ... ყველაფერს გაგიშვადებ...

და რძალმა ისევ მარნისაკენ გასწია. თინა ისევ პიანინოს მიუჯდა, მოხუცი კი ეზოში გამოვიდა.

იმ დღესაც პაპამ თავი ადრე მიდრო მისაძინებლად და ხშირ ძილში რომსაყოფ წასული, უცებ მოთქმის ხმამ გამოაღვიძა. ძილისაგან ჯერ ისევ გამოურყვეველი მიხაკო ვერ მიხვდა რა ხდებოდა. მარტო მოთქმა ესმოდა და მოტირალს იმ ტირილსა თუ ღმუილში ხმა უთრთოდა, თითქოს ყელს ცრემლები აწვებიან, ახრჩობენ და საცაა იმ ხმასაც ჩაახშობენო.

მიხაკო წამოღგა. კბეზე ჩამოვიდა, ვეება, ზაქის ოდენა მყეფარი იჯდა ეზოში, ცხვირი ვარსკვლავებით მოქედილ ცისკენ აეწია და ღმუოდა.

დაუყვავა პატრონმა, ხელი გადაუსვა ბეწვზე და იგრძნო, რომ ძალს ბეწვი აშლოდა, ყალყზე ედგა. მყეფარმა პატრონს ზედაც არ შეხედა, ადგილი ინაცვლა, ისევ ასწია ცხვირი ცისაკენ და ისევ ღმუილი დაიწყო.

მიხას ეს აღარ მოეწონა.

მთვარე მალა წამოსულიყო, შორს ლეკის მთები კი ისევ ჩაშავებული იყო. ბერიკაცს გულიც იმ მთებივით ჩაებურა, ისევ ძალისაკენ გასწია და მოფერების ნაცვლად, ახლა გაურისხდა:

— გაოხრდი და გატიალდი... შენი თავი იტირე, შენი პატრონის...

და უცებ ხმას დაუდაბლა. აივანზე თამროს ეძინა, პატარა თინაც იქვე იწვა და პაპას არ უნდოდა შინაურები გაეღვიძებინა.

ამ დილით მეზობლის ბიჭებს უნდა გამოეელოთ მისთვის, მილარზე ცოცხის მოსატეხად მიდიოდნენ და მიხამაც შეიპირა — უჩემოდ არ წახვიდეთო. ახლა დაძინების დროც აღარ იყო. მიხამ თავლისაკენ გასწია, ცხენი გამოიყვანა, უნაგირი დაადგა და ის-იყო მოსართავებს უჭირებდა, როცა ცხენმა ყურები დაცქვითა. ფრუტუნი დაიწყო. ცოტა ხანიც და ჭიშკრიდან ვილაცამ დაუძახა:

— მიხაკო, მიედივართ...

— ჩემად ბიჭო ხალხი არ დამიფეთო, — გაეძრაბა პაპა, — აპა, მეც მზადა ვარ...

კაბუცივით შემოახტა ცხენს, ჭიშკრი-

მიხაკოს აივანზე ძილი უყვარდა, ამ აივანზე მუდამ შრიალებდა ალაზნიდან წამოსული ნიაფანწალა.

საკენ წაიყვანა. გზაზე ოთხი ცხენოსანი იდგა...

და მარტო ცხენების ფლოკების თქარუნინ არღვევდა იმ ღამის მყუდროებას. გაუყვირდათ თანამგზავრებს, რომ იმ დღეს მიხა-პაპა აღარა ხუმრობდა, რა იცოდნენ, რომ იმ ძაღლის ყმული ცუდად ენიშნა და ფიქრიდან ვეღარ მოიშორა. ხუმრობა კი სცადა, მაგრამ ისევე ღამეში დაუძინებელი ძაღლი გაახსენდებოდა და სიტყვა პირზე შეაცივდებოდა.

მილარზე რომ ჩავიდნენ, აღაზნის პირებზე ცოცხი მოტეხეს, კონებად შეკრეს და შუადღე იქნებოდა, როცა უკან გამოსწიეს.

— ტყუილია, — ფიქრობდა მიხა, — აბა ძაღლის გუმანი რა ანგარიშში ჩასაგდებია...

ამ ფიქრში იყო, როცა წინ წასულმა ბიჭებმა ყიფინით შეაჩერეს ცხენები.

უზუნდარაზე, ტყეში მიმავალ გზაზე, იმ ადგილას, სადაც ჩრდილიანში მზე თვით ამ ცხელ ზაფხულშიც კი ვერ ჩაიხედავს ხოლმე, „პობედა“ ჩაქედილიყო ღიაში და შოფერიც, მგზავრებიც ამაოდ დაქანცულიყვნენ... ეტყობოდათ დიდხანს იწვალეს და მანქანას ვერაფერი უშველეს.

მიხა იმ ადგილს რომ მიუახლოვდა, დაინახა: ეს ბიჭები, მისი თანამგზავრები ცნობისმოყვარეობით დასცქეროდნენ ტალახში ჩაფლულ მანქანას და მარტო ნუგეშსა სცემდნენ ქალაქელ მგზავრებს — მოითმინეთ, ეგებ ემტევისს მანქანამ გამოიაროს და ის გიშველითო.

მოხუცს კი არ შეეძლო გულგრილად ჩაევლო გაჭირვებულთათვის, აგერ აქვე მწვანეზე რომ ისხდნენ. მათ შორის ორი უცხო კაცი იყო და ერთიც ქალი — შესახედლობაზე ეტყობოდათ, სამსახურის ხალხი იყვნენ, საითღაც ეშურებოდნენ. მიხას რატომღაც წუხანდელი ყმული გაახსენდა ძაღლისა, და ვინ იცის ბედისწერის გამოცდა სცადა, თუ სიყვითით საესე გულმა უკარნახა, ბიჭებს გადასძახა:

— მოდით, მხრებით აეწიეთ... აბა

ახლა გამოჩნდება ვინ უფრო ჯეილიაო.

და პირველი მიუახლოვდა მანქანას, როგორც ცოცხალს ისე მოეფერა, ხელი გადაუსვა ფოლადისფრად აღაპლაპებულ ფრთებზე და ლამაზაკი დაუწყო: — რა მოგივიდა, გოგო? ბენძიში გინდა, თუ ტაოტი?

ბიჭებმა გადაიხარხარეს — ისინი პირველად ხედავდნენ, რომ მიხა მანქანას ასე უტკებოდა და როგორც ჭირვეულ ბავშვს, ისე ეფერებოდა. ხშირად უნახავთ, რომ ის ღვინით საესე ხელადას ეალერსებოდა ხოლმე, ხელს ნაზად უსვამდა და ენასაც უჩლექდა: „პატალავ, პატალავ, გაკოცებ, ჩაგკლაპავ, გენაცვალე, ჩემო საკალელოო“.

მაგრამ ხუმრობას მალე თავი მიანება და პირველმა შეუდგა მანქანას მხარი...

— აპაა, — დაიძახა მან და ასწია...

მანქანა ნელნელა წამოვიდა ზემოთ და იმავე წამს მიხამ დაიცივნესა — იგრძნო, რომ რაღაც ჩასწყდა სხეულში, თვალთ დაუბნელდა, ცივი ოფლი დაასხა და გონი დაკარგა.

როცა თვალი გაახილა, მწვანეზე იწვა. ის ქალაქელი ქალი თავზე ედგა, რაღაც წამალი მიჰქონდა მის ცხვირთან... „პობედა“ სამშვიდობოზე იყო.

მისი თვალების გახელა და სასიხარულო ერთიანულს ატეხა ერთი იყო...

მიხამ გაოცებით გადახედა ყველას: რა მოხდა, მან არაფერი არ იცოდა.

წამოდგომა სცადა, გაუჭირდა, ხელი შეაშველეს... ცხენისაკენ გაიწია, მაგრამ წაბარბაცდა...

ცხენის ნაცვლად მოხუცი მანქანაში ჩასვეს და სოფელში წაიყვანეს.

სასწრაფოდ ეჭიმი მოჰგვარეს, მან რაღაც წამლები გამოუწერა მოხუცს, შინაურები დაამშვიდა და მერე მორიგი ავადმყოფისაკენ გასწია.

•
•

კვდებოდა საწყალი უღარდელა, კვდებოდა და სიკვდილს კი არ ნებდებოდა.

შუალამე კარგა ხნის გადასული იყო,

სწორედ ის დრო, როცა ბერიკაცმა წუხელ ცხენის შეკაზმვა დაიწყო... ახლა კი ძალმიხნობილი ლოგინში იწევა. თამრო თავით ეჯდა, გვერდით მეზობლის ქალები უხსდნენ, ავადმყოფს ღამეს უთევდნენ. არ გაეცდეთო, ყველას საქმე წამოეღო — მატყლას სჩეჩავდნენ, წინდებს/ჰქსოვდნენ, აკერებდნენ, ჰქარგავდნენ და თან გაუთავებლად ჰყვებოდნენ ცისას და ბარისას — ხარხარებდნენ, თითქოს დარწმუნებულნი, რომ მიხა-პაპას სიკვდილი ვერ მოერეოდა.

სწორედ იმ წუთს, როცა მათ ერთობლივი კისკისი ასტეხეს, მიხამ გადმოიხედა, მშვიდად შეათვალიერა ყველანი და უცნაური ხმით იკითხა:

— ქალებო! რათ გაჩუმდით... ლაპარაკი იცოდით ხოლმე... ხუმრობა...

კისკისი უცებ შეწყდა. მიხედნენ ქალები, რომ მიხა-პაპა სანახევროდ ამ ქვეყნად აღარ იყო, სმენა დაჰკარგოდა.

მძიმე დუმილი ისევ ბერიკაცმა დაარღვია.

— თამრო, გოგო, ეს ხელი გამიჩერდა რალაცა!..

რძალმა ბერიკაცის ხელი აიღო, ზევით და ქვევით დასწია, მერე, დავიღალეო უთხრა მამამთილმა და თამრომაც თავი მიანება. ავადმყოფმა თვალები დახუჭა, დაიძინა და დილით ვეღარ გაიღვიძა...

... შირაქიდან სასწრაფოდ ჩამოვიდნენ ვაეები, თბილისში დარიკოს დეპეშა გაუგზავნეს — მამა აღარა გეყავს, სასწრაფოთ ჩამოდი, თანაც წამოსვლამდე სურათი გაადიდებინე და წამოიღეო.

ვილას ახსოვდა ბერიკაცის ანდერძი — სიცილ-ხარხარით დამშარხეთო! მდულარე ცრემლებით ეთხოვებოდნენ პაპას! დარიკომაც დეპეშა რომ მიიღო, ტირილით კინლამ დაითხარა თვალები, მერე დაფაცურდა, წასასვლელად მზადება დაიწყო და ბაკურის უთხრა:

— ბიჭო, მე აღარაფრის თავი არა მაქვს, შეილო მოძებნე პაპას სურათი, სადმე იქნება აღბომებში... მერე წაიღე

გენაცვალე, აგერ თევზის მალაზიის გვერდით რომ ფოტოგრაფიაა, იქ გაადიდებინე... აპა, ფულოც... უთხარო, ხვალ დილით ადრე იყოს-თქო...

პატარა ბაკური დაფაცურდა, დიღხანს ეძებდა სურათი, წაიღო, შეკვეთა მისცა, დილით ადრე სურათის მოსატანად დედამ ისევ ბაკური გააგზავნა. ბიჭმაც სურათი შეხვეული მოიტანა... მანქანა უკვე ეზოში იცდიდა. ის იყო შემოვიდა ბავშვი, როცა შოფერი ძარაზე ყვავილების გვირგვინს ამკვებდა... დარიკოს სურათი აღარ გაუხსნია, ისე ჩაჯდა მანქანაში და სოფლისაკენ გაეშურა.

სახლს რომ მიუახლოვდა, ყველამ ქვითინი ასტეხა — პაპე, საყვარელი ქალიშვილი მოგივიდაო. ამასობაში სურათიც იქვე გახსნეს და პირკატა ეცათ: იმ სურათზე მიცვალბული არხეინად იჯდა, მუხლებზე ხილით სავსე კალათი დაედგა და ქლიავსა სჭამდა.

ჯერ ერთმა მეზობელმა დაიფრუტუნა და გარეთ გავარდა, სიცილი რომ ვეღარ შეიმაგრა. მას მეორე გაჰყვა, მესამემ კი გაოგნებულებით წამოიძახა:

— დაბე, კაცო! ქლიავსა სჭამს...

— ქლიავი კი არა, ბალია — გაეპასუხა მეორე.

მოკამათენი ვილაცის მწყრალმა შეძახილმა ჩააჩუმა. დარიკოს ეღდა ეცა: მას ახლა-ღა გაახსენდა, რომ თბილისში არ უნახავს რომელი სურათი წაიღო ბიჭმა გასადიდებლად. მაგრამ ის კი აღარ ახსოვდა, რომ მიხას ამის მეტად სურათი არ გადაეღო.

მეტი გზა აღარ იყო: სურათი მიცვალბულის კუბოსთან დაასვენეს.

სოფელში თითო-ოროლამ ძველ ჩვეულებას ვეღარ უღალატა: თავიანთი საყვარელი მიცვალბულების პატარა სურათები მოიტანეს და იმ გადიდებულ სურათს გარშემო შემოუწყყეს. და მერე ყველამ თავიანთ მიცვალბულზე დაიწყეს მოთქმა.

შორს სოფლებიდანაც მოვიდნენ — აგერ ნანომაც შემოალო კარი, მიხაკოს შორეულმა ნათესავმა. შეკვებში ჩაცმულ-

ლი იყო. ოთხი წლის ბიჭი მოჰკვდომოდა წინა წელს. და იმანაც პაპა კი არ იტირა, თავის პატარა ბიჭი გაიხსენა და ქვითინი დაიწყო:

— მიხა პაპავ შენი ჭირიმე, შენი, — ტიროდა ქალი, შენ იმას არ იცნობდი მიხა-პაპავ! — და ბავშვის სურათი ჩაუღო ხელებთან — მაგრამ ქეთო ბაბოს ხომ შეხედები, პაპავ? ჰოდა, როცა იქ მიხვალ, პაპავ, ქეთო ბაბოს მუხლებზე ბავშვები რომ ესხდებიან, ერთი რომელიც შევტუხა ბიჭი იქნება, ის ჩემია და მოეფერე, გენაცვალე... აგრე უთხარი, დედას ძალიან მოენატრე-თქო, ბიჭო, რათ წამოხველ-თქო, უშენოდ აღარც ეს წუთისოფელი მინდა-თქო, შეილო...

შაგებში ჩაცმული ახალგაზრდა ქალის მოთქმამ ყველას გული დაუძძიმა.

••

იხოში მარტო ხბო და პატარა თინა-ლა იყვნენ. თიკანი ქელეხისათვის დაკლეს. თინა ახლა ხბოს შიგნით ოთახში ეპატიებოდა:

— წამოდი ბიჭო, წამოდი, ნახე პაპა, წევს და სძინავს... დედა კი ტირის... წამოდი, ბიჭუნიავ!

და როცა ხბო არ წაპყვა, თითონ შევიდა ოთახში, კუბოს გადახედა, თვა-

ლები ეშმაკურად აუციმციმდა, ხელი მიაკაუნა კუბოზე და დაუძახა:

— პაპიკო, პაპიკოო!..

— რათ შემოგყავთ აქ ბავშვები! —

აღშფოთებით წამოიძახა ვიღაცა სტუმარმა და პატარა ისევ ეზოში გაისტუმრეს.

მალე ოთახიდან ხალხი გაიყვანეს, მიხა-პაპას კუბო ასწიეს, დახურულ კარებზე სამჯერ მიაჯახუნეს და მერე გამოსაყვანეს. როცა პროცესია დაიძრა, მიხას გადიდებული სურათი წინ მიჰქონდათ. მისი ხელით აშენებული სახლები მტკიცედ იდგნენ, ისევ ისე შეჰხაროდნენ მზეს გედიქის ხევზე, როგორც მაშინ, როცა ოსტატმა უკანასკნელი აგური დააღო მათს კედლებზე; სადღაც ბუჩქებში ოფოფი ისევ გასძახოდა გულის ტოლს, ისევ სასიამოვნოდ უბერავდა ნიაგწანწალა ალაზნის უნაპიროველებიდან, პაპაც იჯდა არხეინად, შუბლი იმ ნიავისათვის შეეშვირა, მუხლზე კალათა ედგა და ქლიავსა სჭამდა, თითქოს აქ არაფერი მომზდარაო.

თან ილიმებოდა პაპა იმ სურათზე, ისევ შეჰხაროდა თავის საყვარელ გედიქის ხევს, სადაც დაიბადა, იცხოვრა, იმზიარულა, დარდით კი არასოდეს არ უღარდნია...

ვინ იცის, იქნებ ასე სჯობდეს წასვლა ამ ლამაზი წუთისოფლიდან!

ც ა ც ხ ვ ი ს ქ ვ ე შ

მოთხრობა

სიხარულით ლოყებავარვარებული მზია დირექტორის წინ იდგა და მხოლოდ მას ხედავდა მასწავლებლებითა და მოსწავლეებით გაკედილ დარბაზში.

ყველა მზიას უყურებდა. თავბრუ ესხმოდა სიხარულისაგან. „რომ ქაქანებდნენ, მედალს ვერ მიიღებსო, ახლა რაღას იტყვიან? ხომ გაუსივდებათ ნაღველი!“

მის ადგილზე ასეთ წუთებში სხვას თავგზა აეზნეოდა; მზია კი ბედნიერებისა და წუხილის ეამს ბავშვივით თავშეუკავებელი იყო. ახლაც გულში ნათელჩამდგარი იდგა. „ჰო, ჩემს კლასში მარტო მე უნდა მიმეღო მედალი!“ — ამბობდა მისი სახე, თვალები, მთელი იერი. მარცხენა ხელისგულზე ყავისფერი კოლოფი ედო ვერცხლის მედლით და მარჯვენა ხევიდან დაეფარებინა.

„შებედეთ, შებედეთ, როგორ შეიფერა!“

მოესმა მზიას ამხანაგების ჩურჩული. არ შეუხედავს, მაგრამ ხმით იცნო, ვინც იყო. „აკი ვთქვი, ნაღველი გაუსივდებათ-მეთქი. ლიასაც შემონთებია ცეცხლი!“

— ბატონო გიორგი, მე ვეცდები... — თითქმის შესძახა დირექტორს ლიას დაცინვით გაცხარებულმა მზიამ, რათა პირში აღო ჩაეგდო ამხანაგისათვის, — ინსტიტუტშიც ისე ვისწავლი... არა, უფრო უკეთ!

„ინსტიტუტში რომ არ დაუწერენ სილამაზისათვის ხუთიანს?“

ჩაესმა ისევ ლიას ხმა მზიას. ეს სიტყვები უფრო ემწარა, ეკალივით ეჩხვლიტა გულზე, სწრაფად შემობრუნდა, უნდოდა ისეთი რამ ეთქვა ლიასათვის, რომ მიწასთან გაესწორებინა, მაგრამ დროზე

შეიკავა პირზე მომდგარი სიტყვა. არ უნდოდა, ასეთ ბედნიერ წუთებში ცუდი რამ ეთქვა, სწყენოდა რამე ან სხვისთვის ეწყენინებინა.

ეშხიანი გოგო იყო მზია, თავიც ისე ეკირა, ისე მოხდენილად და ბუნებრივად ეკლუტობდა, რომ ამით ერთ იმდენს ჰმატებდა თავის სილამაზეს და თვალადს ხდიდა. ამიტომ იყო, რომ თავის კბილა გოგო-ბიჭებში კულვარდა შეარქვეს.

მზია მოტრიალდა თუ არა, ამხანაგები მაშინვე მიხვდნენ, რომ ლიას ნათქვამი გაიგონა და სული განაბეს.

მზიამ ამაყად ჩაიარა მათ წინ.

— ლია, მე მარტო სილამაზისათვისაც დამიწერენ ხუთიანს, შენ იკითხე თორემ! — მაინც ვერ მოითმინა და წასჩურჩულა ლიას. დარბაზიდან გავარდა, რომ კიდევ უარესი რამ არ ეთქვა.

ქალიშვილებმა ერთმანეთს გადახედეს. ლიას ადამიანის ფერი არ ედო.

— აჰა, დაგვიდა თუ არა ენაზე წისქვილის ქვა! — უთხრა ლიას ელგუჯა ცისკარიშვილმა, — რატომ არ დაეტევი შენს ტყავში?

— ტყავიდან სწორედ შენ ძვრები, ოღონდ მზიას ამო, — ელგუჯაზე იყარა ჯავრი ლიამ, — იმიტომაც წაგართვა მედალი!

ელგუჯას ლიას უქანასკნელი სიტყვებისთვის ყურადღება არ მიუქცევია. თავისი საფიქრალი და სადარდელი გაუნდა უკებ, გული შეუქანდა. „რა თქვა? ინსტიტუტში უფრო უკეთ ვისწავლიო? ინსტიტუტში შესვლას რომ არ აპირებდა? როდის გადასწყვეტა?“

— მე რომ სილამაზისათვის ხუთია-

ნებს არ დამიწერენ, დიდი ხანია ვიცი, — ვერ მოისვენა ლიამ და დამცინავად გადახედა ელგუჯას, — შენ კი გამოგჭრა ყელი პურ-მარილში დაწერილმა მზიას „ხუთიანებმა“. გაგიფრინდა თბილისში შენი კუდვარდა. თუმცა ტყუილად ირჯებოდი, ის ქალბატონი შენთვის თეთრი შაშვია.

„გამიფრინდა თბილისში... რატომ გამიფრინდა? ან რატომ არის მზია ჩემთვის თეთრი შაშვი? რა ისეთი გონჯი მე ვარ?“

ელგუჯას უკანასკნელ წუთამდის არ შეუმჩნევია, სად გათავდა მათი ბავშვობა, სად დაიბადა ის გრძნობა, რომელიც ასე მოულოდნელად შეიჭრა მის გულში, აუხილა თვალი და დაანახა ის, რაც უფრო აღრე სხვებს შეემჩნიათ, თორემ აბა, რატომ იტყოდა ლია, გაგიფრინდა თბილისში შენი კუდვარდაო. „არა, მზია არ უნდა წავიდეს თბილისში... ის იქ, მე აქ... არა, არ უნდა წავიდეს, თორემ სამუდამოდ დამეკარგება... მაგრამ ვაითუ მართლა თეთრი შაშვია მზია ჩემთვის?“

არ ახსოვდა, როგორ გავიდა აივანზე. იქ რომ ვერ ნახა მზია, ეზოში ჩაიბრძინა. შემოუარა სკოლის შენობას. ირგვლივ აღამიანის ქაჭანება არ იყო. საწვიმრად მოქუფრული ცა საცა პირს მოიხსნიდა. „ნუთუ შინ წავიდა? წვიმას გაასწრო, ალბათ, რომ ახალი კაბა არ დასველებოდა! რამდენ ახალ კაბაში მინახავს მზია, მაგრამ არც ერთი ისე არ ჰშვენიოდა, როგორც დღევანდელი, თეთრით გაწყობილი მწვანე კაბა. სისულელეა, მზიას ყველა კაბა უხდება, უბრალო, ჩითისაც, მე კი ეს არასოდეს არ მითქვამს მისთვის, როგორ უხარია, როცა რამეს მოუწონებ. მე ერთხელაც არ შემიქია, ერთი ტბილი სიტყვა არ წამომტდენია მასთან. ვითომ რა საკირო იყო, განა არ იციან მზიამ, რომ მე მისი ყველაფერი მომწონს? არა, არ იციან. არაფერი არ იციან. ახლავე უნდა ვნახო, უნდა ვუთხრა, აუფხსნა!“

გადაწყვიტა გადაერბინა ეზოები და ბალები, გადაეჭრა გზა და ბაქურის ხიდ-

თან დახვედროდა. „როგორ წავიდე? ახლა მე გამომიძახებენ ატესტატის მისაღებად! რა ეშმაკად მინდა ატესტატი ან თავი რად მინდა ცოცხალი, თუ მზია თბილისში წავა?“ კიშქარში გავიდა, ერთი კი მოიხედა, ხომ არავინ მიყურებსო, და გაქუსლა.

მალე ბროწეულას ქალებზე გაშლილ მზესუმზირას პლანტაციაში ამოყო თავი. კვლებს შუა გარბოდა, ასე ეგონა, ახლაც, ამ წუთში თუ არ ავალბინე მზიას ხელი ინსტიტუტში შესვლაზე, მერე გვიან იქნებაო.

„არა, მზია არ უნდა წავიდეს თბილისში, თორემ სამუდამოდ დამეკარგება“, — იმეორებდა ერთსა და იმავეს.

ცაზე ელვა გაიკლაკნა, თითქოს ცეცხლის ხმაღმა გამოფატრაო ზეცის კუპრისფრად შეშავებული, დაბერილი მუცელი. იმავე წამს მზესუმზირის ფართო ფოთლებზე წვიმის მსხვილი და მძიმე წვეთები აღგაფუნდა, ცამ პირი მოიხსნა.

ელგუჯა შეშინდა: რა ექნა მზიამ რომელიმე ნაცნობთან რომ შეიცადოს და სანამ არ გადაიღებს, არ გამოიაროსო. ხიდზე აირბინა და გზას გახედა. გზაზე არავინ ჩანდა. ხიდქვეშ მდინარე ქშუოდა, მზიარულად მიაგელვებდა ფაფარაყრილ ტალღებს. ელგუჯამ გადაწყვიტა, იქვე, ხიდის თავში მდგარი ცაცხვისათვის შეეფარებინა თავი და თუნდაც ცა თავზე ჩამოქცეოდა, მანც დალოდებოდა მზიას.

ბებერი ცაცხვი საჩრდილობელი იყო ამველ-ჩამველისათვის და ავდარში თავშესაფარიც, დასასვენებელი და გასართობი ადგილიც. მისი ჩრდილი და მდინარის სიგრილე არა მარტო აღამიანს იზიდავდა, აქ ისვენებდა დაბის ნახიცი, წვრილი ფრინველი ხომ განუყრელი სტუმარი იყო მისი და ხშირ ტოტებში სულ ერთთავად განუწყვეტელი ყიფივი იღვა.

ცაცხვის ქვეშ თავს იყრიდნენ სკოლიდან დაბრუნებული ბავშვებიც. ცაცხვი და მის ქვეშ გამართული თლილი ქვის გრძელი სკამები აუარებელი წარწერებით იყო აკრელებული, ზოგი დანიით ამ-

ოკვეთილი, ზოგი ფანქრითა და საღებავით მიწერილი. ლიამ ზიას და ელგუჯას სახელებიც ამოკრა: „მზია=ელგუჯას!“ ეს რომ მზიამ და ელგუჯამ ნახეს, კიდევ გაეხარდათ და კიდევ ეწყინათ, მაგრამ მაშინ არც ერთმა არ იცოდა, რატომ გაეხარდა, ან რატომ ეწყინა. და აი დღეს, მხოლოდ ახლა გახდა ელგუჯასათვის ყველაფერი ცხადი.

წვიმის წვეთები სახეზე დაეცა, ცაცხვს მიაშურა.

მზიას წვიმისათვის იქ შეესწრა.

— მზია! — შესძახა გახარებულმა.

— ელგუჯა, საიდან გაჩნდი აქ? სკოლაში არ დაგტოვე წელანი! — დიდი, კრიალა თვალები გაკვირვებით მიანათა მზიამ.

— შენ დაგადევნე, — წაიქვლეულა ელგუჯამ და სიხარული უცებ გაუქრა, გაახსენდა, რისთვის გამოუდგა მზიას, გული მოწყდა და სადღაც ქვესკნელში ჩაუვარდა.

— დამედევნე?! რათაო, რა გაგიჭირდა ასეთი? — გაიკინა მზიამ.

„გამიჭირდა, შენს მტერს გაუჭირდეს ისე, როგორც მე გამიჭირდა“. ეს გულში თქვა, თორემ ხმამაღლა რა ათქმევინებდა. მზიას სიცილი აბა მაშინ უნდა გენახათ. ისეთი დაცინვა და გაკილევა იცოდა, რომ კაცს თავებდეს დააწყველინებდა.

კიდევ კარგი, რომ ბედზე იელვა, ბროწეულაში მესმა ქახანი გაადინა და ერთბაშად მოვარდნილმა ჭარბშალმა წვიმის ტალღა შემოიტაცა ცაცხვის ქვეშ, თორემ ელგუჯა ახლავე მოხსნიდა პირს თავის სათქმელს და ყოველგვარი ყოყმანისა და შემზადების გარეშე ეტყოდა: ან მე, ან თბილისიო.

წვიმის ღვარს მზიამდე და ელგუჯამდე არ მიუღწევია, შუა გზაზე გადატყდა წელი, მაგრამ შეშინებულმა მზიამ, — არ დაესველდეო, — ისე შეჭყივლა და კაბაზე ისე მიიფარა ხელები, თითქოს ქერძაფი უნდა შეესხათ.

— რას უღვახარ, ელგუჯა, ამეფარე! — იეუწყრა ელგუჯას.

ელგუჯა წინ დაუდგა.

— კაბა დამისველდება, საგანგებოდ

შემიკერეს დღეისთვის. მოგწონს? — ჰკითხა, მაგრამ პასუხს არ დაუცადა, თეთონაც იცოდა, რომ უხდებოდა. წელზე და მკერდზე დაიხედა, — ერთი წვეთი რომ მოხვდეს, გადასაგლები გახდება. მოიწი ახლო, რას გახვედი!

მართლაც გახვეებული იდგა ელგუჯა. მიიწევდა, აბა, როგორ არ მიიწევდა, განა უფრო ახლო არა მდგარა მზიასთან. რამდენჯერ წამოუკილია ზურგზე, აუყვანია ხელში, ერთმანეთის გვერდით წოლილან პიონერული ლაშქრობის დროს? პოდა, აბა რამ გაახევა, რატომ ვერ გადაუდგამს ეგ ოხერი ნაბიჯი? რამ დაამძიმა აგრერიგად, რა ტყვია ჩაუდგა ფეხებში? ისე შეჭყურებდა მზიას, თითქოს სხვა მდგარიყო მის წინ, გუშინდელი ჩიტორეკია გოგო კი არა, ქალი, რომლის მომრგვალებული, სავეს მხრების თავებს და შიშველ მკლავებს თვალს ვერ უსწორებდა.

— შეხედე, რა ღვართაფი მოდის! — უთხრა მზიამ ელგუჯას და ხელი იქით გაიშვირა, საიდანაც ქარს ერთიმეორეზე უფრო ძლიერი წვიმის შავი ღვარი მოქონდა.

არც ახლა ასწია თვალი ელგუჯამ.

მზიამ უცებ ძირს დაუშვა მკლავი, რათა ვაყისთვის მოერიდებინა. სახეზე წამოენთო, დაიბნა.

ჩამოვარდა სიწყნარე, ორივესთვის უხერხული და უჩვეულო.

ისინი კარის მეზობლები იყვნენ, რომ იტყვიან, ერთი კერიისანი და ერთი ცეცხლისანიო. თავისი ბავშვობის თითქმის არც ერთი დღე უერთმანეთოდ არ გაუტარებიათ, ერთი ჯამიდან უქამიათ და ერთი ჰიჭიდან უსვამთ. ერთ მერხზე ისხდნენ და მათ გულებს არასოდეს არ დაუფარავთ ერთმანეთისათვის არაფერი, არასოდეს არ აღმართულა მათ წინ რაიმე უხერხულობის ზღვარი და ახლა ასე უცებ რა უცხო და, თან, რა წინააღმდეგენლად ახლბებელი ეჩვენებოდა ელგუჯას მზია. რა მოხდა, რა შეიცვალა, რა კედელი აღიმართა დღეს მათ შორის?

ქარიშხალი სულ უფრო გამძაფრებით იკრებდა ღონეს და, მიუხედავად იმისა, რომ ცაცხვს დაბლა დახრილი და შორს გაწვდილი ვეება ტოტები ჰქონდა, წვიმის თქვენი მინც ატანდა ხის ქვეშ.

მზიას უკვე აღარ აშინებდა წვიმა, დაავიწყდა კიდევაც. შებრუნდა, მივიდა ქვის სკამთან და ჩამოჯდა. ელგუჯა არ განძრეულა. წვიმას ხათქახუთქი გაჰქონდა ტოტებში. ორივე სველდებოდა და ვერც ერთი ვერ ამჩნევდა. „სანამდე უნდა ვიდგე ფეხზე? ხომ იფიქრებს მზაა რატომ არ დაჯდებოა“. მივიდა და როგორღაც უხერხულად, მის ჩვეულებრივ მოძრაობას რომ არ ჰგავდა, მზიას მოშორებით დაჯდა სკამზე.

წვიმა უკვე ისე ატანდა ტოტებში, როგორც წყალი საცერში. ელგუჯამ პიჯაკი გაიძრო, მზიას გაუწოდა, გადაიფარეთ. მზიამ ჩამოართვა და თავზე და მხრებზე წამოიხურა.

— შენ? — შეხედა ელგუჯას, — ვერა ხედავ, რომ სველდები?

— მერე რაა, ძველში არ გამატანს, — წაილულულა ელგუჯამ.

— „ძველში არ გამატანს“, — ჩაიციხა მზიამ, წამოდგა და გვერდით მიუჯდა. მხრით მხარზე მიეკრა, მაგრამ პიჯაკი მაინც არ გადაწვდათ, — მოიწი!

წამდაუწუმ ელავდა. ელვა ალისფრად ანათებდა პიჯაკის ქვეშ შეყუთულ ორ გაფითრებულ და განაბულ სახეს.

— კარგა ხანს არ გადაიღებს! — თქვა მზიამ.

— ნუ გადაიღებს რა!

ისხდნენ მხრებით ერთმანეთს მიკრულნი და შესცქეროდნენ მათ წინ დაშვებულ წვიმის ფარდას. ტოტებიდან მოწყვეტილი წვეთები ხმაურით ეცემოდა წყლით გაქვინთილ პიჯაკს და იქიდან ნაწური წყალი მუხლებზე ეწვეთებოდათ. სველი კაბა შედგა, მუხლებზე აუცოცდა მზიას. წვეთები ტყაცუნით ეცემოდა ქალის სათეთ, ვარდისფრად აკრიალებულ ზორცს. ელგუჯამ ხელი დააფარა შიშველ მუხლებზე და ახლა წვიმის წვეთები მის ხელზე ეცემოდა. მზიას არ ესმოდა არც ქარის ხმა, არც წვეთების

ტყაცუნი. ელგუჯას გულსაც ისეთივე ძგარაძგური გაჰქონდა, როგორც მას გულს და განაბული და შეშინებული უგდებდა ყურს.

— მზია, შენ მართლა აპირებ ინსტიტუტში შესვლას?

— განა არ იცი? მე ხომ უგამოცდრდ მიმიღებენ! — უთხრა მზიამ ბედნიერი აღამიანის ხმით.

— მერე ჩვენ?.. — თქვა ელგუჯამ და სათქმელი დაკარგა.

— რა ჩვენ?

— ჩვენ არ ვიქნებით... მეგობრები?

— რატომ? — შეხედა მზიამ თვალბეში და სახე შეეფაცლა, უცებ მოაშორა მხარი ელგუჯას მხარს. შუბლზე ჩამოცვენილი სველი თმა უკან გადაიწია.

ერთხანს ორივე დუმდა. წვიმა გამეჭვებით ურტყამდა ტოტებს. — მე სხვა მეგობრობაზე გეუბნები, მზია.

მზიამ თავი დახარა. ახლა დაინახა, ელგუჯას ხელი მის მუხლებზე რომ ედო. ვაჟის ფართო თათი ვერ ფარავდა სიშიშვლეს და მზიამ თვითონ დაიფარა იმ წამსვე ხელი მუხლებზე. ახარებდა და თან აშფოთებდა ის, რომ ვაჟი თვალს არიდებდა მის სიშიშვლეს: ეს შეშფოთება სირცხვილისა არ იყო. ეს იყო იმ გრძნობის შიში და სიხარული, როცა ქალი პირველად შეიცნობს, რომ იგი უყვართ.

ელგუჯა ქვეყანას ერჩია მზიას, მისთვის რომ გეკითხათ, ელგუჯას სკოლაში ტოლი არა ჰყავდა. ის იყო მისი ყველაზე ახლო მეგობარი, მისთვის სანთლად აინთებოდა. ეს იყო და ეს.

— მზია, აქ არ აპირებდი ინსტიტუტში შესვლას?

— არ ვაპირებდი იმიტომ, რომ გამოცდას ვერ დავიქერდი.

— ნუ წახვალ თბილისში, მზია...

— ვითომ რათაო?! — გაიციხა მზიამ და უმაღლე იგრძნო, რა უადგილო იყო სიცილი.

— როგორ გითხრა... — კვლავ დაკარგა სათქმელი ელგუჯამ. ერთხანს თვალს არ ამორებდა მზიას დამკინავე, ეშმაკური ღიმილით გაბრწყინებულ, ნა-

ხევრად მოჭუტულ თვალს, რომელიც შორს, წვიმის შეთხელებულ ფარდის მიღმა გადარკალულ ცისარტყელას მისჩერებოდა და გულმოცემული იმით, რომ მზია არ უყურებდა, ჩუმად, თითქოს რაიმე საძრახისს ამბობსო, წაილულულა: — იმათა, მზია, რომ არ მემეტები...

— არ გემეტები? — მკვირცხლად მოაბრუნა თავი მზიამ. — სწავლისთვის არ გემეტები?!

— არა, — ვედრებით თქვა ელგუჯამ, — სხვისთვის არ მემეტები, — ხედავდა, რომ უთქმელადაც ცხადი იყო მზიასთვის ყველაფერი და მაინც მოლოდინით შეჰყურებდა. მზიას თვალი ბავშვური ეშმაკობით უბრწყინავდა, სქელი და პატარა ტუჩები ამპარტავნულად ეკუმებოდა.

— რატომ აქამდე არ მითხარი, რომ სხვისთვის არ გემეტებოდი? — თითქმის წყრომითა და საყვედურით ჰკითხა უცებ მზიამ. — რატომ აქამდე არ მითხარი? — გაიმეორა საყვედურით.

— აბა რა ვიცი, მზია. აქამდე ალბათ... — ელგუჯამ სახე მიაბრუნა და ფართოდ გახეილი თვალები ძირს დახარა. — მე უშენოდ აქ არ დამედგომება, მზია.

— თუ უჩემოდ არ დაგედგომება, შენც წამოდი თბილისში! — ალტაცებით მიუგო მზიამ და ისევ მიეკრა მხარით ელგუჯას მხარს.

— ოჯახს რა ვუყო? ავადმყოფ დედას ხომ ვერ მიუყური ბავშვებს!.. მე უნდა ვიმუშაო, მზია, — უთხრა ელგუჯამ და შეუმჩნეველად მოაშორა თავისი მხარი მზიას მხარს.

ერთხანს ორივე დუმდა.

— უნდა იმუშაო, — დაილაპარაკა ბოლოს ჩუმი ხმით მზიამ. — მერე და რა უნდა გააკეთო?

— ტრაქტორზე დავეჯდები. მე ხომ სალამოს კურსებზე დავდიოდი.

— შენ გინდა, მეც ტრაქტორზე დავჯდე? — იწყინა მზიამ, ტუჩი აიბზუა.

— არა, მზია, არც ტრაქტორისთვის მემეტები, — უთხრა ელგუჯამ.

მზია თავისი ფიქრით უკვე თბილისში იყო და არც გაუგონია, რა უთხრა ელგუჯამ. წვიმამ გადაილო. მზიამ პიჯაკი გადაიძრო თავიდან და წამოდგა. გაწუწული იყო, კაბა ტანზე შემოკეროდა.

— ვაიშე, კაბა!

— არა უშავს რა, გაშრება.

— „არა უშავს რა!“ — გამოაჯაერა მზიამ, ცალი ფეხი სკამზე შედგა, ფეხზე გახდა დაიწყო.

წამოდგა ელგუჯაც.

— ნუ წახვალ თბილისში, მზია, დარჩი... აქი სამსახურს აპირებდი აქ!

— ვერა, ვერ დავრჩები... მე ხომ მედალი მაქვს, უგამოცლოდ მიმიღებენ. ასრულდა დედას ოცნება... ექიმი გავხდები. ხომ დამშვენდება თეთრი ზალათი?

— დაგშვენდება... შენ ყველაფერი დაგშვენდება, მზია, — თქვა გაბზარული ხმით ელგუჯამ და ისევ დაჯდა.

წვიმა ჯოკისპირულად ასხამდა. შორს, ერთმანეთზე მიჯრილ თავწაწვეტებულ მთებში, შეუწყვეტილად ელავდა და ცეცხლისფერდაკრული მწვერვალები თითქოს თრთოდნენ და ძაგძაგებდნენ ყოველ გაელვებაზე, გეგონებოდათ, ვავარვარებულნი არიან და საცაა გალღვებიანო.

ელგუჯა მზიას არ უყურებდა, ჩუმად იჯდა, თვალს არ აშორებდა მთებს და ისე ეჩვენებოდა, რომ ერთი იმდენი წვიმაც კი ვერ ჩააქრობდა იმ ცეცხლს, რომელიც მის გულში ტრიალებდა.

„ნუთუ არაფერს მეტყვის, ნუთუ არაფერს მეტყვის?... ის მხოლოდ თავისი ბედნიერებითაა აღელვებული“.

მზიამ ფეხსაცმელები ერთმანეთს გადააბა და მხარზე გადაიკიდა.

— წავედი, — უთხრა ელგუჯას და არც მოუხედავს, ისე გაიქცა ზიდისკენ. მირბოდა, არ ერიდებოდა გუბეებს, ფეხის ყოველ დაკვრაზე გუბიდან ატყორცნილი წყალი ჰაერში იფანტებოდა და მზის ალმაცერი სხივებით

განათებული მისი წინწკლები ბროლი-
ვით კრიალებდნენ და ციმციმებდნენ.
ამ წინწკლებში ხორბლისფერად ელავ-
და მზიას მაღალი წვევები. მზია გარბო-
და, არ მოუხედავს, გზაზე რომ გავიდა,
არც მამინ, ხილზე რომ შედგა ფეხი.

ტროტებში ფოთლიდან ფოთოლზე ჩა-
მოვარდნილი წვიმის წვეთები სხვადა-
სხვა ხმაზე წკაპუნებდნენ და ტკაცუნებ-
დნენ. წვეთები ეცემოდნენ დამძიმე-
ბულ პიჯაკზე, რომელიც მხრებიდან
ჯერ კიდევ არ გადაეძრო ელგუჯას და
რომლის ერთი კალთა ეს-ესაა მზიას
ფეხარა; ეცემოდნენ ელგუჯას ხელზე,
რომელიც ეს-ესაა მზიას მუხლებზე
ელთ; ეცემოდნენ ქვაზეც, რომელზედაც
წელან მზია იჯდა და ჯერ კიდევ არ
დასველებულიყო.

ძნელი იყო იმის წარმოდგენა, რომ
მზია წავიდა და აღარ დაბრუნდება, არ
დაჯდება მის გვერდით. არ უნდოდა
დაეჯერებინა, რომ აღარ შეხედებო-
დნენ ერთმანეთს, აღარ მოვიდოდნენ
აქ, არ დალაგებდნენ ჩანთებს ამ ქვა-
ზე და, აბა, ვინ დაასწრებსო, არ გაიქ-
ცოდნენ ბროწეულსაკენ.

„რა ერთბაშად მიმატოვა! ისე წავი-
და, არც მოიხედა. ასე იცის ყოველ-
თვის; შუა გზაზე მოგშორდება, მოს-
წყინდება მეცადინეობა, დაკრავს ფეხს
და წავა“.

მზიას პატარაობიდანვე ანებიერებ-
დნენ, ჩიტვით უფრინავდა უღარღე-
ლი და გალაღებული გული. დედა თავ-
ზე ევლებოდა. „რა გინდა, შვილო, გი-
ყილოთ?“ „წელს სად წაგიყვანოთ ავა-
რაკზე?“ „ნუ ამოიღამებ თვალს მე-
ცადინეობით, მაინც დაგიწერენ ხუ-
თიანს!“ „თავს ნუ გაუყარებ სოფლის
ყველა გომბიოს, ყველა თანაკლასელ-
თან ნუ იმეგობრებ!“ „შენ რაც გაამე-
ბა, ის გააკეთე, სხვის ნებაზე და ქკუაზე
ნუ ივლი!“ — ჩასჩიჩინებდა დედა დღე-
ნიდაღ.

დედამისი ბედშეკრულ ქალად თვლი-
და თავს. რაც თვითონ დააკლდა ცხოვ-
რებაში, შვილისთვის უნდოდა მიეზღო.

სამსახურის საქმეებით დღედაღამ და-
კავებული მამა შინ იშვიათად იყო და
მზიას ცხოვრებას დედა განაგებდა.

მზიას დედა, ვერიკო თარალაშვილი,
ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა, ქმარმა
განუკეთხავად მოპვლიოდა თბილისს და
თავისი ცხოვრების ყველაზე შესანიშ-
ნავი წლები, როგორც თვითონ იტყო-
და ხოლმე, გაფურჩქნისა და დაქალე-
ბის წლები, „პროვინციაში“ გაატარა.

ძველი, გამოჩენილი ვეკილის სოლო-
მონ თარალაშვილის ოჯახში თავს
იყრიდა ყველა ჯურის და პროფესიის
ინტელიგენტი და ვერიკო ამ წრის ყუ-
რადლებს ცენტრში იყო ყოველთვის.
ვერიკოზე არა ერთსა და ორ სახარბიე-
ლო სასიძოს ექირა თვალი, მაგრამ ან-
გარიშვან ოჯახში გაზრდილი ქალიშვი-
ლი ამ წრეში ვერ ხედავდა თავის
ფარდს. ერთ მშვენიერ დღეს, შობილ-
ბისათვის სრულიად მოულოდნელად
პარტიულ მუშაკს გაჰყვა ცოლად.

მაგრამ მალე სოფლად გაგზავნეს ვე-
რიკოს ქმარი ჩამორჩენილი რაიონის
ფეხზე დასაყენებლად. იქ მთელი რაიონ-
ის სიყვარული მოიპოვა, გაიტაცა თა-
ვისმა საქმე და ველარ მოშორდა იქაუ-
რობას. ის ახლა მსხვილი საბჭოთა მე-
ურნეობის დირექტორი იყო, რამდენი-
მე ორდენის კავალერი, საქმის კარგი
მცოდნე და თვალსაჩინო მუშაკი. აზრა-
დაც არ მოსდიოდა ქალაქში სამუშაოდ
გადასვლა.

ერთადერთი გზა, რომლითაც ვერი-
კო თბილისს უნდა დაბრუნებოდა,
მზიას ინსტიტუტში მოწყობა იყო. რას
არ აკეთებდა იმისათვის, რომ მზიას მე-
დალზე დაემთავრებინა სკოლა, რათა
ინსტიტუტში უგამოცდოდ მიეღოთ.
ბუნებით ნიჭიერი მზია ისე გაზარდა
დღედა, რომ მაინცდამაინც სიბეჯითესა
და მონდომებას ვერ დაიტრიალებდა.
ამას არც თვლიდა საჭიროდ ვერიკო,
მას მასწავლებელთა ერთი ნაწილი და-
ბეგებული ჰყავდა. არც ერთ წვეულე-
ბას ისე არ გამართავდა, მზიას მასწავ-
ლებლები არ დაეპატიებინა. იმ მასწავ-



ლებლების საგნებში, რომლებიც ვერც-
კოს ანკესს არ ეგებოდნენ, ცალკე რე-
პეტიტორები ჰყავდა დაქირავებული და
ქალიშვილს შინ ამეცადინებდა.

მზიამ იცოდა, რომ ხშირად, სადაც
სამი ეკუთვნოდა, იქ ოთხიანს უწერ-
დნენ და სადაც ოთხი — ხუთიანს. იყო-
და, რომ მედალზე წარდგენილი იყო,
მაინც არ ჰქონდა მისი მიღების იმედი
და შერიგებული იმას, რომ ინსტი-
ტუტში გამოცდებს ვერ დაიჭერდა,
სკოლის დამთავრების შემდეგ საბჭოთა
მეურნეობის კლუბის გამგედ აპირებდა
მუშაობას. მზია სკოლაში გამართულ
წარმოდგენებში ყოველთვის მთავარ
როლებს ასრულებდა, ამასთანავე, მშვე-
ნიერად მღეროდა და ცეკვავდა.

მაგრამ უმთავრესი მისი ოცნება
მაინც თბილისი, სწავლის გაგრძელება,
სამედიცინო ინსტიტუტი იყო, — ექი-
მის თეთრი ხალათი და თეთრი ქუდი,
ხალათის ჯიბეში პრიალა სტეტოსკო-
პი. არავის ისე არ დაამშვენებდა ექი-
მობა, როგორც მზიას. თეთრი ხალა-
თისა და თეთრი ქუდის ფონზე მისი
მავულისფერი თვალები, მარწყვივით
აპრიალებული ტუჩები და პირისახის
კრიალა, ხორბლისფერი კანი ათასწილ
უფრო გამოსაჩენი და მომხიბლავი იქ-
ნებოდა.

„მომაკვდავი რომ იყოს აღამიანი,
ერთი შენი შეხედვა მოახედებს“.
ეტყოდა ხოლმე დედა. ისე ხშირად,
ისე დარწმუნებით ეუბნებოდა ამას.
რომ მზიას თვითონაც სჯეროდა, რომ
ექიმობისთვის იყო დაბადებული.

ვერიკომ ერთი კვირით ადრე იცოდა,
რომ მზია მედალს მიიღებდა. დღეს
დილიდან ვაზშმის მზადებაში იყო.
ამიტომ ვერ ესწრებოდა მედალის გა-
დაცემის ცერემონიალს და მზია მირ-
ბოდა, რათა დედისათვის ეხარებინა,
რომ მედალი მიიღო, ასრულდა მისი
ოცნება: ისწავლის თბილისში, იმუშა-
ვებს თბილისში... გათხოვდება თბი-
ლისში.

დიღხანს იჯდა ელგუჯა ცაცხვის
ქვეშ. მის ძალღონეს აღემატებოდა
მზიაზე ფიქრი და მაინც თავს ვერ
ართმევდა დარდს, უნდოდა ჩაეხშო გუ-
ლის ძახილი, მაგრამ გული სძლევდა...
სკოლიდან მომავალმა მოსწავლეების
ხმამ წამოაგდო ფეხზე, სწრაფად გა-
შორდა იქაურობას.

თავის სიცოცხლეში პირველად გაე-
ქცა ამხანაგებს, მეგობრებს, არ უნდო-
და მათი დანახვა, მათი ხმის გაგონება,
პირველად თავის სიცოცხლეში იგრძ-
ნო სიმატროვე. ვერ ხედავდა წვიმისა-
გან განზანილ ზურმუხტისფერ ცას,
წვიმის წვეთების მძივებს ბალახზე და
ბუჩქებზე. ველარ გრძობდა მინდვრი-
სა და ყანების იმ დამათრობელ სურ-
ნელს, რომელიც მხოლოდ დიდი
ღვარტყაფის შემდეგ აუვა მიწას.

მიდიოდა ტიტველ მინდვრებზე, გაი-
რა ქარხლის პლანტაციები, პურის ყა-
ნები, უკან მოიტოვა ჯაგები, შეჩერდა
მამინ, როცა დადლილობა იგრძნო.

შორს წასულიყო დაბიდან...

შინ გვიან ღამით დაბრუნდა. ფრთხი-
ლად შეიპარა ოთახში, ჩაუარა დედისა
და დაძმის საწოლებს, გვერდი აუქცია
თავის ლოგინს და ფანჯარას მიაშურა;
ისე მიეკრა მინას, რომ ცხვირი ზედ
მიაჰყლიტა. მზიას სახლი ოციოდე ნა-
ბიჯზე იდგა მისი სახლიდან. ფანჯრე-
ბი განახანახებული იყო. სტუმრები
ჰყავდათ ბიბილერებს. მზიას მედლის
მიღებას ზემოზნდნენ. მზია სუფრასთან
ტრიალებდა. ქალ-ვაკს წყვილ-წყვი-
ლად სხამდა მაგიდასთან. გახარებული
იყო, უცინოდა სახე, თვალები. ელ-
გუჯა კარგად ხედავდა მას, თითქოს
ესმოდა მისი ლაპარაკი, მისი სიცოლი
და ასე ეჩვენებოდა: ყოველი დალაპა-
რაკების და გაღიმების შემდეგ, მისი
სახლისკენ გამოიხედავდა.

აი, ყველა შემოუსხდა სუფრას.



მზიამ თავის საძინებელ ოთახში შეირბინა, სარკესთან მივიდა, გაისწორა კაბა, თმა. მერე ფანჯარისკენ მოტრიალდა და ერთხანს გარინდული იდგა. „ჩემს ფანჯარას უყურებს, მე მელის“, — გაუელვა თავში ელგუჯას და ის იყო ფანჯარას მისწვდა გასაღებად, რომ მზია უცებ შეტრიალდა და ჩიტივით შეფრინდა სასადილო ოთახში. „არა, ჩემი ფანჯარისკენ არ იყურებოდა, არც მე მელოდა“.

მზიამ სუფრის თავში დაიჭირა ადგილი. ყველა მას შესცქეროდა. არ დაუცდიათ თამადის სიტყვისათვის, ერთხმად ულოცავენდნენ სკოლის დამთავრებას, მედლის მიღებას.

ელგუჯა გარკვევით ხედავდა ყოველ სტუმარს, აი რაიკომის და რაილმასკომის მუშაეები, არხის მშენებლობის უფროსი, ბანკის დირექტორი, ექიმი, მასწავლებლები, ყველა საპატიო და საჭირო პირი. მზიას მამა არ ჩანდა სუფრასთან. ელგუჯა მაშინვე მიხვდა მიზეზს: მამამ აცოდა, რომ მზიას მედლის მიღებაში ვერაიკოს უფრო პეტი „ღვაწლი“ ედო, ვინემ მზიას და ამ ნიადაგზე დიდი უსიამოვნება ჰქონდათ ცოლ-ქმარს.

ელგუჯა ფანჯარას მოშორდა და გაუხდელი მიწვა ლოგინზე. დიდხანს იწვა თავქვეშ ხელებამოდებული და თვალგახელილი. გარედან მზიარული ლაპარაკი და სიცილი ისმოდა. ელგუჯას გონების ყურამდე არ აღწევდა ეს ხმება. თვალწინ ედგა მზიას სახე, მისი პირდაპირ მომზიარალი თვალები. „არ შეიძლება, მზიას ჩემთვის არ დაეძახა. მას არასოდეს არ ჰყოლია სტუმრები, ასე რომ მე არ მივებმე. მზია წელან ჩემს ფანჯარას უყურებდა, მე მელოდა, მე მიღიმოდა, მაგრამ შეუქი რომ ვერ დაინახა ოთახში, იფიქრა, არ დაბრუნებულაო...“ დალილს, დაქანცულს, ამ იმედით და ფიქრით დამშვიდებულს რულმა წაართვა თვალი და განთიადისას ჩაეძინა.

არა, ელგუჯას არ ეძინა, თორემ განა ძილში შეეძლო ფიქრი? ის კი ფიქრს აპყვია. „რატომ არ წავედი წუხელ მზიასთან? კარისკენ გაემართა. მაგრამ შუა გზაზე შედგა. ოთახში ალიონის ბინდბუნდი იხედებოდა. „რა დრო გასულა!“ ფანჯარას ეცა. მზიას ოთახში შეუქი არ ენთო. სასადილო ისეე გაჩახახებული იყო, სტუმრები წასულიყვნენ და შინამოსამსახურე სუფრიდან ჰურჭელს ალაგებდა. „რატომ არ წავედი წუხელ?“ ვინ იცის, მერამდენეჯერ იმეორებდა გულში. გადაწყვიტა გაელევიძებინა დედა და ეკითხა, დაუძახა თუ არა წუხელ მზიამ. დედის საწოლისკენ მოტრიალდა.

დედას ამ დრომდე რა გააჩერებდა ლოგინში. დილით ჩიტიც ვერ ასწრებდა ადგომას. დედის ტახტის გვერდით უმცროს და-ძმას ეძინა. საბანი გადავარდნოდ და წელს ქვევით ტიტლიკანება სიცივისაგან ისე მოკრუნჩხულიყვნენ, რომ მუხლები ნიკაბთან მიეტანათ. სხვა დროს ელგუჯა უსათუოდ დაფარებდა საბანს ბავშვებს. მამის სიკვდილის შემდეგ ის მამობასაც უწევდა მათ და ძმობასაც. ახლა ისე იყო თავისი ფიქრით შეპყრობილი, რომ ყურადღება არ მიუქცევია ბავშვებისათვის, და-ძმის დანახვამ ის კი გაახსენა, რომ დღეს უნდა ჩამდგარიყო სამსახურში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურში იყო დილით ადრე დაბარებული; ტრაქტორი უნდა მიეღო.

ქულს ხელი წამოავლო და ოთახიდან გავიდა.

ჰაერი სუფთა და გამჟვირავლე იყო. მკრთალი ნათელით შეფერილი ალვის ხეთა კენწეროები გარინდულიყვნენ გათენების მოლოდინში. მზე ნელა დგებოდა იმ თავწაწვეტებულ მთებს იქით, რომლებაც გუშინ ელვის შექმნე თრთოდნენ და ძაგაგებდნენ. ახლაც თითქოს ვარჯარებდნენ ისინი სადღაც მათ უკან კიუხებში ამოცურებული

მზის ირიბი სხივებით ცეცხლისფერ დაკრულები.

ელგუჯას ამ თეგბმა გუშინდელი დღე მოაგონა. ცხადლიე დაუდგა თვალწინ ცაცხვი. ყველაფერი უცეველი იყო იმ: ხეზე და ქვის სკამებზე ამოჭრილი და მიწერილი სახელები, ბროწეულა და მისი მზიარული ჩქრიალი, მღვრიე, მზის სხივებით სარკესავით აკრიალებული გუბებები, ცაცხვის შორს გაშლილი ტოტები...

„სად მივდივარ? — გაიფიქრა მან, — იმის მაგივრად, რომ დაებრუნდე, გავალვიძო მზია და ვუთხრა, მომცეს პასუხი, ტრაქტორის მისაღებად მივიჩქარო, სან გაიქცევა ის ტიალი მანქანა? დილით ჩავიბარებ თუ შუაღამზე, სულ ერთი არ არის? როგორა თქვა მზიამ? შენ გინდა მეც ტრაქტორზე დავედგო... გაახსენდა, რომ ეს მზიამ ვერიკოს კილოზე თქვა. ეს მზიას სიტყვები არ იყო. მის გულს არ უთქვამს. ისიც გაახსენდა, რომ ვერიკო „სოფლის გომბიობებთან“ თავის გაყადრებას უშლიდა მზიას. მაგრამ, დედის ყოველდღიური ჩიჩინის მიუხედავად, მზიას მაინც ერთნაირად ექირა თავი „სოფლის გომბიობებთან“, რაკომის მდიენის, ექიმის და დების სხვა თვალისჩინის შეილებთან. ეს ფიქრი და დილის ცივი, სუფთა ჰაერი, ცვრით დავერცხლილი მწვანე, სიმწიფეში შესული პურის ყანების მუქი, მსუყე ფერები, ბალახისა და მინდვრის ყვავილების სურნელით მობანგული მიწა, ზეიმით ამომავალი მზე, რომლის შექზე თავს მალა წვედა, თვალს ახელდა, სულს იღვამდა, მოძრაობას, სიცოცხლეს იწყებდა ყოველი ამქვეყნიური, ნუგეშა და სიმშვიდეს ჰგვრიდა ჰაბუკის გულს. მიდიოდა სულ უფრო სწრაფი ნაბიჯით, როგორც რაიმე საგმირო საქმით აღზნებული ბაღლი, რომელმაც უნდა დაიპყროს მისთვის ყველაზე სანუკვარი, მისი საოცნებო და სადარდელი.

ელგუჯა დიდი ხანია ელოდა დღევანდელ დღეს. დღეს მიიღებს ტრაქტორს, გაიყვანს პირველ კვალსა და და-

ადგება დამოუკიდებელი ცხოვრების გზას, რომლითაც უნდა შემსახუროს ქვეყანას, თავის ოჯახს, დედასა და ძმას... რომლითაც უნდა გამოიჩინოს თავი, დაანახოს მზიას, რომ ტრაქტორითაც შეიძლება გააკეთო დიდი საქმე, რომ ტრაქტორისტის პროფესიაც ისევე შეიძლება საყვარელი იყოს, როგორც ექიმის, მასწავლებლის, ინჟინრის. წარმოიდგინა, ორი-სამი წლის შემდეგ როგორ გახდება სახელგანთქმული ტრაქტორისტი, ერთ მშვენიერ დღეს მას სურათს დაბეჭდავენ გაზეთში. მზია გადამლის გაზეთს და წაიკითხავს... მაგრამ ხომ შეიძლება თქვას: რა ვუყოთ მერე, რომ კარგად მუშაობს, მაინც ტრაქტორისტია და არა ექიმიო...

განა არ შემძლია განვავარძო სწავლა?.. ჰო, ინჟინერი სჯობს ტრაქტორისტს, მაგრამ რა მოხდა მერე!.. მოვესწრები სწავლის გაგრძელებას! წამოიზრდებიან თია და თენგიზი, ამოუღებებიან დედას მხარში და მაშინ მეც ვისწავლი... ვთქვათ, სწავლა ვერ გავაგრძელო? ყველა ხომ ვერ დაამთავრებს ინსტიტუტს? არ დაუმთავრებია ინსტიტუტი ჩვენს თავმჯდომარეს, მაგრამ, აბა, ერთი რომელი აჯობებს, ან საქმეში, ან სიტყვა-პასუხში... მოვესწრები სწავლას. მაგრამ მზია ინსტიტუტში მოეწყობა თუ არა, მერე ვერიკო არც მოახელებს სოფლისკენ. თავს მოიკლავს და მზიას ტრაქტორისტს არ მიათხოვებს...

ელგუჯა რომ სახლიდან გავიდა, მზიას ოთახში, მართალია, შუქი არ ენთო, მაგრამ მზიას არ ეძინა. სტუმრების წასვლის შემდეგ, როგორც კი დაწვა და ბალიშზე თავი მიდო, ელგუჯა გაახსენდა. „ალბათ, გვიან დაბრუნდა შინ, რაკი ჩემთან არ მოვიდა! — თვალწინ დაუდგა გუშინდელი დღე. — რა უცნაურად იქცეოდა! რანაირად ლაპარაკობდა. რა თვალთ მიყურებდა?...“

თვრამეტი წელი შეუსრულდა მზიას და განა მართო გუშინ შენიშნა, ვაეები რომ უყურებენ და გულს თან აყო-

ლებენ? მას დანახვაზე ერთნაირად წაგორდება ხოლმე თვალი დიდსა და პატარას. ერთ ქალად მარტო ტანი ღირს მზიასი და დედა მაინც ისე აკერინებს კაბებს, რომ მისი ტანის სილამაზეს ერთიორად გამოსაჩენს ხდის. ვერ გეტყვებოდა ამას მზია, ეურჩებოდა დედას, არ მინდა ყველა მე მიყურებდეს, სადად შემიკერე კაბაო. რცხვენოდა, მისი ასხლელი, ზრდადსარულეული ტანი ყველას რომ სტაცებდა თვალს. მაგრამ თანდათან შეეჩვია მისკენ მოწონებით მოპყრობილ ქურდულ და აშკარა მზერას. იქამდე მივიდა, რომ ხშირად თვითონ ესიყვარულებოდა თავის თავს სარკეში. გარეთ, ფანჯრისა და მალაზიის დარბაზის წინ ხომ ისე არ ჩაივლიდა, შეშაში არ ჩაეხედა, არ გაესწორებინა კაბის ნაოკი, ან ქამარი, ან საყულო. ბოლოს თავისი ჩრდილითაც კი ამოწმებდა, როგორ ადგა კაბა. როცა გრძნობდა ვინმე ალტაცებით უყურებდა, ტანს უფრო ლამაზად დააქურდა და ეს თამაში ისე გაიტაცებდა, ავიწყდებოდა, რომ ამას თავმოსაწონად აქეთებდა...

ასე ანგარიშმოუტეველად იქცეოდა და, როცა ასეთ საქციელში თავს დაიჭერდა, თვითონვე არ მოეწონებოდა.

„იქნებ ელგუჯასაც შეუხედავს ჩემთვის ისე, როგორც სხვა ვაჟები მიყურებენ. იქნებ ელგუჯაც ცდილა თავი მოეწონებია და მე ვერ ვამჩნევდი... არა, არასოდეს არ შემინიშნავს ეს მასთვის. გუშინ კი ცხადლევ დაინახე... პოუკაი რომ ვერ გადაგწვდა და მე მხრით მივეყარი მხარზე, შეკრთა, უნდოდა გამშორებოდა... შენ თუ თბილისში წახვალ, მე აქ რას დაეურჩეო. ღმერთო ჩემო, რა თავქარიანი ვარ. მაშინ ყურადღება არ მივაქციე მის სიტყვას. ისე ვიყავი ატაცებული ჩემი მედლით, რომ ქვეყანაზე არაფერი მახსოვდა.“

ვერ მოისვენა ლოგინში. გარედან მანქანის ხმა შემოესმა: „მამა მოვიდა“. ავტომობილი ყრუ თუხთუხით შემოვი-

და ეხოში. ფარების შექი ფანჯარას დავეცა, კედლებზე აცურდა შემდეგ კაცლის ტოტებში გაიხლაჭაჭა და გავჩნდა ავტომობილმა ერთი დაქანტულად დაიბუხუნა და შედგა. გაისმა მანქანის კარის ჯახუნის, შემდეგ მძიმე ნაბიჯების ქვეშ კიბე აქრავუნდა.

მზია მამის ნაბიჯების ხმას, ღრმა ძილში რომ ყოფილიყო, მაინც გაიგონებდა და მაშინვე წამოფრინდებოდა. ღამის პერანგის ამარა ქარივით დაქროდა ოთახიდან ოთახში, ყველას გააღვიძებდა, ლოგინიდან წამოპყრიდა. ააფორიაქებდა, მაგრამ მამის მოსახურებას არავის დაანებებდა. თვითონ დააბანინებდა ხელპირს, ავასშმებდა, გაუშლიდა ლოგინს. თავს ერჩია მამა. უყვარდა პირდაპირი ხასიათის გამო, ალალი და მართალი გულის გამო. უყვარდა იმიტომაც, რომ მამა არ დაუშალავდა თუ რაიმე არ მოეწონებოდა მის საქციელში, გაუწყობდა, მაგრამ ამ გაწყრომაში იმდენი სიყვარული იყო, რომ მზია მას ათას ალერსში არ გაცვლიდა.

„მოდი ავადგები და ვეტყვი მამას ყველაფერს. ვეტყვი, რომ ელგუჯას არ უნდა ჩემი თბილისში წასვლა და ვკითხავ, როგორ მოვიქცე. მაგრამ ხომ მეტყვის მამა, რატომ არ უნდაო. რა ვუპასუხო მაშინ? არ მკითხავს. განა მამამ არ იცის, ვაჟი რატომ ეტყვის ქალს, არ წახვიდეთ... ხომ შეიძლება, მამამ ისიც მკითხოს, შენ თუ გიყვარსო. რა ვუპასუხო მაშინ? მე ხომ არ ვიცი... არაფერი არ ვიცი...“

მამა ფეხაკრეფით დადიოდა ოთახში. მზიამ უნებლიეთ გულზე ხელი დაეფარა. შეეშინდა, მამამ არ გაიგონოს ჩემი გულის ბაგაბუგო. „ახლა მამა რომ შემოვიდეს, ერთი შეხედვით გამოიცნობს რაზე ვფიქრობ. მამა გაკვირვებულია, ალბათ, რომ არ ავდექი. დაიბანს ხელპირს და შემოვა, რათა გაიგოს, ავად ხომ არა ვარ და მე ვერ დავუშალავ, ვეტყვი, უსათუოდ ვეტყვი... აი ფაცია გამოვიდა, ის დააბანინებს ხელპირს.“

არაფერი ჰკითხა მამამ. გაიგო, წვეულე-
ბა რომ გვექონდა. როცა მამა ნაწყენია,
არაუის გასცემს ხმას. არც ჩემთან შე-
მოვა. ტაშტი დაუდგა ფაცია მსკაშვე,
კოყიდან თუნგში წყალი გადმოუსხა...
რატომ არ მოვიდა ელგუჯა წუხელ?
მემღურის. შე რომ ისე მომქეცოდნენ,
როგორც მე გუშინ — ელგუჯას, და-
ვემღურებოდი..." — ვერ გაიგო, რო-
გორ გადავიდა მისი ფიქრი ელგუჯაზე.
არ ესმოდა ჩქაფუნით რომ ისხამდა მა-
მა სახეზე წყალს და სიამით ფრუტუ-
ნებდა...

გათენებულყო. ღობეზე შეფრენი-
ლი მამალი ხრინწიანი, გაციებული
ხმით გულდაგულ ყიოდა, დაუცდიდა
მეზობლის მამლის პასუხს, შემდეგ შო-
რეული მოსახლის მამალსაც და ყრუ
ფათქუნით შემოკრავდა ფრთას ფრთა-
ზე და კვლავ აყივლდებოდა.

მზია წამოხტა, გადაიკვა კაბა, შეყო
ფეხები ქოშებში, ოთახიდან გავიდა და
კიბეზე დაეშვა. ფეხი დაუცდა, ეზოში
გაბმულ სარეცხის თოკს დაეტაკა მკერ-
დით. რა ემართება, რამ აიტაცა ეგრე,
რად უსწრებს სული, რად მიაფრენს
გული იმისაკენ, ვინც გუშინ პასუხის
ღირსიც არ გახადა და გაწბილებული
მიატოვა ცაცხვის ქვეშ...

ელგუჯა ჯერ ამდგარიც არ იქნება.
ან დეიდა ტასო რას იტყვის, უთენია
რომ დავადგები ელგუჯას თავზე? შე-
ჩერდა, მიმოიხედა. მანქანა კიბესთან
იდგა, ერთი გოჯი მტვერი ედო ზედ.
ძია ნიკოს საკეზე მიძინებოდა, ისეთი
ფშტვენით სუნთქავდა, ისე ბერავდა
ლოყებს და უშვებდა პირიდან ჰაერს,
რომ გაკვირვებული ქათმები ხან ერთ
თვალს მიაციებდნენ, ხან მეორეს.
კუდაბზეკილი და ცვრით გალუმპული
ლეკვი კი პირდაპირ ცხვირ-პირში მიშ-
ტერებოდა და ყოველ დაფშტვენისას
მკვანხედ შეჰყეფდა და შეჰყეფდა გააღ-
მასებული.

გზიდან პაპა ივანეს ცხენის მოფან-
ფალეებული ნალების ტაკატაკეცი ის-
მოდა და თანდათან ახლოვდებოდა. ივა-

ნეს სანატორიუმში რძე დაჰქონდა ფერ-
მიდან და დილით პირველად მივიწვიე
ხოლმე გზაზე. შემდეგ ჩაიგდნენ მამის
ნახირი, კანტიკუნტად ჩაიქროლებდნენ
მანქანა-ტრაქტორთა სადგურის სატ-
ვირთო მანქანები და ისე იწყებდა სათე-
მო გზა რამდენიმე საათით შეწყვეტილ
ცხოვრებას.

ძია ნიკოს საკეზე რომ მიეძინებოდა,
იმის ნიშანი იყო, რომ მამა სულ მალე
გაუდგებოდა გზას. აჩქარდა მზია, უნ-
დოდა ენახა ელგუჯა და შინ დაბრუნე-
ბულიყო. ეშინოდა, მამას არ გაესწრო.

— დეიდა ტასო! — მიეკრა მზია ელ-
გუჯას დედას, რომელმაც ის იყო ძრო-
ხა გადადენა ეზოდან და ქიშკარი მი-
ხურა. — ელგუჯა ადგა?

— ეს წუთია ემტვესში წავიდა, შემო-
ველოს დედა. დღეს ტრაქტორი უნდა
ჩაიბაროს, — ფარული სიამაყით უთხრა
ტასომ.

— მე კი ზევ თბილისში მივდივარ,
დეიდა ტასო, საბუთები უნდა შევი-
ტანო.

— გაიხარე, შეილო... ელგუჯას მამა
რომ დაბრუნებოდა, — ხმა გაეზარა
ტასოს ქმრის გახსენებაზე. — ჰე, რო-
გორაა ჩემი ბიკი სწავლაზე გადარეუ-
ლი... იცი, რა მითხრა ამ დილით? გა-
თენებული არ იყო, რომ ადგა. ისეთი
ჯავრიანი სახე ჰქონდა, ისეთი ფუჭია-
ნი თვალები... სულ გამოცხადებული
მამამისი იყო. ასე იცოდა იმ ცხონე-
ბულმაც, რაიმე რომ აწუხებდა, თვა-
ლებში, როგორც ქალაქში, ისე ამო-
იკითხავდი მის ფიქრს.

— რა გითხრა, დეიდა ტასო, ელგუ-
ჯამ?

— შე კიდევაც ვიმუშავებ და და-
უსწრებელზედაც ვისწავლიო.

— ეგ რომ ჩემთვის არ უთქვამს?! —
წაიჩურჩულა თავის გვერდზე მიღებით,
გულდაწყვეტილმა მზიამ. ეწყინა, რომ
მას არ გაანდო თავისი ფიქრი ელგუ-
ჯამ. — როდის დაბრუნდება ემტვესი-
დან ელგუჯა?

— აბა, რა ვიცი, შეილო.

მზიას მთელი დღე ელგუჯას სახლისკენ ეჭირა თვალი. დედა თბილისში გამგზავრების სამზადისში იყო. მზია არავითარ მონაწილეობას არ იღებდა ამ თადარიგში. ჯერ კიდევ გუშინ და წუხელ ისე მიუხაროდა თბილისისაკენ, რომ საათებს ითვლიდა, როდის დადგებოდა გამგზავრების ეამი. ახლა რატომ შეუჯდა ნაღველი? იქნებ იმის გამო, რომ მამამ არ მოუწონა სამედიცინო ინსტიტუტში შესვლის განზრახვა. მაგრამ მამის აზრი ზომ დიდი ხანია იცოდა. ცდილობდა გადაეყარა გულიდან სევდა, გამხიარულებულიყო, მოხმარებოდა დედას.

მზიას მამას, გიორგის, არ მოსწონდა, რომ ახალგაზრდობა სამედიცინო ინსტიტუტს ეტანებოდა. ამას ახალმოდურ სენად თვლიდა.

მზიაც მოდის კლანჭებში მოექცაო, — ფიქრობდა გიორგი. სამედიცინო ინსტიტუტში ის უნდა შევიდეს, ვისაც თავისი სიცოცხლე ადამიანისთვის აქვს გადადებულიო... დიახ გადადებული, რადგან სხვა არცერთი მეცნიერება არ მოითხოვს ისეთ თავგანწირულ შრომას, როგორც მედიცინაო. მაგრამ მზიას კი არ აღანაშაულებდა გიორგი, — ვერცხოს ჰქუას აპყვო, ჩემი გოგო.

გიორგის მზიას სამედიცინო ინსტიტუტში შესვლა კიდევ იმიტომაც არ უნდოდა, რომ თვითონ ადამიანთა იმ რიგებს ეკუთვნოდა, რომელთაც მედიცინაში ჭირურგის მეტი სხვა არაფერი სწამთ. გიორგის კი არც ჭირურგი დანჭირებია არასოდეს. არ ახსოვდა ავად გამხდარიყოს. არ იცოდა, რა იყო წამალი, არც გემო იცოდა მისი და არც ფერი. ყველაზე კარგ წამლად ადამიანისათვის ჯანსაღი შრომა და სუფთა ჰაერი მიიჩნდა.

ამ აზრს უნერგავდა მზიასაც. გიორგი, მართალია, იშვიათად მოიცულიდა ბავშვისათვის, მაგრამ იშვიათად

და თუ არა დროს, გვერდიდან არ იშორებდა. სად არ დაჰყავდა: ყანაში, კლანჭში, ტაყიაში, ტყეში, არხების მშენებლობაზე. ცდილობდა შეეყვარებინა ბუნება, გლეხის საქმე. უყვებოდა ლეგენდებს, ზღაპრებს, იგავებს. მაგრამ ის, რასაც მამა შვილის გულში ნერგავდა, ისე შორს იყო ყოველივე იმისაგან, რასაც დედა აჩვევდა და ასწავლიდა, რასაც ხედავდა შინ, რომ მამის ყოველგვარი ცდა თითქმის უნაყოფოდ იქარგებოდა. ბავშვის ცხოვრებას მთლიანად დედა განაგებდა. გიორგი ხედავდა, რომ თავის კვალზე ზრდიდა მზიას ვერცხო და ვერაფერი ელონა, სამსახურის საქმეებს გადაყოლილს, ოჯახისათვის კი არა, თავის მოსახეხანადაც არ ეცალა...

დღის განმავლობაში მზია რამდენჯერმე გადავიდა ტასოსთან, უნდოდა გაეგო, ელგუჯა დაბრუნდა თუ არა. არ იცოდა, რად ესწრაფებოდა მისი ნახვა. რა უნდა ეთქვა მისთვის, რა უნდა ეკითხა? სოფელში ვერ დაჩნებოდა, თხოვნას ვერ შეუსრულებდა... აბა რაღა ჰქონდა მასთან სალაპარაკო?

მზიას სულში თანდათან იკიდებდა ფეხს რაღაც ბუნდოვანი, შეუცნობელი და უნებლიე მისწრაფება. უნდოდა ენახა ელგუჯა; სულ ერთი იყო, რატომ, რისთვის, სულ ერთი იყო, ჰკითხავდა რამეს, თუ ეტყოდა რამეს. ოღონდ ენახა და სულაც არ დაეღაპარაკებოდა. უნდოდა, როგორც გუშინ, მიყრდნობოდა მხრივ მის მხარს, მჯდარიყო სადმე განმარტოებით, როგორც გუშინ ცაცხვის ქვეშ, მოწყვტილი მთელ ქვეყანას თუნდა წვიმით, თუნდა ქარით.

სალამოს კვლავ მიაკითხა ტასოს, მაგრამ ელგუჯა ახლაც არ დაუხვდა. თურმე კომპანის გაჰყოლოდა ხევისკარის კოლმეურნეობაში. პურის აღებამდე ვერ დაებრუნდებო, შემოეთვალა დედისათვის და ლოგინის გამოგზავნას თხოვდა.

მზია როგორღაც დამშვიდდა. „არა ენახავ და ისე წავალ... მე მთელი ორი საათი არ ვფიქრობდი წელან ელგუჯა-

ზე. შემძლია ოთხი საათი არ ვიფიქრო, ათი საათიც. მთელი დღე, მთელი კვირა, მთელი თვე... შემძლია სულაც არ ვიფიქრო. — არწმუნებდა თავს... — ისიც არ იფიქრებს ჩემზე. ის უკვე არ ფიქრობს, თორემ ისე არ წავიდოდა, რომ არ გამომშვიდობებოდა. მე კი რამდენჯერ მივაკითხე დღეს. იქნებ მე მეჩვენებოდა გუშინ ელგუჯა სხვანაირი, ის კი, ალბათ, ისეთი იყო, როგორც ყოველთვის. მაშ რატომ მითხრა, შენ თუ თბილისში წახვალ, მე აქ რას დავერჩეო?.. რა რჯიდა, ვინ ეწეოდა ენაზე?.. რა მოხდებოდა, დღეს რომ არ გასულიყო სამუშაოდ? დაეცადა ჩემ წასვლამდე“...

გული ეტკინა, შეურაცხყოფილივით შეტრიალდა, ისე გამოარდა ტასოს, რომ მეტი არაფერი უთქვამს.

ტასომ გაკვირვებით გააყოლა თვალი.

— რა ვქნა, რა ამბავია დღეს ამ გოგოს თავზე?!

მზიას გონებას იმ ღამეს ერთი წამითაც არ მოშორებია ელგუჯა. წინ ედგა სევდიანი, შიშით დაცეცებული მისი თვალები.

უმთვარო, ღრუბლიანი ღამე იყო. სიბნელე იდგა ოთახშიც. გზიდან ლაპარაკისა და ნაბიჯების ხმა ისმოდა. საკონსერვო ქარხნის მუშების ღამის ცვლა ბრუნდებოდა შინ. მზია ისე შეეჩვია მათ ლაპარაკს, სიცილს, სიმღერას, ფეხის ხმას ღამის სიწყნარეში რომ ვერ დაიძინებდა, სანამ ცვლა არ ჩაივლიდა, სანამ თანდათან არ მიწყდებოდა ლაპარაკი, ფეხის ბაქუნი და ჩლახუნი ასფალტზე.

გული დაწყდა, შეენანა ოთახი, სადაც თავისი ბავშვობა გაატარა. რამდენჯერ უმეცადინია აქ ელგუჯასთან ერთად, რამდენჯერ მჯდარან ამ ფანჯარასთან, რამდენი რამ უამბიათ ერთმანეთისათვის, რამდენ რამზე უოცნებიათ და ახლა ყველაფერი ეს გათავდა და აღარ დაბრუნდება. ჰო, აღარ დაბრუნდება ბავშვობა, აღარ დასხდებიან აქ, აღარ იშრიალებს კაკლის ხის

კრიალა ფოთლები, რომელთა ჩრდილები ათასგვარ სურათებს ქარგავდნენ მათ განაბულ, ოცნებით და სიხარულით განათებულ სახეზე.

მზიას თვალებს მთელი ღამე ძილი არ მიჰკარებია. თეთრად გაათენა.



მატარებლის გასვლამდე რამდენიმე საათი იყო დარჩენილი, მაგრამ ვერიკოსათვის დრო ისე მიმედ მიზოზინობდა, რომ წუთი საუკუნედ ეჩვენებოდა. თავის ყველაზე ძვირფას კაბაში გამოწყობილი, ძვირფასი სამკაულებით მოკაზმული და მორთული ისე ტრიალებდა ხან სარკის წინ, ხან ფანჯარასთან, გეგონებოდათ, ეს ქალი სამგზავროდ კი არა, დასანიშნად მომზადებულა და საქმროს ელისო.

დღევანდელი დღე ნიშნობაზე უფრო ბედნიერი დღე აყო ვერიკოსათვის. დაუდგა დიდი ხნის ნანატრი ჟამი. ტოვებდა სოფელს. მადლიერების ღიმილით შეკუთრებდა ტახტზე მოკეცილ მზიას, რომელსაც წიგნში ჩაერგო თავი და დედის მღელვარებასა და სიხარულში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა. მზიასათვის ცხოვრობდა ვერიკო ამდენი წლის განმავლობაში აქ, მისთვის „გასწირა თავი“, მისთვის გაატარა თავისი ახალგაზრდობა ამ „ჯოჯოხეთში“ და ახლა მზიასვე მიჰყავს აქედან.

მანქანაში ჩაჯდომისას სახლისკენ გაქცა თვალი. დაკრინებით იყურებოდა იქეთ, სანამ მანქანა არ დაიძრა. რაღაც ამოუცნობი სევდა მოედო გულზე. ეს იმ სევდაზე უფრო დიდი იყო, რომელიც ადამიანს იპყრობს მაშინ, როცა ტოვებს საყვარელ ადგილს, სადაც დიდხანს ცხოვრობდა და ვერასოდეს ვერ დაიფიწყებს, ვერ ამოიღებს გულიდან. უყურებდა, რათა დიდი ხნით დახსიმებოდა და თან წაელო ყველაფერი ის, რაც ამ სახლ-კართან აკავშირებდა.

და აი, უკვე ნაცნობი ქუჩით მიდის, ტოვებს ამ ადგილებს. ყველაფერი უკან მიისწრაფვის. მზიამ მოიხედა და უკანასკნელად დაინახა ცაცხვის ხე, ხადი, ბროწეულა, დავერცხლილი ჩქერებით, აი, სკოლა, ახლა აგრე მიყრუებული, ცალ ანჯამაზე დაკიდული ჭიშკარი, ფრთამოტეხილ დიდ ფრინველს რომ მოგაგონებს. თვალს ვერ აშორებს მზია ყოველივე ამას და სადღაც სულის სიღრმეში ამ სურათებს უკავშირებს ელგუჯას... თითქოს ცაცხვის ქვეშ ელგუჯა იდგა წებან, ხილთანაც ის იდგა, ჭიშკართანაც, თითქოს მისი ხმით უძახდა ცაცხვი, ჭიშკარი, სკოლა, ხიდი... და მზიას გული დაწყდა, რომ ეს ხმა არ ესმოდა დედას, ძია ნიკოს. არაფერ თანაუგრძნობდა, ცაცხვის ქვეშ ატუზულ ელგუჯას, ჭიშკართან მდგარ ელგუჯას, ხილზე მარტო მდგარ ელგუჯას.

მამა არ მოვიდა გასაცილებლად, არც ძია ნიკოს დააბარა არაფერი. უყვრდა მზიას, რომ დედა არ წუხდა. „ნუთუ დედას აღარ უყვარს მამა?“ — გაიფიქრა შიშით. ცდილობდა უკუეგდო ეს საშინელი ეჭვი.

თვალწინ წარმოუდგა დედ-მამის მთელი ცხოვრება და ახლა კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ისინი სხვადასხვა სიცოცხლით ცხოვრობდნენ. ამის მხზენი მარტო ის როდი იყო, რომ ვერაყო უკმაყოფილო იყო სოფელში ცხოვრებით, რომ იგი შენატროდა იმ ქალების ბედს, რომლებიც თბილისის რჩეულ საზოგადოებაში ტრიალებდნენ, პირველნი ნახულობდნენ ყოველ პრემიერას, ესწრებოდნენ ყველა ღირსშესანიშნავ საღამოს, წვეულებას და იუბილეს, პირველნი გებულობდნენ ქვეყნის ჰორებს და ავკარგს, პირველნი იკვამდნენ უკანასკნელი მოდის ტანსაცმელს.

მზიას ყოველთვის მამის მხარე ეჭირა, მას თანაუგრძნობდა, აღმერთებდა, თუმცა ამას გარეგნულად არასოდეს არ ამჟღავნებდა, რადგან ეს დედას გულს მოუკლავდა.

ახლა კი, როცა ტოვებდა მამას, იგრძნო, რომ ის წლების მანძილზე მარტო იყო, მოკლებული ცოდნის — ალტონსკი ოჯახის სიტბოს. შეენანა მამა. მას არ ჰქონდა პირადი ცხოვრება, საქვეყნო საქმეებს იყო გადაყოლილი.

მანქანა სადგურის უკან ერთბაშად შეაყენა ნიკომ.

— საცაა შემოვა მატარებელი, — თქვა, სწრაფად გადმოვიდა მანქანიდან, ახადა საბარგულს სახურავი, დასწვდა ჩემოდნებს და წინ გაუძღვა ვერიკოსა და მზიას.

ვერ მოასწრეს ბაქანზე გასვლა, რომ ელმავალმა სწრაფად შემოაქროლა სადგურში ვაგონები და ერთბაშად შედგა. მგზაურები და გამცილებლები ვაგონის კართან შეეგუფდნენ.

— ძია ნიკო, — მკლავში მოკიდა ხელი მზიამ ნიკოს და ჩურჩულით უთხრა, რომ დედას არ გაეგონა. — მამას უთხარი, ისე გელოდნენ-თქო დედა და მზია...

ნიკომ თავი დაუქნია. მან ხუთი თითივით იცოდა ბიბილურების ოჯახის ამბავი.

— უშენოდაც ვიცი, რა უნდა ვუთხრა, — შეთქმულივით, თვითონაც ჩურჩულით უქასუხა ნიკომ და ვერიკოს გადახედა, ხომ არ მისმენსო. არ უყვარდა ვერიკო. უხაროდა, რომ თბილისში მიდიოდა. „უიმიხოდ უკეთ იცხოვრებს დავიდიჩა. ეცოდინება მაინც, რომ მარტოა, თუ თვითონ ვერ მიხედავს თავს, მე აქ არა ვარ?“

ვერიკო პირველი ავიდა ვაგონში. ის ისე ხშირად მგზაურობდა, რომ ყველა კონდუქტორი იცნობდა და ბილეთს არ უსინჯავდნენ.

— ჩემოდნები, შოფერი! — დაუძახა ვაგონის ბაქნიდან ნიკოს. ვერიკომ კარგად იცოდა, რომ ნიკოს არ უყვარდა და ამიტომ არც თვითონ ეხატა გულზე „ზინზღლიანა“ შოფერი. სახელით არასოდეს არ მიმართავდა, შოფერს ეძახდა.

— ფაციას ამარა რჩება მამა, ძია

ნიკო, — ახლა ხვეწნით მიმართა მზიამ ნიკოს.

— ნუ გეშინია, გოგო, არაფერს გავუქირებ დავიდიხს. აბა, ადი, თორემ დაიძრა მატარებელი.

მორიგემ გასვლის ნიშანი მისცა ელმავლის მძღოლს. ელმავალმა მოკლედ და ყრუდ დაიკივლა. მზიამ ჩემოდნები დერეფანში მიატოვა და ფანჯარას მივარდა.

— ძია ნიკო, არ დაგაეწყდეს, რაც დაგაბარე!

— ჯავრი ნუ გაქვს, გოგო, — გაუღიმა ნიკომ და ხელი დაუქნია.

მატარებელი დაიძრა.

იმ წამსვე ბაქანზე ელგუჯა გამოჩნდა. თავქუდმოგლეჯილი მორბოდა, ვაგონების ფანჯრებს თვალს არ აშორებდა და გვერდით მისდევდა. ნიკო მაშინ დაინახა, როცა ზედ შეეფეთა.

— დაიცა, ბიჭო, არ გამიტანო, — გზა უტია ნიკომ. — ვის მისდევ?

— არავის... — დაიბნა ელგუჯა. — რომელ ვაგონში არიან?

— მეხუთეში.

მეხუთე ვაგონი შორს იყო წასული. ელგუჯა გაიქრა წინ. გარბოდა, გვერდს უქცევდა გამცილებლებს, რომლებიც ხელს, ქუდს და ცხვირსახოცებს უქნევდნენ ფანჯრებიდან თავგამოყოფილ მგზავრებს. ელგუჯა დაეწია მეხუთე ვაგონს, მაგრამ ფანჯარაში არ ჩანდა მზია.

მატარებელმა თანდათან უმატა სიჩქარეს. ელგუჯა ზედ გვერდზე მისდევდა ვაგონს, ცდილობდა ფანჯარაში შეეხედა. საფეხურზე მდგარი კონდუქტორი ქალიშვილი შესცქეროდა გაკვირვებით და ღიმილს ვერ იკავებდა. უცებ სახე შეეცვალა შიშისაგან: ბაქანი გათავდა, კიდევ ერთი ნაბიჯი და ელგუჯა გადავიარებდა.

— ეი, გადარეული, შედექი! — შეპყვირა კონდუქტორმა.

ელგუჯა შედგა.

რახრახით ჩაიჭროლა ბოლო ვაგონმა. ტყაცატყუა გაადინეს ბორბლებმა

ლიანდაგების პირაპირებზე და უცებ დაეშვა სიწყნარე.

— რა იყო, ბიჭო, ხომ არაფერი დაავიწყდათ? — მივიდა ნიკო ელგუჯასთან, მხარზე ხელი დაადო.

— დაავიწყდათ? — ჩაეკითხა ელგუჯა და მხრის აქნევით მოიშორა ნიკოს ხელი, — ჰო, დავიწყებოდათ, ძია ნიკო! — მიუგო ფარული სევდით, ხელები ჯიბეში ჩაიწყო და ისე გაემართა გასასვლელისაკენ, არც შეუხედავს ნიკოსათვის.



ვერიკოს მამა სოლომონ თარალაშვილი დიდი ხანია გარდაიცვალა. მის ოჯახში მაინც ძველებურად იყრიდნენ თავს ყველა ჯურისა და პროფესიის ინტელიგენტები. როგორც სოლომონის შვილს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ირაკლი თარალაშვილს უყვარდა თქმა — „თბილისის რჩეული ბომონდი“. ესენი იყვნენ ახალგაზრდა მეცნიერები, ლიტერატორები, მსახიობები, მხატვრები.

ერთნი ამბობდნენ, თითქოს მათ ირაკლის ქალიშვილი ცისანა და ის ქონება იზიდავდა, რომელიც პროფესორის ერთადერთ ასულს მშითვად უნდა გამოპყოლოდა, მაგრამ აგერ ხუთი წელი სრულდებოდა და გათხოვებას დანატრებული ქალიშვილის. ხელს არავინ სთხოვდა ირაკლის. მეორენი ამტკიცებდნენ, თარალაშვილის ოჯახს იმიტომ ეტანება რჩეული ახალგაზრდობა, რომ მეორე ასეთი ოჯახი არ მოიძებნება თბილისში, სადაც დროს ასე კარგად ატარებდნენ და სადაც ასეთი მდიდარი სუფრა იშლებოდა.

საკმაოდ შეუხედავ, ოცდაშვიდი წლის ასაკს გადაცილებულ ცისანას ისე ესწრაფებოდა გათხოვება, ისე განიცდიდა, იმ ზომამდე იყო მისული შინაბერად დარჩენის შიშით, რომ მზად იყო, ამ ბომონდიდან პირველსავე მა-

მაკაცს, ვინც კი წინადადებას მისცემდა, თვალდახუჭული გაჰყოლოდა.

შობლებს კარგად ესმოდათ შვილის გულის ჯერი. იცოდნენ, რომ ცისანას ბევრი კარგი ამხანაგი, მოუხედავად იმისა, რომ ცისანაზე ლამაზებიც იყვნენ და არც ჭონებით, არც განათლებით და ოჯახიშვილობით ჩამოუვარდებოდნენ მას, ვერ თხოვდებოდნენ. ცისანას კი, გარდა ჭონებისა, არაფერი ჰქონდა ისეთი, რომ ვაჟის თვალი და გული მიეტაცა. ოთხ წელიწადზე მეტი იყო, რაც უცხო ენების ინსტიტუტი დაამთავრა და სკოლაში მოეწყო ფრანგული ენის მასწავლებლად. სკოლამ მთლად მოუშახამა სიცოცხლე: ოცი მასწავლებელი ქალიდან, თორმეტი შინაბერა იყო.

ირაკლი და მისი მეუღლე სალომე ცისანაზე უფრო მტკივნეულად განიცდიდნენ იმას, რომ არ იქნა და ქალიშვილს ბედი არ გაეხსნა. ებრალებოდათ შვილი, მის ყოველ კაპრიზს უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ, ყოველ სურვილს უსრულებდნენ, ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ როგორმე გაეთხოვებინათ.

ცისანას მეგობრებმა იცოდნენ, რომ თარალაშვილის ოჯახში ყოველ კვირა სუფრა მხოლოდ ცისანას გულისათვის იშლებოდა და გულუხვ პურ-მარილს შეჩვეული ახალგაზრდობა ჩვეულებრივად მასპინძელს ისე აჩვენებდა თავს, თითქოს აქ მხოლოდ ცისანას პატივისცემისათვის მოდიოდა. მამაკაცები მის სადღეგრძელოს განსაკუთრებით სვამდნენ, მასთან ცეკვავდნენ, მასთან საუბრობდნენ, მას აქებდნენ, მას ეუბნებოდნენ ჭათინაურებს, უწონებდნენ ახალკბანს, ახალ სამკაულს. მაგრამ გადაიოდა თვეები და ცისანას ხელს არავინ სთხოვდა სალომესა და ირაკლის. მზიას ჩამოსვლის დღიდან მათ ნათლად დაინახეს ეს. ცისანას სტუმრებმა მოურიდებლად, ერთბაშად ჩამოიხადეს ნიღაბი და, მზიათი გატაცებულებს, შივიწყლად ცისანა, თითქოს იგი არც იყო ამ ოჯახში და ისინი მზიას სტუმრები იყვნენ.

მზიამ და ვერიკომ მხოლოდ თბილისში გაიგეს, რომ წელს სამედციწონო ინსტიტუტში შემსვლელ მედიკოსებს შივიშიკაში გამოცდიდნენ. ამ მოულოდნელმა ამბავმა დედა-შვილი საგონებელში ჩააგდო.

სამედიცინო ინსტიტუტში შემსვლელები იმდენი იყვნენ, რომ საბუთების შესატანად აბიტურიენტები შუალამისას ღვებოდნენ რიგში. მართალია, ვერიკოს მზია არ დაუყენებია რიგში და არც თვითონ დამღვარა, მაგრამ გამოცდისათვის როგორ მოველო, ეს აღარ იცოდა. თავზარდაცემული აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ ყველა დაზვიანებულივით ერთსადაიგივეს ეუბნებოდა: წინ მთელი თვეა, მოემზადებაო. ვერიკოს დასამშვიდებლად მზიაც ამას ამბობდა: „ნუ გეშინია, დედა, ერთ თვეში ერთ საგანს როგორ ვერ მოვაშალებ“. დედას კი ეუბნებოდა ასე, მაგრამ სად ქონდა მეცადინეობის თავი! დღეს ისე არ გაუშვებდა, რომ ცისანასთან ერთად სასეირნოდ არ წასულიყო, საღამოობით კი ხან კონცერტზე მიდიოდა, ხან თეატრში და ხან კინოში. მეცადინეობის დაწყებას დღიდან-დღემდე სდებდა. თან შიშით აღარ იყო, იცოდა, ფრიადზე ვერ ჩააბარებდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ინსტიტუტში არ მოხვდებოდა...

„რა თვლით შევხედო ამხანაგებს, თუ ვერ ჩაებაბარე! სოფელში ჩასასვლელი პირი არ მექნება. ხომ გამართლებელიას სიტყვა: „ინსტიტუტში არ დაგიწერენ სილამაზისათვის ხუთიანს!“

დღეები გადიოდა, მზია იძულებული იყო დასთანხმებოდა დედას, მასწავლებელი დაექირავებიათ, მაგრამ მეცადინეობას მაინც ვერ დაუღო გული. სულ კარისკენ ეჭირა თვალი, როდის მოვიდოდნენ ცისანას სტუმრები.

ცისანა გვერდიდან არ იშორებდა მამილაშვილს. აცნობდა თავის მეგობრებს და ხედავდა, როგორ ახარებდა მზიას ახალი ნაცნობები და ამით ცისანა რაღაც კმაყოფილებას და სიმშვიდეს განიცდიდა. გადიოდნენ დღეები, ცისანას

თანდათან ეჭვი იპყრობდა, ხედავდა, რომ მთელი ყურადღება მისი ახლობელი ვაჟებისა მზიაზე გადადიოდა და იგრძნო, რა საშიში მეტოქე შეიქნა მისთვის იგი.

მზიამ რაღაც ახალი, ყველასათვის მომხიბლავი და მიმზიდველი შემოიტანა თარალაშვილების ერთფეროვან საღამოებში. ცისანას სტუმარი მამაკაცებისათვის მზია არ ჰგავდა ქალაქელ ქალიშვილს. სიცოცხლით, ჯანით და ეშხით სავსე თვრამეტი წლის გოგონამ, თითქოს მზისა და მიწის სურნელება შემოიტანა ამ მამაკაცთა ცხოვრებაში. მზია მათ აგონებდა სოფელს, ბავშვობას, მღინარეებსა და მინდვრებს, ჩიტის ბუდეებს, ველის ყვავილებს და ტყის ხმაურს... „ეს სოფლის გოგო“ მათთვის წარმოადგენდა რაღაც არა ყოველდღიურს, რაღაც ისეთს, რომელიც მათ აკლდათ.

მიუხედავად იმისა, რომ ამის შემყურე ცისანა ყოველნაირად ცდილობდა დაემალა დედ-მამისათვის თავისი შწუხარება, მაინც ვერ ახერხებდა. ხშირად განმარტოვდებოდა ხოლმე თავის ოთახში და საყვარელ მელოდისა ღიღინებდა.

ცისანა გულის ნერვოზს უჩიოდა. ერთმა, მათი ოჯახის ახლო მეგობარმა კარდიოლოგმა ურჩია: როცა რაიმე საწყენი შეგზვდება, განმარტოვდი და საყვარელი სიმღერა გაიხსენეო.

მას აქეთ ცისანა ზუსტად ასრულებდა ექიმის რჩევას და ამას კარგი შედეგიც მოჰქონდა. როცა მეზობლები ცისანას ღიღინს ყურს მოჰკრავდნენ, მაშინვე მთელი სახლი გაიგებდა, რომ ცისანა ცუდ გუნებაზე იყო.

ცისანას ღიღინი ახლა თითქმის მთელი დღე ისმოდა მისი ოთახიდან და ამის მიზეზი ყველამ იცოდა.

ცისანას ნაცნობებმა, რომ ვაივებს, თარალაშვილების ოჯახში ვიღაც ლამაზი ქალიშვილი ჩამოსულაო, ისინიც კი ესტუმრნენ, რომლებიც არასოდეს არ ყოფილან მასთან.

ერთ მშვენიერ საღამოს მთელი ოჯახისათვის მოულოდნელად და გასაოც-

რად, ცისანას ცნობილი ქორუგის, პლატონ ჩხეტიანის ვაჟი, ^{ლადო მჭედანიც} როგორც ეწვია. ლადო, ^{მჭედანიც} როგორც მას ქალიშვილები ეძახდნენ—ვოლდემარი, არა ერთხელ დაუპატიებია ცისანას, მაგრამ ვერ იქნა და თარალაშვილების ოჯახი ვერ გახდა მისი სტუმრობის ღირსი.

ლადო ჩხეტიანი, სამედიცინო ინსტიტუტის უკანასკნელი კურსის ასპირანტი, „ქალების კერპი“ და ამხანაგების სული და გული, შეუღრეკელი ნებისყოფის ქაბუჯი იყო. მის მოქმედებაში და საქციელში გასაოცარი უშუალობით თავსდებოდა ერთმანეთის საწინააღმდეგო თვისებები — უხეშობა და ლმობიერება, სიმკაცრე და გულუბრყვილობა.

ქალების მიერ უზომოდ განებივრებული და თვითდაჯერებული, სასიყვარულო ხელოვნების ნამდვილი ჯალოქარი, იგი, ამავე დროს, იყო ლამაზი, ბრგე, იცვამდა უბრალოდ, მაგრამ გემოვნებით. ნაკითხს, გონებაგახსნილს ენაც უჭრიდა. იყო მშვენიერი მოსაუბრე, ჰქონდა კარგი ხმა და ისეთი მომხიბლავი სიტყვი იცოდა, რომ რაგინდ ცუდ გუნებაზე ყოფილიყავი, არ შეიძლებოდა, არ გადაგდებოდა მისი მხიარულება.

როგორც კი უთხრეს ლადოს, თარალაშვილებთან ისეთი ქალიშვილია ჩამოსული, რომლის უკეთესს კაცის თვალი ვერ ნახავსო, მაშინვე დასთანხმდა ამხანაგებს, იმ საღამოსვე წაყოლოდა თარალაშვილებისას.

ლადო ჯერ სასტუმრო ოთახში არ იყო შესული, რომ დერეფნიდან მოჰკრა თვალი მზიას. „ჰო, არ მოტყუებულან ყმაწვილები“, — გაიფიქრა კმაყოფილებით.

ლადო არასოდეს არ აგრძობინებდა ქალს, რომ მოსწონდა. პირიქით, თავს ისე დაიჭერდა, თითქოს არც უყურებდა. ზოგ ქალს ეს შეურაცხყოფდა, განერიდებოდა, მაგრამ თავს დიღბანს ვერ იკავებდა, ჯიბრით, რომ გაეტეხა ლადო, მიექცია მისი ყურადღება, ყო-

ველგარ ხერხსა და ღონეს ხმარობდა. მოწონებოდა მას.

ლადო თარალაშვილების სასტუმრო ოთახში რომ შევიდა, მზიასაკენ არც მიიხედა. მზია კი იდგა მოლოდინით და თვალს არ ამორებდა, არ ეგონა, რომ სხვა მამაკაცებივით შემოსვლისთანავე მისკენ არ გაეჭყეოდა თვალი და ჩამოართმევდა თუ არა ხელს უფროსებს, პირველი მას არ მიესალმებოდა. გულდაწყვეტილი და გაწბილებული უყურადღებობით, ტუჩებს იკვნიტდა, მზად იყო ოთახიდან გავარდნილიყო, მაგრამ აღვილიდან ვერ იძროდა, არ უნდოდა ეცქირა ლადოსათვის, მაგრამ თვალს ვერ ამორებდა.

ლადო მიესალმა მასპინძლებს, სტუმრებს და მზიას მხოლოდ მაშინ შეხედა, როცა მისმა ნაცნობმა ქალიშვილმა, მიმი გორდუზიანმა მიიყვანა მზიასთან და გააცნო.

მზიამ ხელი გაუწოდა. არ იცოდა, რატომ წამოენთო სახე, რატომ დახარა წამწამები, არც ის ესმოდა, რატომ არ გამოართვა ხელი, რომელიც ზომავზე მტხანს ეკავა თავის ხელში ლადოს.

მეტისმეტად მალალ ქუსლებზე შემდგარი მიმი როგორღაც ჩინელი ქალის მინიატურულ ქანდაკებას მოგაგონებდათ. თვლების კრილიც ჩინელისა ჰქონდა, თმასაც ჩინურად იყენებდა და ჩინური სამკაულებით ირთებოდა. ისეთი ნაზი, ისეთი კომწია იყო, რომ შეხედავდი თუ არა, უნებლიეთ გაგელიმებოდა. ცოტას ლაპარაკობდა, რადგან სათქმელს უფრო მიმიკით გამოხატავდა. ისე უყვარდათ მეგობრებს მიმი, რომ სადაც მიმი იყო, რაგინდ დიდი წრე არ ყოფილიყო, მხოლოდ მიმის სახელი ისმოდა.

მიმი იყო ყველას მესაიდუმლე, თავისთავზე უზომოდ შეყვარებული, უქნარა, საოცრად დამყოლი. მის გრძელწამწამებიან თვალებს ვერაფერს გამოაპარებდი, მის პატარა ყურებს კურდღლის სმენა ჰქონდათ, ვერ მოასწრებდი გაფიქრებას, რომ მიმი უკვე ამოიკითხავდა შენს სახეზე შენს აზრს.

ახლა, წამწამებპარეხილი, ისე მრავალმნიშვნელოვნად შესცქეროდა ქვევიდან ლადოს, რომ ზუსტად იცოდა, რაზე ფიქრობდა იგი. „ეს ვაგო ჩემი იქნება!“ გაუელვა იმ წუთში მართლაც თავში ლადოს. და ისე გაშორდა მზიას, არც შეუხედავს მისთვის. იმ საღამოს არც დალაპარაკებია, მაგრამ ფარულად ადევნებდა თვალს და სიამოვნებით იქერდა მის შემკრთალ და დაბნეულ მზერას, რომელიც ლადოსათვის ისე ნაცნობი იყო და ყოველთვის უმტყუენელად მის გამარჯვებას მოასწავებდა.

ლადოს ეჭვიც არ შეჰპარავია, თუ ვინმე უთვალთვალებდა, მაგრამ მთელი საღამოს განმავლობაში ორი ადამიანი ერთი წუთითაც არ ამორებდა თვალს. ისინი ვერცო და ცისანა იყვნენ.

ვერიკო კმაყოფილი იყო იმით, რომ მისი შვილით მოიხიზლა თვით ვოლდემარ ჩხეტინი. ცისანა კი გულდაწყვეტილი, რომ იგი, როგორც წინა დღეებში, ისე ამალამაც არავის ახსოვდა. გამხდარი და ფერმკრთალი თითქმის ჩაკარგულიყო სავარძელში...

გაუხარდა თავისი ქალიშვილის ასეთი წარმატება ვერიკოს, მაგრამ, ამავე დროს, შიშმა აიტანა. ბევრი რამ ჰქონდა ვაგონილი ჩხეტინის სამიჯნურო ამბებზე, ზოგი გაზვიადებული და ზოგიც ნამდვილი. თვალწინ წარმოუდგა ლადოს მიერ მიტოვებული ქალიშვილები და ისე შეამფოთა მოსალოდნელმა საფრთხემ, რომ გადაწყვიტა, მეორე დღესვე გასულიყო ქალაქიდან, წყნეთში გადაემალა მზია.

„ნამდვილ მიზეზს არ გავუმხელ სალომეს, ის ფიქრებს, რომ მე ეს ცისანასთვის გადავკეთე, ვითომ ცისანა შემეცოდა, სულგრძელობა გამოვიჩინე“, — ფიქრობდა ვერიკო. არც დაუყოვნებია, მაშინვე გაიმართხელა სალომე და განუცხადა, სანამ მზია გამოცდას ჩააბარებს და ინსტიტუტში ჩაირიცხება, ჩვენ წყნეთში წავალთ თქვენს აგარაკზე და იქ ვიცხოვრებთ, რადგან აქ მზიას ხელი ეშლება მეცადინეობაში.

სალომეს, რომელსაც თავის ქალი-



შვილზე არანაკლებ უყვარდა მზია და მისი ყოველი ჩამოსვლა თბილისში დღესასწაულად მიაჩნდა, ახლა ვერიკოს წინადადებისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. ეს იმიტომ, რომ ამ გადაწყვეტილების მიზეზი თავისებურად ახსნა. ბუნებით გულკეთილი სალომე მზად იყო გადახვეოდა მტლს, რომ მან ასეთი სულგრძელობა გამოიჩინა.

სტუმრების წასვლის შემდეგ, როგორც კი დაწვნენ, ვერიკომ შვილს გამოუცხადა თავისი გადაწყვეტილება. მზიამ შორს დაიქირა. არაფრით არ უნდოდა წყნეთში გადასვლა.

— მე რა ბრალი მიმიძღვის, თუ ციხანაზე მზე და მთვარე არ ამოსდით... რა შეიძლება ჩემი წასვლით. სულაც არ მაინტერესებს მისი სტუმრები და არც გამოვალ მათთან... ოღონდ დავრჩეთ აქ, დედა!

— არა, ვერ დავრჩებით. — პირველად, რაც თავი ახსოვდა მზიას, გადაჭრით და ბრძანებით უთხრა დედამ. — გარდა ამისა, ვოლდემარ ჩხეტრიანი მხოლოდ შენი გულისთვის მოსულა თურმე ამაღამ...

— რას არ მოიგონებ, დედა! — გაიცინა არაბუნებრივად მზიამ და სახე ბალიშში ჩამალა, რომ ვერიკოს არ დაენახა. უნდოდა მართალი ყოფილიყო, რაც დედამ უთხრა, — ის თურმე ზედაც არ უყურებს ქალებს.

— ასე ჰგონიათ ქალებს, შენ კი მთელი ღამე თვალს არ გამოორებდა.

— მართლა, დედა? — ვერ დაფარა თავისი სიხარული მზიამ და მერე ხვეწნით უთხრა: — არ მინდა წყნეთში წასვლა, დედა.

— შეშინია მაგ ყმაწვილის, შვილო...

— რა აქვს საშინო, დედა! თუ ქალს არ უნდა... — მზია გაჩუმდა. „რატომ ვუყურებდი მე მას? რატომ გავწითლდი, რატომ არ გამოვფრთხილდი ხელი მაშინვე? ნუთუ მართლა მიყურებდა?“

მეორე დღით, მზია რომ ადგა, ვერიკოს ბარგი უკვე შეკრული ჰქონდა. სალომეც ჩაცმული იყო და ირაკლის მანქანას ელოდნენ.

მზიასა და ვერიკოს წყნეთში გადასვლის მიზეზს ლადო მაშინვე მიხვდა. „შეშინდა დედა და წყნეთში გადამალა თავისი ქალიშვილი, — ფიქრობდა იგი. — ჰმ, არ იცის ალბათ, რომ ჩვენი და თარალაშვილების აგარაკები ერთ ქუჩაზეა“.

როგორც ზევით ვთქვით, ლადოს ქალები იქით ეტანებოდნენ, ამას შეჩვეული იყო. ბუნებრივად ეჩვენებოდა, მაგრამ, ამავე დროს, მომბებზრებლადაც. როცა რომელიმე ქალი მოეწონებოდა და მის მონადირებაში რაიმე წინააღმდეგობას წააწყდებოდა, მისთვის ასეთი ქალი ასწილ უფრო საინტერესო ხდებოდა. ლადოს ის ქალები ხიბლავდნენ, რომლებიც პირველ შეხედვისთანავე არ კარგავდნენ ქუქას და არ უყარდებოდნენ მკლავებში. რაც ადვილი მისაღწევია იყო, ის საერთოდ ლადოსათვის საინტერესო არ იყო.

მზიასა და ვერიკოს წყნეთში გადასვლამ რალაც მაცდუნებელი და რომანტიკული შეიტანა მის, ერთი შეხედვით ერთფეროვან, სასიყვარულო თავგადასვლებში. ჯერ ქალი არ ვანრიდებია, არავინ გადუმალავთ მისთვის. თუ წინათ იშვიათად შეუქანდებოდა გული ქალზე, ახლა ადგილს ვერ პოულობდა, მზიაზე ფიქრობდა, თვალწინ ედგა, რალაც აკლდა, მისკენ იღვწოდა.

ლადოს მშობლები ზაფხულსა და შემოდგომას წყნეთში ატარებდნენ. ლადო არც დღე აღიოდა იქ და არც ღამე. დღისით ლაბორატორიაში იჯდა. დისერტაციაზე მუშაობდა, ღამით კი თავისუფალი იყო. მუშაობისა და გართობის რეჟიმს არასოდეს არ არღვევდა. რჩინის წესრიგი ჰქონდა დაღვნილი: დღე — მუშაობა, ღამე — გართობა.

მაგრამ დაირღვა მისი რეჟიმი. ორი დღეა, მზიაზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევს, ვერ მუშაობს... როგორ არ ეცადა მეცადინეობას, მაგრამ მაინც ვერ მოახერხა, ვერ დაიოკა თავი. ბოლოს

გადაწყვეტა ასულიყო წყნეთში და ენახა მზია.

ლადოს ღია მანქანა ჰყავდა, საქვისთან თვითონ იჯდა. მის „პობედას“ ქალები ათას სხვა მანქანაში გამოარჩევდნენ. რადგან სხვებზე უფრო ჩქარა დაჰყავდა და მანქანების ისეთ ვიწროებში გასხლტებოდა ხოლმე, სადაც თითქოს ნემსიც კი ვერ გაძვრებოდა.

მისმა „პობედამ“ თარალაშვილებს ქუჩაში შემოუხვია თუ არა, აივანზე მგდარმა მზიამ მაშინვე იცნო ლადო და ისე შეკრთა, ისე წამოიჭრა სკამიდან, გეგონებოდათ, ეს თავბრუდამხვევი სისწრაფით მომავალი მანქანა სწორედ მას უნდა დატაკებოდა.

მზიას შეკრთომამ და მოტორის გაბმულმა ზმუილმა არანაკლებ შეაშინა ვერიკო, რომელიც იქვე სავარძელში მოკალათებულიყო და ფრანგულ რომანს კითხულობდა.

— რა მოხდა, შვილო?!

— ლადო იყო, დედა... — თქვა ჩურჩულით მზიამ, მანქანამ რომ ჩაიჭროლა.

იმავე წამს გაისმა მუხრუქების ღრჭიანი. მანქანა მეორე თუ მესამე სახლთან შედგა. თითქოს ქარმა მოიტაცაო, მოწყდა მზია ადგილს და კიბეზე დაეშვა.

— მზია! — ეზოში დაეწია მზიას ვერიკოს შემფოთებული ხმა. შემობრუნდა, თვალი მოჰკრა დედის გაფითრებულ სახეს და თვითონაც შეეშინდა. თუმცა არ იცოდა — რისი, უსიტყვოდ წამოვიდა სახლისაკენ და კიბეს ამოჰყვა.

მთელი დღე ვერ მოისვენა ვერიკომ. ახლა გაიგო, რომ აგერ, ორ ნაბიჯზე ცხოვრობდნენ ჩხეტიანები. აშკარა იყო მისთვის, რომ ლადო მზიას სანახავად ამოვიდა. მზია ოთახში ჩაკეტა და უბრძანა ემეცადინა. ერთი წამით არ მოშორებია. მისი ოთახის კარს. გადაწყვეტილი ჰქონდა, თუ მოვიდოდა ჩხეტიანი, არ მიეღო, ეთქვა, მზია შინ არ არის, ან შეუძლოდა, ან კიდევ სხვა რამ.

მზია ვერ წარმოიდგენდა, რომ ასე დაემორჩილებოდა, გაუგონებდა დედას.

არასოდეს არ მოქცევია ასე მკაცრად. არც ასეთი შეწუხებული და შემკრთობილი უნახავს არასოდეს. ამიტომ, როცა საღამოთი მათი სახლის წინ კვლავ გაისმა ლადოს მანქანის ხმა და ვერიკომ მზიას ფანჯარაც მიხურა, მზიამ თავი ისე შოაჩვენა დედას, ვითომ მეცადინეობით იყო გაართული.

ტახტზე წამოწოლილი ტყუილად იხედებოდა წიგნში, არ მეცადინეობდა, ლადოზე ფიქრობდა. დედასავით ისაც დარწმუნებული იყო, რომ ლადო მხოლოდ მის სანახავად ამოვიდა. „აბა, რა საქმე აქვს აქ? აქი არ ამოდისო დედამასთან! ცეცხლი რომ ეკიდოს ქვეყანას, დღისით ლაბორატორიიდან არ გამოვაო. ჩემი ნახვა უნდა, ლადოს... ჩემი ნახვა უნდოდა!..“ სჯეროდა, რომ ლადო იმ დამეს მართლა ადევნებდა თვალს. „რა თავდაჯერებულად ეკავა ჩემი ხელი, სუნთქვაც კი შემეკრა. მე რე რა! ალბათ ყველა ქალს ასე ემართება მასთან! სანამდე უნდა ვიყო ოთახში გამოკეტილი? სულ ერთია, ლადო მოვა...“

მაგრამ ლადო არ ჩანდა. თითქმის ყოველდღე ამოდებოდა წყნეთში, თარალაშვილების სახლისკენ კი ერთხელაც არ მოიხედავდა.

ვერიკო დამშვიდდა, აღარ მწყემსავდა ქალიშვილს. თითქოს მზია შეთქმული იყო ლადოსთან, ისე ეჭირა თავი მასაც, ვითომ არ ამჩნევდა, როდის აივლიდა და ჩაივლიდა ლადო მათი სახლის წინ.

ასე გრძელდებოდა რამდენიმე ხანი. და, აი, ერთ მშვენიერ კვირადღეს, ვერიკო და მზია ბაზრიდან რომ ბრუნდებოდნენ, წინ ლადო შემოხვდათ. ლადოს თავი ისე ეჭირა, თითქოს ფიქრით იყო გაართული და ვერ ხედავდა მზიასა და ვერიკოს, მაგრამ რაკი პირისპირ შეეხეხა, უნებლიეთ შედგა. სინამდვილეში მთელი საათი უცდიდა მათ ქუჩის კუთხეში და გამოჩნდნენ თუ არა, ისე მოზომა დრო და მანძილი, რომ ზუსტად იმ ადგილზე შეხვდა მოულოდნელად, სადაც ნავარაუდევია ჰქონდა.

— აა... თუ არა ვცდები თარალაშვილებთან... დიახ, იქ გაგიცანით, — განგებ ვერ მოიგონა ლადომ დედა-შვილი, დაგვიანებით მიესალმა, — ჰო, დიახ, დიახ!.. საიდან-სადაო აქ? — გაიკვირვა. — ვისთან ჩამობრძანდით?

ვერიკო დააბნია ასეთმა ცივმა შეხვედრამ, ძლივს ამოიღო ხმა:

— ჩვენ აქ ვცხოვრობთ.

— აქ?.. ვის აგარაკზე?

ვერიკო გააბრაზა მისმა გულგრილმა კილომ, არ უნდოდა ეპასუხა, მაგრამ ზრდილობისათვის მაინც მიუგო:

— თარალაშვილების.

— მეზობლები ვყოფილვართ, — თქვა ლადომ.

მზია გრძობდა, რა ხდებოდა დედის გულში. დამციანავი და თან ნაღვლიანი ღიმილი უთამაშებდა სახეზე. „აი, ხომ ხედავ, დედა, როგორ ცდებოდა“. — ამბობდნენ მისი თვალები, — „ზედაც არ მიყურებს“. ვერიკომ გადაწყვიტა გამოერკვია, მართლა ცდებოდა თუ არა და შინ მიიპატიჟა ლადო, მაგრამ ლადომ საქმეები მოიმიზეზა.

— სხვა დროს მობრძანდით... ჩვენ ყოველთვის მოხარული ვიქნებით თქვენი ნახვის.

ლადოსაც ეს უნდოდა. დედა, რომელმაც ამ რამდენიმე დღის წინ გადაუშალა შვილი, ახლა თვითონ ეპატიჟებოდა შინ. „ოხ, ეს ქალები!“ ზეიმობდა გულში ლადო. ამოდ როლი სჯეროდა თავისთავის. როდის უღალატია მისთვის ბედს?

მზიამ ლადოს მოლოდინში სრულიად აიკრუა გული მეცადინეობაზე. მხოლოდ მასწავლებელთან თუ ჩაიხედავდა წიგნში. წავიდოდა თუ არა იგი, მაშინვე ხელიდან გააგდებდა წიგნს.

„სანამდე გაგრძელდება ასე? რა მემველება, თუ არ ვიმეცადინე?.. აი, მოვა ის და ყველაფერი გათავდება. აღარ ვიფიქრებ ლადოზე. ნეტა მალე მოვიდოდეს!“

მოუთმენლად ელოდა, ითვლიდა წუთებს, საათებს... ლადო მესამე დღეს მოვიდა. მზია, აქამდე რომ ეკალზე იჯდა

მის მოლოდინში, ახლა ისე მშვიდად შეხვდა, როგორც დიდი ხნის ნაცნობს: არ ლელავდა, თავისუფლად უწერა თავი, ლაპარაკობდა თამამად, როგორც ტოლთან, მის ფერთან. არ გრძობდა იმ პირველ შიშსა და მოკრძალებას, პირდაპირ, მოურიდებლად შეჰყურებდა სახეში და მისდაუნებურად, უცებ ელგუჯას შეაღარა იგი, მაგრამ სანამ რაიმე დასკვნას გამოიტანდა, ლადო თვალებში მიაჩერდა ფარული ექვით.

— რად მიყურებთ აგრე? — გაუსწორა თვალი მზიამ.

— თქვენ ახლა სხვაზე ფიქრობდით.

— რატომ აქამდე არ მოხვედით ჩვენსა? — ჰკითხა მისდაუნებურად მზიამ.

— მელოდი, მზია? — შენობით მიმართა ლადომ და გაუღიმა. ამ ღიმილით იგი ყოველთვის აჯადოებდა ქალს. შენობით მიმართავდა, უცებ უახლოვდებოდა.

— გელოდით, — უთხრა გულახდილად მზიამ, — მაგრამ არ იფიქროთ...

— რა არ ვიფიქრო?

— არაფერი არ იფიქროთ. თქვენც ნახვა მინდოდა და მეტი არაფერი... იცით, ნულარ მოხვალთ ჩვენსა, — ასე ეგონა, მის მაგივრად სხვა ლაპარაკობდა. „ღმერთო ჩემო, რას ვეუბნები!“ — იმდენი სამეცადინო მაქვს...

— შენ ხუთიანს მაინც მიიღებ, მზია, სულაც რომ არ იმეცადინო.

— რატომ?! საიდან იცით?!

— ვიცი, — მიუგო ლადომ — იმიტომ, რომ ამაზე უკვე იზრუნეს.

— თქვენ იზრუნეთ?! — ვერ გაიგო მზიამ ვერაფერი.

ლადომ ისევ გაიცინა. იცოდა, როგორ უხდებოდა სიცილი.

— ერთ-ერთი ჩემი მეგობარი ცდის ფიზიკაში.

მზია გაწითლდა, ლადომ ეს შენიშნა.

— საქმე ისაა... რაგინდ კარგადაც არ უნდა იყო მომზადებული, შეიძლება მაინც დაგიკლონ ნიშანი. შემსვლეელი ბევრია, ადგილები — ცოტა.

მზიამ არაფერი უპასუხა.

ფანჯრის რაფაზე ისხდნენ. შორს

ბორიყში მოჩანდა თბილისი. გახურებული ჰაერი თრთოდა და ვარჯვარებდა ქალაქის თავზე. სიცხე ტალღებდნებდა შემოდინდა და გადიოდა ფანჯარაში.

სიცხისაგან მოქანცულ მზიას თავი უკან გადაეწია და ფანჯრის ჩარჩოს მიყრდნობოდა. თმა მხრებზე ეყარა. გულმკერდმოღვლილი სარაფანი ეცვა, მაგრამ არ ერიდებოდა ლაღოსი, ისე როგორც ელგუჯასი მოერიდა მაშინ, ცაცხვის ქვეშ.

სარაფანის ზედატანი გულ-მკერდს შემოსხებოდა, მკვეთრად გამოსახავდა მის ფორმას. მორგვალელები, გავსილი მხრები და ჩამოქნილი, ხორბლისფერი მკლავები კიდევ უფრო აძლიერებდა ამ შთაბეჭდილებას.

„ლადომ იზრუნა ჩემზე, მე კი ვუთხარი, ნულარ მოხვალთ-მეთქი ჩვენსა. რა უზრდელი ვარ. ტყუილად ეშინოდა დედას... არ შეიძლება მას კარგი გული არ ჰქონდეს. თუკი ხუთიანს დამიწერენ, რისთვის ვიმეცადინო? რატომ არ უნდა მოვიდეს ჩვენსა ლადომ რამ მათქმევინა ასეთი სისულელე!“

წასვლისას ლადომ ისევ დიდხანს დაიჭირა მზიას ზელი. მზიამ კვლავ არ გამოართვა, მიუხედავად იმისა, რომ თვალბეჭდში შეჭყურებდა ლადომ, არც გაწითლებულა და არც თავი დაუხრია.

— მაშ ალარ მოვიდე, მზია? — ჰკითხა პირდაპირ ლადომ.

— თქვენ ხომ დაკავებული ხართ, — არ დაიბნა მზია. — მთელი დღე ლაბორატორიაში ზიხართ თურმე.

— ნახვამდის, მზია!

— ნახვამდის! — უბასუხა მზიამ.

ლადომ ახლა ყოველ საღამოს ამოდინდა წყნეთში.

მზიამ იცოდა, როდის ამოვიღოდა მისი მანქანა და იმ დროისათვის მოუსვენრობდა დაეტყობოდა, უსათუოდ რაიმე საქმე გაუჩნდებოდა აივანზე ან ეზოში, მაგრამ ლადომ ისე ჩაივილიდა ხოლმე, არც მოიხედავდა მისკენ.

ვერიკოს სრულიად შეეცვალა ლადომზე აზრი. აღარ ეჩვენებოდა საშინო კა-

ცად. ყოველნაირად ცდილობდა, ლადომ და მზია ერთმანეთისათვის დაეახლოვებინა.

„ვოლდემარზე უკეთეს საქმროს ვერც ვინატრებ ჩემი გოგოსათვის, — ფიქრობდა ვერიკო. — არა, ცუდი თვლით არ უყურებს მზიას. ვინ იცის, იქნება გადაწყვეტილი აქვს მისი შერთვა? აბარატომ ზრუნავს ასე? ნამდვილად რაღაც კარგი აქვს გულში. ნეტა ასეთი ბედნიერი ქალი გავხდებოდე, რომ ამ დღეს შევესწრო. აკადემიკოსის შვილი თვითონაც დიდი მომავალი უქადის. საკუთარი სახლი თბილისში, აგარაკი წყნეთში, აგარაკი ბიჭვინთაში, სავსე ოჯახი! გადაიდე ფეხი ფეხზე და იცხოვრე მეფურად, ვერიკო. სახელისთვის დავამთავრებინებ მზიას ინსტიტუტს, თორემ როგორ ვამუშავებ! ქონება ბანში ამოსდით და ჩემმა შვილმა აქოთებულ საავადმყოფოში მოიწამლოს სიცოცხლე! ღმერთმა დამიფაროს! არც სწავლით შევაწუხებინებ თავს, ვოლდემარ ჩხეტიანის ცოლს ვინ არ დაუწერს კარგ ნიშანს.“

ვერიკომ მასწავლებელი დაითხოვა. რად უნდა ამოიღამოს მზიამ თვალში ამ პაპანაქება სიცხეში მტერს არ ვუსურვებ მეცადინეობას. ხომ მაინც დაუწერენ ხუთიანს. სჯობს, სანამ დრო აქვს, გაერთოს. მერე ინსტიტუტში რომ დაიწყებს სიარულს, მოცლა აღარ ექნება.

ლადომ რომ აღარ მოვიდა და არა, ერთხელ ვერიკო თვითონ დაუხვდა ჭიშკართან. ლადოს ამხანაგი ქალები და ვაჟები ახლდნენ თბილისიდან. ვერიკომ ყველა მიიპატივდა და ვახშმით გაუმასპინძლდა. მერე საღამოს ვერიკომ იმის ნებაც დართო მზიას, რომ ფილარმონიის ბაღში გაჰყოლოდა ლადოსა და მის ამხანაგებს.

ასე უცებ ამოდენა წარმატებას არ ელოდა ლადომ. ვერ მიმხვდარყო, ვგზომ რამ შესცვალა ვერიკო. „შეიძლება ქალიშვილის შერთვას მიპირებს. მერე რა, რომელი ვაჟი იტყვის მზიაზე უარს... მაგრამ მე... მე ხომ არ ვაპირებ ჯერ ცოლის შერთვას, სხვასაც რომ ვერ-

დაეუთმობ ასეთ მწყერს“. ლადო არ ჩქარობდა, რაც უფრო მეტ წარმატებას აღწევდა, მით უფრო მეტისმეტად წინდახედულად მოქმედებდა. ისე მოინადირა ვერიკოს გული, რომ ის საღამო, როცა ლადო არ ეწყვეოდათ, მოშხამული იყო მისთვის.

ლადო მარტო არასოდეს არ მოვიდოდა, ყოველთვის ორ-სამ ამხანაგს მოიყვანდა თან. ამას იმიტომ აკეთებდა, რომ თუ რაიმე შიში და ეჭვი კიდევ იყო დარჩენილი ვერიკოს გულში, ისიც აღმოეფხვრა.

ვერიკო ერთი წუთით არ შორდებოდა მზიას და ლადოს, მაგრამ ვერც დედის ფხიზელი და დაკვირვებული თვალი და ვერც ცნობისმოყვარე ამხანაგები ვერ უშლიდნენ ხელს ლადოს მოეხიბლა, წარეტაცა ქალიშვილის სუფთა და ალალი გული იმ თავისებური, მხოლოდ მისთვის ჩვეული მომაჯადოებელი დიზილით, იმ წარმატაც საუბრით, თავბრუდამხვევი, გადამდები სიცილით, რომელიც ქალიშვილს კი არა, ფოლადს გაადნობდა“.

ლადოს წასვლის შემდეგ მზია დიდხანს იწვა ხოლმე თავის საძინებელ ოთახში მარტოდმარტო და ესმოდა მისი სიცილი, ხედავდა მის დამატყვევებელ თვალებს, შავად მბზინავ ქოჩორს, რომელიც წარამარა შუბლზე უვარდებოდა, და თავის მოხდენილი აქნევით უკან გადაიყრიდა.

ჰო, მას ყველაფერი შეენის. იმ უნაკლოდ შეეკრილ ნაცრისფერ კოსტუმში მისი ღონიერი ტანი ქვიდან გამოკვეთილსა ჰგავს. რაღაც სატანისებური ძალით იზიდავდა მზიას ყველაფერი მისი — ავიც და კარგიც. ძნელი იყო, გამოუტყდელ ქალიშვილს შეენიშნა ის თამაში, რომელსაც ლადო ეგზომ უებრო არტისტულობით ასარულებდა. მაგრამ მისთვის გაურკვეველი ნიშნებით მზია მაინც გრძნობდა რაღაც საშიშს.

ასეთი ფიქრებით შეძრწუნებულ მზიას დაეკვებულს იმით, რომ ვერ აღუდგებოდა მის ნებას, შიში აიტანდა, საბანში გაეხვეოდა, თავს ბალიში ჩარგავ-

და და ცდილობდა არ ეფიქრა ლადოზე, დახუკავდა თვალს, რომ არ დაეინახა, დაიხშობდა ყურებს, რომ არ გაეგონა მისი ხმა. ამ დროს ოთახში ელგუჯა შემოვიდოდა (ასე ეჩვენებოდა მზიას) და მზიაც უცებ დამშვიდდებოდა.

ლადოს არც ერთი ქალის მონადირეობაში არ დაუკარგავს იმდენი დრო, არ შეუწუხებია თავი და არ ყოფილა ასე თავდაპერილი და წინდახედული, როგორც მზიასთან. აღიზიანებდა თავისი საქციელი, ენანებოდა დრო. არაფერს ისე არ უფრთხილდებოდა, როგორც დროს. მას დევზად ჰქონდა ბიუფონის სიტყვები: „აღამიანისათვის ყველაზე მძიმე დანაკარგი — დროის დაკარგვა!“

მეტი დაყოვნება აღარ შეეძლო.

სამედიცინო ინსტიტუტში გამოცდების დაწყების წინ, ერთ კვირა დღეს თარალაშვილების აგარაკს სამი მსუბუქი ავტომანქანა მიადგა. მანქანებში იჯდნენ ლადო და ის ახალგაზრდები, რომელთაც მზია კონცერტზე წაივია ფილარმონიის ბაღში. მათთან ახლა ცისანა თარალაშვილიც იყო. მანქანიდან მხოლოდ ცისანა გადმოვიდა.

— კოჯრის ციხეზე მივდივართ, — უთხრა ეზოში შემოგებებულ მზიას. — ლადომ შენთვის მოაწყო ეს ექსკურსია...

— რატომ ჩემთვის! — მზიას ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს თავს იმართლებსო.

— ჩაიცი! — უთხრა ცისანამ ნალეულიანად.

მზია დაემორჩილა, წამსვე შეტრიალდა, ახლავეო, უთხრა ცისანას და სახლისკენ გაიქცა. ვერიკო შინ არ იყო. ბართით დაუტოვა დედას, არ გამოუცვლია ტანსაცმელი, არ ჩაუხედავს სარკეში, არ დაუეკტავს კარი, ისე გამოეარდა გარეთ და დაეშვა კიბეზე, გეგონებოდათ, ამ ქალს ფრთები გამოესხაო.

ქიშკარში რომ გავიდა, პირდაპირ ლადოს მანქანისაკენ გაემართა, მაგრამ ლადო თავის „პობედაში“ არ იჯდა. შეტებუნდა მზია. ახლა ლადოს ძებნა

რომ დაეწყო, ამით თავს გამოააშკარავებდა. დაიბნა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ამ დროს უკანა მანქანიდან მიმი გორდენიანის ხმა მოესმა:

— კულა ტი, დარაგაია, აქა ვართ!

სარკმლიდან თავგამოყოფილი მიმი მრავალმნიშვნელოვნად აპაქუნებდა თავის ჩინურ თვალებს და ხელს უქნევდა.

მზიას ისე მოეჩვენა, მანქანასთან არ იყო მისული, რომ კარი გაიღო და ვილაციის ღონიერმა და მაგარმა ხელმა შიგ შეიტაცა. ეს ლადო იყო. ლადო მიმისა და ვილაც ახოვან, ძალზე სქელ ვაეთან ერთად იჯდა უკან. მიიწიეო, ანიშნა ვაეს, რომელსაც ორი კაცი ადგილი ეკავა და მან ისე მიიწია, რომ მიმი კინაღამ მიაპყლიტა კედელზე. მაგრამ ამით მაინც მზიას დასაჯდომ ადგილს ერთი გოჯიც არ მიემატა. ამას ყურადღება არ მიაქცია ლადომ. ისეთივე სიმარდით, როგორითაც მანქანაში შეიტაცა, მზია თავის გვერდით დასვა. ოთხნი მაინც ვერ მოთავსდნენ, მაშინ ლადო ირიბად შებრუნდა, მკლავი მზიას უკან გადაიტანა და საჯდომის ზურგზე ჩამოსდო.

იმ წამს მანქანაც დაიძრა.

მზია კედელს მიეკრა. ვაეის მარჯვენა მკერდი და მხარი მაინც ეკვროდა ზურგზე. ლადოს მკლავი მისდაუნებურად თანდათან ძირს დაცურდა და მზიას წელზე შეჩერდა.

მზიას თავზარი დაეცა. თუმცა არ უფიქრია, რომ ლადომ განგებ მოხვია ხელი. „სხვანაირად ვერ დაჯდებოდა სივწროვის გამო!“ გაიფიქრა. უნდოდა, რომ ეს ასე ყოფილიყო, მაგრამ ლადოს ხელი ფრთხილად და ნაზად შეეხო მის წელს და უფრო ახლო მიიზიდა ქალიშვილის მთრთოლვარე ტანი.

მზიას ფერი წაუვიდა, სული განაბა. ასე ეგონა, მანქანაში მსხდომი ყველა მას უყურებდა და ყველა ხედავდა, რა ხდებოდა მის თავზე. სახე სად წაელო, არ იცოდა.

შოფრის გვერდით მჯდარი ქალიშვილი მიმის რაღაც ამბავს უყვებოდა. ერთი შეხედვით, თითქო ლადოც უსმენ-

და, მაგრამ მისი ყურადღება მზიასაკენ იყო.

მზია თუ რამდენიმე წუთის წინ, როცა წერილს უტოვებდა ღედას, ისე იყო გახარებული, რომ ტანისამოსის გამოცვლაც კი დაავიწყდა, ახლა ნანობდა, რათ წამოვედიო. არა, არ უნდოდა იმის დაჯერება, რომ ლადო მდგომარეობით სარგებლობდა.

დიღხანს მიმდინარეობდა მღუმარე ორთაბრძოლა. ბოლოს მზია დიღალა, მისი ტანი დამყოლი და მორჩილი გახდა. ისე ეჩვენებოდა ახლა, ხელი რომ მოეშორებინა ლადოს, სადღაც უფსკრულში ჩაეშვებოდა. მთელი გზა თითქოს სიზმარში იყო. შოფრის გვერდით მჯდარმა ქალიშვილმა ამბის მოყოლა რომ მოათავა, მერე მზიაც ჩაება საუბარში. რამდენადაც შეეძლო, თავი გარეგნულად ძალდაუტანებლად ეჭირა, კიდევაც იცინოდა, კიდევაც ოხუნჯობდა და უკვირდა, როგორ ახერხებდა, როგორ იქცეოდა ასე არაგულწრფელად. სხვა გზა არა ჰქონდა, ასე უნდნ მოქცეულიყო, რომ დაეფარა მღელვარება, სახეზე მოწოლილი სისხლი და თვალბეჭეტი ჩამდგარი შიში. იძულებული იყო, ახლა იქით მიჰკეროდა ლადოს, რომ დაეფარა მისი მკლავი. ერთი სული ჰქონდა, როდის დაილეოდა გზა, როდის შედგებოდა მანქანა და გადავიდოდა.

აი, გამოვიდნენ მოსახვევიდან და მათ წინ აღიმართა ცადატყორცნილი კოჯრის ციხე, რომელიც კლდეზე ამენებულს კი არა ჰგავდა, თითქოს კლდისაგან იყო მთლიანად გამოკვეთილი.

მზიამ თავისუფლად ამოისუნთქა. მანქანა არც კი იყო შემდგარი, რომ ხელი ეკრა კარს და გამოსხლდა.

ახლაგაზრდები ყვილ-ხვილით გამოცვიდნენ მანქანების ოთხივე კარიდან. წყვილ-წყვილად იყვნენ დაყოფილნი და ყოველი მათგანი ერთმანეთით იყო გართული. მიუხედავად დიდი სიციხისა და მანქანის შეხუთული ჰაერისა, მზიარულნი და სიცოცხლთ საცენი სჩანდნენ. ეტყობოდათ, ხშირი სტუმრე-

ბი იყენენ აქ და ეს მიდამოები მათთვის ნაცნობი და საყვარელი იყო, თითქოს ყველა წვეილს ციხის ძირას თავისი კუთხე ჰქონოდა შერჩეული, ისე გაემართნენ მანქანიდან გადმოსვლისთანავე სხვადასხვა კიდეით.

მზია ერთხანს განცალკევებით იდგა, არ იცოდა, ვის მიჰყვებოდა. აგერ, მის წინ ჩაიარა ცისანამ, ვაჟისთვის ხელი გამოედო, მთელი ტანით ჩამოკიდებოდა მკლავზე და სახეში შესცივინებდა, ისე სხაპასტუპით ლაპარაკობდა, ისე იყო გართული, რომ მზია არც შეუმჩნევია.

ჩაიარა მიმამაც.

— დამიცადე!.. ბოეე მოი, კულა ტი, ზიგმუნდი — უძახდა იგი წინ წასულ ჰაბუკს. — რა მოგივიდა, არ გესმის, გიჟო! დამიცადე!

„გიჟი“, რომელსაც მანქანაში ორი კაცის ადგილი ეკავა, ახლა ზინივით ზორზოხა ჩანდა. სიცხისაგან შეწუხებულს, პერანგი გაეხადა და წყაროსკენ მიალაგებდა. არ იხედებოდა მიმისკენ.

„რა უზრდელია“, — გაიფიქრა მზიამ. — ეს წრივაც რას ატორღიანებია, როცა სულაც არა აქვს მისი დარდი „გიჟს“.

— ჩაიარეს სხევამაც და იმის შიშით, მარტო არ დავრჩეო, რადგან იცოდა, რომ ლადო მას უცდიდა, სანამ სხვები დაწინაურდებოდნენ, მზია ადგილიდან მოწყდა და წინ გაიქცა. გზა არ იცოდა და მაინც გარბოდა, თუმცა არავინ მისდევდა. როცა შედგა, არც წინ იყო ვინმე და არც უკან. პიტალო კლდეები დაჰყურებდა ოთხივე მხრიდან, ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იდგა. არ იცოდა, საით წასულიყო, რომელ გზას დასდგომოდა, თუმცა სად იყო გზა, გარშემო კლდეებიდან ჩამოცვენილი ღორღი ეყარა, ბასრი, გახურებული. გახურებული იყო ქვიშაც, სულისშემზუთველი სიცხე მწარედ იკბინებოდა.

უკან შემობრუნდა მზია, მაგრამ მალე დაინახა, რომ ამ მხრიდან არ მოსულა. გაიარა კიდეც ცოტა, პატარა ხევს წააწყდა. ქვევით მიწაზე მდებარე წყლის ყრუ დუღუნი ისმოდა. მზია უკან გამო-

იქცა. მაგრამ ვერც წინ გადაიკვლია გზა და ვერც უკან. პირზე ადგა ლადოს სხელი, უნდოდა დაეძახა: „არ დაეუბნებ. აქ რომ ჩავრჩე, მაინც არ დაეუბნებ. მოვძებნი გზას, როგორ დავიბნევი. არა, არ დაეუბნებ! — გადაწყვიტა მტკიცედ მზიამ. — თვითონ მოძებნის. ხომ ყველაფერი მისი ბრალია. ნეტა რას ფიქრობს ახლა? ხომ გრძნობს, რომ მას გამოვექეცი. როგორ მომექცა... სხვებიც ისდნენ მანქანაში, მაგრამ იმ „გიჟს“ მკლავის მოხვევა კი არა, არც შეუხედავს მიმისათვის... არა, არ დაეუბნებ...“ მის წინ დაქანებული კლდე იყო ამართული. „ალბათ ციხე ამ კლდის იქითაა. გადავალ კლდეზე“.

ლადო სხევებს არ გაჰყვია, თავის მანქანასთან შეაყოვნა. იცოდა, რომ მზიას გზა აებნეოდა, უნდოდა მარტო ჩაეგდო ხელში. „სხვა ქალებს არა ჰგავს... ასეთები მხოლოდ იმისი ხდებიან, ვინც უყვართ... — დიდხანს ეძებდა. შემოიარა ციხის გარშემო ხეე-ხუეები. — რაღაც ველური სილამაზეა ამ ვოგონაში. იგი ჩემი იქნება და უსათუოდ დღეს, ახლა...“

კი არ დადიოდა, დარბოდა, ესწრაფებოდა, მალე ენახა. ატაცებული თავშეუკავებელი გრძნობით, არ ერიდებოდა კლდესა და ღრეს. სულს ძლივს იბრუნებდა, მაგრამ არ გრძნობდა დაღლას. გადაწყვიტა ციხეზე ასულიყო. არ დერიდებოდა ამხანაგებს, თუნდაც იმათთან ენახა მზია, გამოიტაცებდა, მზად იყო გაეკეთებინა ყველაფერი, ოღონდ მიეღწია თავისი სურვილისათვის. გადაჭრა ხევი, შემოუარა წინ აღმართულ კლდეს, რომ ციხისკენ გაეკვლია გზა, უცებ გაოცებული შედგა: კლდეზე მზია დაინახა. ერთმანეთზე გადაბმული ფეხსაცმელები მხარზე გადაეკიდა, ორივე ხელით სიპს ჩაფრენოდა.

— მზია! — შესძახა ლადომ. — რამ აგიყვანა მაგ ციციბოზე?!

— რა დიდი საქმეა აქ ამოსვლა! — უნდოდა მშვიდი და უდარდელი ხმით ეპასუხა მზიას, მაგრამ ვერ მოახერხა. სახეზე ეხატა, რა გაჭირვება გადაიტანა.

რა შიში ჰქონდა. ისეთ „ბეწვის ხიდზე“ იყო გარჩენილი, რომ საცმარისი იყო ერთი არაფრთხილი მოძრაობა, მოწყდებოდა იქიდან და მიწამდე სული არ დაჰყვებოდა.

— ფრთხილად, მე ახლავე ამოვალ! — დაუძახა ლადომ, ფეხსაცმელები წაიგდო.

— არ ამოხვიდეთ... მე თვითონ! — არ უნდოდა ეჩვენებინა ლადოსათვის, რომ გარჩენილი იყო, შიშისაგან სული არ ედგა, ამიტომ წამოსცდა ეს სიტყვები. ახლა კიდევ უფრო შეუქანდა გული, ვაითუ მართლა არ ამოვიდესო, მაგრამ ლადო უკვე აპყვა კლდის ქიმს.

ადიოდა ფრთხილად და თან გულდაჯერებულად.

მზია უყურებდა, როგორ უახლოვდებოდა და ისე უცემდა გული, რომ ეგონა გადმოაგდებდა კლდიდან და უფრო მაგრა ჩააფრინდა სიპს. არ იცოდა, რის უფრო ეშინოდა, ლადოსი, თუ გადავიარდნის, მაგრამ, მივიდა თუ არა ლადო, ისე მორჩილად მისცა თავი მის მკლავებს, როგორც ბავშვმა, როცა მას ასაყვანად გაუწვდიან ხელებს.

ლადო იმდენად მკვიდრად და უშიშრად იდგა დაქანებულ პიტალოზე, სადაც მზიას ფიქრით ეშმაკიც ვერ მოიკიდებდა ფეხს, ისე თავისუფლად და მსუბუქად ევირა მზია, რომ ქალს არ შეეძლო არ მოხიბლულიყო მისი ღონითა და გამბედაობით.

მზიას ორივე ხელი მის კისერზე ჰქონდა შემოხვეული, ცდილობდა, რაც შეეძლო შეეშუბუტებინა თავისი ტანის სიმძიმე, არ შეეშალა ხელი მოძრაობაში და უფრო მოხერხებულად დაეკავა თავი.

ლადოს არ ამძიმებდა ქალის ცხელი და მკერძი ტანი. ისე მალა ევირა იგი, რომ მზიას სახეზე ეფინებოდა მისი სუნთქვა. შიშისაგან თვალდახეტელი იწვა მზია, არ ხედავდა ლადოს, მაგრამ გრძნობდა, საცაა დაიხრებოდა ვაყის თავი მის სახესთან და აყოცებდა. იცოდა, ვერ აარიდებდა თავს, რადგან ეგონა, სახის ოდნავი მიბრუნებაც კი სახი-

ფათო იყო ორივეს სიცოცხლისათვის და გადაწყვიტა, არ განძრეულიყო. სუნთქვა შეუგუბდა მოლოდინში, ფეხსაცმელები გაახილა და ვედრებით და შიშით შეხედდა, თემცა არაფრის იმედი არ ჰქონდა. აი, დაიხარა ლადოს თავი, ვერაფერს ხედავდა, ქალის ათრთოლებული ტუჩების გარდა, ოფლიანი და მარილიანი ტუჩებით ისე მაგრა დაეკრა მზიას ტუჩებს, რომ მისმა ტანმა ძირს დაიწია და კისერზე ერთმანეთს ჩაჭიდული ხელები გაეხსნებოდა, დროზე რომ არ შეეკავებინა თავი; ხელები უფრო მოკლედ შემოხვია კისერზე.

— მზია, როგორ ველოდი მე ამ დღეს, — ჰკოცნიდა ლადო და ეუბნებოდა ჩურჩულით. — ვიცოდი, ასეთი კარგი რომ იყავი.

მზიას სული უგუბდებოდა.

— შენზე ფიქრი არც დღე მასვენებდა და არც ღამე. მე კი ვმალავდი. მითხარი რამე, მზია!.. ხომ არ მიჯავრდები?

არ იცოდა, ეუბნებოდა ამას მზიას თუ ფიქრობდა. შეეშინდა, არ გაეგუდა და ძლივს აართვა ბაგე მის ბაგეს, დახედა: თვალდახეტული იწვა მზია, ტუჩებგახსნილი და უმწეო. „ის ჩემია!“ — კინაღამ ხმამალა შესძახა ლადომ და სწრაფად იწყო ჩასვლა, მაგრამ გადადგა თუ არა რამდენიმე ნაბიჯი, შეჩერდა. მზია მიხედა, რომ კვლავ დაიხრებოდა ლადოს თავი და აყოცებდა. იმის შიშით, ისევ არ გახსნოდა ხელები, უფრო მაგრა ჩასჭიდა ისინი ერთმანეთს, არ უძლიანდებოდა ვაყის შეუკავებელ და გაუშმადარ ტუჩებს, თითქოს მისთვის სულ ერთი იყო ახლა ყველაფერი.

— მაკოცე, მზია!..

ლადო დარწმუნებული იყო, რომ მზია იქ, ქვევით უპასუხებდა კოცნაზე და უფრო გაბედულად და სწრაფად ჩაპყვა კლდეს.

ის იყო მიწაზე ჩადგა ფეხი, რომ აქამდე მორჩილმა და თავის ბედს შერიგებულმა მზიამ მოულოდნელად ორივე ხელი ჰკრა და მკლავებიდან გამოხტა. ლადო შებარბაცდა, მაგრამ არ და-

იბნა, იგრძნო, წაუვიდოდა ხელიდან ქალი და მაჯაში სწვდა.

— საით! — უთხრა უხერხულად, არაბუნებრივად გაიცინა, შეხედა თვალებში, უთქმელად შეევედრა, შესთხოვა პატიება, მაგრამ მზიას სახეზე ისეთი აღშფოთება და ბრახი ამოიკითხა, ისეთი გაბორბლებული და შეურიგებელი თვალებით შეჰყურებდა, რომ შეცბუნდა, მერე შეურაცხყოფისაგან სისხლი თავში აუვარდა, მთელი ღონით მოიქნია და მიწაზე მიაგდო.

მზია პირაღმა გადაეარდა. დაცემისას კაბის კალთა აეკეცა. ხელის განძრევა არ შეეძლო, რომ სიშიშვლე დაეფარა. აღარ იცოდა, რა ექნა, ცრემლით საესე, გაშტერებული თვალებით შეჰყურებდა ლადოს.

ლადო გამჯრჯვებული ადამიანის უტიფარი ღმილით ადგა თავზე. იცოდა, არ იქცეოდა კარგად, ამას მზიას სახეზე, თვალებში კითხულობდა და მაინც თავს ვერ იკავებდა.

შიზლით ააჩიდა თვალი მზიამ. ამან უფრო გაახელა ლადო, დაეცა მის წინ მუხლებზე, მისწვდა და მიიზიდა. მზია ხედავდა, როგორ უახლოვდებოდა მისი მკერდი, ოფლიანი და გაფითრებული სახე, უნდოდა დაეცივლა, რა ზარი ჰქონდა კივილი, ამით ვერ უშველიდა თავს. არ იცოდა, რა განგებამ გაუჩინა უცებ ღონე, ან როგორ მოიქნია ხელი დაკივლების მაგიერ, ისე ძლიერ შემოჰკრა სახეში, რომ ლადოს ეგონა, თოფი დამიცალესო ყურთან. განძრევაც ვერ მოასწრო, ძლიერი ბიძგით გვერდზე გადავარდა. მზია სწრაფად გამოეცალა, წამოხტა, დაავლო ხელი ფეხსაცმელებს და გაშორდა. მიდიოდა სწრაფად, მერე სახეზე აიფარა ხელები და გაიქცა.

ლადო მაშინ-ღა წამოჯდა, მზია რომ ბორცვს მიეფარა. იჯდა გაოგნებული, ლოყა უხერხდა, ყური უწიოდა. დასკეროდა შიშველ ფეხებს, გამტვერილ ფეხსაცმელს, ასე ეგონა ქვეყანა შეჰყურებდა. „ჩემი ბრალია, დიდხანს ველოლიავე... კარგი გაკვეთილია ჩემთვის!“ იცოდა, ამხანაგები უკვე წასული იყვნენ

და მზია ვერსად წაივლოდა. წამოვდგა, კოსტუმი გაიფერთხა, ფეხსაცმელებში ფეხები ჩაყო, თავის მანქანისაკენ გაემართა. დარწმუნებული იყო, მზია იქ დახვდებოდა.

მზია მირბოდა. როცა მივიდა იმ ადგილამდე, სადაც მანქანები დატოვეს და იქ მარტო ლადოს მანქანა დანახა, თავზარდაცემული მოტრიალდა, მაგრამ ლადო არ ჩანდა.

ლადომ წყაროზე ხელ-პირი დაიბანა და გულდამშვიდებული წაივდა მანქანისაკენ, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. მზია არ დახვდა იქ. „ნუთუ ისეე დაკარგა გზა? არა, აქ გზას არ ასცდებოდა. ალბათ ფეხით წაივდა... სანამდე იელის, სად წამივია!“ აჩქარდა, ეშინოდა, კიკეთ-წყნეთის გზატკეცილზე არ გაესწრო. მანამდე უნდა დასწეოდა. მანქანა მოაბრუნა და მთელი სისწრაფით მიუშვა ოკრობოკრო გზაზე. საქმეზე დახრილი გზას გასცქეროდა, მაგრამ მზია არ ჩანდა. გამოიჭრა მანქანა გზატკეცილზე და შორს შუა ასფალტზე ჩქარი ნაბიჯით მიმავალი მზია გამოჩნდა.

მთელ გზაზე ადამიანის ქაქანება არ იყო, არც მანქანები ჩანდა. გახურებულ ასფალტზე ბული ასდიოდა. ლადო დაეწია მზიას, მარჯვნიდან ჩაუარა, მანქანის კარი გააღო.

— დაჯექი! — უთხრა თითქმის ბრძანებით.

მზია არ შედგა. უარის ნიშნად ჯიუტად გაიქნია თავი. ნამტირალევი თვალები ჰქონდა, გამტვერილი და მოქანცული სახე.

— დაჯექი-მეთქი! — გაუმეორა ლადომ იმავე კილოზე.

მზიამ მხოლოდ ახლა შეხედა და მკაცრად უთხრა:

— წყნეთამდე ფეხით რომ მომიხდეს ასე, მაინც არ ჩავედები! — მოშორდა მანქანას და გზის ნაპირზე გადავიდა.

ამ დროს გზაზე კიკეთის მხრიდან მომავალი საბარგო ავტომობილი გამოჩნდა. ძარაზე ბენზინის თუ ნავთის კასრები ელაგა. მანქანა სწრაფად ახლოვდებოდა. კასრები ერთმანეთს ეხეთ-

ქებოდნენ, ხტოდნენ და ელრიალ-ხრიალი გაქჷნდათ. როგორც კი მოახლოვდა, მზიამ ხელი აუწია საბარგოს.

მანქანა ერთბაშად შედგა. კაბინის სარკმლიდან თავი გამოყო პირტიტველა შოფერმა და შეხედა თუ არა მზიას, უმალ მთელი მტკაველის სიგრძე-სიგანეზე გაიშალა მის დაღლილ და უძინარ სახეზე აღტაცების ღიმილი.

— წამიყვანეთ წყნეთამდე! — სთხოვა მზიამ.

შოფერმა ახლა-ღა დაინახა გზის მეორე მხარეს გაჩერებული „პობედა“, მის სახეზე უმალ აღიბეჭდა ის გამოძეტყველება, რომელიც ამბობს: „აჰა, გასაგებია, რაც მოხდა!“

ლადო მანქანიდან გადმოვიდა. უნდოდა შეეჩერებინა მზია, მაგრამ მზიამ ასწრო მანქანაზე, შოფერმაც არ დააყოვნა. ახმაურდა სტარტერი, ამუშავდა მორტორი და ტკაცანი გააღინა რაღაცამ, მანქანა ერთბაშად მოსწყდა ადგილს. ლადოს ცხელი და შავი კვამლი მოჰპერა.

ლადომ პაპიროსს მოუკიდა, იდგა შუა გზაზე, უყურებდა, როგორ აირბინა საბარგომ აღმართი. პაპიროსი გადაადგრო, ფეხით გასრისა და ბრაზიანად გადააფურთხა. მერე საკეცს მიუჯდა. იჯდა მოღუშული და გაბოროტებული. ამავე დროს, მისდა გასაკვირად, თანდათან ზიბლავდა მზიას საქციელი. თითქოს უხაროდა კიდევ, რომ ასე მოიქცა. „არც ერთ ქალს არა ჰგავს, იმათთაგანს, ვინც შემხვედრია. წყნეთამდე ფეხით რომ მომიხდეს ასეღა, მაინც არ ჩაეჯდებიო... როგორი მითავაზა! — ხელი მოისვა ლოყაზე. ყური ახლაც უწიოდა. — ასეთი უნდა შეირთო... ღმერთმანი შევირთავდი. დალახვროს ეშმაკმა, დიდებული ვოგოა!“

•
•

სამედიცინო ინსტიტუტის ვესტიბულში, დერეფნებში და კიბეზე აბიტურიენტები ირეოდნენ. დღეს მედალოსნებს ცდიდნენ ფიზიკაში. დიდი

კონკურსი იყო. მხოლოდ იმას მიიღებდნენ, ვინც ხუთზე ჩააბარებდა გაუმოცდას. ნერვიულობდნენ ახალგაზრდები. ყოველი მათგანი თავისებურად ამელავნებდა მღელვარებას. ზოგი გაფითრებული იყო, ზოგს აღმური ეკიდა სახეზე. ერთნი განუწყვეტლივ ლაპარაკობდნენ, მეორენი დუმდნენ. სახუმარო საქმე როდი იყო ფრიადოსნისათვის ერთი ნიშნის დაკარგვის გამო ინსტიტუტის გარეთ დარჩენა, მერე ამხანაგებში და ნაცნობებში თავის მოჭრა. ვინ იცის, ვინ რას იფიქრებდა. რას არ დასწამებდნენ, რას არ იტყოდნენ.

არც აბიტურიენტების შრობლებს ადგათ კარგი დღე. ინსტიტუტის კარებთან შეყრილნი, მოუთმენლად ელოდნენ, რა ბედი ეწეოდათ მათ შეილებს. ინსტიტუტის შესასვლელს ორი კარისკაცი დარაჯობდა და შიგ არავის უშვებდა. ქუჩაში ტევა არ იყო.

ხალხისაგან ცოტა მოშორებით, ქაღარების ძირას ბოლთასა სცემდა ლადო ჩხეტიანი. სპორტული კოსტუმში ეცვა. პიჯაკი გახსნილი ჰქონდა, ცალი ხელი შარვლის ჯიბეში ედო, მეორე ხელში ცხვირსახოცი ეჭირა და წარამარა შუბლზე ისვამდა, თან მაჯის საათზე იყურებოდა.

სრულ ცხრა საათზე დაიწყებოდა გამოცდა. „იქნებ მოვიდა და მე ვერ დაეინახე!“ კარებისკენ გაემართა. კარისკაცებმა შორიდანვე მოწიწებით გაუღეს კარი და ქუდის მოხდით მიესალმნენ. ლადოს არ უპასუხია. შედგა თუ არა ფეხი ვესტიბულში, ერთი წამით ერთბაშად შეწყდა ფუსფუსი და ჩურჩული და ყველა ქალიშვილი, როგორც ერთი, მისკენ მობრუნდა.

— ლადო ჩხეტიანი, ვოგო!

— დედა, მისი პირივე!

— უი, რა თვალები აქვს! მაგან რომ შემოგხედოს, არ გაგიცდები?

ეს გაუბედავი ჩურჩული მხოლოდ მაშინ გაისმა ვესტიბულში, ლადო რომ კიბეს აჰყვა. ერთმანეთს ჩემეტდნენ ქალიშვილები, თუმცა ლადო არავის ამჩნევდა, არავის უყურებდა, მაგრამ

მინც თმას ისწორებდნენ, ისე დგებოდნენ, რომ კარგად დანახებოდნენ, ზოგმა ჯიბის სარკეც კი მოიმარჯვა, წარბებზე სველი თითი გადაისვა.

ლადო მეორე სართულზე ავიდა თუ არა, მიმი გორდუნიანი შეეხება წინ.

— ოო, ვოლდემარ! ესლი ბი ტი ზნალ, კაც ია ვოლნუიუს! — წამოიძახა მიმი და ხაზგასმული ფამილარობით გაუწოდა თავისი პატარა და ლამაზი ხელი, რათა დაენახათ, თუ რა ახლო მეგობრობა ჰქონდა ლადო ჩხეტიანთან.

ლადომ შენიშნა ეს და ცივად ჰკითხა:

— მზია არ გინახავს?

— მზია? — გაგრძელებით წარმოთქვა მიმი და დააპაქუნა თავისი ჩინური, გრძელწამწამებიანი თვალები, — არ მინახავს. ბედნიაეკა, ი ონა სდაიოტ სეგოდნია!

ლადომ არაფერი უპასუხა, შებრუნდა, რათა ქვევით ჩასულიყო და იქ, ქუჩაში დალოდებოდა მზიას. უცებ მისი სახე თავშეუყავებელმა სიხარულის დიმილმა მოიცვა. ეს დიმილი იმავე წუთში დაიჭირა მზიამ, რომელიც გულამოშდარი ამორბოდა კიბეზე, ფეხი აერი, უნდოდა შებრუნებულიყო, მაგრამ გამოცდის დაწყების ზარს რეკდნენ უკვე. გადაწყვიტა, არ შეჩერებულიყო, არც მისალმებოდა, ჩაევილო გვერდით.

ლადომ იგრძნო ეს, ჩაეგება და წინ დაუდგა.

— სადა ხარ აქამდე, მზია?

ისეთი ხმით ჰკითხა, რომ მზიამ უნებლიეთ ასწია თავი და შეხედა.

— დამავციანდა, — თქვა და ყურებამდე გაწითლდა. იმდენად კეთილი ეჩვენა ლადოს სახე, მისი ხმა, თითქოს ამ სამი დღის განმავლობაში სრულიად გამოცვლილიყო იგი და მის წინ იდგა მისი მორჩილი, მოთაყვანე და თავისი დანაშაულით დარცხენილი. „არა, ეს მე შეჩვენება!“ გაიფიქრა უმაღლეს მზიამ და წამწამები დახარა. უნდოდა თავი დაეჯერებინა, რომ მართლა ეჩვენებოდა.

— მზია, აუდიტორიაში ოთხი გამომცდელი იქნება. შენ სათვალეზიან,

გამხდარ კაცთან მიხვალ. შეგიშვებენ თუ არა გამოცდაზე, პირდაპირ მისვენ გასწიე.

მზიამ თავი დაუქნია და სწრაფად გაშორდა.

დაიწყეს გამოცდაზე შემსვლელთა გამოძახება. დაიძახეს მზიას გვარიც.

ლადო ქუჩაში გავიდა. ადგილს ვერ პოულობდა. არ იცოდა, რა ემართებოდა, რატომ ნერვიულობდა. ხომ დარწმუნებული იყო, რომ მზიას ხუთიანს დაუწერდა მისი მეგობარი! „რას ვდელავ, რას დავაბიჯებ აქ? რას ვუცი? რას იტყვის ხალხი, რამდენი ნაცნობი მხედავს, ალბათ!“ ვერ გაიგო, როგორ ამოყო თავი სასაუზმეში. წვეთს არ დალევდა მარტო, ახლა ზეზეურად გადაკრა ერთი ჭიქა კონიაკი...

აუდიტორიიდან პირველი მიმი გამოვიდა. კართან მიჯარულ აბიტურიენტებს ისე გადახედა და ჩვეულებისამებრ ისე დააპაქუნა თვალები, რომ ყველა მიხვდა, ხუთიანი მიიღო.

— რომელი ბილეთი შეგვხდათ?

— ვისთან მოხვდით?

— ბოლომდე კითხულობენ ბილეთს?

— მაგრა კითხულობენ? — მიესივნენ მიმის ქალები და ვაყები და ყოველი მხრიდან მიაყარეს კითხვები.

მიმიმ არც ერთ კითხვაზე არ გასცა პასუხი. ნაღვლიანად მიაცეცა შეშინებულ სახეებს თვალი.

— ეპ, ნეტა თქვენ, ეგრე რომ დელავთ. გლუბოსტი! — მინც ვერ შეიკავა თავი არ წაეტრახახებია: — მაგრა კითხულობენ, მაგრამ მე კარგად ვიცი...

სიტყვა ვერ დაამთავრა. ყრუ კვნესით გაიჭრიალა აუდიტორიის დიდმა კარმა და დერეფანში მზია გამოვიდა. აღამიანის ფერი არ ედო, თვალები გადიდებოდა, არ სუნთქავდა.

ყველამ უკან დაიხია. გზა უტიეს, არავინ არათერს შეჰკითხებია.

— ოო, ერუნდა, დარაგია! — გაშოსლო მაშინვე ხელი მიმიმ. ფანჯარასთან მიიყვანა და ჩინური მარათი დაუნიავა. — მე გულთან არასოდეს არ მამაქვს საწყენი. ს კაკოი სტატი. როგორ

აეიშლი ძარღვებს. ოხ, ძვირფასო, ნეტა ჩემთვის დაეკლო ნიშანი... მე ხომ მხოლოდ ზიგმუნდის ხათრით შეედივარ საექიმოზე. ჩემი მისწრაფება სცენაა. აგნი რამში, აპლოდისმენტი, ყვავილები, თაყვანისმცემლები. აი ცხოვრება. შარშან ვაბარებდი თეატრალურ ინსტიტუტში და ჩამჭრეს იმ წყევულებმა... ვთქვით, ჩემგან კარგი მსახიობი არ დადგება, მაგრამ განა ცუდი მსახიობი არა სჯობს ცუდ ექიმს? ოხ, ზიგმუნდ, ზიგმუნდ! ფი, რანაირი ექიმი უნდა ვიყო მე, როცა ავადმყოფის შეხედვაც კი მზარავს. მაინც რა დაგიწერეს, ძვირფასო?

— ოთხიანი.

— ბედნიერი ხარ. შედი ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე, ან უცხო ენათა ინსტიტუტში! რა ქალის საქმეა ექიმობა, სისნლი, ჩირქი, დიზინტერია! ფი, ფი!

მზია არ უსმენდა მიმის კარტალს. „ქუჩაში მიცდის ალბათ“, — ფიქრობდა შიშით.

— არ მისმენ, მზია? — ხელი მოჰკიდა მიმამ და თვალბზში შეხედა. — ჰო, ქუჩაში გიცდის, — უყურებდა ალტაცებით. — ბოყე მოი, კაკია კრასოტკა. დამიჯერე, დღესვე გამოიტანე საბუთები და უცხო ენათა ინსტიტუტში წაიღე. ფრანგული ენის ფაკულტეტზე შედი! სტენდალის, ფლობერის ენაა, ძვირფასო: — *Que mes lèvres s'ecrasaint à baiser tes main* * გახსოვს სალამბოდანი!..

მზია ინსტიტუტიდან გამოვიდა, ძლივს გაიკვლია გზა კარებთან შეჯგუფებულ ხალხში. ლადო არსად ჩანდა. თვითონაც არ იცოდა, გაუხარდა თუ ეწყინა ეს. გამვლელებში გაერია და ქუჩას გაჰყვა. რაღაც უხერხულობას გრძნობდა, ასე ეგონა, მთელმა ქუჩამ იცოდა, რომ ცუდი ნიშანი მიიღო და ყველა მას შეჰყურებდა. სულ ორმოცი ნაბიჯი არ ექნებოდა გავლილი, რომ ვიდაცამ

მკლავში ხელი მოჰკიდა, მზია არ შემკრთალა, არც მოუხედავს, გუჯის გუნჯურა. არ უცდია მოეშორებინა მისი ხელი, არ ყოფნიდა ამისათვის ძალა. ლადო არ ხედავდა მის თვალბზს, მაგრამ გრძნობდა, ისინი ისეთივე ზიზღს გამოხატავდნენ, როგორსაც იქ, ციხესთან. ერთხანს ჩუმად მიდიოდნენ.

— რა მოხდა, მზია? — ჰკითხა ბოდლოს ლადომ.

— ჩავიკერი, — იცრუა მზიამ.

— ცაგარელმა ჩაგჭრა? — გაშეთდა ლადო.

— არა.

ლადომ მაგრად ჩასჭიდა მკლავში ხელი.

— მითხარი, რა მოხდა! — უთხრა ყრუ ხმით.

— სხვას ჩაეპარე, — უბასუხა მზიამ.

— რატომ სხვას?!

— იმიტომ... — ენა დაება. — მინდოდა სხვის დაუხმარებლად... ჩემით... რომ შემეცადინა, ხუთიანს მივიღებდი. — თითქმის წამოიყვირა მზიამ და პირდაპირ შეხედა თვალბზში ლადოს, — თქვენ გინდოდათ, დამხმარებოდით, რომ სხვისი ხუთიანი ჩემთვის დაეწერათ... ეს ხომ უსინდისობაა!.. — თავზარი დაეცა, რა გაეუბებდო, მაგრამ გარეგნულად არ შეამჩნევინა ეს ლადოს.

ლადოს აღმური მოედო სახეზე, უნდოდა რაიმე უკმეხი ეთქვა და მისდაგასაკვირად ვერ მოახერხა.

— მე მხოლოდ კარგი მინდოდა შენთვის, მზია.

— არა, თქვენ ჩემზე არ ფიქრობდით... თქვენ მხოლოდ ჩემი გულის მოგება გინდოდათ.

— როგორ მიხედავ? — ლადომ უფრო მაგრად ჩასჭიდა მკლავში ხელი და თავისკენ მოაბრუნა მზია.

მზიას მკლავი ეტყინა, მაგრამ წარბი არ შეუხრია.

— მე თქვენზე უკეთესი წარმოდგენისა ვიყავი! — მიახალა მოურიდებლად და მკლავის დაქნევით მოიშორა მისი ხელი, შებრუნდა და ხალხში გაერია.

* დაე ტუჩები გამოეცდეს შენი ხელის კოცნით.

ლადომ მიმოიხედა, ხომ არავინ გვიყურებდაო. ჯგროდ მიმოდიოდა მის წინ და უკან სიციხისაგან გასავათებული ქალი და კაცი, მიცურავდნენ მის წინ გაოფლიანებული, ფერდაკარგული სახეები და ლადოს ეჩვევნებოდა, თითქოს დამცინავად უდიმოდნენ, ეღრჩებოდნენ.

პერანგის ღილი შეიხსნა. ვერ მოიტყუა თავი, სიციხისაგან როდი უგუბდებოდა სული, ბოლმისაგან იყო გაგუდული. უცებ მის წინ ხალხმა სწრაფად დაიწია კედლისაკენ, გაისმა წყლის შხუილი, ჩაიქროლა ქუჩის სარწყავმა ტროლებიუსმა. მტვერი და გრილი შხეფი მიაფინა ლადოს ახლად გაუთავებულ კოსტუმს.

ლადომ ყურადღება არ მიაქცია. წყლით ალაპლაპებულ ასფალტს კვლავ დაედო გამელელთა ჯგრო. ლადო გაპყვა მათ. მიდიოდა და თვითონაც არ იცოდა, სად.

„ვილაც ცინგლიანმა სოფლის გოგომ! კმ, მიმიფურთხებია მის წარმოდგენაზე! — ცდილობდა დამშვიდებულიყო. — სასაცილოა, რისთვის ველავდი, ვწუხდი, ვფიქრობდი... არა, ნამდვილად მომწონს ეს ცინგლიანი გოგო. — სიტყვა ცინგლიანი ახლა რაღაც თბილად და ნაზად წარმოთქვა. — თქვენ მხოლოდ ჩემი გულის მოგება გინდოდათო. ეს ხომ მართლაც ასეა. აბა, რას ვერჩი?!.. რატომ ებრაზობ? ეს ხომ უსინდისობააო, — გაიცინა: — უკეთეს სიტყვას ვერც იპოვი... მართლაც უსინდისობაა, გაუწიო ასეთი დათუერი სამსახური. ფუ, რამ დამბარმაჟა ასე? რომ ემეცადინა, მართლაც შეეძლო ხუთიანი მიელო. არ მივიდა ცაგარელთან... არა, ნამდვილად მომწონს, დალახეროს ეჰმაკმა! — ახლა აქ რომ ყოფილიყო მზია, შესაძლებელია ცხელ გულზე ეს ყოველივე ეთქვა მისთვის. მაგრამ პატივმოყვარე იყო და ამაში შემდეგში ვეღარ გამოუტყდებოდა. — შეეძლო მიელო ფრიადი და უარი თქვა! — ფიქრობდა აღტაცებით და მიაბიჯებდა თავისი ენერგიული ნაბიჯებით, მისი ცოცხალი, ღია

სახე განათებული იყო კმაყოფილებისა და სიხარულის შუქით. მიაბიჯებდა ისე, როგორც კაცი, რომელიც შემღერის, შეჭხარის ირგვლივ ყველაფერს. ბედნიერი იყო ამ წუთში და რომ გეკითხათ — რატომ, ვერ ვეტყვოდათ მიზეზს.

საათს დახედა. მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ ლაბორატორიაში მიდიოდა. ვაილიმა, ნაბიჯს აუჩქარა, ესწრაფებოდა დაბრუნებოდა თავის სამუშაოს.



სამი დღეა მზიაზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევს ვერიკოს. რაღაც სასიკეთო ამბავი არ გადახდა მზიას. შორს უკირავს თავი, განუდგა, განეთიშა დედას, თავის ნაპუქში ჩაძვრა და არც უგონებს და არც უყურებს. რა მოხდა იმ დღეს იმ დასაწევ ციხეზე? ისეთი დაბრუნდა იქიდან, თითქოს მხოლოდ კაბა ეცვა თავისი, სახე ჰქონდა თავისი და სხვა არაფრით არ ჰვავდა თავისთავს.

თვრამეტი წლის მოძყარა მზია და ჯერ არაფერი დაუშალა დედისათვის. ან რანაირად დაუშალავდა, საკმარისი იყო, ერთი შეეხედა შეილისათვის, რომ, როგორც სარკეში, ისე დაინახავდა მის სახეზე მის ფიქრსა და აზრს, სიხარულსა და დარდს. იმ წყეული დღის აქეთ თითქოს ბინდი გადაეფარა იმ სარკეს, დაიხურა მზიას გული დედისათვის.

მეასეჯერ იფონებდა მზიას კოჯრის ციხიდან დაბრუნებას. იმ დღეს ხის ქვეშ ჩრდილში იჯდა და გზისაკენ ექირა თვალი. გამოჩნდა თუ არა მზია მოსახვევში, სიარულშივე შეატყო, რომ რადიკით შეშინებული და შეშფოთებული იყო. აქეთ-იქით იყურებოდა, ხომ არავინ მხედავსო. კაბასა და თმას ისწორებდა წარამარა და გულგაბთქილი მორბოდა. შემოვიდა კიშკარში და დაინახა თუ არა დედა, უცებ შეიცვალა, მიიღო უღარდელი გამომეტყველება, ბტუნეცეკვითა და კაბის ფრიადით გამოიქცა

ვერიკოსკენ. „რა კარგი იყო, დედა, რომ იცოდე! რამოდენა ციხეა, თავი ცაში აქვს მიბჯენილი!“

შედგა დედის წინ და აქ გაახსენდა, მახუთში და ნავთში რომ იყო ამოსვრილი. გაიცინა. „მენახშირეს არა ვგვარ, დედა?“ — უთხრა დედას, რამდენადაც შეეძლო უღარდელი ხმით. სახე, მკლავები, კაბა, წვივები მახუთითა და მტერით ჰქონდა შეფერილი. თვალწინ დაუდგა მთელი გზა: როგორ ებრძოდა ძარაში მოხტუნავე მახუთისა და ნავთის კასრებს და ტირილი ყელზე ადგა. ისეთი დაქანცული იყო, არ იცოდა, რა ძალას ეკავა ფეხზე. დაინახა დედა შიშით შეშურებდა და მიხვდა, ყველაფერს ამჩნევდა, მაგრამ მაინც არ გატყუდა. დედას უთხრა, გზაში მანქანა გაგვიფუჭდა, საბარგოში გადავსხედით, ძარაში მახუთის კასრები იდგა და ყველანი ასე ამოვივანგლეთო.

როცა ხელპირი დაიბანა, ტანსაცმელი გამოიცვალა და სარკეში ჩაიხედა, დაინახა თავისი არაბუნებრივად გაფითრებული სახე, ნაღვლიანი, უძრავი თვალები, მიხვდა რომ ის, რაც გაითამაშა, სისულელე იყო.

შიოდა, მაგრამ ჰკამა არ შეეძლო, თავის საძინებელ ოთახში გავიდა, გაუხდელად ჩაწვა ლოგინში. იცოდა, დედა შემოვიდოდა და შიშით განაბული გულისძვერით მოელოდა. და აი, დედაც გამოჩნდა კარებში და საოცარია, რა უბრალოდ გადააწვდა ის, რისიც ასე ეშინოდა.

— დედა, გთხოვ ნურაფერს მკითხავ, — უთხრა დედას, როგორც კი ის ოთახში შემოვიდა.

— კარგი, შვილო, — შუა ოთახში შედგა ვერიკო.

— თუ ჩხეტიანი მოვიდა... — შხიას ხმა გაეზარა, გვერდზე გადაბრუნდა. — ის აღარასოდეს არ უნდა მოვიდეს ჩვენსა, დედა...

— რა მოხდა, მითხარი, შხია!

— აკი გთხოვე, დედა, ნურაფერს მკითხავ-მეთქი.

ვერიკო მორჩილად შებრუნდა, გავიდა და ჩუმად მიხურა კარი. შხია მარტო დარჩა. არ ნანობდა, რომ ასე მოიქცა. რალაცაში ბრალს სდებდა, მაგრამ ჯერ საესებით ვერ გარკვეულიყო, რაში აღანაშაულებდა დედას. ათასი ფიქრი უტრიალებდა თავში. იმდენად მოქანცული და გატეხილი იყო, რომ ვერც ერთ ფიქრს ვერ აძლევდა პასუხს და მალე ჩაეძინა.

დილით, გაიღვიძა თუ არა, გუშინდელი დღე დაუდგა თვალწინ და გაუკვირდა, რომ სრულიად დამშვიდებული იყო. ის, რაც გუშინ მოხდა, ეჩვენებოდა იმ უბედურებად, რომელიც გვერდიფ ჩავივლის და არაფრით არ შეგეხება. იყო და არა იყო რა! არ კიცხავდა ლადოს. „მე მისთვის ჩვეულებრივი ქალი ვიყავი. მეც ისე მომექცა, როგორც ყველა სხვას. რითი ვეჯობივარ მისთვის მე იმ სხვებს? მე ხომ სძულიად უყოყმანოდ მივიღე მისი წინადადება, დამხმარებოდა ხუთიანის მიღებაში. რატომ უნდა დამეხმაროს უცხო კაცი?.. მე უნდა მომიმატონ ნიშანი და ვიღაცას, რომელსაც ჩემზე უკეთ ეცოდინება საგანი, დააკლონ! ლადოს ხომ პატიოსან კაცად თვლიან! მაშ, რატომ აკეთებს იგი ჩემთვის ასეთ საქმეს! მიხვდა, რაში აღანაშაულებდა დედას. ღმერთო ჩემო, მე ხომ შედელიც სხვას წავართვი. თავზარი დაცა, სახეზე ხელები აიფარა. — ეს სხვა... ის სხვა ხომ, ელგუჯაა!.. — ფიქრობდა ძრწოლვითა და შეშფოთებით. თვალი დახუჭა და დიდხანს იწვა უძრავად, სახე ეწვოდა სირცხვილისაგან. მერე გაახსენდა, როგორ აწონებდა თავს ელგუჯას ცაცხვის ქვეშ მდელით, მისი მდელით, მდელით, რომელიც ელგუჯასი უნდა ყოფილიყო. ელგუჯამ იცოდა ეს... მთელმა სოფელმა იცის... აი, მამას რატომ არ მოსწონდა ჩემი „ხუთიანები“. რატომ დროზე არ მომხდევ, მამა! — შესჩივლა მამას, — არ გეცალა!.. შენ არასოდეს არ გცალია შენი თავის-

თვის. — თავი კი არ შეეცოდა, მამა შე-
ებრალა. — რა სამარცხვინო შვილი
გყავს, მამა!.. — წამოხტა, ქოშებში ფე-
ხი შეყო, რომ დედასთან გასულიყო და
ეთქვა ეს, მაგრამ უცებ გადაიფიქრა.
არაფერი აზრი არა ჰქონდა ამას... სასა-
დილო ოთახში გავიდა. მაგიდაზე საუ-
შმე იყო გაშლილი. მხოლოდ ახლა იგრ-
ძნო, რომ შიოდა, სუფრას მიუჯდა.

ვერიკო მეორე ოთახში ფუსფუსებ-
და. თითქოს რაღაცა საქმით იყო გარ-
თული, მაგრამ არაფერს კი არ აკეთებ-
და, თვალი და ყური შვილისკენ ჰქონდა,
ეშინოდა მისი და ვერ მიმხედარიყო —
რატომ, რაღაც დანაშაულს გრძნობდა
მის წინაშე და არ იცოდა, რაში მიუქ-
ლოდა ბრალი, მაგრამ იცოდა მზიამ და
კმაყოფილი იყო... მაღიანად და გემრი-
ელად ჰამდა. ასე ეგონა, ამდენი არასო-
დეს ეჭამა. ნასაუზმევს ფიზიკის სახელ-
მძღვანელო აიღო და გამოცდის დღემ-
დე ხელიდან არ გაუვლიდა.



მზიამ იცოდა, რომ სამი დღის თავდა-
დებული მეცადინეობა არ უშველიდა,
ხუთიანს ვერ მიიღებდა, მაგრამ გამოც-
დაზე მაინც წავიდა. ახლა, გამოცდის
შემდეგ, ლადოსთან ლაპარაკის შემდეგ
თავაწეული ბრუნდებოდა შინ. რამდენ-
ად სჯობდა ეს ოთხიანი იმ ხუთიანს-
სხვისას, დამამცირებელს, გამოთხო-
ვილს. ოთხიანი არ მიიღებდნენ ინს-
ტიტუტში, მაგრამ ხალხს ზომ თამამად
შეხედავს თვალში, სინდისი ზომ სუფ-
თა ექნება. ვერავინ დასცინებს, ვერა-
ვინ გაჰორავს, ვერ იტყვიან, რომ სი-
ლამაზისათვის დაუწერეს ხუთიანი,
სხვის ადგილს არ დაიკავენ, სხვისი
ცოდვა არ ედება კისერზე.

კოჯრის ციხიდან რომ დაბრუნდა
მზია, იმ დღესვე მიხვდა ვერიკო, რომ
მზია იმ სათვალუბიან ცაგარელთან არ
მივიდოდა გამოცდაზე, ამიტომ მომზა-
დებული ელოდა ცუდ ნიშანს და ეგო-
ნა, სრულიად დამშვიდებული დახედე-

ბოდა შვილს, მაგრამ შემოვიდა თუ არა
მზია ოთახში და თქვა, ოთხიანი მივი-
დო, ერთი სიკვდილი გაათავა. წამო-
დგა, სიტყვა არ უთქვამს, ცისანას ოთახ-
ში გავიდა. მალე იქიდან ნელი ლილინი
მოისმა. იგი დიდხანს არ გაგრძელებუ-
ლა. ალბათ მიხვდა ვერიკო: ეს წამალი
ყველაზე ისე არ მოქმედებდა, როგორც
ცისანაზე.

მეორე დღეს მზიამ ინსტიტუტიდან
საბუთები გამოიტანა და საღამოს მატა-
რებლით სოფელში წავიდა. ვერიკოს
ხმა არ ამოუღია. „ასლი და კვალი მა-
მა, — ფიქრობდა ბრახით, შვილს რომ
ვერ იმეტებდა გასაკიცხავად, ქმარს ადა-
ნაშაულებდა. — მზია რომ არა, არასო-
დეს არ დაეებუნდებოდი იმ წყველ
სოფელში“. გადაწყვიტა ზაფხული და
შემოდგომა ძმასთან გაეტარებინა თბი-
ლისში. იქნებ ამ ხნის განმავლობაში გა-
მოვგლოვა უკანასკნელი იმედის და-
ლუპვა.

გამგზავრების წინ და შემდეგ მატა-
რებელში მზიამ ნათლად იგრძნო, რომ
ელგუჯასთან მიდიოდა. მასთან მიუჩქა-
როდა. ერთი დღე არ გაჩერდა თბილის-
ში. „რატომ? ვინ არის ის ჩემთვის?.. —
ფიქრობდა და არ ეძებდა ამის პასუხს. —
ღმერთო ჩემო, განა სულ ერთი არ არის,
რა საქირთა ამის ახსნა! მე უიმიოდ
ვერ ვიცხოვრებ... ლადო არაფერ შუა-
შია, მე მისი შიშით არ გამოვქცეულვარ
თბილისიდან... არა, მისი შიშით არ გა-
მოვქცეულვარ. მე ის ამოვირეცხე გუ-
ლიდან... ან კი ეკავა ჩემს გულში ადგი-
ლი?.. მე ელგუჯასთან მივდივარ...
ელგუჯასთან!“

ელმავალი სწრაფად მიაფრენდა ე-
გონებს, მაგრამ რა საოცრად ნელა მი-
ზოზინობდა იგი მზიასათვის. რა გაუ-
თავებელი იყო გზა, რა მძიმედ გადიოდა
დრო. თბილისიდან თავის სადგურამდე
რამდენიმე საათის მგზავრობამ ისე მო-
ქანცა, ეგონა, მთელმა საუკუნემ გაი-
არაო. ხალხით გაქედილ ვაგონში თავს
ობლად, ყველასაგან მიტოვებულად
გრძნობდა და ეშინოდა ამ მარტოობის...
მაგრამ აი, მის გვერდით ელგუჯა დაჯ-

და და მზია მიეყრდნო მხრით. მოესმა მისი გულის ცემა, დაინახა, როგორ მიაბრუნა სახე და ფართოდ გახეილოლი, დიდი თვალები ძირს დახარა. დაინახა, როგორ დააფარა მუხლებზე მზისაგან გაშავებული, ფართო ხელი, წვიმისაგან სველი, მაგრამ მაინც თბილი, ტკაცატკუცით რომ ეცემოდა წვიმის მსხვილი წვეთები. და უცებ როგორც მაშინ, თავისი ხელი დააფარა ელგუჯას ხელს და იმიტომ კი არა, სიშიშველე დაეფარა, არა, ეშინოდა არ წაეღო ხელი ელგუჯას...

გადმოვიდა თუ არა ვაგონიდან, მამას დაურეკა. გიორგი არც შინ იყო და არც საბჭოთა მეურნეობაში. სადგურის უკან, გზატკეცილზე გამოვიდა. აქ ყოველ ნახევარ საათში ჩაიჭროლებდნენ ხოლმე საბჭოთა მეურნეობის მანქანები. შუალამემდე უცადა მზიამ, მაგრამ ერთიც არ გამოჩნდა. გადაწყვიტა, ვის მანქანასაც არ უნდა ჩამოეგლო, გაპყოლოდა, და პირველსავე საბარგო მანქანას დაუჯდა.

არასოდეს არ უმგზავრია ასე გვიან მარტოს, უცხო ხალხში, მაგრამ არ შეშინდა, იფიქრა, არ შეიძლება ამდენ მგზავრებში ვინმე ნაცნობი არ იყოსო, და თვალყურება დაუწყო საბარგულის ძარაში ტომრებზე მიმსხდართ. ისეთი ბნელი ღამე იყო, რომ თვალთან თითს ვერ მიიტანდი და ვერავის სახე ვერ გააჩნია.

სადგურიდან გასვლის ერთი საათის შემდეგ მგზავრებმა თითოთოროლად იწყეს ჩამოსვლა. შოფერი ჯიბის ფარანს უნათებდა სახეში და იმის მიხედვით ახდევინებდა ფულს, თუ ვინ როგორ მოუვიდოდა თვალში. ნახვაში იყო და არავინ ედავებოდა, რამდენსაც სთხოვდა, იმდენს აძლევდნენ.

— შენ საით მიდიხარ, გოგონი? — ჰკითხა მზიას, როცა უკანასკნელი მგზავრი გადმოვიდა მანქანიდან და ფარანი მიანათა ძარაში მარტო დარჩენილ მზიას. — ვაჰ, თქვენი ჰირიმეთ, გოგო კი არა, ანგელოზი ყოფილა ეს მშობელ-კეთილი! — გაოცდა შოფერი და თვალმ-

გადმოკარკული მიაშტერდა. — საით მიდიხარ-მეთქი..

— დაბაში, — ძლივს ამოიღო მზიამ, სახე მოარიდა, ისეთი ახმახი და საშინელი მოეჩვენა შოფერი, რომ ტანში გასკრა.

— მერე... მე აქ რო უნდა გადავუხვიო, ხევისკენ?

— მიმიყვანეთ დაბამდე, — შეეხვეწა მზია.

— ჰაი, ჰაი, რომ მიგიყვანდი, მაგრამ ბენზინი არ მეყოფა, — ახმახი თვალწაგდებით უყურებდა და ილრიჯებოდა, მაგრამ უცებ შეაბრუნა კეხი, ფარანი ჩააქრო, რომ სულს არ წაეძლია. — აბა, გადმოდი! — უბრძანა აჩქარებით, — რაღას უცდი? ინა ხომ არ გადაეცემა ფეხებზე, დაადეჭი გზას და ჰაიდა შინისაკენ!

მზია ჩამოხტა ძარადან, ახმახს ფული შეაჩეჩა და სიბნელეს მისცა თავი. გარბოდა, სანამ არ ახმაურდა, ადგაფუნდა მორტორი და არ დაიძრა საბარგო. მაგრამ შედგა თუ არა მზია, ახლა შიშის სხვა ქარმა დაუბერა. ირგვლივ წყველი იყო, ვერაფერს ხედავდა, ვერც გზას, ვერც სახლს. არ იცოდა, სად იყო, საით წასულიყო. ისე შეძრწუნდა, საბარგო რომ არ წასულიყო, უკან დაედევნებოდა.

ამ ყოფაში ჩავარდნილს დანამწეავზე სხვა მდულარე გადაესხა. — ახლოს ტურების ერთი ვაი-უშველებელი კვილი ატყდა. მზია მოსწყდა ადგახლს და გაიქცა. არ იცოდა, საით გარბოდა, მაგრამ განა სულ ერთი არ იყო მისთვის, ოღონდ გაქცეოდა ამ საშინელ ხმებს და ანთებულ თონეში გადაეარდებოდა.

ასიოდე ნაბიჯი რომ გაირბინა, რაღაც შუქს მოკრა თვალში. შუქი ნელა იცვლიდა ადგილს, მოძრაობდა. მალე მორტორის თუბთუხიც მოისმა იმ მხრიდან.

„ტრაქტორია!.. იქნებ ელგუჯასია!“ გაუელვა თავში და ეს წყვილიდით მოცული მიწა საოცრად ახლობელი გახდა მისთვის, რადგან აქ, მის ახლოს, მის გვერდით ელგუჯა იგუჯა. „ელგუჯას-ტრაქტორია... ელგუჯაა!“ აკერებდა-

გულს და თანდათან მშვიდდებოდა. აღარ გარბოდა, ნელა მიდიოდა შუქისკენ, როგორც რაღაც იმედისაკენ. არ აშინებდა ტურების კვილი, არც სიბნელე. ფეხი უფარდებოდა ნახნავებში. „ელგუჯას ნახნაია“, ფეკრობდა და ესეც ნუგუშს ჰგვრიდა.

მიდიოდა დიღხანს, დიღხანს. მერე სხვა შუქიც აკიაფდა სიბნელეში. იგი უფრო ახლო ანათებდა, მაგრამ უფრო მკრთალი იყო, ცეცხლის შუქს ჰგავდა. „ალბათ ტრაქტორისტების ბინაა!“ აუჩქარა ფეხს და მალე ერთ პატარა ქოხს მიაღდა. ირგვლივ ბენზინის და მანუთის მძალე სუნი იდგა. კარის წინ ლითონის კასრები ელაგა. შუაეცეხლის შუქი ანათებდა მათ.

მზია ზღურბლს მიუახლოვდა, შედგა. კერასთან ელგუჯა იჯდა გრძელ სკამზე. წელს ზევით ტიტველი იყო, მუხლებზე პერანგი ედო და ღილს აკერებდა. ცეცხლის ალზე ბრინჯაოსფრად უბზინავდა მზისაგან გაშავებული ტანი, სახე. შუბლზე ჩამოვარდნილი, ნამგალივით მოგრებილი კულული ცალს წარბს უფარავდა, ვერ ახვედრებდა ნემსს ღილის თვალში.

გამხდარი ეჩვენა მზიას ელგუჯა. იქნებ იმიტომ, რომ მარტო იყო, თავისი ხელით აკერებდა ღილს... იდგა, თვალს ვერ ამორებდა. ელგუჯამ იგრძნო, ვიღაც მიჩერებით უყურებდა, თავი ასწია. გაოცებულმა ხმა მხოლოდ მაშინლა ამოიღო, მზია რომ კარებში შემოვიდა.

— მზია, საიდან გაჩნდი აქ? — წამოდგა, პერანგი გადაიკვა. — დაჯექი! — სკამი დაუდგა.

მზია დაჯდა. ჩამოვარდა უხერხული დუმილი. ელგუჯა იდგა აღღვებულ, დაბნეული და გახარებული.

— მე შეგონა შენი ტრაქტორი მუშაობდა, ელგუჯა, — დაარღვია სიჩუმე მზიამ.

— მე ახლახან შემცვალეს.

— შენი გადახნულია ეს ამოდენა მიწა?! მოვდიოდი, მოვდიოდი და არ თავდებოდა ნახნავეები.

— ზოგი ჩემი მოხულია, ზოგი სხვისა.

— გამხდარხარ, ელგუჯა, — თავი ასწია, შეხედა მზიამ და თითქოს ამ შეხედვით მთელი თავისი სული გადაუშალა.

ელგუჯას სუნთქვა შეუგუბდა.

— რად გახდი, ელგუჯა?

— აბა, რა ვიცი... გავხდი კი!

ბევრს მუშაობ? — მზია გრძნობდა, რა უდაგალო შეკითხვებს აძლევდა, და ცრემლი მოადგა თვალბზე.

— ვმუშაობ, როგორც საქმე მოითხოვს, — მიუგო ელგუჯამ, — რატომ დაბრუნდი აგრე ადრე, მზია?

— ოთხიანი მივიღე, — სახე მორიდდა და მერე ნაღვლიანად დაუმატა: — არ დამიწერეს სილამაზისათვის ხუთიანი. მართალი თქვა მაშინ ლიამ.

ელგუჯას უნდოდა რაიმე საწინააღმდეგო ეთქვა, მაგრამ სანამ სიტყვის იპოვნოდა, მზიამ განავრძო:

— ის მედალი ხომ ჩემი არ იყო...

— აბა ვისი იყო?!

— არა, ჩემი არ იყო, — გიუტად გაიმეორა მზიამ. — მაპატიე, ელგუჯა.

— რა, რა გაპატიო, მზია?!

— დაჯექი, — განზე გაიწია, ადგილი დაუთმო სკამზე.

ელგუჯა დაჯდა.

— ის მედალი შენი იყო, ელგუჯა, — თქვა მზიამ.

— საიდან მოიტანე, რეებს ამბობ?! მზიას ტუჩები აუთრთოლდა, ძლივს იკაეებდა ცრემლს.

— მედალი მე წაგართვი ელგუჯა.

— მზია!.. — მეტი ვერაფერი თქვა ელგუჯამ, პირზე შეაშრა სიტყვა.

— მითხარი, ხომ მაპატიებ!

ელგუჯა ვერ პოულობდა საპასუხო სიტყვას. ან რად უნდოდა მზიას მისი პასუხი, ელგუჯა ვედრებით შეჰყურებდა.

— ახლა რას აპირებ, მზია? — ჰკითხა ბოლოს ელგუჯამ.

ვიმუშავებ.

— სად?

— აქ, — უთხრა მზიამ. — და დაუსწრებელზე ვისწავლი.

— სამედიცინოზე დაუსწრებელი ფაკულტეტი რომ არ არის!

— რატომ სამედიცინოზე მაინცდამაინც, სხვა დარგზე ვისწავლი.

მზია თვალს არ აშორებდა ელგუჯას. შენიშნა, ღიღში გარჩენოდა ნემსი, წვერი კისერზე ედებოდა, მაგრამ ელგუჯა არ გრძნობდა. მოჰკიდა ხელი საყელოში მზიამ, გამოაძრო ნემსი, უნდოდა ძაფის ძირი მოეკენიტა, ლოყით ლოყაზე შეეხო უნებლიეთ და ისე შეკრთა, თითქოს დაესუსხათ კანი... მოკენიტა ძაფი და წამოღდა.

— გამაცილე, ელგუჯა!

ელგუჯამ პიჯაკი ჩამოხსნა კედლიდან, წინ მზია გაუშვა და უკან გაჰყვა.

არ იცოდნენ, რამდენი ხანი იყვნენ გზაში, როგორ მივიდნენ ცაცხეთან. ქვის სკამზე ჩამოსხდნენ. არა ისე შორს ერთმანეთისაგან, როგორც იმ წვიმიან დღეს.

ხიღს ქვეშ ბროწეულას ჩქრიანი ისმოდა.

— ბროწეულა! — თქვა მზიამ.

— იცი, მზია, ასე მეგონა, არასოდეს არ დაბრუნდებოდი, — უთხრა ელგუჯამ.

— მეც ასე მეგონა, ელგუჯა.

— მართლა დარჩები აქ, მზია?

მზიამ გაულიმა და თავი დაუქნია. შემდეგ დიდხანს დუმდნენ.

— მცივა, — თქვა მზიამ.

ელგუჯამ პიჯაკი გაიძრო და მხრებზე მოახურა.

— შენ?

— მე არა მცივა.

— ორივეს გვეყოფა.

მართლაც ორივეს ეყო. ისხდნენ მხრებით ერთმანეთს მიკრულნი და ესმოდათ, რა გამალებით სცემდა პიჯაკის ქვეშ მათი გული. ეს იგივე პიჯაკი იყო, დაკრებული, რამდენჯერმე გადაბრუნებული, ქარში და მზეში გამოხუნებული. რა სანეტარო და სათაყვანო იყო ახლა იგი მზიასათვის. პიჯაკს ელგუჯას ტანის სუნი ჰქონდა, ისეთი თბილი იყო.

ისეთი რბილი... ასე ისხდნენ მაშინ მაგრამ ორივე თავისი ფიქრით იყო მოცული. ახლა ერთმანეთზე ფიქრობდნენ. ორივეს გული ერთნაირად სცემდა.

შორს თავწაწვეტებული მთის მწვერვალები ოქროსფრად დაიფერა. მზე ამოცურდა, გობივით მრგვალი და მუქწითელი.

მზიამ დაინახა, რომ ელგუჯა მალულად შეჰყურებდა. წამწამები დახარა, რათა მოურიდებლად ექცირა ელგუჯას, არ შეეშალა ხელი. ასე ისხდნენ დიდხანს, მზიას თვალები უბრწყინავდა, უხაროდა, რომ ასე მორიდებით და აღტაცებით შეჰყურებდა ელგუჯა. ელგუჯამ წელზე მოხვია ხელი. მზია მთელი ტანით მიბრუნდა მისკენ. მათი გულები ისე გამალებით სცემდა, რომ შეეშინდათ და ერთმანეთს მიეკვრნენ. განაბულები შეჰყურებდნენ თვალებში ერთმანეთს და არ იცოდნენ, რა ექნათ.

— ელგუჯა, — წაიჩურჩულა მზიამ.

— რა? — ჰკითხა ელგუჯამ.

— არაფერი, — უპასუხა მზიამ.

ელგუჯამ მეორე ხელით თავი აუწია და აკოცა.

პიჯაკი გადაუვარდათ. არ უგრძნობიათ. მზია ეკეროდა ელგუჯას და უცებ ატირდა.

— მზია! რა დაგემართა?... — შეკრთა ელგუჯა. ხომ არ გეწყინა?

— არა, — უთხრა მზიამ და თვითონაც აკოცა.

— შენ სტირი? — უთხრა ელგუჯამ. ხელები მოხვია მხრებზე.

ამ დროს მანქანა გამოგრიალდა ხილზე.

მზიამ და ელგუჯამ ერთმანეთს ხელი უშვეს და წამოდგნენ.

გიორგის „პობელა“ იყო. ჩვეულებით სამებრ დამტყერილი და მოქანცული მოფუხფუხებდა. სახურავი გადახდილი ჰქონდა. ძია ნიკო საქვე მიძინებულს ჰკავდა და მანქანა თავის ბედზე მიშვებულებით მოდიოდა. გიორგი კი გამართული და პირდაპირი იჯდა. უქედოდ იყო, საყელოგაღდილი. შუბლი და მკერდი ნიავისთვის მიეშვირა. თვითონ-

ნაც გამტეერილი იყო, მაგრამ დაქანცვა არ ეტუობოდა. დღედაღამ მინდორში ყოფნით გათეთრებამდე გამოხუნებული თმა და ეანგისფერდაკრული სახე გლუხკაცის იერს აძლევდა.

მანქანამ სულ ახლოს ჩაიარა. გიორგიმ ვერ დაინახა მზია და ელგუჯა, ისინი არ განძრეულან, იდგნენ და მოჯადოებულებივით შეჰყურებდნენ.

„პობედა“ მოსახვევს მიეფარა.

— წავიდა მინდვრებში, — თქვა მზიამ.

— მინდვრების მამა, — გაიღიმა ელგუჯამ.

მიწყდა მანქანის ფუხფუხიც.

— ელგუჯა! — მობრუნდა მზია — არ დაგაგვიანდეს ცვლაზე.

ელგუჯა პიჯაკს დასწვდა, მხარზე გადაიგდო, ჩაჰკიდეს ხელი ერთმანეთს და გაიქცნენ. ტყის პირისაკენ, რომლის იქით ტრაქტორს დგაფ-დგაფი ვაჰქონდა.

ცა შინდისფრად შეიღება. მიწა თბებოდა, ჩამუქებული ნახნავეებიდან მოტყვიისფრო ოხშივარი ხან ერთგან, ხან მეორეგან წამოიდგამდა წელს, ზევით არ იწევდა, ვერ შორდებოდა მიწას, იძენძებოდა და ნახნაეს ეკვროდა ისევ.

გარბოდნენ მზია და ელგუჯა, დანამული მიწა ფეხზე ეკვროდათ, მაგრამ არ ამძიმებდათ. თითო ტომარა ტვირთი რომ მოეკიდათ ახლა მათთვის, ქვეყნის დასალღობრამდე ისე მიირბენდნენ, არც კი იგრძნობდნენ.

ხაიზონ ჰაიროზიძე



არტურ ლაისტი

ჩვენი ქვეყანა მას უყვარდა
სულით და გულით,
ჩვენი მთაბარი, ფირუზ ზეცით
შემოგარსული,
ზიბლავდა ქართლის მატთან
დიდი წარსულის,
ფარგმნიდა რუსთველს მისი სიბრძნით
შთაგონებული.

აჟ გაატარა მან სიცოცხლის
მრავალი წელი,
ვაიზიარა სიხარული
და ჩვენი სევდა.
ჩვენს ერს მიეძღვნა არა ერთი
წიგნი გულწრფელი.
იგი ჩვენს მიწას თვლიდა თავის
მეორე დედად.

„საქართველოს გულს“ გატაცებით
ის უმღეროდა,
სწამდა სიბრძნე და სიდიადე
ქართველი ერის,
ჩვენს დიდ ილღას გულწრფელობა
მისი სჯეროდა.

არტურს ძმად თვლიდა მოყვარული
და მადლიერი.

ბევრჯერ მინახავს მე ქუჩაში
ჩვენი არტური
(ეს მოგონება სიხარულად
გულს ჩამრჩენია!),
მისალმებდევარ მოკრძალებით,
ტკბილი ქართულით,
მისგანაც ჩვენი — „გაგიმარჯოს“
მუდამ მსმენია.

უკროთოდა თვალში სისპეტაკე
კეთილშობილი,
შთაგონებული როს ვიღოდა
მშვიდად და წყნარად.
მისი სახელი საყვარელი,
ჩვენში ცნობილი,
ძმობის სიმბოლოდ ანთებული
იცოცხლებს მარად!

მთარ ჟიღამ

★

კახეთი, რთველი

იმ ლამეს მაინც... შენს შავ თვალებში
ბტოდნენ ჭინკები და ვარსკვლავები,
მე ლაფში ჩამრჩა ჩემი კამეჩი
და შენი ეზოს ბარდში გავეები.

გადავივიწყე რიდი და შიში —
ჩემად შეხილე ოღონდ ახლავე,
შენ შეიშალე აივნის ჩრდილში
და მომისიე ავი ძაღლები.

აივნის რიკულს ვაზივით შერჩი,
ნაწნავის ბოლო პეშეში დაფშვენი
და გაწბილებულს გადმოწყვა ბნელში
შენი თვალები და მამაშენი.

მე მისი რისხვა ძლივს ავიცილე,
ძლივს ავარიდე ხმელ კომბალს კეფა...
და ახლაც მესმის შენი სიცილი
და გაანჩხლებულ ძაღლების ყეფა.

გუხარი

მე შენთან სტუმრად მოვსულვარ ახლაც,
აქ მიბოვია დღის დასასრული.
მე მიყვარს, შენი პატარა სახლი,
სიმყუდროვე და კედლების სუნი.

მე მიყვარს, მაგრამ ვერც ვიტყვი,
რატომ,
ფესვი გადგმული სულში ისეა.
და იქნებ ჩემი სტუმრობა მართო
ჩვეულებაა და სინდისია.

შენ ისევ ისე მიხდი მადლობას,
რომ მოველი და ამზადებ ჩაის,
ვინ იცის, თოვლი როდის გადნება
და რა იქნება, ვინ იცის, გაისს.

როგორ ბერდები, როგორ ბერდები...
და მოწყენილი შეგრჩა იერი.
მე ჩემი გზებით და იმედებით
სულ სხვანაირად ვარ ბედნიერი.

და მაინც მიყვარს ეს ჩემი სახლი,
ეს ძველისძველი დიდი ბუხარი,
შენი ფერმკრთალი და წყნარი სახე —
ისე ლამაზად არის მწუხარე.

ერთდროს შენც იყავ ნაზი და ჩილი,
შენც გერბეოდა ყურზე საყურე.
დაღიხარ, ფიქრობ და გეჩვენება,
როგორ ადაბლებს თოვლი სახურავს.

ასეა, როცა გადივლის ქარი,
ტყეშიც ამგვარად დგება ზამთარი.
დრო, გაფრენილი საოცრად ჩქარა,
შენს თმებში ვერცხლად არის ჩამდნარი.

და მე მგონია, იმიტომ მიშვებ
შენთან, მდუმარე და მწუხრისფერი,
რომ შენს მახლობლად მეც ვიგარძნო
შიში

საღლაც მოართულ ჩემი სიბერის.

მე დღეს ბუხარი ვერაფერს მეტყვის,
მე დღეს სურვილებს გრიგალს
ვატოლებ.

ის აიშენა მან, ვისაც მეტი
ჰქონდა წუხილი და სიმართოვე.

გარეთ შრიალებს იანვრის თოვლი,
იძინებს ბაღი ქარით ნარწყევი.
ახლა მშვიდობით. მე კიდევ მოვალ
შენი მსმენელი და ხმის გამცემი.



მე მინდა შენს ლანდს ეს ლექსი
 ვუთხრა,
 უბრალოდ ვუთხრა, როგორც სუფრაზე.
 ყველას გვაქვს ჩვენი პატარა კუთხე,
 სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი უფროსი.

ეცემა თოვლი... და ყველაფერი
 დიდი ფრინველი, ეცემა თოვლი
 და მე მგონია, რომ დღეს პირველად
 არ შემიძლია მე შენი პოვნა.

ეს თოვლი მარტო თოვლი არ არის,
 ეს ქარი მარტო ქარი არ არის,
 ისინი სადღაც შიგნით მალავენ
 მას, რაც არ იყო დასაშალავი.

ჩვენ ვშლით ნაკვალევს, რომელსაც
 ვტოვებთ,
 რომელიც მაინც გვრჩება ორივეს,
 მაგრამ, ერთხელაც, გადნება თოვლი,
 გადივლის ქარი და გვიპოვიან.

წამოვა სიციხე და დაგვადგება,
 დაგვიკარგავენ ფანჯრებს ფარდები
 და ქარს წაპყვება ქარში ნათქვამი,
 რაც თოვლში მოხდა, თოვლს
 დაბრალდება.

მე მპატიებს ყველაფერს სახლი,
 გაწყვეტილ სიტყვას აღადგენს უცებ.

მდინარის პირას, პატარა ტყეში
 ტოტს უხმაუროდ მოსწყდა ფოთოლი
 და ფერწასული ბუჩქებზე შერჩა,
 გუშინ ლამაზი და უშფოთველი.

მე თოვლში ვიგრძენ შენი სიცივე,
 მე ქარში შენი თმებით დაეები,
 შენი დუმილით, შენი სიცილით,
 შენი ფერმკრთალი მუხლისთაყვებით.

ეცემა თოვლი... და ყველაფერი
 ნელა ქრება და თოვლში მიცურავს.
 ვერ გამიჩუმებ სურვილს ზღაპრებით,
 მე მინდა შენი სხეული, სული.

ეცემა თოვლი და დროს ბარდება,
 ლამაზი მაგრამ უკვე ყოფილი,
 როგორც შემკრთალი ჩვენ ლანდები
 სადღაც სივრცეში გადაქდობილი.

აიღებს ქუჩა: შენს ტიქრს და სახელს,
 შენს ლამაზ სხეულს აიღებს ქუჩა.

და შეგაშინებს ჩემი დუმილი,
 ჩემი სიშორე... და გაფითრდები.
 ჩაკდება ერთი სურვილი ჩუმიად,
 ერთი სიმღერით მეტი იქნება.

და ვშლით ნაკვალევს, რომელსაც
 ვტოვებთ,
 რომელიც მაინც გვრჩება ორივეს.
 მაგრამ, ერთხელაც, გადნება თოვლი,
 გადივლის ქარი და გვიპოვიან.

რამ ჩამოაგდო, რამ ჩამოაგდო, —
 არც ქარია და არც წვიმის თქეში...
 ეს ისე, ფოთლის დღე დაილია
 მდინარის პირას, პატარა ტყეში.



წვიმს... მოწყენილი და სველი კვამლი
 ცას ეტმასნება და სადღაც ერთვის.
 ეს შემოდგომის დღეებიც წავლენ,
 ხსოვნას შერჩება ათასში ერთი,

აი, გაივლის სულ ცოტა ხანი —
 მეც მოგონებად ვიქცევი შენთვის.
 წვიმს... მოწყენილი და სველი კვამლი
 ცას ეტმასნება და სადღაც ერთვის.

სახურავებზე,
 სახელურებზე
 საფეხურებზე,
 ქვაფენილებზე —
 დაფენილია თოვლი და მთვარე.
 მთვარეში, თოვლში შრიალებს მტკვარი
 მე ისევ შენზე უნდა ვიფიქრო, —
 შენზე ვიფიქრო და დავიჯერო —
 რაც დღეს არ მჯერა, რასაც ეს ჰერი
 უკვე ამდენი ხანია უძლებს.
 მე მინდა: ერთხელ დაგკარგო უცებ
 და სხვანაირი გიპოვო მერე.
 მთვარეში, თოვლში შრიალებს
 მტკვარი

თეთრ ზეზე ჩიტებს დარჩათ ეყვანი...
 მე მინდა: შენი ფეხის ხმა კარებს
 მთვარეში, თოვლში არ მოეჩვენოს
 და გაიცინო, როგორც იცინი
 ნამდვილად, სადღაც, სახლში თუ
 ძილში,
 თორემ მე დღესაც ვეღარ ვიძინებ
 უცნაურ ეჭვით, უცნაურ შიშით.
 სახურავებზე,
 სახელურებზე,
 საფეხურებზე,
 ქვაფენილებზე —
 დაფენილია თოვლი და მთვარე.

როდესაც ყველა ფიქრი გაქრება
 და მოერევა თვალს ძილი მწარედ,
 სადღაც ტრამეის ზარი დარეკავს
 და ჩაახველებს ვიღაცა გარეთ.

გავხედავ, არც კი შეიმჩნევს რამეს,
 თოკიდან გამშრალს ჩამოხსნის კაბას,
 გადამაიწყებს წუხანდელ ღამეს.
 როგორც დალაქის მოყოლილ ამბავს.

გამახსენდება მემაწვნის ვალი,
 ძილს გავიფრთხოვ და გავსინჯავ ჯიბეს,
 უკვე ამდგარა მეზობლის ქალიც,
 წაჰკიდებია ცეცხლივით კიბეს.

და დილის საღამით ამივლის გვერდით,
 ერთუანტელს მომგვრის, როგორც
 ხავერდი,
 უცებ იყვირებს კარებთან წყნეთი
 მაწვნის ჭილებით და მხერხავებით.



მამა

გული დაუთუთქა ევსევის მამის სიკვდილმა. ყველაფერი ადვილი გადასატანი იქნებოდა, რომ უბედურება ასე მოულოდნელად არ მომხდარიყო. ყველას ეგონა, რომ მოიკეთა, ავადმყოფსაც იმედი ჰქონდა.

— ნუ გეშინია, მამა, ორი დღეც და ადგები, — ამხნევებდა თავით ჩამომჯდარი ევსევი.

მაგრამ გათავდა.

ის აღარ არის...

ევსევი უანგარიშოდ დაბორილებდა ვიწრო ოთახში, სადაც ის იყო შემოვიდა სასაფლაოდან დაბრუნებული.

კედლების გასწვრივ მაგიდები დევდგათ. მარტო კარის მხარე იყო თავისუფალი. მხოლოდ ახლა შენიშნა ზეწარჩამოფარებული სარკიანი ბუფეტი, რომელიც კუთხისკენ გაეწიათ. ბუფეტის თავზე მამის ბოხობი იდო ობლად. ის არასოდეს აღარ ადგებდა, არასოდეს აღარ დაიხურავს...

მამას ეს ერთადერთი ოთახი ჰქონდა. ევსევი სხვაგან ცხოვრობდა ცოლის შერთვის შემდეგ და ახლა, ოთხ კედელს შუა მომწყვეტელი თავს ისე გრძობდა, როგორც თევზა, რომელიც სილაზე გადმოაგდეს...

შორეული ნათესავეები და მეზობლის ქალები მორიდებით უვლიდნენ გვერდს ევსევის, სუფრის თადარიგი ჰქონდათ.

ევსევის გაახსენდა, რომ აქ ტაბლის დასახედავად შემოვიდა, მაგრამ გრძობდა, რომ ეს სრულებითაც არ იყო საჭირო, საქმე უმისოდაც კარგად მიდიოდა. მაინც უნდა გამოეჩინა ყურადღება... ახლა-ღა გაახსენდა, რომ სასაფლაოს საქმეების მოწესრიგების შემდეგ შინ ადრე წამოვიდა. სასაფლა-

ოზევე უტრიალებდა თავში აზრი, რომ რაღაც ჰქონდა გასაკეთებელი, მაგრამ რა, ვერასგზით ვერ მოეგონებინა.

სუფრა სამოცი კაციხათვის იყო გაშლილი. ქვიშხეთიდან ჩამოსული ნათესაობა თორმეტ კაცს არ აღემატებოდა. აქაურები რომ არ მოსულიყვნენ? დაუპატიებლად ვინ წამოვა ამისთანა საქმეზე! ცუდად მოიქცა, სასაფლაოს ჭაშკარში უნდა დახვედროდა ოჯახის პატივისმცემლებს და ეთხოვა, ერთი ჰქვა ღვინით მოეგონებინათ მიცვალებული...

მამამ დიდხანს იავადმყოფა. უკანასკნელად ჩაწოლის წინა ხანებში ძველ ნაცნობთაგან თითქმის აღარავის ხვდებოდა. საფლავამდე მაინც მიაცილეს გაქალაჩაებულმა გიმნაზიელებმა. მათ შორის ერთი არტილერიის გენერალი იყო.

მამას უყვარდა გამოჩენილ ხალხთან საქმის დაქერა. ამის გიყი იყო. წინათ ევსევი გულში დასცინოდა მამას. ეგონა, რომ ის ძალისძალაზე ეტმასნებოდა გამოჩენილ ადამიანებს, მაგრამ ასე არ იყო, ესენიც პატივს სცემდნენ მამას.

ზეწარჩამოფარებული ბუფეტი, გაქერლილი ბოხობი...

ის წავიდა, აღარ მოვი...

— მამა, მამა — ამოსკდა გულიდან ევსევის და სახეზე ხელები აიფარა.

არა, არ იყო საჭირო ზედმეტი გულჩვილობის გამოჩენა. ახლა მოვლენ და დაუწყებენ დამშვიდებას, რომ ბუნების კანონს წინ ვერავინ აღუდგება, ამას უნდა შეეუბრძოდეთ, რომ მან, როგორც შეილმა, გააკეთა ყველაფერი, რაც მის ხელთ იყო...

ევსევის არ უნდოდა ამის გაგონება.

აღბათ, ხმამაღლა არ წარმოუთქვამს ეს სიტყვები. მის სანუგეშებლად არავინ მოდიოდა.

ფრიალა სინებით შილაფლავი შემოაქვთ. სუფრის თავში, ბუფეტთან, მკავე კატრინა თევში დასდეს. კარგი იქნება, რომ ვინმე წყალს მოაწვდიდეს. ევსევის წუხელვე სწყუროდა, მაგრამ თითქოს ისიც კი დაავიწყდა, როგორ იცხრობენ წყურვილს.

საბრალო მამა! წავიდა და თავისი პატარა სიხარულიც თან წაიღო. ევსევი მთელ მეხსიერებას ძაბავდა. მას უნდოდა ხსოვნაში აღედგინა ყველაფერი, ყოველი წერილმანი, რაც კი მამასთან იყო დაკავშირებული... ჯერ კიდევ შარშანწინ ეხვეწებოდა საბრალო, ნუ გამყიდო. გაყიდვას შესაწევრით დამარხვას ეძახდა. მამა ძველი კაცი იყო. იმის დაჯერებაც არ უნდოდა, რომ შესაწევრის ჩვეულება დიდი ხანია გადაეარდა. მამა მაინც შიშობდა, საბრალო. სიცოცხლეში ყველაფერი გააკეთა, ყველაფერი მოასწრო. შეიღს მშვიდად სიკვდილიც კი ასწავლა. იცოდა, ესეც გამოადგებოდა ევსევის.

საცოდავი! ახლა რით-ღა შეუძლია გადაუხადოს სამაგიერო, ეს რაღას გაიგებს! გენერლისათვის მაინც ეთხოვა წამოსვლა. თუ ძველი მეგობარია, ნუთუ თვითონ გააწვიალებს მიცვალებულს...

მერიც არსად ჩანს. იქნებ იმან მაინც გამოიჩინოს გონიერება. თვითონ რა ეჩქარებოდა, ყველას რომ გამოასწრო და შინ გამოიქცა? აწი თავისთავად უნდა მოხდეს ყოველივე. ევსევის არაფრის გაკეთება აღარ შეუძლია. მოვლენ, თვითონ მოვლენ, როგორ შეიძლება არ მოვიდნენ ყველამ იცის, რომ ევსევის სამზადისი აქვს. პატივისცემულ ხალხისთვის უნდა, ამდენ სანოვაგეს ხომ არ გადაჰყრის... მართლაც გადაჰყრის, ევსევის არაფერი არ უნდა, თუ ამაღამ მარტო დარჩა ქვიშხეთიდან ჩამოსული მოკეთებების ამარა. ო, ეს წყურვილი! წყალი მაინც დაელია...

რაღა ახლა, რაღა მაინცდამაინც ახლა... ევსევი გრძნობდა, რომ მამის სი-

ცოცხლე თავისთვის უფრო უნდოდა და ასეთ სულმოკლეობაზე უკვდებოდა გულს. სიცოცხლეში ვერაფრით ვერ სცა პატივი, ამაგი ვერ გადაუხადა. სულ იმედი ჰქონდა, დღეს-ხვალ, დღეს-ხვალ... ამ ოხერმა სიკვდილმა არ დააყალბა, გათავდა! მამის ერთი სიამოვნება მაინც ახსოვდეს, ერთი დიდი სიხარული! დღეს კიდევ შეეძლო რაღაც, მაგრამ ეს შემთხვევაც გაუშვა ხელიდან: სუფრაზე დაჯგენდა წარჩინებულ ადამიანებს, ჭიქა ღვინოს ასწევდნენ... ვითომ ისიც აქაა. ოთახში ისევ დგას რაღაც უცნაური ნელსაცხებლის სუნი. რამდენი ხანიც არ უნდა გავიდეს, ამ სუნს ვერავინ განდევნის აქედან, კიდევ რომ აღარ იქნეს, ევსევის მაინც მოეჩვენება.

ეუთში ტრეტის საბარგო მანქანა გაჩერდა. ევსევის გული შეუფრთხილდა და წუთით გადაავიწყდა თავისი უიმედო მდგომარეობა.

მოფერმა სინათლე ჩააქრო, მაგრამ მაინც ჩანდა, როგორ ჩამოდიოდნენ ძარიდან. ჭიშკარში კიდევ შემოუხვია სტუდენტებმა. ეს მანქანა მერის სამსახურიდანაა და, აღბათ, თავის ხალხს მოიყვანდა.

კამინიდან პალტოგახსნილი მერი ჩამოდის. რატომღაც მხიარული სახე აქვს, თითქოს, ეს არის, დღეობიდან დაბრუნებული იყოს. რატომ მაინცდამაინც ეს წითელი პალტო ჩაიცვა დღეს! თუმცა მამას უყვარდა ეს გაზუნებული, ძველი პალტო, მერის სტუდენტობის დროინდელი.

ქიტო პაპა ისევ თავშიშველია. დანარჩენებიც მოდიან. ყაფლან ძია, მამო, ივლიტა... ის არ ჩანს, არ არის. გენერალი, აღბათ, თავისი მანქანით იქნებოდა. იქნებ მოვადეს კიდევ. ჯერ არ ვგვიანება. აი, მოხუციებიც მოდიან, მამას ამხანაგები. ერთს მაინც იცნობდეს ახლო ევსევი. ჯერ ჯარმა შეუშალა ხელი, მერე ინსტიტუტმა, მერე ცოლის მშობლებთან გადაბარებამ...

ახლა სულ ერთია ევსევისათვის, ვინც უნდა მოვლეს, ოღონდ მოვლეს ვინმე. რა ვუყოთ, რომ ევსევი ვერ იცნობს,

სამაგიეროდ მას იცნობენ, იციან, ვისი შვილია.

რა უნდა გააკეთოს ახლა? ჭირშიაც გამოცდილება სჭირდება ადამიანს. ყველაფერი დადგენილია, წინასწარ განზრახული. მოტირლებმა ხელები უნდა დაიბანონ შინ შემოსვლის წინ. მანუკიანთ მარგოს უფრო ადრე მოუფიქრება ეს. მკლავზე პირსახოცგადაადებული ეზოში დგას და თითო პეშვ წყალს უსხამს ჩაიღნიღან ხელებდაკაპიწებულ მოტირლებს.

„მობრძანდით, მობრძანდით“... — უნდა შეეპატოვოს ევსევი მოკეთებებს, მაგრამ ეშინია, ეს რალაც სხვანაირად არ გამოუვიდეს. მგონი ასე წვეულებაში უნდა. ჯობდა, სულ არ გამოჩენილიყო. მისი ოთახში ყოფნა იქნებ სულაც არ არის ახლა საჭირო. ჭირისუფლის დანახვა უხერხულ მდგომარეობაში აგდებს ხალხს, თავს იძულებულს ხდის, რომ მოიწვიონ. მაგრამ ახლა გასვლა უფრო ძნელია. ყველა კართან შეჯგუფულა, ნავის გატეხას კი ვერავეინ ბედავს, პირველი ვერავეინ შემოდის. იქნებ თვითონ ევსევია ამის მიზეზი. ალბათ, გოროზად გამოიყურება და ზოგს ისიც ჰგონია, რომ ევსევის გული მოსდის, ამდენი ხალხი რომ მოზღვავდა.

— მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით... — ძლივს გაბედა მან ხმის ამოღება და ზურგით კედელს აეკრა ტანისამოსის დასაკიდთან.

ხალხიც თითქოს ამას ელოდა, ჯერ მორიდებით, აქეთ-იქით თვალების ცეცებით შემოვიდნენ, მერე სკამებზე ააზრიგინეს და გულდაგულ მიაშურეს ადგილებს.

ცოტა მეტი მაინც იყოს ეს ოთახი ვითუ ვერ დაეტოვოს ხალხი ამისთანა სიციწროვეში. სხვა გზა არ არის, მეორე წყებად დააჯენს, თუ ერთად არ დაეტოვება.

— მარგო, მარგო! — წაიჩურჩულა მან.

— ბატონო!

— რა ექნათ ახლა ჩვენ?

მარგოს ვერ გაუგია მისი აფორიკების მიზეზი.

— ხალხი რომ არ დაეტოვოს, სად უნდა გაეაჩროთ?

— დაეტევა, ევსევი, კიდევ მორჩება სკამები.

— რა იცი?

— ვიცი მე. ორმოცდაათი სკამი დადგით, სამი გამწვდომი სკამიცაა. მიიწ-მოიწიონ და დაეტევიან. ხელებს არ დაიბანთ, ბატონო?

ორი დარბაისელი კაცი კარის წინ გაჩერდა. ერთმა ქუდი ამოიხარა ილიაში და უსიტყვოდ მარგოსკენ გაეშურა. მეორე ევსევისთან მივიდა და ხელი ჩამოართვა. მერე გულხელდაკდობილი იდგა კარგა ხანს, სანამ მისი ამხანაგი საპნით იბანდა ხელს. ალბათ, თავის რიგს უცდიდა.

ევსევი ოთახში შებრუნდა და თავისუფალ ადგილებს თვალი მოავლო. ეს ორი, ათიოდე კაცი კიდევ მოთავსდება. ახლა სუფრის წვეკრებზე გადაიტანა მზერა.

რამდენიმე ადამიანს სახე მისკენ შემოებრუნებინა.

„რა ახალგაზრდაა და როგორ წუხს!“ — მოწონებით ამბობდნენ ეს სახეები, თითქოს ევსევის, ეს არის, წარჩინებით დაეპიროს გამოცდა.

სანოვაგე ხელუხლებელია. არც დანაჩანგლის წკრიალი ისმის. ჩანს, რალაც არის კიდევ საჭირო და ამ რალაცას ევსევისაგან მოელოან.

ვინმე უნდა აიღოს პირველი ქიჭა, რალაც უნდა თქვას. ქიტო პაპა მაინც გაეფრთხილებინა. ის გადაღმა მოთავსებულა, კუთხეში და თავჩაქინდრული ფეხის წვეკრებს ჩაპყურებს.

ბუფეტის წინ ერთი თავისუფალი სკამია. ალბათ, ეს მისთვის დატოვეს. შინაურებიც ამ სკამის მახლობლად სხედან. მას ერთბაშად თვალში მოხვდა წარმოსადგვი მელიოტი კაცი, რომელიც ორივე ნიდაყვით დაყრდნობოდა სუფრას და სუფრის გადაღმა ევსევისათვის შეფაკლულ მერის ანიშნებდა რალაცას.

ეს როსტომი იყო, მამას ბიძაშვილი. აქეთ მაინც მოეხედა როსტომს, იქნებ გამოეყვანა გასაქირიდან. სუფრას თამადა სჭირია, უამისოდ სუფრა სუფრა არ იქნება.

ვესევიმ ნერწყვი გადაყლაპა და ხელის კანკალოთ დასწვდა შვესილ ჩაის ჭიქას.

— სს! — ტუნზე ხელი მიიდეს ქალებმა.

— მეგობრებო! — გაბზარული ხმით დაიწყო ვესევიმ და იგრძნო, რომ გამბედაობა ღალატობდა, — ნათესაებო და მეგობრებო... დღეს ჩვენ...

— ჰო, კარგი! — გაამხნევა ძალუა მამომ და წელზე ხელი მოჰხვია.

— დღეიდან მე მამა აღარა მყავს...

ვესევის ცრემლები აღრჩობდა, სუნთქვა ეკვროდა, მაგრამ მაინც აპირებდა რალაცის თქმას.

მელოტმა სცადა მისი ამ მდგომარეობიდან გამოეყვანა, პირველი წამოდგა და სუფრაც მაშინვე წამოიშალა. მერე თვითონვე მიხვდა, რომ რალაც შეეშალა და ისევ დაეშვა სკამზე.

დანარჩენები იდგნენ.

— სუფრას ხელმძღვანელი სჭირდება, — განაგრძობდა სულშეგუბებული ვესევი, — ძია როსტომს უნდა ვთხოვო, მცეს პატივი...

— არა, კაცო, რა ჩემი საქმეა! — იუარა მელოტმა.

— გაგიმარჯოს, ძია როსტომ, შენთვის მე არაფერი მითხოვია. ახლა გთხოვ და მეცი პატივი, მე და მამაჩემს...

ვესევიმ თვალები დახუჭა და დაჯდა... მერე დიდხანს იყო ასე, გაუნძრევლად და თავის ფიქრებში გადავარდნილი ველარ ამჩნევდა იმას, რაც მის გარშემო ხდებოდა...

მოიხსენიეს მიცვალებული, უდღეგრძელეს ოჯახის წევრები, მოიხსენიეს სხვა მიცვალებულებიც...

არა, ვესევი სწორად მოიქცა. მამა რომ აქ ყოფილიყო, იქნებ ისიც როსტომს აირჩევდა თამადად. მას ხომ უყვარდა წარჩინებული ადამიანები. ვესე-

ვის მხოლოდ რამდენიმეჯერ ენახა ეს კაცი, მაგრამ თბილი, ნათესაური გრძნობა მაინც ჰქონდა მისდამი. როსტომი ადრე დაობლებული იყო. ცხოვრების ძნელი გზა ვაივაგლახით გაეკვლია. მამას უყვარდა ასეთი ძელიანი ხალხი. თანამდებობაც გვარიანი ეჭირა როსტომს, მგონი ლექციების მთელი განაკვეთიც ჰქონდა რომელიღაც ინსტიტუტში. ალბათ, მამას გარდა სხვაც ბევრი ჰყავდა პატივისმცემელი.

— ვესევი, ვესევი! — ჩაესმა უცებ და თავი ასწია.

ძალუა მამო იყო. ასე მზრუნველი და მოსიყვარულე სხვა დროს არასოდეს სჩვენებოდა.

— შექამე რამე, შეკაცო, გაგონილა აგრე?

— ნუ წუხდები, ძალუა, მე თვითონ გადმოვიღებ.

— ასე! მოკიდე ახლა ჩანგალს ხელი და ქამე. მკავე კიტრი გინდა?

ფეხზე წამომდგარმა თამადამ მწყურალად გადმოხედა მამოს და სიტყვა განაგრძო:

— პაპაჩვენს, მაქსიმეს, თქვენ არ მოსწრებოხართ. მარტო მე და ქიტო ვართ აქა იმის მომსწრეი. არა, ძია ქიტო?

მოხუცმა რალაც უპასუხა.

— ის იყო ჩვენი ფუძე. ჩვენ იქიდან მოვდივართ, — განაგრძობდა თამადა, — ამიტომ, ორ ჭიქა ღვინოს რომ დავლევთ ჩვენა, ერთი ჭიქით იმასაც ვახსენებთ. მა არ უნდა ვახსენოთ? ნამუსიანი კაცი იყო და ნამუსიანი ხალხიც დატოვა. აბა მიიხედ-მოიხედეთ და ჰკითხვეთ ვისაც გინდათ, თუ ასე არ არის. მაგრამ საბრალო იმით იყო ი ჩვენი პაპა, რომ თავი დღეში სიხარული არ უნახავს. აბა ჩვენს დროში უნდა ყოფილიყო და მე ძალიან ვუყვარდი, რაც მართალია, მართალია. არა, ძია ქიტო? მეტყოდა ხოლმე, შენგან იმისთანა კაცი დადგება, რომ... ნეტავი ერთი მაყოლინა, მაშინ თუ მომიგონებო. ვიგონებ, როგორ არ ვიგონებ. მე და, არ მოვიგონო? მაგრამ ამას თავი დავანე-

ბოთ. ჩემი პაპის და ამ ყმაწვილის დიდი პაპის, მაქსიმეს სსოვნა იყოს, კიდევ დიდხანს გვეცხოვროს და ბევრჯერ გვეხსენებინოს... ჩვენი ფუძე ის იყო, ჩვენ იქიდან მოვდივართ...

ვესევის რაღაცამ უჩხელიტა გულზე, რაღაც არ ესიამოვნა. ახლა ის ძალას ატანდა თავს წელანდებურად მოეკეტა ფიქრის კარი, მაგრამ უსიამოვნო გრძნობა იმდენად ძლიერი იყო, მოსვენებას აღარ აძლევდა. შეუბრალებლად ტანჯავდა ის აზრი, რომ გარშემო მსხდომთა უმრავლესობა მისთვის უცხო ხალხი იყო და არ შეეძლო იმის გაგება, როგორ აწვალებდა რაღაც ევსევის... მას ერთი რამ უნდოდა ამ საღამოს, უნდოდა ხალხისთვის ემასპინძლა ამქვეყნიდან წასული მამის სახელით და ამით ესიამოვნებინა მამა, რომელიც მის სულში ცხოვრობდა...

- ევსევი, ევსევი!
- რა გინდა, ძალო?..
- მოიწი აქეთ, რაღაც უნდა გითხრა.
- რა იყო?
- ქიტოს აქეთ რომ ზის, ახალგაზრდა, ხვერდის ხალათიანი, ვინ არის თუ იცი?
- კუთხეში?
- ჰო.
- მერის ამხანაგია, არქიტექტორი.
- რა გვარია?
- გავაშელი. რაზე მკითხე?
- არაფერზე, ისე. მოიწი აქეთ, ყუერი მოწიე! ჩხუბის ატეხა ხომ არ იცის სუფრაზე?
- ჩხუბის? აქ რა ჩხუბის ადგილია!
- სუ! როსტომი დათვრა, ხედავ? ძლივს ლაპარაკობს. მაინც კარგია, ვენაცვალე მაგას! შეხედე, რანაირად უყურებს ის გავაშელის? მიუგზავნე ვინმე, დედაშვილობას, ყელი არ გამოგეპრას. მოიცა, მაკალე ახლა, მე უკეთ ვიცი შენზე. როსტომს ეგ ვერ ასწავლის ლაპარაკს. თუ არ მოსწონს, გარეთ მიბრძანდეს... დაუგდე ყური? — თავისდაუნებურად დაამთავრა მამომ,

თამადას მორჩილად გახედა და სმენად იქცა.

—... სამწუხაროდ, კიდევ მოიპოვებინა უწესო შოფერები, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად განაგრძობდა თამადა და ცდილობდა ამ უბრალო მოკვდავთა წრეში თავდაბლად ელაპარაკა, — მე ვამტიციტე, რომ... მე აგერ მმართველი კაცი ვარ, პა, ძია ქიტო? მმართველი კაცი ვარ, მთელი დაწესებულების ბედ-იღბალი ხელში მოკავია და მაინც წესს ემორჩილება. შოფერი ვინ არის, აბა ვინ არის შოფერი, მე გეკითხებით თქვენ! აბა ერთი ადგეს ვინმე და მიპასუხოს, ვინ არის შოფერი! ჰოო! შოფერი...

— ოჰ! — ამოიოხრა ევსევიმ და გაცლა დააპირა, მაგრამ კარის მხრიდან თამადას სიტყვაპქვევრობით მოხიბლული ტანსრული ძალუა გადალობებოდა წინ და ფეხის მოცვლის საშუალებას არ აძლევდა, — ძალო!

— რა იყო, შვილო?..

— ჰერზე გასვლა მინდა. გამიშვი, თუ გიყვარდე.

— უი მომიკვდეს თავი! ღვინომ ხომ არ გაწყინა?

— რას მაწყენდა, არ დამილევია. გამიშვი, შენ გენაცვალე!

— რანაირად გატევი ახლა შენ, არ ვიცი, მოდი, მოდი!

— რა ამბავია მანდ, ვინ ლაპარაკობს?! — შეპყვირა ამდენი უწესობით მოთმინებიდან გამოსულმა თამადამ, — აქ ფართლის რიგი ხომ არ გვინათ!

სუფრის ორივე მხარეს უსიამოვნოდ შეიშმუშნა ხალხი. შეწუხებული ქიტო წამოდგა და ხათრიანად სიტყვის ნება ითხოვა.

— დაჯექი მანდა! ეს ვინ მიდის გარეთ? წესი არ იცი, წესი, ზრდილობა გაკლიათ...

უქანასენელი სიტყვები ევსევის აღარ გაუგონია. ის გარეთ გამოვარდა და ეზოს ბინდბუნდს მისცა თავი.

მაღალ შენობათა ჩრდილები ჩამოყუდებულიყვენ ვაწრო ეზოში.

გარსკვლავიანი ღამე იყო.

თალიან ჭიშკარში თეთრმა ფინიამ გაირბინა და მეზობლის ძაღლებს დაედევნა წკვეწკავით.

გულმდღლარე ევსევი სახლის კედელს მიჰყვება და უცებ რაღაცას დაეჯახა. წყლით სავსე, თავსახურიანი კასრი იყო. მან ფილაქანზე ჩაიხოქა და სახით კასრს მიეყრდნო. ცრემლები და-

პალუპით ჩამოსდიოდა. უკანასკნელად უნდოდა გაეხარებინა გულში ჩაბუდებული მამა და... არ მოხერხდა, არა! საბრალო მამა! ყველაფერი ასწავლა შვილს, ყველაფრის მაგალითი მისცა, მაგრამ იმის სწავლება კი დაავიწყდა, აღამიანი როგორ გამოეცნო ევსევას ერთი შეხედვით...

თეთრკაბიანი ქალი

ზღვის პირას, ერთ პატარა გორაკზე თეთრკაბიანი ქალი ცხოვრობდა. იმ ქალს ზამთარ-ზაფხულ თეთრი კაბა ეცვა. ამიტომ მეზობლებმა მისი ნამდვილი სახელი დაივიწყეს და ყველა თეთრკაბიან ქალს ეძახდა.

თეთრკაბიან ქალს ჰქონდა პატარა ეზო, ეზოში კი ასეთივე პატარა სახლი ედგა. სახლის აივანზე რომ გამოხვიდოდი, იქიდან მთელი ქვეშინი ნაპირი და ზღვა მოჩანდა.

ნაპირის ახლოს ფიქვის პატარა ტყე იყო. თეთრკაბიან ქალს ძალიან უყვარდა ფიქვის ტყეში სეირნობა, მაგრამ იმაზე უფრო უყვარდა თავისი პაწაწინა ბაღი. ბაღი იქვე იყო გაშენებული, ეზოსთან.

თეთრკაბიან ქალს ბაღში ბევრი კიტრი, გოგრა, ნესვი, მსხვილ-მსხვილი მარწყვი და მრავალნაირი ბოსტნეული ჰქონდა დათესილი.

ადრეან ვაზაფხულზე, როდესაც მახლობელ გორაკებზე ჯერ კიდევ თოვლი იყო, თეთრკაბიანი ქალის ბაღში უკვე ხახხასებდა ახალი მწვანილი, ამოდიოდა მიწიდან კიტრის სამყურა ფოთლები და, ვინ იცის, კიდევ რა.

ამ ბაღში იდგა ერთი ატმის ხე. ეს ატმის ხე ვაზაფხულზე ისე გადაიბარდნებოდა წითელ-წითელი ყვავილებით, შორიდან რომ დაინახავდი, გეგონებოდა, თეთრკაბიანი ქალის ბაღში ბრიალა ცეცხლი დაუნთიათო.

შემოდგომა მოატანდა თუ არა, ატამს

ლოყები დაებრაწებოდა და ვისაც არ უნდა გაეელო მის ახლოს, ყველას თვლები რჩებოდა ზედ.

მეზობლის ბავშვები არასოდეს არ ვადადიოდნენ ბაღში უნებართვოდ, რადგან კარგად იცოდნენ, რომ ბაღის პატრონი კეთილი ქალი იყო. როდესაც ატამი დამწიფდებოდა, აუცილებლად დაუძახებდა ბავშვებს და ყველას სათითაოდ ჩამოურიგებდა.

ერთ შემოდგომაზე, როდესაც ატამი კარგად დამწიფდა და თეთრკაბიანმა ქალმა გადაწყვიტა, ახლა კი უნდა მოეკრიფო, პატარა ეზოს ბავშვები მოადგნენ.

თეთრკაბიანი ქალი ბელელში მიდიოდა კალათის გამოსატანად.

— თეთრკაბიანო დეიდა, — დაუძახეს ბავშვებმა, — კალათის გამოსატანად მიდიხარ ბელელში?

— საიდან მიხვდით? თქვენ რაღაც ეშმაკობა გიღვეთ გულში, — ღიმილით დაუძახა თეთრკაბიანმა ქალმა.

— იმაზე მივხვდით, რომ შენი ატამი დიდი ხანია დამწიფდა. მოკრეფის დროა. ჩვენ გვეშინია, ქარი არ ამოვარდეს და ძირს არ ჩამოყაროს მწიფე ატმები.

— ნუ გეშინიათ. სანამ ქარი ამოვარდებოდეს, ატამი უკვე მოკრეფილი იქნება, — დაამშვიდა თეთრკაბიანმა ქალმა ბავშვები და ბელელში შევიდა. იქიდან გამოიჩანა პაწაწინა წნელებით მოწნული ლამაზი კალათა და ბაღისაკენ გაუდგა გზას.

ბავშვები ჭიშკართან იდგნენ და უყურობდნენ, როგორ კრეფდა ატამს თეთრკაბიანი ქალი.

ოტა ხნის შემდეგ თეთრკაბიანი ქალი ისევ ეზოში გადმოვიდა. ხელში დაბრაწული ატმებით სავესე კალათა ეჭირა.

— ბავშვებო! — დაუძახა მან სტუმრებს, — შემოდით ეზოში, ატამი არ გინდათ?

ბავშვები მის დაძახებას ელოდნენ და აბა როგორ არ შემოვიდოდნენ ეზოში! თეთრკაბიანმა ქალმა მათ ატამი დაუბრია, თვითონ კი მარტო ერთი ცალი დაიტოვა.

ბავშვებმა პირი ჩაიტკბარუნეს ატმით, თეთრკაბიან ქალს მადლობა გადაუხადეს და თავთავიანთ სახლებში გაიქცნენ.

იმ ღამეს მართლა ამოვარდა ქარი. თეთრკაბიანი ქალი ზღვის ღრიალმა გამოაღვიძა. ფეხშიშველი გადმოვიდა ლოგინიდან, სინათლის ანთება უნდოდა, მაგრამ ვერ აანთო. ასეთ ამინდში ყოველთვის გამოითიშავენ ზოლმე სინათლეს, რათა ჭექა-ქუხილის დროს სახლში მეხი არ შემოიპაროს.

თეთრკაბიანმა ქალმა ასანთი მოძებნა, ძველი ჭრაქი აანთო და აივანზე გავიდა იმის გასაგებად, სახლის სახურავიდან წვიმა ხომ არ ჩამოდისო, მაგრამ ჭრაქი მაშინვე ჩაუქრო ქარმა.

სხვა რაღა გზა იყო, მან ხელებით მოსინჯა აივნის ყველა კუთხე და როდესაც დარწმუნდა, წყალი არსად არ ჩამოდისო, ისევ შინ შესვლა და დაწოლა დააპირა, მაგრამ სწორედ ამ დროს გაახსენდა თავისი ატმის ხე. ატამი ჯერ კიდევ არ იყო მოლეული, რადგან თეთრკაბიანმა ქალმა მხოლოდ ერთი კალათა აავსო ამ დღიას.

საშინელ ქარსა და წვიმაში, ვინ იცის, რა დაემართა ჩემს საყვარელ ატამსო, — გაიფიქრა თეთრკაბიანმა ქალმა, მაშინვე ოთახში შევიარდა, შალი მოიხურა და ისევ გამოვიდა გარეთ.

წვიმა ასხამდა და ასხამდა. ყოველ

ნაბიჯზე ახალი და ახალი ლეღე მოედინებოდა ეზოში. თეთრკაბიან ქალმა კაბა დაუსველდა, დაულაქანდა და ახლა რომ ვისმე დაენახა, უქველად მოიგონებდა მის ძველ, ნამდიღლ სახელს, რადგან კაბა უკვე აღარ იყო თეთრი, მაგრამ ჩვენ მაინც თეთრკაბიანი დაუძახოთ, რადგან მეზობლის ბავშვები მხოლოდ ამ სახელით იცნობდნენ მას.

აი, გადავიდა იგი ბაღჩაში და რას ხედავს! კვლები სულ ერთიანად წაულეკია ნიაღვარს, წყალს დიდი გოგრაღ გადაუგორებია და მის ადგილზე ჩაგუბებულა ორმოში.

ამ დროს ორჯერ გაიღვია და თეთრკაბიანმა ქალმა თვალი მოჰკრა თავის საყვარელ ატამს, რომელიც საცოდავად იდგა ბაღჩის კუთხეში. გაწუწული ტოტები მალა აეწია და თითქოს ვიღაცას ეხვეწებოდა — მიშველეთ, თორემ, რაც გამაჩნდა, ამ საძაგელმა ქარ-წვიმამ წამართვაო.

თეთრკაბიანი ქალი სწრაფად მიადგა ბაღჩის კუთხეს, მაგრამ საბრალო ატამს აბა რაღას უშველიდა! ქარს ერთიმეორეზე მიენარცხებინა მისი ტოტები. ნახევრად მკვავებ ატმები ბოსტნის კვლებზე ეყარა.

გულდაწყვეტილი თეთრკაბიანი ქალი გამობრუნდა, ვეება ცხრილი მოძებნა ბელელში, აკრიფა კვლებზე გაბნეული ატამი და ბელლის თავზე აიტანა.

მას შემდეგ ხუთმა თუ ექვსმა თვემ გაიარა. ისევ მოვიდა გაზაფხული. ბავშვებმა დაიწყეს ზღვაში ბანაობა. პაწაწინა ბაღჩაში უკვე ხასხასებდა ახალი მწვანელი, მიწიდან ამოდიოდა კიტრის სამყურა ფოთლები... თეთრკაბიანი ქალი ძველებურად დადიოდა ჩაის სათახნად იმ პლანტაციამში, რომლის შესავალშიც დიდი ჭიშკარი იყო გაკეთებული და ზედ რაღაც ეწერა დიდრონი ასოებით. შინ მზის ჩასვლისას ბრუნდებოდა და უვლიდა თავის ბაღჩას.

ერთ საღამოს ბავშვები ეწვივნენ თეთრკაბიან ქალს. თეთრკაბიანი ქალი ბაღჩაში იყო და თავის საყვარელ ატმას ხეს სხლავდა.

— თეთრკაბიანო დეიდა, — დაუძახეს მას ბავშვებმა, — დედამ გამოგვაგზავნა შენთან. ლერწმის ლასტები რომ გაქვს, ის მათხოვეო.

— რად უნდა ლასტები? — ჰკითხა თეთრკაბიანმა ქალმა.

— აბრეშუმი უნდა დააჯინოს.

— მერე მე არ უნდა დავაჯინო წელს აბრეშუმი? — ჰკითხა ბავშვებს თეთრკაბიანმა ქალმა და ატმის მოკვეცილი შტოების აკრეფა დაიწყო.

— დედამ თქვა, თეთრკაბიანი დეიდა წელს აბრეშუმს არ დააჯენს, რადგან პლანტაციის ბევრი სამუშაო ექნებაო, — თქვა იმან, რომელიც ყველაზე უფროსი იყო.

— ერთი უყურე, ამათ ყველაფერი ცოდნიათ! — თქვა თეთრკაბიანმა ქალმა და ბავშვებს ბელლისაგან გაუძღვა, რათა მათთვის ლასტები მიეცა.

მოიტანა კიბე, მიაყუდა კედელზე და როდესაც ბელლის თავის პაწია კარი გამოაღო, გაკვირებისაგან თვლები გაუღიღდა. ბელლის თავიდან საოცარი სურნელება გამოდიოდა. ნეტავი რა უნდა იყოსო — გაიფიქრა მან და სანამ ლასტებს გამოალაგებდა, თავი შეჰყო შიგ და მიიხედ-მოიხედა. მაშინვე დაინახა ვეება ცხრილი. ცხრილზე ლოყებდაბრაწული ატმები ეწყო. ეს ხომ ის ატმებია, იმ ღამეს ქარმა რომ ჩამოყარა! — გაიფიქრა მან და აიღო ერთი ატამი. როცა დაყნოსა, მიხვდა: ეს სურნელება სულ ატმებისაგან იყო. მაშინ ხელი მოავლო ცხრილს და ბელლის აივანზე ჩამოიტანა. ატმები ბავშვებს დაურიგა, თავისთვის კი მხოლოდ ერთი ცალი დაიტოვა.

— რა კარგია! ჩვენ არასოდეს არ გვიქამია ატამი გაზაფხულზე, — თქვა ისევ იმ ბიჭმა, რომელიც უფროსი იყო, — ამისთანა ატამი არავის არ ექნება ქვეყანაზე.

— თუ აგრეა, კურკები არ გადაყაროთ, — უთხრა ბავშვებს თეთრკაბი-

ანმა ქალმა და ბელლის თავიდან ლასტები ჩამოიტანა, — ახლა წამოდიოთ, რაღაცა უნდა გავწვინოთ.

ბავშვებს გაუკვირდათ, ნეტავი რა უნდა გვაჩვენოსო.

თეთრკაბიანმა ქალმა მახლობელ ყანაში გადაიყვანა ისინი, ჯოხით ორმო ამოთხარა ერთგან და თავისი კურკა შიგ ჩააგდო.

ნეტავი რას შერებო? — უკვირდათ ბავშვებს.

— აიღეთ ახლა ჯოხები და პატარა ორმოები ამოთხარეთ, — უთხრა მათ თეთრკაბიანმა ქალმა.

ბავშვები ასეც მოიქცნენ. როდესაც ორმოები უკვე მზად იყო, თეთრკაბიანმა ქალმა შიგ თითო-თითოდ ჩააყრევინა მათ ატმის კურკები. ამასაც რომ მორჩნენ, ორმოებს მიწა მიაყარეს.

ზაფხულს არც კი გაველო, რომ ამ ადგილზე იმდენი პაწაწინა ხე ამოვიდა, რამდენი ბავშვიც იყო.

— ნუთუ ჩვენს კურკებზე ამოვიდნენ ეს პაწია ხეები? — უკვირდათ ბავშვებს.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. თეთრკაბიანი ქალი ცოტათი მოხუცდა კიდევ. თეთრ კაბას აღარ ატარებდა. დაღონებული მიდიოდა ხოლმე პლანტაციის, რადგან მისი საყვარელი ატმის ხე ღამით ვილაცას მოეტეხა.

ბავშვები უკვე დიდები იყვნენ და იცოდნენ, რომ თეთრკაბიან ქალს ძალიან უყვარდა დაბრაწული ატამი. მათ კი ბევრი ატამი ჰქონდათ. ყანაში იმდენი ატმის ხე იდგა, რამდენი ბავშვიც იყო. გადავიდოდნენ ხოლმე, მოწყვეტდნენ თითო-თითოს, მაგრამ როცა ერთად მოაგროვებდნენ, ბევრი გამოდიოდა.

გაიღიმებდა ხოლმე ბავშვების დანახვაზე თეთრკაბიანი ქალი, ლოყადაბრაწულ ატამს მეჩაივ ქალებს ურიგებდა.

— ჩემს ნოდარს უყვარდა, ენაცვალის დედა, — იტყოდა ხოლმე, — გასინჯეთ, რა საუცხოო ატამია.

ბავშვებს კი უკვირდათ: ნეტავი ვინ იყო ნოდარი?

ძველი ეზო



ტოლსტოის ქუჩის ბოლოში, რიყეს გადაკრით თუ არა, ჩვენი ეზოც იქვეა, არსენალის მთის ძირას. თუმცა რაღა იქვეა! სჯობდა თავიდანვე გვეთქვა, რომ ტბილად მოსაგონარმა მყუდრო ეზომ დიდი ხანია თქვენი ჰიბრიდი.

მისი ადგილი კოშკიანმა სახლმა დაიკავა. სახლი თუმცა ხუთსართულიანია, ამ უბნელ კაცს მაინც უზარმაზარად მოგეჩვენება.

კოშკის კბეები რომ აირბინო, მთელი თბილისი ხელისგულზე გადაგეშლება. ნისლში ვერცხლის ძეწვევივით მოჩანს სომხეთისაკენ მიმავალი გზატყევილი; ყარაიის ველზე რომ მატარებელი გამოიქრება, მიმინოს თვალი იმასაც კი დაინახავს.

ერთი სიტყვით, აქედან ყველაფერი ჩანს. პატარა ეზოს ძველი მკვიდრები წინათ ამას არ დაფიქრებდნენ. თურმე რაღაც ხუთიოდე საექნზე უნდა აფრინდეს და მთელ ქვეყნიერებას დაინახავს.

თვალი სულ ერთსა და იმავეზე გვექონდა შეჩვეული. ფილაქნით მოგებულ პაწაწინა ეზოს ერთადერთი შესასვლელი გააჩნდა ქუჩის მხრიდან. ორმოციან წლებში აქ მარგილები ჩაყარეს და ზედ დიდი წითელი ჰიშკარი დაჰკიდეს. ჰიშკარი საიმედოდ არ იკეტებოდა, ისე, ყასილად გვექონდა მიხურული.

ერთ მშვენიერ დღეს ჰიშკარზე წარწერა გაჩნდა, ეზოში ავი ძაღლიათ.

აი უცნაურობა! ავი კი არა, უწყინარი ფინიაც არ გვეყავდა, მაგრამ მაინც არ წაეშალეთ. ყოფილიყო, ვის რას უშლიდა!

ეზოში ათიოდე კომლი ვცხოვრობდით, სულ სხვადასხვა ხელობის ხალხი. ჰიშკარის მარცხენა მხარეს, მესერს გადაღმა, სარემონტო კანტორის გამგეს ეკავა ორი ოთახი. სახლი კერძო იყო. გამგემ ვილაც სააკაძის ქვრივისაგან შეისყიდა. წინათ ამაზე დიდი აყალმაყალი მოუედიდათ. სახლის ძველმა პატრონმა

პირობა შეშალა და ფულს ერთბაშად მოითხოვა. მერე, როგორც იქნა, მორიგდნენ. ამიერიდან გამგე საბოლოოდ დამკვიდრდა ჩვენს ეზოში. სახლის წინ ალუბლები გასხლა, გაამშვენიერა. თუმცა პაწია ხეივანში ხუთიოდე ხენ დაითვლიდით, მთელ ეზოს მოედებოდა ხოლმე აყვავებული ალუბლების სურნელება ადრიან გაზაფხულზე.

გამგე ჩაფსკენილი კაცი იყო, ცოლიც ზორბა ჰყავდა.

ამათ პირდაპირ დალაქი ცხოვრობდა, არცთუ ისე ურიგო შესახედაობის კიყნა კაცი. სულ მუდამ პირგაპარსული და ჩაკრიალებულ-ჩაგვირიხტებული დაიარებოდა. ცოლიც შესაფერისი ჰყავდა, თუმცა კოკლი იყო. მაგრამ კოკლიც არის და კოკლიც! ისე სასაცილოდ გამოჩახუნდებოდა სარეცხის გასაფენად, ღიმილს ძლივს ვიკავებდით. ქმარს თავდავიწყებით უყვარდა. ამ სიყვარულს იმით გამოხატავდა, რომ ცოლის საქმეებსაც თვითონ აკეთებდა. მეზობლის ქალები დამცინავად უყურებდნენ ბაზრიდან დაბრუნებულ დალაქს, ჭალაჩუნაც კი შეიარქვეს.

ყველაზე უფრო მოხტე დათას ცოლს არ უყვარდა დალაქი. ეს ნაყვავილევი, ზორცასე, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი დათას მეორე ცოლი იყო, ბერიკაცობაში მოყვანილი. ელენე ერქვა. ელენე შორეულ ნათესავად ერგებოდა იმ ქვრივს, ბაღჩიანი სახლი რომ გაყიდა. სახლზე თვითონ ექირა თვალი, უფრო ბაღჩა ენანებოდა. თავიდანვე პირმოქმეული შეხედა გამგეს. მის ცოლს ხმას არ სცემდა.

ონკანთან ლეღვის ხე გვედგა. ელოს ზირად დაინახავდით ამ ლეღვის ძირას. გულზელს დაიქდობდა და გამეღელ-გამომეღელს ათვალეირებდა. რასაკვირველია, იმასაც ხედავდა ხოლმე, რა გულმოდგინედ ეხიდებოდა სანოვაგეს ნამცეცა დალაქი. „ეშმაკსაც წაუღია მაგისი ზრდილობა და თავაზიანი აბდა-

უბლა! წითელი კოცია რაღა მაგისი ფარგალა ცოლი! მეზიც კი დაგაყარეთ!" — ფიქრობდა ელო.

სულ მცირე რამ მიზეზი ჩვენა ეზოს გაცხარებული მითქმა-მოთქმის საგნად გადაიქცეოდა ზოლმე. ქალები ონკანთან შეიყრებოდნენ და ხმაშლილია ქაპანებდნენ. ასე გრძელდებოდა სამი-ოთხი დღე, სანამ არ მოეწყინებოდათ, ანდა ათასგვარი შემთხვევით მდიდარი ცხოვრება ახალ საკბილოს არ გამოაჩენდა. მერე ისიც უნდა გენახათ, რა გააფთრებით ეტყვებოდნენ ამ საკბილოს! გაქვებდნენ, ვაწეწავდნენ, ათასნაირად შეატრიალებდნენ.

მხოლოდ ერთადერთი პენსიონერი ქალი ცხოვრობდა მყუდროდ ამ ეზოში. მის კეთილ, მსუქან სახეს და კოტიტა ხელებს ავადმყოფური სითეთრე გადაჰკრავდა. მაინც ყოჩაღად გამოიყურებოდა.

ეზოში ყველაზე გვიან დაბინავდა. სულ მუდამ შინ იყო, მაგრამ უსაქმოდ გაჩერებულს ვერ დაინახავდით. გვაკვირვებდა, რა ჰქონდა ამდენი გასარეცხი და გასაფერავი. ყოველ ხუთშაბათს, ჩვენს ვალვიძებამდე, ეზოში გამოჰქონდა ძვარფასი ხალიჩები და ქვეშაგებელი. მზის ამოსვლამდე დაბერტყდა, რომ მტვერით არავინ შეეწუხებინა. შაბათ საღამოს ჭიშკართან გავიდოდა და იქ დიდხანს ელოდა ვიღაცას.

ბებია მამო მარტოდმარტო იყო. დედისერთა ქალიშვილი ადრე გაეთხოვებინა. ამ უკანასკნელის გარემოში მთელი ამბავი იყო შეთხზული. თითქოს ეს ქერათმიანი ცქრიალა ქალი ნაბოვნი ყოფილიყოს. ქუჩაში ვიღაცას მიუტოვებია ჩერებში გახვეულიო. მერე მოხუცი წასწყდომიაო. არც ის იცოდა ვინმემ, რამდენად მართალი იყო ეს ამბავი და არც ის, პირველად ვინ თქვა, ბევრმა კიდევ სცადა ლაბარაკში შეეტყუებინა მოხუცი, მაგრამ ამაოდ, ჯიქურ კითხვას კი ვერავინ ბედავდა.

სიძე და ქალიშვილი დროდადრო მოაკითხავდნენ ზოლმე მოხუცს, ღიმილით

გაივლიდნენ ეზოს და თავაზიანად აქეთ-აქით იყურებოდნენ.

სიძე პოლკოვნიკი იყო, ქალაქმერეული. მოხუცი ქალი ფუსფუსით გამოეგებებოდა ნანატრ სტუმრებს, ახოვან პოლკოვნიკს „უცუცუნიას“ ეძახდა.

მეზობლის ქალებს სიცადად არ ჰყოფნიდათ პოლკოვნიკის უცნაური სახელი. უვეკირდათ კიდევ, ასე საქვეყნოდ გამოქენების გამო გული რად არ მოსდისო. თვითონ პოლკოვნიკი კი სიყვარულით დააცქერდებოდა ბებია მამოს, ხელსაც გადაჰხვევდა და ასე შეაკილებდა შუშაბანდში.

წავილოდნენ თუ არა სტუმრები, ბებია თავიდან იწყებდა საშუადისს. ჭიშკრიდან სახეგაბადრული დაბრუნდებოდა. ამ დროს რომ დაგენახათ, მიხვდებით, რომ მას ყველა და ყველაფერი უყვარდა ქვეყანაზე.

არავის უკითხავს, ვინ იყო და საიდან მოვიდა. თუმცა საბინაო დავთარში გარკვევით ეწერა მისი გვარი, სახელი და მამის სახელი, თვით დაბადების თარიღიც კი, ჩვენი ეზოს ხალხი მაინც ამოჩემებულ „ბებია მამოს“ ეძახდა.

შეშა შემოაკლდებოდა ვისმე? ბებიაც იქ იყო. სთხოვდა, ჩემი სარდაფიდან ამოიტანეთო. ფული დასპირდებოდა ვისმე? ბებიაც უმალვე ეახლებოდა. უარიც რომ გეთქვით, ხვეწნითა და მუდარით შემოგაჩენებდათ.

მეზობლებს საგონებელში აგდებდა მისი ახირებული საქციელი. რაც უფრო ცდილობდა მოხუცი ამით დაახლოებას, ეს უკანასკნელი მით უფრო გაუბრუნდნენ.

რის გულისათვის ჩადიოდა ბებია მამო ამას, ვისგან რას გამოელოდა?

ეზოს ბოლოში, აი, იქ, სადაც წინათ ტყავის სამღებროს ქვარტილიანი ფანჯრები გამოდიოდა და დღემუდამ ასსანთლიანი ნათურა ენთო, ახალგაზრდობაშივე დაქვრივებული ვატმანი ცხოვრობდა. ვატმანს იშვიათად ვხვდავდით. სამსახურში ადრე მიდიოდა და გვიან ბრუნდებოდა. სამაგიეროდ, მისი წამო-

ჩიტული ქალიშვილი, გვანცა, სკოლიდან მოიბრუნდა თუ არა, სულ ლეღვის ძირას იჯდა და გაკვეთილებს იმეორებდა.

ყველა თავისებურად უყვარდა ეს ბავშვი.

სათვალეუბიანი გამგე დარბაისლურად ჩაახველებდა და გოცებით გადმოხედავდა, თითქოს პირველად დაინახაო, დალაქი კი, თვალს მოკრავდა თუ არა, უძველად სალამს დაასწრებდა, ხოლო როდესაც გოგონა თავს დაუკრავდა და ნათელ თვალებს შეანათებდა, კიდევ ერთხელ მიესალმებოდა.

ერთ დღით მთელი ეზო გამოაღვიძა ხმაშალაშა ყაყანმა.

ეზოს ბოლოში ვატმანიანთ კარი გაიღო. გამგის ცოლმაც გამოიხედა.

ონკანის გადაღმა ელენე იღგა მთლად აფოფრილი, გაწწილი და ცდილობდა ადგილიდან დაეძრა სილით სავსე ყუთი, რომელიც აქ მეხანძრეებს დაედგათ. მახლობლად დალაქის ცოლი ჩაუტყულებოდა და, ვითომ ბუზიც არ აფრენიაო, ქვაბს ხეხდა.

ეზოში გვანცამ გაიბრინა სანდლები ტაყატყუთით.

— ბები! ბები! — გაიძახოდა შემინებული გოგონა.

ბებია მამოს სარეცხი გაეწურა და თოკის ჩამოსაღებად სკამზე შემდგარიყო.

— ბები, ბებია, შენი კირიმი, გამოდი!

— რა იყო? — ძლივს მოაბრუნა კისერი მოხუცმა და ხრიგინ-ბორძიკით სკამიდან ჩამოვიდა.

— დამიდგეს რაღა, დამიდგეს! ბარემლაც სახლში შემომიტანეთ! — გაყვიროდა ელენე.

დალაქის ცოლი ყურადღებას არ აქცევდა. მშვიდად განაგრძობდა ქვაბის ხეხვას.

გვანცამ ხელში ხელი ჩასქიდა ბებია მამოს და უსიტყვო მუდარით გარეთ გამოიყვანა.

— არ წაიღებთ, არ მომაცილებთ, არა? — ღრიალებდა ელენე, რომელსაც

ვერასგზით ვერ მოეხერხებინა ყუთის გადაბრუნება, — აბა მე შენ მიყურეთ! არისტოკრატები!

გამგის ცოლი აქამდე მშვიდად უყურებდა თვალის სეირს, თუმცა ელოს გადაკვრები თავის თავზე მიიღო. ჩხუბის გამწვავებამ ისიც ეშხზე მოიყვანა და თავზარდამცემი ხმით გადმოსძახა:

— მაშ არა-და, შენსავით ღორის ჯაგრით ავიყოლებ თავს!

ეს ტყვიასავით ეცა ელენეს. მისი ქმარი მართლაც მეჯაგრისე იყო. ჯანგატეხილს არტელში სიარული რომ აღარ შეეძლო, სამუშაოს შინ ატანდნენ. მათი ფანჯრების წინ მუდამ ტრუსის სუნი იდგა, რადგან ჯაგრის ნარჩენებს ცეცხლში ყრიდნენ ხოლმე.

ჩოფურა ქალმა ენა ძლივს მოიბრუნა:

— მე ვარ აყროლებული? დათა! დათა, დათა, კაცო! გამოდი, კაცო, ნახე, რას გეიშვრებიან, ნახე, კაცო, სახლში შემოგვიხტნენ. აღამიანებო, ამას რას მოვესწარი...

ამასობაში ხალხიც მოგროვდა. ბებია მამო მიხვდა: ისევ იმ ყუთის გამო იყო ჩხუბი.

— რა ამბავია, რა მოხდა? — გაისმობდა აქა-იქ, მაგრამ გვიან-ღა იყო: ელენეს გულისპირი ჩამოეგლიჯა, ცხვირპირში მჯიღებს იცემდა და თავის მოკვლით იმუქრებოდა. ხალხის გამოხვლამ სულ გადარია.

გულგახეთქილი ბებია ყველაზე გვიან მიუახლოვდა. ხალხმა გზა დაუთმო.

დალაქის ცოლი ჩამოჯდარიყო. ნახევრად გახეხილი ქვაბი საჩეჩელივით ჩაედგა მუხლებშუა.

ამასობაში თვითონ დალაქმაც მოადწია. დაბრაწული თონის პურები შემოიტანა. მის პირმრგვალ, ცნობისმოყვარე სახეზე ჯერ გაკვირვება გამოიხატა, შერე პირი დააფრინა, პურები კინალამ ხელიდან გაუვარდა და იქვე გაშეშდა, სადაც იდგა.

ქალები რომ დაამოშმინა, ახლა ამას მოამურა კეთილმა მოხუცმა. ეხეწე-ბოდა, ეს ყველაფერი ჩემი ბრალია და მე მპაპტიეთო.

სახტად დარჩენილი დალაქი ვერას-
გზით ვერ მოსულიყო გონს, ვერც ის
გაეგო, ეს ახირებული დედაბერი რა
შუაში იყო.

მოჩხუბრები რის ვაი-ვაგლახით გაა-
შველეს.

გადაწყდა: სილით სავსე ყუთი ორი-
ოდე ნაბიჯით წინ წამოეწიათ და ონკა-
ნის უკან დაედგათ.

ნაშუადღევს ბებია სადღაც წავიდა
და მოგვიანებით დაბრუნდა შინ. უკან
მეეზოვე მოსდევდა. მეეზოვე ყუთს
მიუახლოვდა, კუბრივით შავ უღვაშებ-
ზე ხელი გადაისვა და თავი ჩაქინდრა.

— აგრე ვერ დაერევი, გეთაყვა. მიშ-
ველე, წელი არ მოიწყვიტო! — წამოც-
და ბებიას.

— ფუ, დაგწყველა ღმერთმა! საღ-
მონე აქ არ შემოსვლება, — გაფლა-
შული ნესტოების ცმაცუნით თქვა მე-
ეზოვემ.

— რა იყო? — აწრიალდა მოხუცი.

— სუნია. ისევ ცეცხლში შეყარეს.
დაფეთებულმა მოხუცმა ფრთხილად
მიიხედ-მოიხედა, ხომ არაეინ გაიგო-
ნაო.

— ამის გადათრევის ფულიც მაგათ
უნდა გადაახდევინოს კაცმა! — განაგრ-
ძო მეეზოვემ.

— არა, შენი ჭირიმე, გადახდის ჯავ-
რი ნუ გაქვს, მე გადავიხდი.

— შენ რაღაო?!

— რაღა და იმად, გენაცვალე, რომ...
უხეირო ადგილზეა. ყველა აქ დადის
ქვაბების გასახეხად. ელენეს გული
გაუწყალეს.

— მერე იქ თუ დავდგით, აღარ ივ-
ლიან?

— იარონ. მე არავის დავუშლი.

მეეზოვემ რაღაც ამოიზმულა. არც
მისთვის იყო უცხო ბებია მამოს უც-
ნაურობანი.

— ნიჩაბი გაქვს?

— კი, გენაცვალე. ახლავე!

ბებიამ შუშაბანდს მიაშურა. ნიჩაბი
მოიტანა.

— გადმოვცალოთ ახლა. მეც მოგეხ-
მარები.

— იპ! — მუჯღუგუნით მოიცილა
მისი ხელი მეეზოვემ.

— მძიმეა?

— მაშ!

— მე ამ კასრებს წავიღებ...

— ვაახ! — ამოიოხრა მეეზოვემ.

— იტკინე?

— ვიტკინე არა, ისა! რა აჩხუბებთ ამ
ოჯახეკტიანებს! თუ ჩხუბზეა, მე უნდა
ვჩხუბობდე.

— თქვენ?...

მეეზოვემ თეთრი კბილები გამოაჩინა
და მსუქან მოხუცს დამცინავად ახედ-
დახედა:

— მფრთხალი ყოფილხარ, აი!

ყუთი ბებიას შუშაბანდის შორიახ-
ლო დადგეს.

— შენ იცი? — თქვა მეეზოვემ, რო-
ცა ალუბლის წვენი დამტკბარი არა-
ყი გადააქრა და ნამცხვარს ყური წა-
ატეხა.

ბებია მორჩილად შეჰყურებდა.

— თქვენს ეზოში მთავე ხალხია.

— მთავე? — გაიკვირვა ბებიამ.

— ჰო, მთავე, ავი ხალხი.

— ოპ, ნუ იტყვი თ მაგას.

— ვა, ჩერებს რაღა ჰყრიან, კაცო,
აქრეფა არ უნდა?

— ჩერებს? რა ჩერებს, ბატონო?

— რა ჩერებს!

დილით, ხალხი რომ წამოიშალა სამ-
სახურში წასასვლელად, ზოგიერთი
ჩვენთაგანი გააკვირვა მოხუცის გადაწ-
ყვეტილებამ. გამგემ სათვალეების ზე-
მოდან გადახედა წითელ ყუთს, დალაქს
დაუძახა. კიენა კაცს ეგონა, გასაპარსა-
ვად მოვიდაო, მაგრამ როდესაც გამგის
სუფთად გაპარსული სახე დაინახა, შემ-
დეგ კი შუშაბანდთან მიდგმულ ყუთ-
საც მოჰკრა თვალი, ქალური ხელები
გაშალა და გაოცებით შესძახა :

— ვა!

ბებიამ დალაქის ცოლისაგან გაიგო,
რომ მთელი კვირის განმავლობაში
ელენე კარდაკარ დაიარებოდა: რას არ
ამბობდა მამოზე! ერთი გამოჩერჩეტე-
ბულა ბებერიაო, თავისთავი ყველაზე

შეგნებულად მიიჩნია და, ერთი ვი-
ცოდე, რით არის სხვაზე უკეთესიო.
ესეც არ აკმაბა მოხუცს. თუმცა წი-
თელ ყუთს ერთადერთი დანიშნულება
ჰქონდა — სილა მოეკავებინა, — ელენე
ლამამობით გამოდიოდა და ჯაგრის
ნარჩენებს სწორედ ამ ყუთში ჰყრიდა.

გული სტკიოდა ბებია მამოს, მაგრამ
არაფერს ამბობდა. გამოვიდოდა ყოველ
დღით, მეეზოვის შემოსვლამდე გა-
დაყრიდა. ჩერებსა და ჯაგრის ნარჩე-
ნებს, რათა მეზობლები ხელახლა არ
წყვიდებულყვენ.

შაბათი დღე იყო. ბებიას სახლი და-
ეწყრაილებინა და ახლა ცოცხალი თაი-
გულით დამშვენებულ სასადილო მა-
გიდასთან იჯდა.

სიმე და ქალიშვილი უნდა მოსულყ-
ვენ. პოლყოვნიკმა წინა დღეს დარეკა.
შუშბანდის ფარდის იქით ბუნდოვ-
ნად მოჩანდა ეზოს ერთი ნაწილი. ვი-
ლაც ტომრიანი შემოვიდა. ამას ბავ-
შეების ჟრამული მოჰყვა. შემოსულმა
ხრინწიანად გაწელა: „ბატი-ბუტი
ბოთლებზე!“ მერე მერძევემ შემოი-
ხედა და დალაქის ცოლს ორი ქილა მა-
წონი მიჰყიდა.

ბებიას გული დაეღია ლოდინში.
ცხვირმოკაუტებელი ყაისნადით ბალი-
შის გადასაფარებელს ქსოვდა.

უცებ ვილაცამ დააკუნა. გახარებუ-
ლი მოხუცი წამოვარდა, სახელსაქმო
ბალიშზე დაავლო.

აქედან არაფერ ჩანდა.

ეწყინა, ვაითუ მომეყურაო. შუშა-
ბანდში რომ გამოვიდა, სახე ხელახლა
გაუბრწყინდა, კარი ახალგაზრდული
სიმკვირცხლით გამოალო და სახტად
დარჩა:

ზღრუბლებზე მილიციის ლეიტენანტი
იდგა. მოხუცი დაიბნა. რალაც ამოი-
ლულულულა უანგარიშოდ, ბოლოს თავს
ძალა დაატანა, ბოდინში მოიხადა და
სტუმარს შუშბანდში შეუძღვა. აქ კი-
დევე აწრაილდა, მერე ერთბაშად მოა-
გონდა, რომ სკამი უნდა გამოეტანა...

ლეიტენანტი არ დამჯდარა, ილღი-
დან პორტფელი გამოიღო და სანამ იქ

საქირო ქალაღლს იმოვნიდა, სახელი და
გვარა ჰკითხა ბებია მამოს. რედაქცია
როცა პასუხი მიიღო, ისიც შეითხა,
დიდი ხანია, რაც ამ ეზოში ცხოვრობთ
თუ ცოტაო.

ამაზედაც ხმის კანკალით უპასუხა
მოხუცმა.

— ამა, გასაგებია, — თქვა ლეიტე-
ნანტმა, — რა მოგივიდათ, ასე რად აგა-
ფორიქათ ჩემმა დანახვამ? — თითქოს.
სასხვათაშორისოდ დაუმატა მან და
ქალს ლერბიანი ქალაღლი გაუწოდა, —
აი, ამაზე მომიწერეთ ხელი. წერა ხომ
იცით? მოიცათ, ჯერ წაიკითხეთ!

ელდისაგან დაპატარავებული ბებია
სათვალეების მოსატანად წავიდა.

ოთახის ღია ფანჯარაში ნოხით დამ-
შვენებული კედელი მოჩანდა. კედელ-
ზე ახალგაზრდა ქალის სურათი ეკადა.
ლეიტენანტს თვალი ვერ მოეწყვიტა ამ
სურათისათვის. ბებია დაბრუნდა.
უმაღვე შენიშნა მოულოდნელი სტუმ-
რის ცნობისმოყვარეობა და ქვითინი
აუტარდა.

ლეიტენანტი გააოცა ამან. ხელი ისე
მოჰხვია, როგორც პოლყოვნიკმა იყო-
და და სკამზე ჩამოაჯინა.

— რაზე ღელავთ, ბებო, რა მოხ-
დაა!..

— ჩემი ბრალია — წამოიძახა ბები-
ამ, — ჩემი, ჩემი... ან ისინი სად იყვნენ
ამდენ ხანს... არ ვამადლი, შეილო...
ოლონდ ხანდახან მაჩვენონ...

ლეიტენანტს ეგონა, საიმედო კვალს
წავაწყდიო. დამშვიდება დაუწყო მო-
ხუცს, წყალიც კი გამოუტანა, ფრთხი-
ლად გამოჰკითხა ყველაფერი, მაგრამ
ისეთი რამ შეიტყო, რაც სრულებით არ
აინტერესებდა: აი ის, ქვაფენილზე
უპატრონოდ დაგდებული გოგონას ამ-
ბავი...

ლეიტენანტი წავიდა. ბებია მცირე
ხანს გარინდებული იდგა შუშბანდში.
მაშ ყველაფერი გამოჰკლავდა, დღეს-
ვე ყველა გაიგებს, რომ ის... ოცდაათ
წელს ატყუებდა... საშინელ, უპატიებელ
ცოდვად აწვა ეს გულზე. მან ახლა

იცის! გაიგო, თავად მოძებნეს. ო, დროზე რომ ეთქვა, რომ ეთქვა...

ხელის კანკალით ჩაიცვა და მილიციონსაკენ გაუყვა გზას.

სამორიგეოს წინ მეჯავრისე დათას მოჰკრა თვალი, ვიღაცას ელოდებოდა. დათაც შეშფოთებული იყო. ბებია მაშომ მისალმებაც ვერ მოახერხა. წინა დღეს კატაპარია ჩამოუტანეს მანგლისიდან. დათასთვის უნდოდა. ვერც ეს უთხრა. რაღაცას კი ეჩურჩულებოდა დათა: ელენეო... წერილიო... ხელებს იმტვრევდა.

მაშო უანგარიშოდ შეჩერდა დერეფანში. თვალი მოავლო იჭაურობას.

დათას მეტი არავინ იყო.

მაშ ჯერ კიდევ არ მოსულან. იქნებ იყვნენ კიდევ და მის მოსვლას აღარ დაუცადეს... მაგრამ დათას რა უნდა აქ? რად არის ასე შეწუხებული? მან სული მოითქვა და რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ამ დროს კარი გაიღო. მაღალ-მაღალმა, სათვალეებიანმა სერკანტმა ზედაც არ შეხედა მოსულებს, ბებია მაშოს გვარი დაიძახა. მუხლთ მოეკვეთა მაშოს, კარს მიადგა და, როდესაც სერკანტმა შიგ შეუშვა, კართანვე გაჩერდა. გრძნობდა, რომ აქ კიდევ იდგნენ ვიღაცები და მას შემოჰყურებდნენ, მაგრამ მაშო ვერ ბედავდა თავის აწეებას, რათა მისი თვალები იმათ თვალებს არ შეხედროდა. მართლა იდგნენ? თუ მაშოს ეჩვენება, რომ აქ კიდევ არის ვინმე, გარდა იმ სახეგადატყეცილი მაიორისა, რომელიც მაგიდას მისჯდომოდა ფანჯარასთან. ვიღაცამ სკამი დაუდგა და მაშო მიხვდა, რომ ეს სათვალეებიანი სერკანტი იყო.

სახეგადატყეცილი მაიორი ქაღალდებს აშრიალებს მაგიდაზე, მაშოს რაღაცას ეკითხება, მაგრამ სახელდობრ რას, ვერ მიმხედარა მოხუცი; მაიორი კი დაჟინებით განაგრძობს თავისას, ქაღალდებს აშრიალებს. და მეთათვე ვერ ეკითხება, იცნობს თუ არა ის, ბებია მაშო, სარემონტო კანტორის გამგეს... გამგეს? რა შეაშია გამგე!..

„სამი ოთახი აქვს ზომ? — დაბეჯითებით განაგრძობს მაიორი, — შენსამე ახლა მიაშენა?“

ბებია მიიხედ-მოიხედა. ის დარწმუნებული იყო, რომ გონებას კარგავდა.

— იქნებ ის მაინც გვათხრათ, ეს უსახელო წერილი ვინ დაწერა? ნუ გერიდებათ, წაიკითხეთ. ჩვენ გენდობით.

რაო, რა სწერია? მოიცათ, სათვალეები! გამგემ საკუთრივ გაიყვანა წყალი სამხარეულოში? შუა ეზოში მილი გახეთქილია და იქიდან გამონადენმა წყალმა დალაქს ბინა. დაუნესტანაო? რაც გამგემ ავეჯი შეიძინა, სულ ქრთამში აღებულ ფულითაო? თუ ეს მართალი არ არის მეზობლებს კითხეთო? ბებია კი თავში სწერია.

საბრალო მოხუცი გაოგნებული დაბრუნდა შინ. სიზმარი იყო თუ ცხადი? უნდოდა ეკითხა, ისინი, ისინი ზომ არ...

შუშაბანდის კუთხეში ელექტრომრაცხველი ღულუნებდა და ოთახის მყუდროებას ეს აქამდე შეუმჩნეველი ხმაური ავსებდა პირთამდე.

ჩუ! ვინ არის?

კარზე კიდევ დააკაკუნეს, ალბათ, მილიციაა. მოვიდნენ, რომ საბოლოოდ უთხრან სიმართლე. ძალა აღარ ეყო, რომ კარებამდე მიედწია. სავარძელში ჩახავდა და ღონემიხდილმა თავი ჩაპკიდა.

კანტიკუნტად ესმოდა ხმამალალი ჩურჩული. ვიღაც ეალერსებოდა. ბავშვივით აიტატეს. სადღაც მაჰყავთ...

ბებია მიდხანს იავადმყოფა. სიძე და ქალიშვილი გამუდმებით თავს ადგნენ და ჰპირდებოდნენ, მომჯობინდები თუ არა, გაგრისაკენ გაგასეირნებთო.

ცვლილება არავის ემჩნეოდა. ეს უფრო მტანჯველ ეჭვში აგდებდა მოხუცს. გამოზაფხულზე მოიკეთა, მაგრამ აქ ახალი უბედურება დაატყდა თავს. პოლკოვნიკის ნაწილი საქართველოს სტოვებდა და სადღაც შორს მიემგზავრებოდა. ეს მორიდებით შეაპარეს, იქნებ გაყოლაზე დავიყოლიოთო. ცივ უარზე დადგა.

პოლკოვნიკი შეწუხდა. სხვა რაღა გზა

ჰქონდა, ცოლი უნდა - დაეტოვებინა. დაუსტებულ მოხუცს უპატრონოდ ხომ ვერ დააგდებდა.

ესეც იუარა ბებია მაშომ, ჩემს სიამოვნებისათვის ერთმანეთს ვერ დაგაცილებთო.

ერთ მშვენიერ დღეს დაემშვიდობებენ და წავიდნენ.

ამ დღიდან რალაც შეიცვალა ჩვენი მოხუცის ცხოვრებაში. ძველებურად რეცხდა, ფერავდა, ასუფთავებდა ყველაფერს, მაგრამ... ქაშკაშთან აღარ გადიოდა.

მაისის ერთ მზიან დღით იატაკის საწმენდი ტილო გამოიტანა ონკანთან, გასარეცხდა.

ქალები სარემონტო კანტორის გამგეუ ლაბარაკობდნენ.

ვილაცას უსახელო წერილი შეეტანა სადაც გერ არს.

ბებიას რალაც გაახსენდა. ონკანი დაკეტა და ყური მიუგდო. გამგე გაემართლებინათ.

— საბრალო! — თქვა მან მოულოდნელად.

დალაქის ცოლმა მოიხედა. ბებია მაშოს თავი არ აუწევია. წერილის დამწერი, ალბათ, რომელიმე ამთვანი იყო. არ უნდოდა უადგილო ცნობისმოყვარეობით ვინმე შეეწუხებინა.

ქალებმა მალე დაივიწყეს მისი აქ ყოფნა. ხმამაღლა იძიებდნენ „იმ უსიროცხვილს“ ვინაობას. მოსწონდათ გამგის ცოლის გადაწყვეტილება. ეს ქალი ყოველნაირი გზით დაქმნდა ცილისმწამებელს. ვისზე არ მიჰქონდა ეჭვი, ეს არ ემტკრებოდა. ჭურღმა ერთი ცოდვა ჩაიდინა, დამკარგავმა—ათასიო. ამან შეაშფოთა მოხუცი, მაგრამ მწუხარება რომ არ გამოემყდარებინა, ტილო გაწურა და ონკანს მოცილდა.

მთელი ის დღე რეტიანივით დალასლასებდა. გულს იმით იმაგრებდა, რომ თავბრუსხვევა სისხლნაკლებობით იყო გამოწვეული. უნდოდა წერილი დაეწერა, მაგრამ მალე გაახსენდა თავისი მდგომარეობა. ამას არავინ საჭიროებდა. არც მისამართი ჰქონდა. დაჯდომა

მინც ვერ მოახერხა. დაძროდა. შუშაბანდიდან ოთახში, ოთახიდან ისევ შუშაბანდში. მერე რალაც გადაწყვიტა საგარეო ტანსაცმელში გამოეწყო. დაიხურა საყვარელი ჩიხტიკოპი, პირველი თოვლივით სპეტაკი ჩიქილა მხრებზე შემოიფინა და ქალარა კულულები გამოაჩინა.

სად მიდიოდა? ეზოში გამოხანხალდა და რის ვაი-ვაგლახით შუშაბანდი დაკეტა. მუხლები უცახცახებდა. გული სადაც ზემოთ ეწეოდა, ტანში კი ისეთ სიმძიმეს გრძნობდა, თითქოს, ცა და დედამიწა მხარზე დასწოლიათ.

ნეტავი გვანცა მოვიდოდეს... სინათლე ჩაუქრიათ. ალბათ, მამამ წაიყვანა. დღეს რა დღეა? ჰო, მგონი შაბათი...

კიბის რიკულს ხელი წაატანა, რომ თავი შეემაგრებინა. არა, ვერ შესძლებდა წასვლას, უნდა დაბრუნებულიყო... ის იყო, სინათლე აანთეს ქუჩაში, გამგის მესერს რომ ვილაც მიადგა დიასახლისმა გამოიხედა.

— ბებია მაშო? — გაცეცხით წამოიძახა მან, საგანგებოდ მოკანზული მოხუცი რომ დაინახა.

— მე ვარ.

— მობრძანდი მერე, რას აკაკუნებ?

— შინ არის?

— ვინ?

— თქვენი ქმარი მინდა ვნახო, — გადაქრით თქვა მოხუცმა.

— ჩემ ქმარს ძინავს. ხვალ აღრე უნდა წავიდეს.

— მაშ ნუ გააღვიძებ, გეთაყვა, ხვალ მოვალ, ამით არაფერი არ დაშავდება.

გამგის ცოლი თავმოყვარე ქალი იყო. ქმარს ოჯახის საქმეში არ ირევდა. გაუკვირდა, რომ მოხუცი მის ქმართან მოვიდა და არა პირდაპირ მასთან.

— მაშ ხვალ მობრძანდი! — მიუგო იკვნივლად და ქიშკარი ცხვირწინ დაუქვია.

ბებია მეორე საღამოსაც გამოცხადდა. ამჯერად სამხარეულოს კარი გაუღეს.

გამგე ვახშამს შეექცეოდა. ამ შავგერემანმა მსუქანმა კაცმა გაქირვებით

წამოიწია. ბებიას შეეცოდა და დაასწრო:

— ნუ წუხდებით, ბატონო!

დიასახლისი გაჯავრებული იყო. სამზარეულოში არ გამოჩენილა.

— გისმენთ, — თქვა გამგემ ისე, როგორც სამსახურში იცოდა და ბური და ცარიელი თეფში ნიდაყვით გასწია.

ბებიას დაწყება უპირდა. ქათქათა ჩიქილა უფერული თითებით ჩაებლუჯა და ბოლოს უჩიჩქნიდა.

გამგე ქოშინით სუნთქავდა.

— თქვენ ავად ხართ, — თქვა უცებ ბებიამ.

გამგეს სახე მოეღრიჯა. სელის სკამზე წამოსკუპებულ მოხუცს აღმაცერად გახედა: „ტყუილად როდი ლაპარაკობდნენ. შექანებულფივით იყურება“.

— დამიჯერეთ, ივარჯიშეთ ყოველ დილით. მე მაქვს მიუღერის წიგნი. ცუცუნია ვარჯიშობდა.

გამგეს თვალები გაუფართოვდა.

— ნუ გიკვირთ, ნუ, ჩემი გულისათვის გააკეთეთ ეს.

— მერე უხდება? — ცალკუბად იკითხა გამგემ.

— გარწმუნებთ. ერთ თვეში უკეთესობას იგრძნობთ. სადილ-ვახშამზე ბორჯომის წყალს დაეძალეთ.

გამგეს მოქნარება აუტყდა. უნდოდა ცოლი შემოსულიყო, რომ ამ უცნაური მოხუცისაგან თავი დაეღწია.

— გეძინებათ, — დაბეჯითებით დასკვნა ბებიამ.

გამგემ ზრდილობიანად იუარა.

— მე აღრე მოვიდოდი, მაგრამ თქვენ გვიან ბრუნდებით სამსახურიდან. ახლავ ვივალ.

— არა, იყავით.

— ხომ არავის ესმის ჩვენი ლაპარაკი?

— არა მგონია.

— მაპატიეთ, რომ თქვენს საქმეში ვერევი.

— არა უშავს. არც პირველი ხართ, არც უკანასკნელი, — გაელიმა გამგეს, მერე ნათქვამის აზრს მიხვდა, გაეცინა და ხველა აუვარდა.

— შექარი, შექარი!.. — ჩურჩულებდა ბებია, — გაიკვებულეც შექარა, რა უკულმართი წელიწადი... *მეზღინოთქანა*

გამგე, როგორც იქნა დამშვიდდა და მიხედა, რომ მოხუცი მაღლობის მისაღებად იყო მოსული. მან ხომ ჩინებული ჩვენება მისცა! ოხვრითა და ქოთქოთით წამოდგა, ორიოდ სასიამოვნო სიტყვის თქმა დააპირა, მაგრამ მოხუცმა შეაჩერა.

— თქვენ მსხვერპლი უნდა გაიღოთ, თუ ჩემი პატივისცემა გაქვთ...

— ჰა? — გაიკვირვა გამგემ, რომელსაც მოეჩვენა, სიტყვა ჩემს თავნება ცოლს შეეხებოდა.

— მე ბევრი ვიფიქრე, ბოლოს გადაწყვიტე ამის თქმა. თქვენ შეგნებულნი ადამიანი ხართ. ნამდვილად გამბობ... დამპირდით, პატიოსანი სიტყვა მომეცით, რომ შემისრულებთ თხოვნას.

გამგემ მხრები აიჩეჩა. რას თხოვდნენ ასე დაჟინებით?

— მე ას წერილი წამაკითხეს მილიციისში, — განაგრძო მოხუცმა, რომელიც თანდათან კარგავდა წონასწორობას, — ყველაფერი ტყუილი იყო. ტყუილი კი არა, ღმერთო...

— მაშ რა იყო?! — აიფოფრა გამგე.

— მე მაშინ სხვა რამეზე ვფიქრობდი...

— მერე რა გინდათ ახლა?

— თქვენ გაიგეთ, ვინ დაწერა ის წერილი?

— რაში გაინტერესებთ?! — თვალის თვალში გაუყარა გამგემ.

— მე? მე არა... ისე...

— ისე! — ჩაილიმა გამგემ, მოხუცისთვის კი თვალი არ მოუშორებია, — გავიგებ. ჯერ საბუთი არა მაქვს, ხელი არ ეღრება.

მოხუცს ახლა-ღა მოაგონდა დათას აბნეული სიტყვები. მგონი ელენეს ასენებდა, მერე წერილს... კატაპარია... როგორი გულმავიწყი გახდა, დღესაც არ მიუტანია დათასათვის. მაგრამ იმის გაფიქრებამ, რომ წერილი ელენეს შეთხზული უნდა ყოფილიყო, საკუთა-

რი შეურაცხოფაც დაავიწყია და ნამდვილი ბებრული ჩიფჩაფით იკითხა:

— მერე რად გინდათ საბუთი?

— რად უნდა მინდოდეს! — მშვიდად უპასუხა გამგემ.

ბებიაშ უკანასკნელი ღონე მოიკრიბა.

— თქვენ მაძლევთ პატიოსან სიტყვას?

გამგეს კიდევ გაეღიმა.

— აბაჩეთ, — ძლივს ამოთქვა მოხუცმა.

— ვის?

— იმას. თქვენ კეთილი ხართ. ვიცი, ადამიანს არ დაღუბავთ. შეიგნებენ...

გამგე გაოცებული იყო, ბოჯინჯგალა ფეხებს უჩვეულო მოუსვენრობით იწაცვლებდა.

— თქვენ რაღაცა... თქვენ რა უცნაურად ჰიკვიკებთ! — გამოღერდა ბოლოს.

— მე? — იკითხა ბებიაშ და თეთრი წარბები ასწია. მერე მიხვდა, რასაც ეუბნებოდნენ, თვალი დაბნეულად მოაწვლი იჭაურობას და ისევ გამგეს შეხვდა, — მე?

მსუქანი კაცი კი იღვა და იღიმებოდა. საოცარა სიწითლე გადაჰკრავდა მის ისედაც ეინვლილა კისერს.

ბებიაშ კალთები აიკრიფა. არა, მას გული არ მოსდიოდა, არა, არა!

ღილით ფოსტალიონი მოვიდა. ეზოში ბებიაშ გვარი დაიძახა. დალაქის ცოლმა უპასუხა. აქ ცხოვრობსო.

ფოსტალიონი უშუაბანდს მიაღვა და მაგრად დააბრაზუნა.

— გვიან დგება? — ჰკითხა დალაქის ცოლს.

— არა. ალბათ, წავიდა.

მაგრამ კარს ბოქლომი არ ედო. კიდევ დაარაზუნეს, უშუაბანდშიაც შეიკვირტეს.

ოთახის კარი ღია იყო.

რახუნსა და ძახილზე მთელი ეზოს ხალხი შეიკრიბა. კარი, რაღაცა ხელი, გააღეს.

მოხუცი ქალი იწვა, თავი კარისაკენ მოებრუნებინა და მშვიდად უყურებდა შემოსულებს, თითქოს, ბოდისს იხდიდა, სტუმრებს რომ ვერ გამოეგება. გვანცა პირველი მიიჭრა, სასთუმალთან ჩაიჩოქა და მოხუცის გაცრეცილი, ყვითელი ხელი გულში ჩაიხუტა.

დაზღვეული წერილი პოლკოვნიკისაგან იყო. ქვემოთ ქალიშვილსაც მიეწერა ორიოდ პუჯარი. მშვიდობით დავბინავდათო.

მოხუცის ფერანკარავი სახე ბედნიერების შექით განათდა. ხელის აწევა მოინდომა. უნდოდა გვანცასათვის მოეხვია. ძალა არ ეყო.

— მადლობელი ვარ... — უსიცოცხლო ღიმილით თქვა ბოლოს.

სახეგანათებული იწვა ლოგინზე და იღიმებოდა.

მალე სასწრაფო დახმარების მანქანა მოვიდა. მოხუცი საავადმყოფოში გადავიყვანეთ. დიდხანს იავადმყოფა. გვიან ღამით სიცხე აუწვევდა ხოლმე. ბოდავდა. გვანცა მის სასთუმალს არ მოსცილებია. მესამე დღეს დალაქის ცოლმა მოიტანა ამბავი, უკეთესობა არ ეტყობათო.

— საწყალი! — თქვა დალაქმა და თვალი გამგის მესერისაკენ გააპარა. ვერაფერს მიხვდებოდა, რის თქმა უნდოდა ამით დალაქს. ყური მაინც არავის უგდია. ელენე სარეცხს ფენდა, გამგის მეუღლე მესერს გადამოა იჯდა ზურგშეშეკევით, სამურაბე ვაშლს არჩევდა და ყუნწებს ქუჩაში ჰყრიდა.

ქიშკარში ვიღაც ტომრიანი შემოვიდა. ამას ბავშვების ერთამული მოჰყვა. შემოსულმა ხრინწიანად გაწვლა: „ბაბატი-ბუტი ბოთლებზე!“ მერე მერიძევმ შემოიხვება და დალაქის ცოლს ორი ქილა მაწონი მიჰყიდა.

გრიგორ ცახესტაძე

★

ქალბარა თუ შეგებარა

ქალბარა თუ შეგებარა,
დაგაფიქრებს, დაგალონებს,
წარსულ დროებს წარამარა,
გულის ღელვით მოგაგონებს.

„გამიფრინდა, — ფიქრობ, — საით,
შოკისკასე ოქროს ხანა?“
და უცქერი მამასავით
საკუთარ თავს — ცელქ ბაღანას.

სიჭაბუკე შეე უღვაშებს
გაისწორებს მომღიმარე,
ათეულ წლებს გიკაშკაშებს
პირველ ტრფობის მოწმე მთვარე.

ხან სატირლად განამზადი,
თავს ჩაგრულად იგრძნობ ბედით,
რომ ბოროტი, არამზადა
თვალთმაქცურად გედგა გვერდით;

რომ მუხანათს გულით ენდე,
არიფებში მასაც სთვლიდი,
რომ იყავი სიბერემდე
გულალალი, მიამიტი...

ხან დაღუპულ მეგობარის
სიზმრად ლანდი გაიქროლებს;
გესმის მისი საუბარი,
მთელი ტანით შეგაყრეოლებს...

შენ მიიხედ-მოიხედავ —
რამდენი მყავს კიდევ, ნეტავ,
გულითადი მეგობარი?
მოგწყურდება მათთან ყოფნა,
მათთან ტკბილი საუბარი...

ქალბარა თუ შეგებარა,
დაგაფიქრებს, დაგალონებს.
წარსულ დროებს წარამარა,
გულის ღელვით მოგაგონებს.

შორით დაგვა, შორით კრთომა

გაზაფხულმა გრძნობა ძველი
განშიახლა შევების თქორით.
სიყვარული წმინდა, წრფელი,
შორით დაგვა, კრთომა შორით.

შენ დაგეძებ, ვარდო ველის,
მე მაცოცხლებს შენი ნდომა, —
სიყვარული წმინდა, წრფელი,
შორით დაგვა, შორით კრთომა.

ამ დროს მომესმა შაშვის გალობა

ჩამძინებოდა შეფოთლილ ტყეში,
სიზმარი ვნახე, ვიგრძენ ნუგეში;
სიამით ვთრთოლდი. სიზმრის წყალობით...
გამომადვილა შაშვი გალობით.

მეფიცებოდი: „შენი ვარ მარად,
აწ შენ გეკუთვნის ჩემი ქალობა“
ალარ მიშლიდი მოხვევნას... მარა...
ამ დროს მომესმა შაშვის გალობა.

რამდენად ცხადში არ გებრალეები,
იმდენად სიზმრად იყავი სათნო.
მეუბნებოდი: „მე ტრფიალების
ცეცხლი მგზნებარე მედება, მადნობს!“

სიზმარი არის ჩემი ნუგეში,
თუ ვცოცხლობ, ისევ სიზმრის
წყალობით...
სულ მძინებოდა, ნეტავ, ყრუ ტყეში!
რად გამადვიძე, ჩიტო, გალობით?

ძველებური საათი

ვაგონის კუბეში სამნი ისხდნენ. ერთი ჩოხიანი იყო, წვერი მოკლედ შეეკრიჭა, უღვაშები ზევით აეგრიხა, ლოყები ოდნავ წამოწითლებოდა. სიბერე არ ეტყობოდა, არც სახეზე აჩნდა ნაოჭები. კაცი ვერ იტყოდა, სამოც წელს მიღწეულიაო. მატარებელი კარგა ხანს იდგა იმ სადგურში, სადაც ჩოხიანი ამოვიდა. მოხუცმა ჩოხა-ახალუხის კალთები გადაიწია, შარვლის ჯიბიდან ოქროს მსხვილქექვიანი ძველებური საათი ამოიღო და უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა:

— რვა შესრულდა. რატომ არ მივდივართ?

— წავალთ, ცხრის ათ წუთზე ვადის. — უპასუხეს მას.

— რვაზე ვადისო?

მეორე თანამგზავრი ყველაზე ახალგაზრდა იყო. მოხუცის პირდაპირ იჯდა და საათს ჩაიციებით უცქეროდა.

ელმაგალმა დაიგუგუნა, ვაგონები შეანჯღრია. დაიძრა მატარებელი. ახალგაზრდამ, რომელიც მანამდე ჩაფიქრებული იყო, მოხუცს მოუთმენლად მიმართა:

— ბოდიში, აბა, ნახეთ თქვენი საათი, სწორია?

— ჩემი საათი კარგად მუშაობს! — მიუგო მოხუცმა და უფრო სწრაფად, ვიდრე წელან, საათი ჯიბიდან ამოიღო.

— სწორია!

— კარგი საათი გქონიათ!

— კარგია, მაგრამ დაბერდა.

— შეიძლება ვნახო? — ჰკითხა ახალგაზრდამ.

— ინებეთ!

მოხუცმა საათი მიაწოდა. ახალგაზრდამ უკანა ხელი გახსნა და ზედ რომ დახედა, უცებ დახურა და საათი თანამგზავრს მიაწოდა.

თანამგზავრს არ მოეწონა საათი, დიდი, კაცს ჯიბეს ჩამოახეცსო.

— ოქრო დიდი სჯობს! — შენიშნა მოხუცმა, ღიმილით ჩამოართვა თანამგზავრს საათი და ჯიბეში ჩაიღო.

საათის ხელი რომ გახსნა, იმ მგზავრს ოცდახუთ წელზე მეტს ვერ მისციმდით. თუმცა შუბლს ზემოთ თმა ოდნავ გასცვენოდა, შავი უღვაშები და შავად შავი თვალები მის სახეს ახალგაზრდულ შექს ჰყენდა. თალხი კოსტუმში ეცევა. ეს ახალგაზრდა გაიოზ ხინთიბიძე იყო, ცეკავშირის სასურსათო ბაზის გამგე. გვერდით ცოლისმა უჯდა, სილოვან აფრიღონიძე, პროფესიით მასწავლებელი. ახლა სოხუმიდან ბრუნდებოდნენ. ზღვის მარიალიან წყალს და პლაჟის მცხუნვარე მზეს მათ სახეებზე თავისი ფერი დაედო.

მგზავრობის პირველ წუთებში ხმა არც ერთს არ ამოუღია. გაიოზი ფანჯარას გაჰყურებდა, სილოვანს გაზეთი გაეშალა. მოხუცმა ჯერ პაპიროსს მოუკიდა, ერთი ორჯერ მოქაჩა, თამბაქოს კვამლისაგან ოდნავ შეყვიტლებულ უღვაშებზე ხელი გადაისვა, მერე კი ფანჯრიდან გადააგდო პაპიროსი. ბერიკაცი თავს უფროთხილდებოდა. ეინის მოსაკლავად ორი გაბოლება ჰყოფნიდა და ჯერ კიდევ დაუფერფლავ პაპიროსს გადასაგდებად ადვილად ელეოდა.

ამასობაში გაიოზმა და მისმა ცოლისმამ საუხზე გააწყეს.

კუბეში მაშინვე დატრიალდა მოხარული ხორციისა და შოთი პურის სუნი.

— გვეწვიეთ, ბატონო, გთხოვთ! — მოხუცს მიუბრუნდა გაიოზი.

— გამადლობთ, შეილო! — ესიამოვნა ბერიკაცს, ზურჯინიდან თვითონაც ამოიღო სამგზავროდ შეხვეული ხაჭაპური და სუფრაზე დადო. — თუ ქამაა, ქამა

იყოს!

გაიოზმა ნახევარი ბოთლი არაყიც ჩამოღვა სუფრაზე, მაგრამ ბერიკაცმა თავი გააქნია, არაყს ვერ დაველეთ, ღვინო და ლიმონათი რომ იყოს, ერთმანეთში ავურეგდები და არ მაწყენდაო. მერე ჯაყვა ამოიღო, ზაქაბური დასქრა და ლუკმა მოიტეხა. მადიანად ჭამდა. სილოვანმა არაყი გადაკრა და სიძეს მიუბრუნდა:

— ასე არ სჯობს? ჭამე, შეგერგება. თამბაქოს რას აკლევინებ თავს, აი, მე, ბატონო, — მიმართა მან ბერიკაცს, — ექიმმა მითხრა, თუ პაპიროსს არ მოსწევ, ას წელიწადს იცოცხლებო... თავი დავანებე.

— ეს ყველას არ შეუძლია, შვილო, მე ექიმებმა ამიკრძალეს თამბაქო, მითხრეს, სულის ხუთვა გაქვს და დაგახრჩობსო, მაგრამ ჩუმჩუმად მაინც ვეწევი. რომ არ მოვწიო, მაშინ უფრო დავიხრჩობი. თავიდან რომ არ შეგჩვეოდი კარგი იყო. ცხოვრება ახლა მინდა. შვილთან მივდივარ. კაი-კაი პროფესორებს უნდა ვეჩვენო. არ დამაყენა ბიჭმა, თორემ ჩემისთანა გადაყრუებულ კაცს პროფესორი რას უშველის. მიგზავნა და მიგზავნა დეპეშა, ჩამოდიო და აი...

— ბოდიში, ბიძია, თქვენი შვილი სად მუშაობს? — ჰკითხა გაიოზმა ლაპარაკის მაღაზე მოსულ ბერიკაცს.

— ქალაქში მუშაობს, ფარნაოზ ლობჯანიძე, გაგიგონიათ?

— როგორ არა, ჩემი უფროსია! — წამოიძახა გაიოზმა.

— გაგახარა ღმერთმა, — ესიამოვნა ბერიკაცს და გაიოზს ვინაობა ჰკითხა. გაიოზის სახელი და გვარი ბერიკაცმა გაიხეორა. არ დამევიწყდება, კარგი მეხსიერება მაქვსო.

— ვეტყვი, შვილო, პატივი რომ მეცით და ჩემ მაგიერ ის გადავიხდით...

— როგორ გეკადრებათ, რა პატივი გეცით! — გაიკვირვა გაიოზმა. ბერიკაცმა პურის ნაჭერი აიღო და გაიოზს შეხედა.

— ამას თავისი მადლი აქვს, შვილო. პურმარილი კი არა, უბრალო სიტყვას

თუ წმინდა გულით მეტყვი, ისიც დიდი პატივისცემას მე პატარა რაზე გამახსნამ რებს!

გაიოზმა ჰქია შეავსო, ცოლისძმის სასმისს მიუჭახუნა და ბერიკაცს თვალები მიაპყრო.

— თქვენი სადღეგრძელო იყოს, ბიძია. ბედნიერი მამა ხართ, კარგი შვილი გყავს, იცოცხლებთ და იხარეთ, ზურიკოს ქორწილში თამადად მენახოთ!

ბერიკაცს ესიამოვნა შვილიშვილის ხსენება, სულ გაიბადრა.

— ეჰ, — ამოიოხრა და, ჯაყვა მოკეცა. — ზურიკოს ქორწილამდე რა მიმიყვანს, კარგი მყავს, იმას შემოველოს ჩემი თავი!

ახლა ფარნაოზის სადღეგრძელოც დალიეს. გაიოზმა ძალიან შეაქო ფარნაოზი. ბერიკაცს სიხარულმა გაუბრწყინა თვალები.

— მეოთხე წელიწადია, ფარნაოზთან ვმუშაობ და მისი ერთი მწარე სიტყვა არ მახსოვს. საქმე უყვარს და თანამშრომლების ყადრი იცის. ჯერ სადაა, ფარნაოზი წინ წავა, მალე მინისტრად დანიშნავენ.

— არა, შვილო, მინისტრობა პატარა საქმე არ არის, ვერ შეძლებს, ცოდვას! — შეაწყვეტინა ბერიკაცმა და ისევ საათიან ჯიბეზე მოიფათურა ხელი.

— რომელია? — იკითხა გაიოზმა.

— თერთმეტია, შვილო!

— ეს საათი, ალბათ, ახალგაზრდობაში შეიძინეთ...

— არა, შვილო, ბიჭმა მიყიდა. ბევრი მიუცია, მაგრამ კარგია და ღირს!

ბერიკაცმა კონდუქტორს დაუძახა, ლოგინი გააშლევინა. „თვალი დაუდგეს სიბერეს, ერთ კვირას სუფრასთან რომ ვმჯდარიყავი, არ დავილღებოდიო“, ჩაილაპარაკა მან. თანამგზავრებთან ბოდიში მოიხადა, წამოწვა, სახეზე ცხვირსახოცი დაიფარა და თავი ძილს მისცა.

გაიოზსა და სილოვანს სუფრა არ აუშლიათ. გაიოზმა ბოთლში ჩარჩენილი ღვინო დაისხა, მაგრამ არ დაუღვევია, წამოღვა, ფანჯარაში გაიხედა.

იმერეთის გორაკები მთვარის შუქში

ცურავდნენ, მატარებელი სწრაფად მიქროდა. მოვერცხლილი სახლები თავიანთი განათებული ფანჯრებით ერთიმეორეს მისდევდნენ, მათ ხეების სილუეტები მიჰყვებოდნენ. გაიოზი დიდხანს ვერც ფანჯარასთან გაჩერდა. ისევ თავის ადგილზე დაჯდა და ცოლისძმისაკენ მიიხედა. ცოლისძმას ხელში ხაჭაპურის ნაჭერი ეჭირა და მადიანად შეექცეოდა.

— შენც ჰამე, რამ მოგაწყენა? — უთხრა მას სილოვანმა და ჰათმის ბარკალი მიაწოდა.

— საქმელე არ მინდა, ღვინოს კი დავლემ.

— რატომ? რა მოგივიდა?!

— არაფერი! — მიუგო გაიოზმა და ჰიკა გამოსცალა.

ბერიკაკი გულაღმა იწვა. საათის ძეწკვი უბრწყინავდა ჯიბისთავზე. გაიოზს თვალი ვერ მოეშორებინა ამ ძეწკვისათვის.

— რას მიაშტერდი, ძალიან მოგწონა? — ჰკითხა მას სილოვანმა.

— მომეწონა? — გაიმეორა რატომღაც გაიოზმა, ჩოხის ჩამოგდებულ კალთას ხელი აჰკრა და ძეწკვს გადაათვარა, — კი არ მომეწონა... შენ რომ ამ საათის ამბავი იცოდე...

— საათის ამბავი? — გაოცდა სილოვანი.

— ჰო... საიდან სადაო! ყური მიგდეს საათი მამაჩემის ნაქონია, ფარნაოზმა დამტყუა.

— კი, მაგრამ ასე რომ აქებდი წელან ფარნაოზს?

— ბიჭი ხარ და ნუ შეაქებ! ჰმ, ძვირი მისცაო, როგორ შემოგვივილა, გაიოზნე? ძვირი კი... მეუქთად ამაღლიტა. სამ წელიწადს ექსპედიტორად დავეთროდი იმასთან. ბოლოს, როგორც იქნა, ბაზის გამგის ადგილი განთავისუფლდა, ვთხოვე, დამინშენ-მეთქი, რა დიდი თანამდებობა ის არის, მაგრამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ბაზას როგორ განდობო. ბუღალტერმა მასწავლა. ერთი კამპანია გაუწყვე, პატარა საჩუქარიც მიეცი და საქმის გაკეთებას მერე წინ არაფერი დაუდგებო. მაშინ ცოტა ფული მქონდა

დაზოგილი, დედაჩემს გადავეთვალე და ბაზარში გავუშვი. ჭინჭმარაულისათვის მე წავედი, ფარნაოზი სხვა ღვინოს არ სვამს. სანამ სტუმრები სუფრას შემოუსხდებოდნენ, ნარდი ითამაშეს. ფარნაოზთან ყველამ წააგო. აბა, უფროსის ზომ არ აწყენინებდნენ. ნარდის მაგიდაზე, რაღაცა ეშმაკად, ეს საათი იდო. მაშინ არც კი შემიმჩნევია, მაგრამ ფარნაოზს კი თვალი დაეღვა ზედ. დილაძე იქნეფეს, რომ ინათა, ყველა გაიკრიფა, ფარნაოზს მანქანა მოუვიდა. ის დღე კვირა იყო. ფარნაოზი სახლიდან გავისტუმრე. საღამოს ძვირფასი სანადირო თოფი მივართვი. არც შვილი დამეიწყებია მისი, იმას კიდეც შოკოლადი მივეტანე. ფარნაოზმა თოფი ბუდიდან ამოიღო, ააწყო, ლულაში შეიპვრიტა, მოეწონა და მითხრა, ჩემს გულში ზომ არ იჯექიო, რა იცოდი, თოფს რომ ვეძებდიო. მერე პატარა ხანს გაჩუმებული იყო და, ბოლოს, გამოღერდა, თოფი თოფია და კარგი რამეც არის, მაგრამ ის საათი კი ნამდვილად სჯობდა ამასო. ტანში გამბურძგნა. მამაჩემის სახსოვარია-მეთქი, წარწერაც აქვს-მეთქი, — შევბედე. საქმე არა გაქვს!

მერე რაო, მეც მამაჩემისთვის მინდა, მამაშენი და მამაჩემი რამ გაყო ერთიმეორისაგანო.

შემდეგ ცოლს ყავა გამოატანინა, დამპატივა, მაგრამ ძალიან მემწარა მისი ტბილი ყავა. თვითონ კარგ გუნებაზე იყო, ცოლს სთხოვა, პიანინო დაუკარიო. ცოტა წაუმღერა. შინ რომ დავბრუნდი, დედაჩემმა უგუნებობა შემატყო. თოფი არ მოეწონაო? — მკითხა. მე ყველაფერი ვუთხარი, რაც ჩემს თავს იყო.

დუდასაც წაუხდა გუნება, ჩაფიქრდა, მერე კი საათი ჯიბეში ჩამიღო, მხოლოდ ისა თქვა, ნეტავი იმდენი ჰქუა მოგვეხმარა, გადაგვემალა სადმეო.

გათენდა ორშაბათი. მივედი სამსახურში, საათი ჯიბეში მედო, მაგრამ ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ მქონდა მისი ბედი. ფარნაოზი ცოტა გვიან მოვიდა. კანცელარიის კარებთან შემხვდა თავისი კაბინეტისაკენ მიმავალი, დახეთ

უბედურებას! წინათ ცივად მიინც მესალმებოდა, ახლა ზედაც არ შემოუხედავს, უცნობივით ჩამიარა და კაბინეტის კარი მიიჯახუნა. გაგულსებული იყო. დავიბენი, რას მიჯავრდება-მეთქი. არ მახსოვს, როგორ გავჩნდი მის კაბინეტში, როგორ მივაწოდე საათი.

დასვენების შემდეგ ბრძანება გამოაკრეს, ბაზის გამგედ ვიყავი დანიშნული. ბულაღტერმა მომილოცა. იმის შემდეგ ვმუშაობ, მაგრამ რად მინდა ასეთი სამუშაო. ფარნაოზი ვერ გაძლა, ღვინოს, არაყს, ხორცს, ყველს, კარაქს, ყველაფერს ჩემი საწყობიდან ეზიდება და კაპიკს არ იხდის. არ ვიცი, რა მეშველება, ცუდად ვარ გაბმული.

— მოეშვი მაგ ბაზას, თავი არ წაავო, კაცი!

— მეც ამას ვფიქრობ, მეტი საშველი არ არის!

გაიოზს კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ ბერიკაცმა მხარი იცვალა, კედლისკენ გადაბრუნდა. „არ ეღვიძოსო“, გაიფიქრა გაიოზმა. განუშლა და ცოტა ხნის შემდეგ თვითონაც დაწვა. ზედა საწოლზე ავიდა და შუქი ჩააქრა.

გორში გათენდა. ბერიკაცმა აღრე გაიღვიძა და პირის დასაბანად გავიდა. ამა სობაში მატარებელმა მცხეთა გაიარა. გაიოზი და სილოვანი ჩასასვლელად მოეშინდნენ. მატარებელი გაჩერდა. გაიოზი ტალანში გამოვიდა და ფანჯარასთან ატუზულ ბერიკაცს მორიდებით უთხრა:

— მოვედით. მუშას ნუ დაუძახებთ, ხურჯინს ჩვენ ჩამოვიტანთ.

ბერიკაცს ხმა არ ამოუღია, გაიოზს მოღუშული სახე მოარიადა.

— რა მოგივიდათ? ცუდად ხომ არ ხართ?! — ჰკითხა გაოცებულმა გაიოზმა, — წამობრძანდით; სადგურში თუ შეილი არ დაგხვდათ, ჯავრი ნუ გაქვთ, მე მიგაცილებთ მის სახლამდე.

— ვინ შეილია?! აჰა, შენი საათი, გამომართვი! გამომართვი! გამომართვი! — დაჰკრილივით აღრიალდა ბერიკაცი, თან გაიოზს მაჯა დაუჭირა და საათი ხელში ჩასჩარა.

ტალანს დაფეთებული მგზავრები მოაწყდნენ.

— რა მოხდა?! — იკითხა უცნობმა.

— არაფერი! — მიუგო აცახცახებულმა გაიოზმა.

ბერიკაცი კუბეში შემობრუნდა და ისევ თავის ადგილზე დაჯდა.

მგზავრები კარისაკენ გაემართნენ.

ბერიკაცთან კონდუქტორი მივიდა.

— ბიძია, რატომ არ ჩამოდიხართ? თუ ცუდად ხარ, ექიმს დაუძახებ!

— ექიმი რას მიშველის! — მიუგო ბერიკაცმა, ჯიბეზე ხელი მოიფათურა, მაგრამ თითქოს ნაკვერცხალი უღვესო შიგ, ისე უცებ წამოიღო ხელი უკან და კონდუქტორს მიუბრუნდა:

— რა, მივედით?

— აბა რას გეუბნებოდი, შე კაცო, ჩამოდი, ვაგონი უნდა დავეკეტო, მეც კაცი ვარ, დასვენება მინდა!

— კარგი, შეილო, არ შეგაწუხებ!

ბერიკაცი წამოდგა, ქუდი დაიხურა, ხურჯინს ხელი დაავლო და ტალანში გავიდა. ვაგონის კიბეზე წუთით შეჩერდა, თვალი გადაავლო ბაქანს. ქალაქის ქიშკარში ხალხი შეთხელებულიყო. ჯიხურთან ნაცნობ სახეს მოჰკრა თვალი. მალა-მალა, ოცდაათიოდე წლის ქალს ვიწრო კაბა ეცვა, თავზე ჩალის პატარა, ჩიტის ბუდესავით შლიაპა ეხურა, მარცხენა ხელში ბიჭუნას ხელი ეჭირა და ვაგონებისაკენ იყურებოდა. ბერიკაცი მიიმედა ჩამოვიდა ბაქანზე, რძალსა და შეილიშვილს მიაშურა.

ფარნაოზი შინ არ დაუხვდათ. სანადიროდ ყოფილიყო წასული.

ბერიკაცმა ქუდი მოიხადა, ახალუხის ლილილოები შეისხნა, დევანში ჩაჯდა და ზურიკო მუხლზე დაისვა, რძალმა მერე ოთახში სიოცრად ჰრელი ხალათი გადაიცვა და შემოვიდა.

— ზურიკო გეყოფა, ბაბუა ნამგზავრია, მოასვენე!

— არა უმავს, იყო!

— მამა, ძალიან ნუ ათამამებ ბავშვს, თორემ არ ვარგა. სხვა? როგორა ხართ სოფელში. ძველებურად? ისე ძალიან გვტყვივა გული, ეგ ავადმყოფობა რომ აგვეკვიტა.. მალე მოგარჩინთ, ნუ გეშინია. სოფელში რომ წახვალ, ზურგიკოს გატანებაც გვინდა. აგვიკლო. მოსვენება აღარ არის პირდაპირ. გყავდეთ იქ და გახარდეთ თქვენს ქუეყანე.

— ეგე, ჩემო რძალო. — ამოიოხრა ბერიკაცმა, — მე შეილიშვილი კი არა, შვილი ვერ გამიზრდია.

— რა ბრძანე?

— გიკვირს? ტყუილს ვამბობ თუ?

ზურგიკომ ჯერ მოღუშულ ბაბუას შეხედა, მერე შემკრთალ დედას, მუხლიდან ჩამოხტა, დედასთან მიიჩინა და ჩუმად უთხრა:

— მამამ ზომ დაგიბარა, ბაბუას მოეფერეო, რატომ არ ეფერები? წამოდი, ცოდვია, მოეფერე ბაბუას, წამოდი!

მაგრამ ამ დროს ზარმა დაიწკარუნა.

— მამა! — წამოიძახა ბიჭუნამ და კარის გასაღებად გაიქცა. წამოდგა რძალოც და ქმარს შუა ოთახში შეეგება, ბერიკაცი კი არც განძრეულა. შვილი რომ შემოვიდა, ოდნავ წამოიწია.

— მამა! — შესძახა ფარნაოზმა და მშობელს მოეხვია. მერე მცირე ხანს უხმოდ იჯდნენ, ერთმანეთის გვერდით. გამოკითხვისა და სალამ-ქალამის მაგივრად, მოხუცს თავი ჩაეღუნა და იატაკს ჩასტკეროდა. ფარნაოზი ასეთ შეხვედრას არ იყო ჩვეული, მამა ყოველთვის პირველი აკოცებდა ზოლმე და ბავშვით ჩაიხუტებდა, მაგრამ ახლა... ნანადირევი ჩამოიხსნა, მწყერებს მაშინვე ზურგიკომ დასტაცა ხელი, მაგრამ უცებ ტუჩები აიბრცია.

— რა იყო? — მოიხედა ფარნაოზმა.

— რატომ ცოცხალი არ მომიყვანე?!

— ცოცხალი? არ იყო, შვილო! როგორ არის დედა? — ახლა ისევ მოხუცს მიუბრუნდა ფარნაოზი.

— რა უშავს, კარგად.

— შენ თვითონ როგორ ხარ, რას გიშვება ავადმყოფობა?

— რას მიზამს.

— აკი დედა იწერებოდნენ უფად ზიჯლიოთქაა

— რა იცის დედაშენმა, გამოჩერე ტებულია.

— წვერები ამოუვიდა? — წამოიძახა ზურგიკომ.

— წვერები? — გაუღიმა ბავშვს ბაბუამ და ისევ მუხლზე დაისვა.

ფარნაოზი მეორე ოთახში გავიდა, სანადირო ტანისამოსი გაიხადა და ისევ შემოვიდა მამასთან, მაგრამ ისევ იმ ცივ, სამღურავით სავსე თვალებს წააწყდა და გაოცებული სკამზე ჩამოჯდა. ზურგიკო ბაბუას ეტიკტიკებოდა, ზეგ ჩემი დღეობაა, ბევრი სტუმარი მოვა და საჩუქრებს მომიტანენო.

— ჰო, მართლა, კარგი ლხინი მინდა გადავიხადო, ექვსი წელი უსრულდება, — უფრო უხერხულობის გასაფანტავად თქვა გაიოზმა.

— ვაჟაკია! — დაემოწმა მამა.

— უღვაშები რომ არა მაქვს? — წამოიძახა ბიჭუნამ.

— უღვაში რა ბედენაა, შვილო, კურდღელსაც კი აქვს უღვაში, შენ უუღვაშოდაც ნამდვილი ვაჟაკი ხარ.

— ვაჟაკია, მამ, — დაემოწმა ფარნაოზი, — თამადად შენ უნდა დაგაყენო, მამა, დამითვრე ერთი აქაური ფალავნები.

ექვსი—გრძლად ამოიოხრა ბერიკაცმა. რძალს საუხზე მოემზადებინა. საშვარეულოდან გამოვიდა და ლაპარაკში გართული სტუმარ-მასპინძელი სასადილო ოთახში შეიპატოკა.

სუფრაზე მამის გვერდით დაჯდა ფარნაოზი. ცოლმა შეცხელებული ხაჭაპურით სავსე თევფი წინ დაუდგა.

— მიირთვი, დედას ნახელავია.

ფარნაოზმა ხაჭაპურის ნაჭერი აიღო და ჩაეჭიჩა.

ბერიკაცს სოფლიდან ხაჭაპურების, ზურგიკოსათვის ჩურჩხელებისა და ერთი ბოთლი ქაჭის მეტი არაფერი ჩამოუტანია. მიუხედავად ამისა, სუფრა ძალიან უხვი იყო. კუთხეში კომოდივით დიდი მაკივარი იდგა და იქიდან რძალმა კიდევ

გამოიტანა ძეგვი, მოხარული ხორცი და მაგიდაზე დააღაგა.

მოხუცი აზიზად შეექცეოდა, შინიდან ჩამოტანილ მოხარულ დედალს ფრთა წაატეხა და წინ დაიღო თეფშზე, მეტი არაფერი მინდოა. ფარნაოზმა ორი ქა-კა გადაკრა. მერე სულ აღარ გაუჩერებია პირი.

„ალაღ ლუკმას რომ ქამდეს, მაშინ ჯანში წაუვა“, — გაივლო გულში ბერი-კაცმა და წამოდგა. მას ზურიკოც აყვავა.

— რა მოშხამულ გუნებაზეა, ხომ არაფერი გიწყენინებია? — მიუბრუნდა ცოლს ფარნაოზი, როცა ბაბუა და შვილიშვილი მეორე ოთახში გავიდნენ.

— მე? რას ამბობ, ფარნაოზ. ალბათ, ტკივილი აწუხებს... ხომ იცი, რა უთქმელი კაცია, — მიუგო ცოლმა.

— რალას ვაგვიანებთ აბა, დავურეკოთ პროფესორს.

ფარნაოზი წამოდგა. ტელეფონთან მივიდა და დიდხანს ეძებდა პროფესორის გვარი ამონენტთა სიაში. მეორე ოთახში რომ გავიდა, მამა ახალუხის ამარად დაუხედა. ზოლებიან ახალუხში უფრო გამხდარი ჩანდა მოხუცი. ზურიკო პატარა მაგიდასთან იჯდა, ხელში წითელი ფანქარი მოემარჯვებინა და ქალაღზე რგოლები გამოჰყავდა.

— რას შვრები, ბიჭო? — თავზე წამოადგა მას ფარნაოზი.

— წერილს ვწერ ბებიას!

— ვის უნდა გაატანო მერე, ბაბუა ჯერ არ მიდის!

— როგორ არა, მე და ბაბუა დღეს მივდივართ და ამასაც წავიღებთ!

— არაფერიც, — გაიღიმა ფარნაოზმა, ამ საღამოს ბაბუა პროფესორთან მიმყავს, ხვალიდან მკურნალობას უნდა შეუდგეს.

მოხუცს თავისი ავადმყოფობა არც კი ახსოვდა, გვერდებში ჰვალეებს უკვე აღარ გრძნობდა, ახლა გული სტკიოდა, ყელში ებჯინებოდა, შვილის სიტყვებზე უცებ აფეთქდა:

— რას დაიჩემე ეს პროფესორი! არა ვარ, ბატონო, ავად და საღამოს მივდივარ!

— კი მაგრამ... — ფარნაოზი დაიბნა, — ასე უცებ ან ჩამოსვლა რა მსო და ან წასვლა რა არის? რა გენჭირება? ზევ ბიჭის დღეობა გვაქვს, დარჩი!

— ჰო, ბაბუა, მართლა დღეობაზე სათამაშოებს მომიტანენ, დარჩი, მერე სოფელში წავიდეთ! სათამაშოები, იცი, იქ რა კარგია?

— სათამაშოები ცოტა ვაქვს? რად გინდა!

— მინდა, ბევრი, ბევრი მინდა!

ძლივს დაითანხმა ფარნაოზმა მამა, კარგი, რა გაეწყობა, ბიჭის დღეობამდე დავრჩებო, მაგრამ საღამოს გაჯიუტდა და პროფესორთან არ წაჰყვა, არაფერი არ მტკივა, თავი დამანებეო. მაშინ ფარნაოზი იძულებული გახდა შინ მოეყვანა პროფესორი. შებინდებისას მოვიდა ისიც. თეთრი, ფაფუკი თმა მხრებზე ჰქონდა ჩამოშლილი. ბერიკაცი სულაც არ ფიქრობდა, მისი რჩევა-დარიგება მოესმინა, მაგრამ პროფესორი გაცილებით უფროსი ჩანდა, ამიტომ ვეღარ გააწბინა, წელზევით გაშიშვლდა. შეკითხვებზე უგულოდ უპასუხებდა. პროფესორი თუა, თვითონ მიხედეს, რაც მტკივაო. დიდხანს სინჯა პროფესორმა, შემდეგ რენტგენში გასამუშებლად და ანალიზების ასალებად ქალაღები დაუწერა და წავიდა.

იმ დამეს ფარნაოზის ოჯახში ყველას მშვიდად ეძინა, ალიონზე ბერიკაცი წამოხტა ლოგინიდან, გამოეწყო და აივანზე გამოვიდა. ქალაქი იღვიძებდა. პარკიდან ახლად გამოსული ტრამვაის ცარიელი ვაგონები ხრიგინ-ხრიგინით მიქროდნენ შავ ზოლებად გაწოლილ ლინდაგზე, მეეზოვე ზანტად იქნევა გრძელტარიან ცოცხს და ფილაქანს მოთეთრო მტკერში ახვევდა. გამოჩნდა თითოთროლა მგზავრიც. სისხამ დილის მყუდროებაში გაისმა მათი ფეხის ხმა. ბერიკაცი ზევიდან დაჰყურებდა გლეიძებულ ქალაქს, შემდეგ მისმა შვილმაც გაახილა თვალები. ზურიკო დედიკოს ლოგინიდან გამოცურდა და ბაბუასთან მიიბრინა. მისი შიშველი ფეხების ტყაპუნზე დედამ თვალი გაახილა.

— არ გაცივდე, შეილო! — დაუძახა და კედლისკენ გადაბრუნდა. ბაბუამ ზურვიკო მუხლზე დაისვა და ჩოხის კალთები შემოახვია.

ადრე ისაუშმეს. მანქანამ ჯერ ფარნაოზი წაიყვანა სამსახურში, შემდეგ ისევ უკან მოგზაილდა, რძალი და მამამთილი ჩაისვა და ბაზაში გააქანა. ბაზის საწყობები მტკერის ვაღმა იყო, ხუთსართულიანი სახლის სარდაფში. მანქანა ზედ კართან შეჩერდა. ბერიკაცი რძალს გაჰყვა უკან, ხოლო მოფერმა ძარიდან კალათები გამოიტანა და სარდაფის დაქანებული კიბე ბრაზბარუხით ჩაირბინა. დაფეთებული გაიოზი შეეგება რძალს:

— გამარჯობა, ქალბატონო!

— გაგიმარჯოს, ჩემო გაიოზ, კარგი დრო გაატარე ზღვაზე?

— რა უშავს! — მიუგო გაიოზმა და ბერიკაცს თვალი მოარიდა, სახეზე სიწითლე მოეკიდა.

— გაიოზ, ეს ჩემი მამამთილია.

გაიოზმა დარცხვენილი თვალები უცებ შეავლო ბერიკაცის მოღუშულ სახეს და ხელი ჩამოართვა.

— გაიოზ, აბა, თუ მიხვდები რისთვის ვარ მოსული?

— ამას რა მიხვედრა უნდა! — ჩაიცინა გაიოზმა.

— არა, აბა დაფიქრდი. ხვალ ზურვიკოს დაბადების დღეა. შენც გვეწვიე, იცოდე.

— უი, ჩემს თავს! — შეწუხდა გაიოზი, — ინებეთ, რაც გნებაეთ.

— ხორცს მამა აარჩევს! — თქვა რძალმა, ხოლო თვითონ თაროებზე ჩა-

მოლაგებულ კონსერვის ქილებისაკენ გაემართა.

სამი დიდი კალათი გაავსეს.

ერთი კალათიდან ლიჭიორის, კონიაკის და შამპანურის ბოთლებს ჰქონდათავე ამოყოფილი, დანარჩენში კი ათასნაირი სანოვავე ეწყო.

— აბა, მანქანაში შეიტანე! — უბრძანა რძალმა მოფერს, რომელიც მაშინვე დაიხარა კალათის ასაღებად, მაგრამ ბერიკაცმა ხელი დაუჭირა მას და რძალს მიუტრიალდა:

— ფული?

— ფული?... ფული... ფულს არა უშავს, არ უნდა! — მიუგო შემკრთალმა ქალმა.

— ნისიად, გაკოტრდით?! — აფეთქდა ბერიკაცი, — ფული-მეთქი, ფული ამოიღე.

— რძალი უცებ დაიბნა. რედვიკული გახსნა. დიდხანს რაღაცას ეძებდა შიგ.

— უიმე, რომ არ წამომიღია?! — წამოძახა მცირე დუმილის შემდეგ მან.

მაშინ გაგულისებულმა ბერიკაცმა ახალუხის კალთა გადაიწია, ჯიბიდან ოცდახუთმანეთიანები ამოიღო და ხელში შეაჩეჩა რძალს, გადაუთვალეო.

— შენ რად იხდი, ფული ბევრი გაქვს! — ფერი დაეკარგა ქალს.

— ფული ვინ მომცა, სინდისი მაქვს მე! — მიუგო ბერიკაცმა.

— ჰო, შენ გენაცვალე! — შესძახა გახარებულმა გაიოზმა და ბერიკაცს გადაეხვია.

აცრემლებულმა რძალმა ოცდახუთმანეთიანები დახლზე დაჰყარა და კარისკენ წაბარბაცდა.

მირიან აბულაძე



გალავნის ამოსული ვარდი

ნალუჩარი და ნაბალარი
შემორაგული ვარაზის ხრამში.
გუბეები და ნადიდგუბარი,
ნაკალოარი, ნადიდუბარი, —
დღეს ჩაქედნილა გრანიტის ყდამი.

ნაგორგასლარი, ნაერეკლარი
სადღაა ძველი ქალაქის ლანდი?!
შეჩუქურთმებულ სახლებს შევხარი...
მე აქ უეცრად შემომხვდა ვარდი, —
შუა გაებო ლოდი ეკლარის!

ასეთი ნაზი და შეამბოხე
ვინ ჩაატანა საძირკვლის ძირში?!
ნუთუ არ იცის, მაღლა ამოხეთქს

ასეთი ნაზი და შეამბოხე,
თუნდ ამოუვლო ატლასი კირში!..

ასეა მუდამ!
თურმეა წესი,
გაზაფხულს ქვებიცი იკვირტებიან,
ჩემო თბილისო, ეს ვარდიც ფესვით
შენს გულის ძარღვებს ჩასჭიდებია!

ასეა მუდამ!
გულს ნუ შებურავ
ქვის ცივ ჯავშანში, იცოდე, თორემ
მოვა მაისი და უნებურად
ცხელ გულს კალთაში ჩამოგიგორებს!..

ძველი ლაზური სიმღერა

თმაში შემრჩა ოქროს ხვინჭა,
კოროხს ქარი სკოლავს...
მე მიცნობდნენ ჭინკა ბიჭად,
ტოროლების ტოლად.

ჩოგანს ვცემდი ჯომარდული,
ყაბახს — მოედანზე,
ბაღში თეთრი ხომარდული
მეწეა ღამით მკლავზე.

მე მიხმობდა ხაზართ ქალი,
მათი ცხენთა ჯოგი,
თმით შეკრული ვაზის ჯვარი, —
ხან ლოცვები მოგვის.

ნუთუ იყო ჩემი წერა
მეკობართა ნაეი?! —
უზრუნველად დავთმე კერა
და ზღვას მივეც თავი.

სად არ ვიყავ, რომელ ალაგს, —
ვისი ტრფობით მთვრალი,

როს ვარბევდი ციხე-ქალაქს,
კეისრული ხმალით.

უღაბნოს მზე როცა მწვავდა
და ხიოსის ღვინო, —
გახელებულს არა მწამდა
დედის: „სად ხარ, შვილო?“

სამღურავი ახლაც შტკვარის
გულზე მადევს ლოდად,
მელანდება ეჩო, ბარი,
ჩემი წაბლის ოდა.

ასე დაშრა ჩემი დვრიტა,
ასე შევიცვალე,
რომ წამიღებს ქარი, ვითარც
ჩამოფშენტილ თაველს.

თმაში შემრჩა ოქროს ხვინჭა,
კოროხს ქარი სკოლავს.
მე მიცნობდნენ ჭინკა ბიჭად,
ტოროლების ტოლად.

მოგონება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იყო ბინდი...
თოვლიც იყო...
კართან ვიდექ,
ისევ თოვდა...
გული როგორ
დამზრალიყო, —
გულში ცეცხლი
ჩამყოლოდა!

იყო ბინდი...
თოვლიც იყო...
არვინ ჩანდა
ირგვლივ, ახლოს...
ძველი წყენა
გამჭრალიყო,
იგი ვერვინ
განაახლოს!

იყო ბინდი...
თოვლიც იყო...
და ფანტელიც
წამწამს რთავდა;

მწუხრის ფერი
ჩამჭრალიყო
— ერთი სევდა,
გულს რომ ხრავდა!

იყო ბინდი...
თოვლიც იყო...
რა ვუყოთ, რომ
ირგვლივ თოვდა,
— მან ოცნება
ვერ გარიყოს,
ლექსიც შენთვის
ხმიანობდა!

ძველი წყენა
გამჭრალიყო,
შენზე ფიჭრით
ლექსიც თრთოდა.
იყო ბინდი...
თოვლიც იყო...
კართან ვიდექ,
ისევ თოვდა...

•
•

დავარხიოთ ჩვენ ეს შინდი, დავარხიოთ!
რაც შწიფთა — ჩამოცვივდეს!..
ნურც დაგვცალდეს, სიყვარული
სახვალიოდ
ნადრევედ დაგვიმწიფდეს!

სულ ისრიმი სიყვარულით ვიყოთ
მთვარალი,
რაც მკერდში მზემ აგვიმძივა,
თორემ მოვა დრო და ქამის ნელი ქარი,
შეარხევს და ჩამოცვივა!..

წყალდიდობა

გაზაფხულდა... მოდის ციდან დელგმა,
წყალდიდობა დაიწყება ყველგან:
ხეების ქერქში,
პოეტის ხმებში
და ქალის მკერდში...

თუ მოთქრიალებს გაზაფხულის
წვიმა ლოყებზე, —
თუ სიმღერაა მაცოცხლებელ ლორთქო
ფოთლების?!

თქარათქურია გაქენებულ ცხენთა
ფლოქვების,

ხეების წვენით,
პოეტის ხმებით
და ქალის მკერდით
იწყება მუდამ აქ წყალდიდობა!
ჰეი, გულდაგულ შიგ ვინ მისტოპავს?!
•



ლიახვი ეტყვის ტანას:
 „განა ვარ შენისთანა!“
 მერე ვით ორი ბავშვი
 მტკვარს ხელს სკიდებენ მკლავში.

ვით გაბუტულნი ძმანი
 ასე ივლიან მძიმედ,
 ვიდრე ზღვა იავნანით
 ჯილეში დააძინებთ.

სიზმრად ხედავენ მთაზე
 ნაცხარებს და ტაძრებს,
 ვაზებს — ატენის გზაზე,
 ტანას დატოტილ ატმებს.

ზღვა კი უსწორებთ საბანს —
 ვოლგის, ურალის ტალღებს, —

ზრუნვით თვალებსა ნაბავს:
 „არ შემიცვიდეს ბალღებს!

რომ დაიზარდონ ლალად,
 ღრუბლად წაეიდნენ მაღლა;
 მერე გასცურონ ცაში,
 წვიმად დაბრუნდნენ ქართლში!“

ლიახვი ეტყვის ტანას:
 „განა ვართ სხვებისთანა!
 ჯერ წავალო უდაბნოში,
 მერე კი — სამშობლოში!

რომ იქ აყვავდეს ლალი
 ზოდაბუნები, ზვრები
 და ყარა-ყუმის ბალი!“
 ასე ფიქრობდნენ ძმები.

შე დავიბადე მაშინ
 როცა ყვავილი სცრიდა, —
 როდესაც წვიმდა მთაში,
 როცა მთა სწვიმდა ციდან;

შე დავიბადე ხმიდან,
 აიმ წვიმების ხმაში.
 პაპა დამბაჩებს სცლიდა —
 ქარაშოტში და ქარში.

მითხრეს: სამრეკლოს ზარი
 სდუმდა ქარიშხლის ხმაში,
 თუ მნათე იყო მთერალი,
 თუ დაათენდა სმაში?!

მაშ, რა უკრავდა ცვიარში,
 ცაზე ვის ჰგლოვდა ცვიარი, —
 ლურჯი ჯეჯილი ქარში,
 ნაჯეჯილარი ქარი?!

შე დავიბადე მაშინ,
 თუ დავიბადე გუშინ,
 როცა წვიმის ქვეშ ბალში
 ცალფეხზე იდგა ნუში,

გლოვას თუ სიხარულში,
 ეს სულ ერთია ბოლოს,
 რადგან შენ სიყვარულში
 მე დავიბადე მხოლოდ!..

მალსური წვიმა

ლაყვარდს ბისტი გადაეკრა
 ქარიშხლების ფრთებით,
 თან ღრუბლები გადმორეკა
 და გახვია მთები...

კოკის ყელში წამოვიდა
 წვიმა ვერცხლის ჩქეფით.

თითო წვეთი ვარდსა ჰხრიდა,
 იასამანს — შხეფი.

მთებშიც წვიმდა, ბალშიც წვიმდა,
 ჩემს აივანს გარდა,
 მხოლოდ მზე ჩემს ლექსში იდგა
 ოქროს შადრევანად.

ხმა ჰქონია რა სალუქი
ამ მაისის აედარს!
გადაიღო, ბალში შუქი
ბაეშვის ღიმილს ჰგავდა.

ზეცამ ლაწვი დაიფერა
მოოქროვილ ხელით;
ცისარტყელამ გაღიმღერა
ცაზე შედივ ფერით!..



აპრილში განცდილი ღამე

ეს ღამე ჩემს ლექსში ათევედა
და მთვარე სტრიქონში დიოდა,
ვიდრე აქ დილა არ გათენდა
მთელ ღამეს ხოხობი ჰყოდა.

მთელ ღამეს ხოხობი ჰყოდა
და ვილაც თეთრ ხელებს მიწვდიდა,
ზეციდან ვარსკვლავი ცვიოდა,
მარჩხი თვალში თვალს მიყრიდა.

მარჩხი თვალში თვალს მიყრიდა,
ღუღუქი კენესოდა მტკვრის პირას,
მისი ხმა შანთებით მწიწყნიდა,
შორს, სადღაც მამალმაც იყივლა.

შორს, სადღაც მამალმაც იყივლა,
სიბნელე დეზებით მოკაწრა.
გუგუნი ისმოდა მიწიდან...
მთელ ღამეს იმ ფიქრმა მომქანცა.

მთელ ღამეს იმ ფიქრმა მომქანცა
და მწუხრი ყაჭივით გათეთრდა...
აპრილმა სიმშვიდე მომტაცა.
ეს ღამე ჩემს ლექსში ათევედა.

ეს ღამე ჩემს ლექსში ათევედა
და მთვარე სტრიქონში დიოდა,
ვიდრე აქ დილა არ გათენდა
მთელ ღამეს ხოხობი ჰყოდა!..



დრეზდენის გზაზე

მე მივდიოდი დრეზდენის გზაზე.
ირგვლივ გავცქერდი მწვანე მთა-
გორებს,
სახლიდან წასულს სცოდნია ასე, —
უბრალო ხეც კი მამულს აგონებს.

მაისის სუნთქვით სუნთქავდა ვერხვი,
სიცოცხლე ჩქეფდა ყოველ ღეროდან,
გზის განაპირას შევნიშნე გლეხი,
რალაც სიმღერას ტკბილად მღეროდა.

იქნებ ზიგფრიდის სიმღერას მღერის.
იქნებ ჰიმნია ჰარცის მთებისა,
იქნებ ამღერებს ლურჯი ცის ფერი
ან სევდა სატრფოს გაცილებისა.

იქნებ უმღერის საყვარელ ცოლ-
შვილს...
ამგვარ ოცნებით ვიყავ გართული,
და, როგორც ჩვენთან, საქართველოში,
უცებ მომესმა ჰიმნი ქართული.

თითქოს მშაკაცი ვნახე ეს არის,
თითქოს შეზობლად გადმოსულიყოს,
როგორც მოყვარე და ნათესავი
დრეზდენის გზაზე შემხვდა სულიყო.

დაბნეულ ჩურჩულს ვაქსოვ ნიავში,
ყური მატყუებს თუ მართლა მესმის:
ამ ცხრა მთას იქით, საქსონიაში,
რამ შემახვედრა აკაკის ლექსი!

ველარ დავტიე ღელვა ფარული,
მსურდა ყველასთვის ხმამაღლა მეთქვა,
მშობა, სიკეთე და სიყვარულიც
სიმღერასავით გავრცელდეს ქვეყნად.

.....შორს სადღაც ველი ჩანდა
შვისფერად,
მაისის სხივებს იხვევდა ვერხვი
და იმერეთში ნათქვამ სიმღერას
საქსონიაში მღეროდა გლეხი.



მე დღეს ისევ მომენატრა შენთან ტკბილი საუბარი,
 დღეს ეზოში, შენ რომ გიყვარს ისე ჰყვავის ალუბალი
 და რიონმა ისევ იცის გადარევა გატაცებით;
 აქ შენ ხშირად გახსენებენ ჩვენი ძველი ძმაკაცები.
 შენ კი თავი დაიფასე, არასოდეს მოგვისმინე,
 სიტყვაძვირად იწერები, ვაშენებო ვოლგისპირთეს.
 მე კი მინდა ჩამოხვიდე, თავი ისევ გაგვიყადრო, —
 უშენოდაც აშენდება ელსადგური სტალინგრადის.
 მე მინდა, რომ ღია ცის ქვეშ ვისაუბროთ გატაცებით,
 გავიხსენოთ, მოვიკითხოთ ჩვენი ძველი ძმაკაცები,
 მინდა ახლა დიდკაცურად გეძახოდე ალექსანდრეს
 და ბოლოს კი ჩვენს შეხვედრას ჩემებურად გავლექსავდე.

პატარა ხრახნი

შენ ამ პატარა ბორცვთან შედექი,
 თავი დახარე ორიოდ წუთით,
 აქ საფლავია ერთი ზემდეგის,
 ღირსია ხელში გეჭიროს ქული.
 არც გმირთაგმირის სახელი ჰქვია
 და არც ცნობილთა წერია გვარში,

იყო ზემდეგი და მოხვდა ტყვია,
 რომელსაც მოკვლა შეეძლო მარშლის...
 შორს დარჩა დედა, საბედო, დაი, —
 მათი აჩრდილი მოვა ამალამ,
 ... შენ შეგიძლია ასწიო თავი
 და გააბიჯო გზაზე ამაყად.



დაუბერა ქვენაქარმა — გზაზე ნეშო ახვეტა,
 ცის კიდენი დააწითლა — დაადარა ნაღვერდალს,
 ნისლი დაწვა არყოვანზე — ზეცის ჰერი შელესა,
 ახშიანდნენ წყაროები — ხმა შეუწყვეს ღელესა,
 ახმაურდა ნაკადული დაზვინული შეშითა,
 წყალი სამპირ წამოვიდა — მეწისქვილე შეშინდა,
 აშრიალდნენ სიმინდები — ყანა უცებ განაზდა,
 აკაციებს ჩეროები გაეპარნენ ანახალდა,
 აივანზე შემოფრინდა ნაცრისფერი ნარჩიტა,
 ფოთლებს ფერი დაეკარგათ...
 ერთი სიტყვით — გაწვიმდა.

ბიოგრაფიული



არაგვის სთავესთან

მარადის მოსაგონები
გულს ატკობს ციხის ნაშალი,
ამყად დგანან გორები
ლიქოყისა და ლაშარის.

შისიკენ გაწვდილი ხელებით
ხარობენ ხენი არყისა,
მოდიან არხოტელები,
ისმის სიმღერა მაყრისა.

რა მშვენიერი დარია,
შუქს წაულეკავს ბნელეთი,
ფარაში მწყემსი ქალია
მთაში განთქმული მშვენებით.

გაგთენებია მთიელო,
ნატრობდი, მზესთან მიხველი,
ვიმღეროთ, ასჯერ ვიმღეროთ,
გული ვერ ძლება სიმღერით.

ახლა არხოტშიც დარია,
მთებს ფარავს ცხვრების ფარები,
ფარაში მწყემსი ქალია,
მეც მასთან მივეჩქარები.

მწყემსად შავთვალა ქალია,
შევიტკობ მწყემსის პურმარილს,
ხვალ ვესტუმრები დარიალს,
დღეს არაგველთა სტუმარი.

მღერის მთები

გუგუნებს ქარი ხეთა რტოებში,
ცაღ აზიდულან არხოტის მთები,
გზის პირს მივყვები განმარტოებით,
სწორუბოვარი სიმღერით ვტყებები.

ცა ანთებულა სხივთა აღმურით,
ეოლის ბუნქები მიწას ქარგავენ,
შემხვდა პირიმზე ცვარდანამული
და მეც მივუშვი ლექსის სადავე...



პირველი სიყვარული

1.

რომ დაეწყება შემეძლოს მართლაც,
დაეთანხმდებოდი და, ბედნიერი,
არ გავივლიდი იმ ნაცნობ კართან
კაენიანი კაცის იერით.
იმ სახლის კართან, რომელშიც ახლა
თუმცა სხვა ცხოვრობს, სხვა

მოზინადრე,
გულში კი მაინც გეცემა ლახვრად
ძველი ოთახის მწვანე სინათლე.

სინათლე დღესაც რომ წეავს
გონებას,
მწველი წარსულის გზაზე რომ

ბრწყინავს,
სულ რომ არ ნატრობ მის მოგონებას
და მაინც გულში წაგართვა ბინა.
მოხვალ ამ სახლთან, გაივლი

დღისით, —
ლამე უმეტეს მოგახვევს ნალველს,
და არ გასურს ნახო ცვლილება მისი,
არ გასურს შეხედო ამ ყვითელ ქალებს,
არც ამ უბრალოდ შეფეტქილ

კედლებს,
ამ — სხვისი ხელით მოქარგულ —

ფარდებს,
რაც იმ წარსულთან აღარ გაერთებს
და უფრო გწეავს და აგიშლის

დარდებს.
სჯობს აქ გავივლი თვალდახუჭული,
ბრმა ვეგონები, გამყვება ბავშვი,
გულს დამიმშვიდებს მისი

ქღურტული,
და მოგონებას წუთიერ წაგშლი;
თითქოს სხვა არის ეს ცა და მიწა,
ახლა მოვსულვარ მგზავრი პირველად,
რადგან ბრმა ვარ და ვერავე ვიციან,
ვითომ არც ჩაეთვლი გასაკვირველად.
მაგრამ, ვაი რომ იმ გახსენებას
არ შემეძლია დაეუბნო კარი,
აქ ყველაფერი ნაცნობი არის,

ისევ მღელვარე და ისევ წყნარი...
მოგვაცილებდეს ოღონდაც ვინმე
წარსულ დღეებზე ფიქრს და წამებას;
მოგონებათა ჩამოჰკრას სიმებს,
ააქლარუნოს დაუნახებლად,
ვით როიალი გამოსცემს მძიმედ
უდარდელ გამებს ციკს და თაენებას.

რას არ იფიქრებ დაღლილი მგზავრი,
ლამე უძილოდ განაწამები...
აგერ სადგურსაც მივაყვარ თვალი,
და უხალიოდ ადგნენ მგზავრები.
ჩემ შესახედრად არავინ მოდის,
მაინც ვეძებ და ვაცეცებ თვალებს.
— აქ ნამყოფი ხართ? —

ვეყოფილვარ. — როდის?
— შეიდი წლის წინათ. — ვაუწყებ
მგზავრებს.

ხომ გიფიქრიათ, შორით წასული,
უბინაოდ და უმისამართოდ
მოხვალთ, დაგზედებათ მთელი
წარსული,

რომ ისევ ძველი კერა გამართოთ.
ხომ გიფიქრიათ?.. აგერ სადგურიც,
თავდახურული ვეება ქოლგით,
თითქოსდა უცებ ფეხებადგმული
წვიმის წვეთების მიღმა გამოჩნდის.
უკვე მოადგნენ საჩქმლებს ქალები,
ქმრებს მოელიან ბედნიერები,
ჩვენ, გულს ჩემო, დარდიანები,
მათ სიხარულში ნუ გავერევი.
არც შევიმჩნიოთ სევდა და ერთობა,
რომ მხოლოდ წვიმა დაგვხვდა აქ
მგზავრებს,

ველოდოთ გვიან მიმავალ ხომალდს,
ეს არემარეც დაეტოვოთ მალე.
დიღია მიწა. მატარებლები
მიდიან პენსით, მიდიან ტულით,
მაგრამ მაინც რომ ვეღარ ველევი,
ნასახლარისკენ მიგვიწევენ გული.
და, ჰა, ეს სახლიც, უარე ირგვლივ,

უარე, მიწა გაშრება ვიდრე,
სანამ შენს ზოსვლას არ იგრძნობს იგი
და სანამ შენს ცეცხლს არ წაუქიდებ.
შენ შეიცვალე. ასეთი სახით,
ვექვობ, ვინმეს თუ ემახსოვრები,
აგერ ის ბნელი სარკმელი სახლის,
მოწმე ბავშვური შენი ცხოვრების.
მაშინ ვერ გრძნობდი, რომ ბედნიერებს
ბედნიერება არ გასდევთ მუდამ.
ვით ტაიგაში ასანთის ლერებს,
ბედნიერ წუთებს უვლიდე უნდა.
ჩვენ შევიცვალეთ. სახლი კი მაგრად,
ზამთარ-ზაფხული დგას შეუცვლელი.
თუმცა შეღებეს, ლაქებად გაკრავს
ჩვენი ბავშვობის ყოფილი ფერი.
აქ გეგულება ნაცნობი ქალი,
მასთან შენ მთელი დაჰყავი წელი,
დღეები ძნელი, დღეები მწველი,
უხერხული და მოუსვენარი.
თქვენ მეგობრობდით და ველარ
გრძნობდი,

რომ მეგობრობით იყავით მთვრალი;
რომ ქალს მხოლოდღა ენანებოდი,
თუმცა გატაცებით გიყვარდა ქალი.
როცა ასეა, რაღას მოველით,
იცი, რომ არ ღირს გრძნობებთან დაეა,
ბედნიერია, დაუყოვნებლივ,
ერთი ზოქნევით ვინც მისგან წავა.

როცა ასეა, რაღა ფასი აქვს
უსიყვარულოდ ჩურჩულს ღამეში,
თუ ერთმანეთის ვმალავთ ხეაშიადს,
თუ კი სირცხვილი გვიერთის
თუალეებში.

აქ არის შენი ძველი ცხოვრება,
დასტოვე იგი და არ ინანე,
ზოგჯერ გასროლას ჰგავს განშორება,
წუთით რომ ველარ დააგვიანებ.
არც უცნაურად, არც დასანანად
ამ განშორებას არავინ ჩათვლის.
ეს კრილობები ნათოფარს ჰგვანან,
რომ გვაფრთხილებენ მომავლისათვის.
მაგრამ ჩვენ ვიცით სხვა დაცილებაც, —
რომ არ დაუსვენს ბოლოს წერტილი,
წლების მანძილზე რომ არ ცივდება
და გაგიჯდება ტანში კლექივით.
ფიქრობ, შეხორცდა ყველა იარა,
აღარ გპირდება უკვე ეჭიმში,
რომ გაზაფხულზე შეგძრავს ტიალი,

თავს დაგატყდება უცებ ზეზივით.
მარტო გაქცევა გიშველის მაშინ
სადმე ყირიმში, სამხრეთის მხარისკენ,
რომ ყველა კვალი დაჰკარგო ზღვაში,
ყველა ბარათიც ზღვის ტალღებს
მისცე.

აქ ქალი ცხოვრობს, იმ სიყმაწვილის
შავი დღეების თანაზიარი,
ყრმას რომ წაგართვა გულის ნაწილი,
და ასე უღვთოდ დაგაზიანა.
გვინდა, არ იყოს ეს შავი ლაქა,
და ვერც ველევით მის დავიწყებას,
თუმცა კარგი დღეც ბევრი გვინახავს,
ცხოვრება ზაინც იმ დღით იწყება.
არა, შენ შეხვალ აქ ერთხელ მაინც,
გემის გასვლამდე, მცირე ხნით,

გავლით,
ჯერ უადგილოდ შეაქვბ ამინდს,
რომ აღლელების წაშალო კვალი
და როცა ფრთხილად ხელზე ემთხვევი-
იქნება, დაცდაც არა ღირს მეტი, —
იტყვი, მოხვედი, მართლაც
შემთხვევით, —
უქანასკნელიც ჩაქრეს იმედი.

2.

ზაშ, სად წავიდეს? გზის გასწვრივ
ხედავს,
მეორე სახლის ფერწასულ ფასადს,
იქ წლების მიღმა კედლებოდა დედა,
მას ელოდა და არ ჩანდა არსად.
ხუთ დღეს იცდიდა. სიკვდილის
აჩრდილს
მის მოლოდინში ებრძოდა იგი,
შვილს უხმობდა და არსაით გაჩნდი,
და მეტი მოცდაც არ სურდა სიკვდილს.
გულს მარტობის წვევდა იარა,
ვერ იბრუნებდა სათქმელად ენას;
თურმე დეპეშამ დაიგვიანა, —
საფლავში ჩაყვა დარდი და წყენა.
ძლივს მოაგროვა დეპეშის ფული,
და შემდეგ გზაზე იდგა საწყალი,
სიკვდილის ეამსაც, იმედით სრულით
შვილს მოელოდა გულის კანკალით.
იქნებ ცნობა არ გაუგზავნიათ!
ექვობდა, ველარც ჰკითხა მეზობლებს,

ერთი რამ სურდა ბოლოს ძალიან,
პასუხი მაინც გაეგო სოფელს!..

მერხზე ჩამოჯდა იქვე, ჭიშკართან,
შესცქერდა დედის სარკმელში

ყუავილს.

რა დარჩენოდა ცრემლების გარდა,
უკვე არ ჰქონდა არაფრის თავი.
ისღა თუ აკლდა, რომ გულთა

თრთოლვით

ბავშვებს მოეხმობთ წესრიგის მცველი;
რომ მოქალაქეს, თმაგადათოვლილს,
აგერ, ცრემლების ღვარი სდის მწველი.
ისღა თუ აკლდა, ეკითხათ ფრთხილად,
იქნებ სჭირდება რამე წამებულს,
გარდაცვალებულ დედაზე მტირალს,
მშობლის ძახილზე დაგვიანებულს.
მან გაიხსენა დედის ხელები,
სარეცხს რომ ფენდა დაუსვენებლივ.
გამხდარი, წვრილი, ლურჯი თითებიც,
მისი ნაქსოვიც, ნაგვირისტიებიც.

დედის ხელები გასაკვირველად
სწრაფი, კორძებით დამშვენებული
ალბათ კუბოში ნახეს პირველად
მკერდზე უსაქმოდ გაჩერებული.
სახლში მის ფუსფუს არ ჰქონდა
ბოლო,

დაბადებული იყო საქმისთვის,
და იგონებდა უქმე დღეს მხოლოდ,
რომ ჭვრივი იყო ტელეგრაფისტის.

სტუმრად წასვლისას, გახვეულს
ჩერებში

ქედს ჩამოხსნიდა ფრთხილად
ლურსმნიდან,
ფერწასულს ძველი არ ჰქონდა ეშხი,
მაგრამ ეს ფერიც არას უშლიდა, —
მამამ უყიდა ის ჭორწილამდე,
ვით სახსოვარი რამე პატარა,
ის ახსენებდა დღეებს წინანდელს
და ოცდაათი წელი ატარა.

მან მოიგონა საფლავეთან დარდით
გაოგნებული დედის თვალები...
ატლასის კაბა, მიმხმარი ვარდი
და საქორწინო ხელთათმანები,
დედის ქამარი მძივებჩასხმული,
დედის ზანდუკი იღუმალ ფერის,
ეს ყველაფერი აწ გარდასული,

დაუფიწყარი ეს ყველაფერი;
მამის შემდეგ რომ გაფანტეს მცისცხე,
რადგან დედის გულს სულ დასრულდა
ახლდნენ,

გაფანტეს მყისვე, მეზობლებს მისცეს,
და იქ უეტრად გულგრილი გახდნენ.
მას უნებურად მოუნდა ახლა,
სულ ერთი წუთით დაბრუნდეს დედა,
მიუალერსოს დაღეულს, გამხდარს
და დააეწყოს დარდი და სევდა.
მოიმიზეზოს დღეობა ძველი,
უსურვოს მშობელს მრავალი წელი,
შეჩერდეს ყველა სავაჭროს კართან
და საჩუქრებით აუესოს კალთა.
— გამაღობ, ძვირფასო! — ეტყოდა
იგი.

მაგრამ სად არის, ჩამქრალა სხივი.
სხვისი სარკმელი, ბავშვები ირგვლივ,
მიწა ცივი და კედელი ცივი.

3.

გამგზავრებამდე სულ ცოტა დარჩა.
ამ სახლს კი ისევ გარშემო ვუვლით.
არ გვინდა შესვლა, სხვა გზა კი არ
ჩანს,

მაინც იქითენ მიგვიწევს გული.
და ის გაიქცა. ისე წაეიდა,
ვით პაემანზე ვაჟი თავენება,
თითქოს ზედმეტი წუთიც არ გვინდა,
შევზატოთ წლობით დაგვიანებას.

შეალო კარი. მარტოდენ ბავშვი
დაგოგმანებდა იმ სიწყნარეში,
მხოლოდ ნდობა რომ უკრთოდა
თვალში
და რომ იცოდა მხოლოდ ალერსი.
მან აიყვანა ხელში პატარა,
სულ თეთრთმიანი და ფერანაკლული,
გულის ძველ რჩეულს დიდხანს ადარა,
და, მართლაც, ჰგავდა რალაც

მზაკერულით.

— რამდენი წლის ხარ? — თთხის ვარ
სრული.
— დედა სადაა? — იქ. — და ბავშვს
ხელი

ისე მოხვია, მიენდო გულით,
თითქოს ექირა წყალში მაშველი.

შევიდნენ. იცნო, რაღა თქმა უნდა, მაშ, დაუბრუნდით ისევ ამ მხარეს? ცოტა აცალეთ, მიბრუნდით თუნდაც, ბავშვს ძუძუს აქმევს, მორჩება მალე. ოთახში ჩანდა თაროედები, და საიდუმლო სკივრების რიგი, მოღრუბლული და ცივი კედლები, უცხო და ცივი ნივთები ირგვლივ. თითქოსდა ახლაც, ამ საღამოთი, აქ ფუსფუსებდა მთელი ქვეყანა, ფეხსაცმელები სხვადასხვა მოდის აქაც ეყარა, იქაც ეყარა. აქ ქალიშვილის ნიშანიც არ ჩანს, უკვე სხვა არის წესი და ქცევა, აქ ქალი ცხოვრობს, იგი აქ დარჩა, — წარსულს აქედან ვერც გაეშვევა.

— აი, მეც აქ ვარ! — წამოდგა ქალი. — ო, ღმერთო! თურმე როგორ

გათეთრდი!

შვიდი წელია, დაჯვარდით კვალი, — შენგან წერილიც არ მაქვს არც ერთი.

— შენ კი მიცდიდი?... — მე არა,

მაგრამ...

— რა, მაგრამ? — მაინც... დღეს სულ ერთია.

წარსულზე ფიქრი ახლა რას გვარგებს, ახლა წუხილი ხომ ზედმეტია!

რაღაც ამაყი კვლავ შერჩენოდა, ალბათ ნიკაბი, წინგაადგებული, თორემ თვალეში, წამწამთ ჩეროდან, ცეცხლი არ კრთოდა წინანდებური. სხვაგვარი ჰქონდა სახის იერიც, შეცვლილი რაღაც უცნობი ხაზით, ეთქვათ, დედობრივით და მშვენიერით, მაგრამ სრულებით არაძვირფასით. წინანდელს თუკი ტუჩებით ჰგავდა, ისე არ ჰგავდა სახით წინანდელს, ვერ მოიგონა, რატომ უყვარდა, რა შუქი ჰქონდა და რა სინათლე! დრომ, რა თქმა უნდა, მისი წაიღო, მაგრამ, წლებს იგი არ შეუტყლიათ. ეს ქალი ახლა მაინც სხვა იყო, გამოხედვაშიც, სიარულშიაც. ხალიჩაზე კი, ბავშვის საწოლთან ძველ წინდებთან და წვივსაკრავებთან, ქალიშვილობის კაბას საცოდავს, წინათ რომ ნიავეს არ აჯარებდა. ახლა ჩერადტყეულს ფერი წასვლოდა.

ევგო მტკრიანი, უყურადღებოდ, არაფერ წუხდა, არვის ახსოვდა, რომ კაბა იყო ის საგანგებო. მალე დამშვიდდა მღელვარე ქალი, სათქმელსაც აღარ ატანდა ძალას; აი, მოხვედი, წვიმაც არ არის, და შეიძლება ბალშიაც გავლა. თითქოს არც ახსოვს დრო უწინდელი, თავს გაწონებს და გიყვება ამბავს, რომ უსრულდება ბიჭს ზუთი წელი, („ცხრის იქნებოდა ის შენთან ალბათ“)

უმცროსი? მაგის შეხედვ სურათს, („შენ კი არა გვავს“) და გრძნობდი გულით, რომ სიტყვა არსად არ დაასრულა, უნდოდა ეთქვა ფრჩხილებში

თქმულიც.

და ასე ვცხოვრობთ. ვარ ბედნიერი... და სურდა ეთქვა: „არ ვნანობ

წარსულს“,

თან ჩაგტყეროდა თვალში ცბიერად, შენში ეძებდა სინანულს და შურს.

— შენ კი კვლავ ისე? — როგორ? — ვით წინათ...

და თითქოს შენი აწუხებს ბედი, რომ მარტოხელამ ვერ ჰპოვე ბინა, მასთან კი არა, საერთოდ, შენთვის.

— მაშ, ხეტიალობ? — ჰო. ასე დავალ. კიდეც ამისთვის გიყვარდი თითქოს.

— სულელი ვიყავ. არცა ღირს დავად, ახლაც ბავშვურად როდილა ვფიქრობ.

არა. სხვა არის, უცხოა იგი, თითქოს სიზმარში ხედავდე მხოლოდ, შენ ის დასტოვე შვიდი წლის იქით, და სულ სხვა ქალი იბოვე ბოლოს. მაინც რად გახსოვს იგი ასული... ამ ქალის წარბთა შეყრა ბავშვური და საყვარელი, ჭიკჭიკა ენა რატომ გაგონებს ძველ წყლულს და ტყენას.

და, ახლა იქნებ, ვინმეს ჰგონია, ბალში რომ წყვილი მისდევს ერთმანეთს,

იმ ძველ ბილიკებს გამოპყოლიან და სიყვარულის ცეცხლში ფეთქავენ... — ეს თამბაქოა. ეს რეზედათი.

აქ დღეს ბავშვებმა გათელეს კვალი,
მაგრამ ცელქობა არა წყინს მათი.
ეს კი... ისართან დაყოვნდა ქალი.

არა, მას გემზე მიეჩქარება.
ქმარს თუ დაუცდის, ცოტაც გაერთოს.
ო, არა, არ ღირს ცდად და წამებად,
ქმართან შეხვედრა არ სურს საერთოდ.
მაშ, ექვიანობს? ღმერთმა აშოროს.
ელოდეს წერილს? არა ღირს, ვგონებ.
კვლავ, როდის მოვა? წავა და მხოლოდ
შვიდი წლის შემდეგ ჩამოიჭროლებს.

წაეიდა სწრაფად. ანაზღად გზაზე
შეხვდა პალტოში ვიწროდ შეკრული,
სიყვარულით და სიცოცხლით სავსე,
გოგონა ახლადაკოვრებული.
ო, როგორ ჰგავდა იმას, წინანდელს,
მართლაც ხატება იყო მსგავსისა.
მან ჩაიარა, როგორც სინათლემ,
როგორც სიმღერამ სილამაზისა.
მიხვდა, გაიგო. ის არის სწორედ,
ვისი სურათიც თან ჰქონდა მუდამ,
ვისთანაც წლებმა ვერ დააშორეს,
ვინც მეოცნების ცხოვრობდა გულთან.
ო, ის გოგონა. ცისფერი კვამლი.

გულის პირველი ჩქროლება,
ხანგრძლივი
ჩამქრალი ცეცხლი. წაშლილი კვალთა
გრძელი გზები და შორი მანძილი.

მატარებელი დროსავეთ მიჭრის,
მიღიზარ, გასცქერ უცხო სურათებს.
გამყოლი გკითხავს: — თქვენ საით? —
იქით...

და მიჰქრი გზების დასასრულამდე.
ჩვენი ბედის თუ უბედურების,
როცა აირჩევ გზას და გაჰყვები,
იმედი ნუ გაქვს კვლავ დაბრუნების,
მატარებლიდან ვერ გადახტები.
გახედე უკან. ბაქანზე ახლაც
სადაც წვიმას სტრის ღრუბლის

საეერი,
შენკენ ხელაწვდილ გოგონას ნახავ,
ბოლო ვაგონის შექს რომ გასცქერის.
— მაშ, ეს ვინაა? — ეს ქალი? — არა,
ახლა სრულიად არ ვწუხვარ მასზე.
ვიცნობდი? მახსოვს, და ისიც კმარა,
რომ სადღაც შევხვდით ცხოვრების
გზაზე.

თარგმანი ალექს. შენგელიასი

ბენი სიჩინიანი



ჩაუპრობელი ცეცხლი

მოთხრობა

ვეფურცლავ სევუმიანის- დღიურებს, სათითაოდ ვკითხულობ ყოველ გვერდს და, დაქვეებული თითქოს ჩემს თავს ვეკითხები:

— ყველა, ყველა, მაგრამ ნუთუ ეს დღიურია?

სევუმიანი იღიმება.

— მაშ რა არის?..

— არ ვიცი, შენ თვითონ განსაჯე. თუ გინდა, ერთად გადავფურცლოთ.

— გადავფურცლოთ...

— კარგი, გადავფურცლოთ, მე თანახმა ვარ, აი, თუ გინდა, ამ გვერდზე შეეჩერდეთ და წაეიკითხოთ.

„ოქტომბერი, 193... წ.“

ბუჩქებში ნახევრად დანგრეული ბუდე ვნახე, ფრინველს უპატრონოდ მიეტოვებინა. ალბათ მომავალ გაზაფხულზე ისევ დაბრუნდება, ბუდეს შეაკოწიწებს და ტყბილად აქიკვიკდება.

გახსოვს? ჩემი გულიც სიყვარულის ბუდე იყო, მაგრამ ამ ბუდიდან გაფრენილ ფრინველს დაბრუნება აღარ ეღირსება“.

— მერე?.. — დღიური დავხურე და სევუმიანს მივაშტერდი.

— განვაგრძობ.

„მაისი, 193... წ.“

ისეთი წყაროებია, რომ შადრევანივით ჩქედს, მაგრამ ისეთებიც არის, რომ დამშრალია. აი, შენი სიყვარულიც სწორედ მეორე წყაროს წააგავს, ტყუილად ამოლესვას რად ცდილობ, როცა ამომშრალია“...

— ერთი მოთხარი, ეს დღიურსა ჰგავს?..

— ჰგავს თუ არა, მეც არ ვიცი... — ჩაილაპარაკა სევუმიანმა და დღიურების

რვეული ჩამომართვა, რა არის აქ გასაკვირი. ყველა ადამიანი დღიურს თავისთვის ადგენს, მეც ჩემთვის შევადგინე, მორჩა და გათავდა. ამ დღიურების ენა მხოლოდ ჩემთვის არის გასაგები. ეს სტრიქონები ჰგავს ნალვერდალში ჩაფლულ ცეცხლს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ჩემს გულსა და სულს გაათბობს. აბა, აიღე კიდევ ეს დღიურები, შემთხვევით რომელიმე გვერდი გადაფურცლე და გულმოდგინედ წაიკითხე. აიღე, აიღე, მოკიდე ხელი, არ გეხუმრები...

ვასრულებ მის თხოვნას.

„სექტემბერი, 193... წ.“

წერომ, რომელმაც გაზაფხული გვახარა, გაზაფხულიც წამართვა და ზაფხულიც“...

სევუმიანმა პაპიროსს მოუყიდა და კოლოფი მომწოდა.

— მოსწიე...

მერე შავი ღრუბელივით მოღუშულ პირისახეზე მკმუნვარე სევდის იერმა გადაუარა, პაპიროსის კვამლი ხარბად მოქაჩა და თხრობას შეუდგა.

I

იმ გაზაფხულს ჩვენმა გამგეობამ იჯევენის რაიონში გამგზავნა; გზატკეცილის ზოგიერთი მოსახვევი და ხიდების შეკეთება უნდა მომეწესრიგებინა. სამუშაოები გათვალისწინებულზე უფრო მეტი აღმოჩნდა. მდინარე აღსტაფას გზატკეცილის მარცხენა მხარე ალაგ-ალაგ ისე გამოეხრა, რომ მოძრაობას დიდი საშიშროება მოელოდა. ხანდახან

იძულებული ვიყავით, შეკეთების ნაცვლად, ახალი გზა გავვეყვანა ან კლდეები აგვეფეთქებინა და გზატკეცილი გავგვეგანიერებინა.

ამის გამო იქ შემოდგომამდე დაერჩი და ნამდვილ მოხეტიალე ცხოვრებას ვეწეოდი.

მახლობელ დაბაში ერთი პატარა ბინა დაექირავე. სახლის პატრონი ხანდაზმული დედაბერი იყო. ამ დედაკაცის დანაოქტებულ პირისახეს რაღაც სევდის იერი გადაჰკრავდა. პირველი დღიდანვე დავუშვებოდა იმ გულკეთილ აღამიანს და, როგორც სხვა ნათესავ-მოკეთებები უძახდნენ, მეც „მაირიკა“ (დედა) დავუძახე.

ბინის დაქირავებისას გამაფრთხილა, ჩემი შვილი და რძალი ერევანში ცხოვრობენ და შეიძლება ზაფხულში მესტუმრონო. მე შევპირდი, რომ, როგორც კი დააპირებენ ჩამოსვლას, უშალვე ბინას გავუთავისუფლებდი.

იენისი გადიოდა. მათი ჩამოსვლისა არაფერი ისმოდა. ჩვენ შორის დადებული ხელშეკრულება თითქმის გადამავიწყდა კიდევ. ერთხელ, დილიჯანიდან იჯევანში მოგზაურობის დროს, როცა ჩვენი ავტომანქანა ქალაქიდან გამოვიდა, მოსახვევში დავინახე ერთი კაცი და ქალი, რომლებიც სამგზავრო ბარჯზე ისხდნენ, და, როგორც ეტყობოდა, მანქანას ელოდებოდნენ. ავტომანქანის გამოჩენისთანავე მამაკაცი უშალვე წამოდგა, ქუდი ჰაერში გააქნია და მანქანის გაჩერება გვანიშნა.

ჩემი შოფერი, რომელსაც გვერდით ვუჯექი, ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივსააშვარს სისწრაფეს უფრო უმატებდა, მაგრამ ამჯერად მე შემომაცქერდა. გააჩერე-მეთქი, — ვუთხარი ათი ნაბიჯის მოშორებით გავჩერდით. ქალი ბარჯთან დარჩა, მამაკაცი ჩვენთან მოიჭრა და გვთხოვა, მისი მეუღლე იჯევანში წაგვეყვანა. საწყალი ძალზე ქშინავდა, ხიხინებდა. არც მე და არც მძღოლს საგზური არ გავგაჩინდა, რომ შიგ მგზავრი ჩაგვეწერა, ისე კი არავის წაყვანის უფლება არა გვქონდა.

მოხონელი ისე საცოდავად შემომაჩერდა, რომ უარის თქმა ვერ მოვხერხე.

ამ უხერხულ მდგომარეობიდან ისევ შოფერმა გამომიყვანა.

— წაიყვანოთ, ამხანაგო სევდიან, „მაირიკას“ რძალია...

— „მაირიკასი?“ — გავვოცდი მე.

— ჰო, შორიდანვე ვიცანი...

მანქანიდან საჩქაროდ ჩამოვედი, უცხო კაცს მეგობრულად ხელი გავუწოდე, განუცხადე, რომ მათი მდგმური ვარ, მერე მძღოლს ვუბრძანე, ბარჯი ავტომანქანაში მოეთავსებინა.

მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. იმ დღეებში „მაირიკასის“ მანქანები არ მუშაობდნენ. ეს საწყლები თურმე ორი დღე ელოდებოდნენ მანქანას.

ტიგრან ავეტიჩმა (ასე ეძახდნენ „მაირიკას“ შვილს) ცოლი გამაცნო და პირისახეზე ოფლი შეიმშრალა. მოკლედ გვიამბო, ეს ორი დღე მანქანის ლოდინში როგორ დაიტანჯნენ. თვითონ დილიჯანის სანატორიუმის საგზური ჰქონდა, იქ უნდა დარჩენილიყო, ცოლს — ვერგინეს კი სოფელში, დედასთან გზავნიდა.

— მეც მიინდა „მაირიკას“ სანახავად სოფელში წამოსვლა, მაგრამ არ ხერხდება, საგზურის ვადა საშუალებას არ მაძლევს. მერე ცოლს მიუბრუნდა, ალბათ, დასაჩქარებლად.

მე პაპიროსს ვწვედი, თანაც ცალი თვალი ცოლ-ქმრისაკენ მექირა. ცოლი რაღაც დარჩევას აძლევდა ტიგრან ავეტიჩს. ლაპარაკის დროს უსწორებდა პიჯაკის საყელოს. უსწორებდა ყელსახვევს...

ჩაყვითლებული, გამხდარი, ძვალტყავად ქცეული, სანთელივით ჩამოღვენთილი იყო ტიგრან ავეტიჩი, ვერგინე კი პირიქით ძალზე ლამაზი, ნორჩი და ჩათქვირებული.

მიუხედავად ასეთი განსხვავებისა, ისინი მაინც ჰგავდნენ რაღაცით ერთმანეთს.

ბედის ბრმა განაჩენი მაკვირებდა. „რა უპოვია ამ ახალგაზრდა მშვენიერ არსებას ასეთ დამქვანარ და დაავადებულ

ადამიანში? — ვეიქრობდი მე, — რა აკავშირებს მათ ერთმანეთთან? ბავშვი? მაგრამ რომ არა ბავშვთ? ქონება? მაგრამ რა ქონების პატრონი იყო ტიგრან ავეტიჩი! იქნებ განთქმულმა სახელმა მოხიბლა ქალი? — ვეითხებოდი ჩემ თავს, მაგრამ ნამდვილი პასუხისათვის მაინც ვერ მიმეგნო. ერთი რამ დღესათვის ნათელი ხდებოდა ჩემთვის. ეს ქალი უძირა უფსკრულში იყო ჩაყვანილი, იმ უფსკრულში, საიდანაც მხოლოდ ვარსკვლავებს თუ დაინახავს ადამიანი. არავითარი საფუძველი არა მქონდა ვერგინეს შესახებ ასეთი აზრი მქონოდა, მაგრამ იმას კი ვხედავოდი, რომ ვერგინე „ევა“ არ იყო, ქალი არც ვერგინეთი იწყებოდა და არც ვერგინეთი თავდებოდა.

სანამ ამ ფიქრებში ვიყავი გართული, ტიგრან ავეტიჩი და ვერგინე მანქანას მოუხალოვდნენ. ვერგინემ ქმრის დახმარებით მანქანაზე ასვლა დააპირა, მაგრამ მე ჩავერიე და შოფერის გვერდით კაბინაში ჩემი ადგილი დავუთმე. მან დიდი მადლობა გადამიხადა, უარის თქმას აპირებდა, მაგრამ ქმრის ხათრს ვერ წაუვიდა.

მე ძარაში მოვთავსდი და მძღოლს ჩავძახე, წავედით-მეთქი.

— უღრმესი მადლობა, ძალზე დამავალეთ, — მოგვადახა ტიგრან ავეტიჩი. იგი დიდხანს იდგა ზნის პირად, ჩვენ გვაცილებდა.

ვერგინეს მანქანის სარკმლიდან გამოეყო ხელი და ვარდის წყლით დააკურებულ აბრეშუმის ცხვირსახოცს უქნევდა ქმარს.

ქალის ამ საქციელმა ერთგვარი ირონია გამოიღვიძა: „რა მწარე ყოფილა განშორება, როცა კვლავ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს“... მაგრამ რატომ ვმსჯელობ ასე, საიდან მეზადება ასეთი ბოროტი აზრები? ... შეიძლება ვცდები. ვარსკვლავი ვარსკვლავს დაემთხვა, მორჩა და გათავდა. — არა. მე მგონია, საკმარისია ერთი პეშვი ნოყიერი მიწა, ცოტა წვიმაც, რომ ამ ახალგაზრდა ქალის გულის ნაყოფიერი თესლი სხვა

ვარსკვლავის ქვეშ აღოჯდეს და დაგვირგვინდეს. ამის შემდეგ შემთავებით ჩემო ტიგრან, მე დამნაშავე ვარ, იშვილბაში, მოკლედ ყველაფერი — გველი, ხელიკი, მორიელი, ბაყაყი... რაც გენებოთ მიწოდეთ, როგორც გენებოთ მომნათლეთ, მე ყოველგვარი გაკიცხვის ღირსი ვარ... მაგრამ რა ვქნა? ცხოვრებით ჩემო ტიგრან, მე დამნაშავე ვარ, დღემლო კარნახს ვერ შევებრძოლე, ამან მე მომაჯადოვა და შორეულ ნაპირზე გადამტყორცნა... შვეილობით...

აი ეს არის ნამდვილი ცხოვრება, გარემოებათა ბუნებრივი. მსვლელობა. მანქანიდან გამოშვებული ცხვირსახოცი კი ისეთ პეშელას წააგავდა, რომელიც არ ვიცით რით იკვებება...

მანქანა დილიჯნის ხევეში ჩავიდა. პაერი თანდათან ტენიანდებოდა თანაც აცივდა. მალე გამომაფხიზლეს წვიმის მსხვილმა წვეთებმა. საყულო ავიწიე, ფეხები ერთმანეთს მივაკარ და მოვიკუნტე.

იჯვანამდე განუწყვეტლივ წვიმდა. ბნელოდა, როცა მივედი. მე ჩემ ოთახში გავედი, მაშინვე გავიხადე და ლოგინში ჩავწექი. ძალიან ცუდ გუნებაზე ვიყავი. კარგა ხანი გასულიყო, რაც პაპიროსი არ მომეწია. მოვუკიდე, ვცადე მოწევა, მაგრამ როგორც კი კვამლი ყელს გადამცდა, მწვავე სიმწარე ვიგრძენი, პაპიროსი გადავაგდე და უფრო მაგრად გავეხვიე საბანში. ოთახის კარი კრიალით გაიღო და „მაირიკას“ ფოსტლების ტყაპ-ტყუპი შემომესმა.

— გძინავს? — დაბალი ხმით შემეკითხა იგი, — ერთი ქიჭა ჩაი მაინც დალიე, შეილო.

— მადლობელი ვარ, „მაირიკა“, აღრე უნდა გავიღვიძო, — სასთუმალიდან თავაულებლივ ვუპასუხე და უმალვე ვიგრძენი, რომ ჩემი საკუთარი სუნთქვისაგან სიცხის ობშივარმა გადამკრა პირისახეზე და თვალების ქუთუთოებმაც წვა დამიწყა...

„მაირიკამ“ კარი დინჯად გაიხურა და გარეთ გავიდა.

II

მეორე დილას ფეხზე წამოდგომა ვერ შეეძლო. თავი დამიბორიალდა, თვალთ დამიბნელდა, მთერალი კაცივით წაგებარბადედი, იძულებული გაგხდი ისევ ლოგინში ჩავწოლილიყავ. ყელი მეწვოდა, ნერვიულად მეკუმშებოდა, თავი საშინლად მტკიოდა. ექიმის თქმით ძალიან გაციებული ვიყავი. ცოტა ხანს წოლა იყო საპირიო. „მაირიკა“ ერთ წამს არა შორდებოდა ჩემს სასთუმალს. გარდა ექიმის გამოწერილი წამლებისა, თვითონაც რაღაც ყვაილებების ნახარშით ყელს მარეცხინებდა.

ხანდახან ვერგინეც მნახულობდა. იგი დიდი მოწინებით, მოკრძალებით და შორცხვად შემოდებოდა ჩემ ოთახში. მის თითოეულ მოძრაობას თავშეკავება ეტყობოდა.

ვერგინეს ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქმულ სიტყვებში დამნაშავეის ხმა ისმოდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემს ავადმყოფობას ჩვენს მგზავრობას უკავშირებდა, ამიტომ ყოველ ღონისძიებას ვხმარობდი, თავი ჯანმრთელად მომჩვენებინა და, მართლაც, ვერგინეს თანდასწრებით თავს კარგადა ვგრძნობდი.

გამოჯანმრთელების შემდეგ ჩემი პირველი საზრუნავი ახალი ბინის შოვნა იყო. „მაირიკას“ კრინტიც არ დაუძრავს ბინის განთავისუფლების შესახებ, არც მე ვაგონებდი, თუმცა წინასწარ ვგრძნობდი, რომ იგი წინააღმდეგი იქნებოდა ჩემი გადასვლისა. როგორ მოხდა, არ ვიცი, მაგონი სხვებისაგან გაეგო ჩემი წადილი და გამკიცხა კიდევც.

— სად მიხვალ, შვილო, სირცხვილი არ არის?..

— სირცხვილი რად იქნება, „მაირიკ“, ჩვენ ხომ ასე შევთანხმდით?

— მართალია, შეთანხმებული ვიყავით, მაგრამ ტიგრანი არ ჩამოვიდა.

7. „მნათობი“, № 5.

ერთი ოთახი მე და ვერგუნეს სავესებით გვეყოფა. ასე, შვილო, ახალი ბინის ძებნას თავი გაანებე, ცხვარე, რთავ გორც გიცხოვრია...

გადაწყვეტიტ დარჩენა. თუმცა გულის სიღრმეში მაინცა და მაინც ასეთი გადაწყვეტილებით კმაყოფილი არ ვიყავი. ჩემი სურვილი იყო, რაც შეიძლებოდა მალე მოვშორებულყავი იქაურობას. თუ რატომ მინდოდა მოშორება, ამაზე მსჯელობა ზედმეტად მიმაჩნია. გაქცევა, მალე გაქცევა იმ უხილავ და გაურღვეველ ხიფათისაგან, რომელიც თუმცა არ არსებობს, არა ჩანს, მაგრამ მის ბრკყალვებს მაინც გრძნობ ბრმა ინსტიქტით. „მაირიკას“ ჩემი წასვლა არ უნდა არ მიშვებს. რას იზამი მეც დავრჩები და როგორც აქამდე, ისე განვაგრძობ ცხოვრებას ჩემ ოთახში.

თითქმის ყოველ კვირა „მაირიკა“ და ვერგინეც ტიგრანას სანახავად მიდიოდნენ.

ერთხელაც ტიგრანი თითონ წამოჰყოლოდა სოფელში, სამი დღით აეღონებართვა სანატორიუმის დირექტორისაგან.

საშუალება მომეცა ახლო გავცნობოდი ამ კაცს. ტიგრან ავეტიჩი სპეციალობით არქეოლოგი იყო — ურარტული ისტორიის მკოდნე მეცნიერი და მთელი რიგი ღირსშესანიშნავი შრომების ავტორი; იგი ისეთივე დამკანარი და გაყვითლებული გამოიყურებოდა, როგორც შეგვხვდა დიდიჯანის გზატკეცილზე. მიუხედავად ამისა, მე გამაკვირვა ამ კაცის სიცოცხლით ალსავსე ბუნებაში, სიმარდემ. ეს ადამიანი ძალზე ცნობისმოყვარე იყო, ყველაფერს გამოიჩინებდა, ზვერავდა, სინჯავდა, ამოწმებდა. სოფელში ერთ წამს არ ისევებებდა, მუდამ მოძრაობდა, იჩქაროდა მატარებლიდან საყიდლებისათვის ჩამოსული მგზავრით, რომელსაც ერთი თვალი მუდამ მატარებლისაკენ უპირავს, არიქა არ ჩამოვრჩეო.

ტიგრან ავეტიჩი ისე შემომგება თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვყოფი-

ლუკიანით და დამიმეგობრდა კიდევც. შეაკეთა და მოაწესრიგა ბაღის ღობე, ხეებს გამხმარი ტოტები შეაკრა, არხები და კვლები ამოწმინდა, ზედმეტი ბალახ-ბუღახი მოთიბა. ვერგინე სიაშოვნებით ეხმარებოდა მეუღლეს. ცოლქმარმა ბეჯით ფუტკრებით ერთ დღეში მოაწესრიგეს სახლიც და ბაღიც. ცელს, ბარს და ცულს ტიგრან ავეტიჩი კარგი გლეხაკით ხმარობდა. ვერგინეს „მაირიკას“ ძველი ტანისამოსი გადაეცვა და გულმოდგინედ ეხმარებოდა ქმარს. სანამ ესენი სოფელში ჩამოვიდოდნენ, „მაირიკამ“ გაკვრით მიამბო შეილის და რძალის შეუღლების ისტორია და მათი შრომისმოყვარეობის ამბავი. ამ ამბავმა ჩემზე არავითარი გავლენა არ მოახდინა, ჯერ ერთი, რომ იმათ არ ვიცნობდი და მეორე — რომელი ყვაფი იტყვის თავის ბახალაზე შავიო. „მაირიკას“ ნაამბობში უფრო საინტერესო იყო ვერგინეს და ტიგრან ავეტიჩის შეუღლების ისტორია.

როდესაც სწავლადამთავრებული და სერიოზული ცოდნით აღჭურვილი ტიგრან ავეტიჩი სოფელში დაბრუნდა, აქ ყველასათვის მოულოდნელად ვერგინე მოეწონა. ვერგინე სრულიად უსწავლელი, ობოლი და ნახევრად მშვიერი გოგონა იყო. მშობლებმა, ნათესავ-მოკეთებში ბევრი ურჩიეს ტიგრან ავეტიჩს ამ უხამს სურვილზე ხელი აეღო, მაგრამ — ამაოდ. იგი თავისი სიტყვის ერთგული დარჩა, შეერთო ვერგინე და მეორე დღესვე ქალაქში გადასახლდა, რათა სოფლის პორი და მითქმა-მოთქმა აღარ მოესმინა. შეილის ასეთი საქციელი, „მაირიკას“ თქმით, ავადმყოფ მამას არ მოეწონა და ამ სეცდამ გამოასალმა წუთისოფელს. სიკვდილის წინ თურმე დაეწყველა შვილი და მთელი სახლკარი ბალიანად თავისი ცოლისათვის ეანდერძებინა.

ტიგრანის აშხანაგებს და ნაცნობ-მეგობრებს როგორ მიეღოთ ვერგინე, — ამის შესახებ „მაირიკამ“ არაფერი იცოდა. მხოლოდ ყური მოეკრა, რომ ვერ-

გინე სახლში მეცადინეობდა. სხვა მასწავლებლებთან ერთად, თურმე მუსიკის და ცეკვის მასწავლებლებიც ერთმეცადინებდნენ მას. შემდეგ ისიც გაეგო, რომ იმისი რძალი იმ უნივერსიტეტში სწავლობდა, სადაც ტიგრან ავეტიჩი ლექციებს კითხულობდა.

ამის შემდეგ „მაირიკამ“ რძალი იხილა სრულიად გამოცვლილი; კულტურული ზნე-ჩვეულებისა, გალამაზებული, გამშვენიერებული, ნასწავლი და როდესაც სიცოცხლით აღსავსე რძლის გვერდით უდროოდ დამკვანარი, გაყვითლებული შვილი დაინახა, იმის დედურ გულს ფარული ეჭვი და შფოთი შემოეჩვია. მაგრამ არა „მაირიკა“ დარწმუნდა რძლის ერთგულებაში, მის ფაქიზ და სათუთ მოპყრობაში ტიგრანისადმი და ძალზე კმაყოფილი იყო. იგი ხშირად ლოცავდა ვერგინეს და აღტაცებას გამოთქვამდა მათი ბედნიერებისა და შეუღლების გამო.

„მაირიკას“ არ გადაეჭარბებინა, ნამდვილი ჰუმბრაიტება გადმოეცა ჩემთვის. მე ღრმად მწამდა ეგ, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ სადღაც გულის სიღრმეში მაინც რაღაც ეჭვები შებადებოდა. არა მჯეროდა, რადგან ცხოვრება სულ სხვა რამეს მიკარნახებდა და ბოლოს ერთ-ორი დღის განმავლობაში როგორ შეიძლებოდა ქალის ყველაზე რთული, აწეწილი და აფორიაქებული სულიერი განწყობილება გამეგო?

სოფელში მოსვლისთანავე ტიგრან ავეტიჩმა განმიცხადა, რომ მას ვერგინესთან ერთად სურვილი აქვს ბატარა ექსკურსია მოაწყოს ახლობელი სიძველეების დასათვალიერებლად და მთხოვა მეც შევაშხანაგებოდი მათ. სიაშოვნებით დავეთანხმე, მით უმეტეს, რომ წინა დღეებში მძაფრი მუშაობის შემდეგ გასეირნება შესაძვიროებოდა.

სასწრაფოდ მივამურე მუშაობის ადგილს, მეორე დღისათვის საათნადო დავალებები მივეცი ბრიგადირებს, ცოტა რამ საკმელ-სასმელი მოვიმარაგე და სახლში დავბრუნდი.

III

კარგად არ იყო გათენებული, როცა სოფლიდან გავედით. უკან მოვიტოვეთ გზატკეცილი და წითის ვიწრო ბილიკით ტყის ფერღობებს შევუდგექით.

მივიღოდით ჩუმად, ჩაფიჭრებული, ვცდილობდით ერთმანეთისათვის ხელი არ შეგვეშალა, ყველა დამტკბარიყო გაღვიძებული ბუნების სიმშვენიერით. ალპიურ მწვეანე მცენარეულობას ნაზი სიო არხვედა. მთელი არე-მარე ნაირნაირ ყუავილებს დაეფარა.

პატარა, ცელქი ნაკადული, რომელიც ფეხებს გვისველებდა, ხან მარჯვნივ გადაავიქრიდა გზას და ხან მარცხნივ. ამისათვის ჩვენ იძულებული ვიყავით მეტწილად გზა აგვექცია ბილიკისათვის და ბუნქნარებში გვევლო. გზა და გზა, აქა-იქ აფრინდებოდნენ ხოლმე ფრინველები და მეზობელ ხევ-ხუვში თანამომეტა მყუდროებას არღვევდნენ.

ჩვენს ფეხისხმაზე ასკილის ბუჩქიდან კურღელი გამოხტა, დაბლობისაკენ დაეშვა, მერე ერთ პატარა ბორცვზე შედგა, უკან მოიხედა და კვლავ განაგრძო სირბილი.

ბუნება იღვიძებდა, ისეთი ლამაზი და წარმტაცი იყო ეგ გაღვიძება, რომ მე მხარზე გადაკიდებული თოფი სრულიად დამავიწყდა და კურღლელი გავუშვი. განა მარტო კურღლელი? აქ ყოველ ფეხის გადადგმაზე ნადირს შეხვდებოდით. ყუავილნარეე ბალახებში დაძრწოდნენ მსუქანი კაკბები, რომლებსაც თავიანთი ლამაზი კისერი წაეგრძელებინათ, ნისკარტით გზას იკაფავდნენ და რწევით მიდიოდნენ წინ. მაყვლიანში შეხვდებოდით აუარებელ ტყის ქათამს, ვნოლებს, პანტიანში კი მრავლად ბუდობდნენ გარეული მტრედები, რომლებიც საღამოობით თავიანთი სასამოვნო ღულუნით ატკობდნენ არემარეს.

დაბლა, ჩაზნექილ ხევში მოჩანდა იჯე-ვანი, რომელსაც სამი მხრიდან მთები ერტყა: აღმოსავლეთით — ბუსხანა, დასავლეთით — მოიქია, სამხრეთით — ტახტი-ქიოლა.

ამ სამ მთას თავიანთ რკალში მოემწყვდია იჯევანი. მინდვრების გსწვრივ, მთის ძირში მიშხუის მთის-ანკარა მდინარე, რომლის ნაპირზე კარგი დიდი ფართობი უჭირავთ სამხერხაო და სატყეო მრეწველობის ორ ქარხანას, თავიანთი ჩაეამებული მაღალი ბუნებით. ქარხნების გამწვანებულ ეზოებში უამრავი მორები ყრია, რომლებიც შორიდან ასანთის ღეროების ოდენად მოჩანან.

მდინარის მეორე ნაპირზე დილიჯანის მოლობული გზატკეცილი მიიკლავნება. გზის ორივე მხარეს ორსართულიანი, ხის ლამაზ აივნაანი შენობებია აღმართული. მთელი ქუჩა მოასფალტებულია. ტიგრან ავეტიჩმა მიმითითა „ქარვასლის“ ადგილზე. აქ ისვენებდნენ სპარსეთიდან მომავალი ქარავნებიო.

„ქარვასლების“ დაარსების შესახებ არავითარი ცნობა არ არსებობს, რაც შეეხება დაბის მცხოვრებლებს, ესენი ერევნის მახლობელ სოფლიდან გამოიზნულან. სპარსელების ბატონობის დროს 1790 — 1792 წლ. ეს ხალხი მოსულა და ამ მშვენიერ ალაგას დაბანაკებულა. დღეს კარგი პირი უჩანდა. ტიგრან ავეტიჩმა დაუმახა ვერგინეს, სამგზავრო ჩანთები გადავიკიდეთ და გზას გავუდექით.

ტიგრან ავეტიჩი აღფრთოვანებული იყო. მას მთელი ყურადღება მიპყრობილი ჰქონდა ნასოფლარებზე, ცალკეულ ნანგრევებზე, ეკლესიების და მონასტრების კედლების წარწერებზე, საფლავის ქვებზე, არხებსა და გალავნებზე... ამ კაცის მეხსიერება პირდაპირ მაოცებდა. ხშირად გზაზე გადაუხვევდა, დაბლობში ჩაირბენდა, სურო-ფაათლოებში ვიღაც არღუნ მეფის და მისი მეუღლის აკლამას იპოვიდა, საფლავების ქვებს დააშტერდებოდა, წყლის აბაზანზე მიგვიითებდა... თვითული ფოთოლი, ხე, საფლავი, კედლების წარწერები და სხვა ტიგრან ავეტიჩისათვის განძს წარმოადგენდა, იგი გულმოდგინედ კითხულობდა ფეოდალური სომხეთის, განსაკუთრებით ზაქარიაელების

დროის მატერიალური და სულიერი კულტურის ისტორიას.

შუადღისას რის ვაი-ვაგლახით ერთ დიდ კლდეზე ავფოფხდით, სადაც უნდა შეგვესვენა და საბოლოოდ ამ კლდის ნაპრალებზე უძველესი ციხე-კოშკის ნანგრევები დაგვეთვალიერებინა.

ტიგრან ავეტიჩმა გვიჩაია კოშკის დათვალიერებამდე გვესადილა. ვერგინემ სუფრა გაშალა: თეთრ ქათქათა სუფრაზე ბორბონის დიდი ფოთლები გაალაგა, რომლებმაც მწვანე თევზების ადგილი დაიპირეს. ამ „თევზებზე“ მან მზრუნველობით დაალაგა შემწვარი კალმახი, მურწა, ქათმის ხორცი და მოხარშული ლორი. შიგა და შიგ დაყარა ხილი და მწვანილი; პურის ნაჭრები თავისუფალ ალაგას მოათავსა.

როცა „მაგიდაზე“ ღვინის სასმისი გამოჩნდა — ტიგრან ავეტიჩს თვალები გაუბრწყინდა. მან ხელები მოიფშენიტა, სასმისს გადახედა და ტუჩები ააცმაცუნა. ცოლი მიხვდა ქმრის განზრახვას და გააფრთხილა:

— ტიგრან?..

— შენი ქირიმე, — მიმართა ტიგრანმა ცოლს, — ნება მომეცი ცოტა „მშული მოვიფხანო“. დიად, დიად, ჩემო კარგო, ცოტა... ერთი ბეწვი... ერთი ყლუპი...

ვერგინემ ცბიერი ღმილით გადახედა მას. ეს ღმილი წააგავდა იმ დედის ღმილს, რომელიც თავის ცელქ ბავშვს აპატიებს ხოლმე დანაშაულს. ტიგრან ავეტიჩმა ხელში აიღო სასმისი, დაისხა, ჩვენც შეგვივსო და თავისი ულუფა მიწინე გადაკრა. მეორე სასმისიც შესვა „ქეიფის გუნებაზე“ მოსასვლელად, მესამეზე კი შემდეგი სადღეგრძელო წარმოსთქვა:

— ეს იმ ხალხის სადღეგრძელო იყოს, რომელმაც ქრისტიანობამდე რამდენიმე ასეული წლის წინ ვაზი იპოვნა, მოუარა, გემრიელი სასმელი ღვინო დააყენა და არაბეთიდან უდიდების ქვეყნამდე გაავრცელა... მაშასადამე ჩვენს წინაპართა სადღეგრძელო იყოს...

— ისევე იგივე ზღაპარი, — ღმილით შენიშნა ვერგინემ.

— არავითარი ზღაპარი, ჩემო საყვარელო, მოდი დღეს ნუ ვიკამათებთ, არა, ნუ ვიკამათებთ, თორემ ამხანაგ სევუმიანს ეგონება, რომ ჩვენ ყბედი და მოჩხუბარი ხალხი ვყოფილვართ... ასეა არა, ამხანაგო სევუმიან? — მომმართა მე.

— უფლება აქვს, — დაუმატა ვერგინემ.

— რაკი ასეა, მაშ ამხანაგ სევუმიანის სადღეგრძელო შევსკათ. თქვენი სადღეგრძელო იყოს, ძვირფასო მეგობარო...

ცოტა ხანს შემდეგ ტიგრან ავეტიჩმა სიცილით და ხუმრობით შეაქო თავისი ცოლი და კომიკური ტონით თქვა:

— ესეც ჩემი „ერთად ერთი ცოლის“ სადღეგრძელო იყოს... — სერიოზულად გადახედა მას და დაუმატა: — შენი სადღეგრძელო იყოს, ჩემო საყვარელო ვერგინე, გახსოვდეს...

ვერგინე აწითლდა, თავი დახარა, თავიანთად გადახედა ქმარს, მერე სუფრას დააშტერდა... მე მაგ სიტყვის გადაკვრას ვერ მივუხვდი, ჯერ ყურადღებაც არ მივაქციე, მაგრამ მერე ვერგინეს სახის გამომეტყველებიდან ის დასკვნა გამოვიტანე, რომ ცოლქმარს შუა რაღაც სერიოზული რამ უნდა ყოფილიყო. ვერგინე ჩვენს მიერ შესმულ ყველა სადღეგრძელოს სიამოვნებით ეთანხმებოდა და და ამის ნიშნად თითო ყლუპს მოსწრუპავდა ხოლმე.

ქმარმა სასმისი შეუვსო ვერგინეს, იმანაც მადლობა გადაუხადა, სასმისი სწრაფად გამოსცალა, ცარიელი სასმისი ქმარს უჩვენა, შავი თვალები შეანათა მას და ისე გადახედა, თითქოს შავი ღრუბლებიდან მშემ გამოანათაო...

არ ვიცი რატომ, ჩემი სულის სიღრმეში კვლავ იმ გრძნობამ გაიღვიძა, რომელიც მათთან პირველ შეხვედრისას მქონდა.

„ისევე ქათინაურები, ისევე ფორმალუზში — გავიფიქრე მე და ტიგრან ავეტიჩის ვითომდაც ბედნიერება სათამაშო ბანქოს ხუხულას შევადარე, რომელიც ერთი უბრალო შებერვით დაიფუშება.

რამ მიმიყვანა ამ დასკვნამდე, შურმა აუ გარემოებათა არასწორმა გაგებამ — არ ვიცი. ვგრძნობდი, რომ მართალი ვიყავი და სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო.

სადილის დამთავრების შემდეგ ციხე-კოშკის ნანგრევების დათვალიერებას შევეუდექით.

IV

მთაგრეხილზე ამაყად წამოჭიმული ლეგენდარული ციხე-კოშკი ერთი შეხედვით მოგაგონებდათ სიკვდილის პირზე მისულ დაჭრილ არწივს, რომელიც თავის სისხლიან ფრთას დაყრდნობია და ლაყვარლოვანი ცის მზერით მოჯადოვებული უკანასკნელ ამოსუნთქვისას გაქვავებულა.

ტიგრან ავეტიჩის ხელმძღვანელობით ციხის ნანგრევებში შევედი. ფეხის ზმაზე გარეული მტრედების მთელი გუნდი ფრთების ტკაცუნით აფრინდა და ხევისაყენ დაეშვა. ამ დანგრეული შენობის იატაკზე აღარებელი ქვა, ღორღი და შიწა ეყარა, კაცის სიმაღლის კინკარი იყო ამოსული. კედლებზე მარდად დარბოდნენ ხელიკები, ერთ კუთხეში ორი დიდი კუ დაფოფავდა.

ამ ნანგრევთა რუხი კედლები, ზედა თაღები, კარებები ქვისაგან იყო აშენებული. ციხე-კოშკის სანახავად მოსული სტუმრები მეტწილად აქ ათევდნენ ღამეს, კედლებზე ტოვებდნენ მრავალ წარწერას: გვარს, სახელს, თარიღს, ზოგიც ლექსებსა სწერდა — ღვინოს და სიყვარულს ხოტბას ასხამდა...

ტიგრან ავეტიჩი თითოეულ ქვის ნატეხს მოკრძალებით ჰკიდებდა ხელს, ისე სათუთად და ფრთხილად ეყარობოდა, თითქოს ფხვიერი რამ ყოფილიყო. მტვერს ისე გადასწმენდა ხოლმე, გეგონებოდათ ცხელ ლუმელზე უსვამდა თითებს. ამ საქმით ისე იყო გატაცებული, რომ მას არა მარტო თავისი თავი, ჩვენც დავევიწყდით.

ვერგინემ ალღო აუღო ამ მდგომარეობას და ჩუმად გამოვიდა კოშკიდან. მეც

წავბადე ქალის მაგალითს, ნანგრევებიდან გამოვედი. ერთად გავწიეთ ცოდნის ნაპრალისაკენ.

— მოგებზრდათ, არა? — შემეკითხა ვერგინე.

— რაღა გგონიათ?

— არ ვიცი, მე აგრე მომეჩვენა.

მზე უკვე გადაწეულიყო. მთიდან ნიავი უბერავდა, ჩვენს ტანისამოსს ეთამაშებოდა, ერთგვარ სასიამოვნო სიგრილეს ვგრძნობდი მთელ სხეულში. მაგრამ უცებ ნიავმა მოგეტყუა, შეთქმულივით შემოტრიალდა, ზურვიდან მაგრად მოეხვია ქალს, თხელი აბრეშუმის კაბა აუშრილა და კულულები პირისახეზე გადმოეყარა.

ვერგინე დაიბნა, ცალი ხელით თმას მისწვდა, შეორეთი კი კაბის კალთა დასწია, მოიკუნტა და შექრწუნებული ჩაჯდა. მან ვერ შეამჩნია, მუხლის ზევით ვარდისფერი ტანის ზოლი როგორ გამოუტრწყინდა. მე თავი დავლუნე, ვითომდა ვერ დავინახე, მაგრამ მთელ ტანში ფრუანტელი ვიგრძენი, სირცხვილით პირისახეზე ვერ ვუყურებდი ვერგინეს, სიტყვას ვერა ვპოულობდი, რომ თავი დამეღწია უხერხულობისათვის და ამით ამომეგსო უფსკრული.

ვერგინემ გადაიწია კლდის კედლისაკენ და კაბის აკეცილი კალთა შეისწორა.

ლამაზი იყო ვერგინე. შარავანდელით მოსილ ნაზ შუბლზე უხვად ეყარა შავი თმა. წვრილი, ცოტა ზემოთ აწეული, კამარისებური წარბები მყვალა თვალებზე გადმოშლოდა. იმის ბროლივით წვრილ ბაგენი მომწიფებული ქალის სიამაყეს და თავშეკავებას ამკლავებდნენ. მერე ტიტველი, მზემოკიდებული ყელი, მკლავები... ყველაზე ღირსშესანიშნავი იყო იმისი გრძელ-გრძელი თითები, რომლებიც ნორჩ სატაცურს წაავადნენ...

დაწვრილებით მხოლოდ ახლა ვიხილე ვერგინეს გარეგნული სიმშვენიერი. მანამდე მხოლოდ ვგრძნობდი, რომ იგი ლამაზი, მიმზიდველი და მოჯადოებელი იყო. მოამორე, წაართვი ეს ქალი მის ქმარს და, ტიგრან ავეტიჩისაც დააევიწყდება ისტორია, მეცნიერება, ურარ-

ტუ... თაფლის სანთელივით ამ ნანგრევებში ჩაღვინებდა, ჩაქრება. ნეტა რას იგრძნობს, რა დაემართება, რომ კოშკიდან გამოვიდეს და ვერგინე არ დახვდეს? ამ ვიწრო ბილიკით ჩავა მის საძებნელად თუ აქედან პირდაპირ გადაიჩეხება უფსკრულში? ალბა, უკანასკნელს აირჩევს, მაგრამ ნუთუ ასე უყვარს ცოლი? ჩემის აზრით, ძლიერი სიყვარული მხოლოდ ჯანმრთელ ადამიანს შეუძლია, აი, მაგალითად, ვერგინეს, მაგრამ ვინ უნდა უყვარდეს, ტიგრან ავეტიჩი? „მაგ ოჯახდასაქცევზე ერთ ადგილს ვერ იპოვნი, რომ სიყვარული შეიკროს“, — ფიქრობდი ჩემთვის და თანაც მეცინებოდა. უცებ ტიგრან ავეტიჩის ფეხისხმა გაისმა. მე გამოვფხიზლდი. იგი მოვიდა, ჩვენ შუა ჩაჯდა და თითქოს ნახევრად დასრულებული საუბარი განაგრძო:

— ტყე აუჩეხიათ, იშხანავანი დამშრალა, მხოლოდ ჩვენი ხალხი არის და იქნება კიდევ... — მერე მცირე დუმილის შემდეგ წარმოსთქვა: — ისტორია უნდა ვიცოდეთ, დიახ, დიახ, ვიცოდეთ, უიქველად უნდა ვიცოდეთ... უკიდურეს შემთხვევაში ჩვენ თავს ვერ შევიცნობთ, დღევანდელ დღეს ვერ შევადგებთ. ბედნიერი შთამომავლობა ვართ, რომ ასეთ სანატრელ დროს შევესწარი. აღარ დავილუპებით, არასოდეს არ დავიკარგებთ... ჰა, რასა ფიქრობთ მეგობრებო?... იშხანავანი მდინარე იყო. დაშრა, ტყეები გაჩეხეს და ისიც იმიტომ მოისპო... ხალხი კი, მეგრძოლი და მხნე ხალხი მუდამ იარსებებს...

აღზნებული ტონით ლაპარაკობდა, თითქოს, თავისი სიტყვები და აზრები პერგამენტზე გადაჰქონდა მომავალი თაობისათვის.

მერე დასავლეთს გახედა და სწრაფად წამოაღდა.

— ოპო, მეგობრებო, დაბრუნების დროა...

ჩვენც წამოვიშალეთ.

— ნუთუ იმავე გზით უნდა დავბრუნდეთ? — იკითხა ვერგინემ.

— არა, ჩემო სიყვარულო, პირდაპირ გადავქრით გზატკეცილამდე მალე ჩამოვედით და სხვა მილიკით გავეწიეთ გზატკეცილისაკენ.

ჩვენი ხელმძღვანელი — ტიგრან ავეტიჩი უერკად შეჩერდა, ჩვენც გვანიშნა, შევჩერებულყავით. მან ხელი გაიშვირა ტყიან დაბლობისაკენ და შევლი დავგანახავა. ვერგინე შეკრთა, მე მაშინვე თოფი მოვიმარჯვე. შევლი საიდანღაც მოსულიყო ამ მიდამოებში და ფეხით ჩიჩქნიდა ხავსს. ეტყობოდა, წყალს ეძებდა. თოფი გადმოვიღე. ვერგინე განზე გახტა და ყურებში თითები დაიკო. ტიგრან ავეტიჩი მოშორებით იდგა.

თოფის გრიალზე განზე გახტა და სწრაფად გაიქცა. მე ხელშეორედ დავუმიზნე და, ის იყო, უნდა გამესროლა, რომ ვერგინეს შემინებული ხმა მომესმა:

— ნუ! ნუ! ნუ...

ხელები მომიდუნდა, თოფის ლულა ძირს დავუშვი, შვლის სიცოცხლე ვერგინეს დავუთმე. განა შემეძლო არ დამეთმო?... თუ რატომ, ან რისთვის? — ამაზე პასუხის გაცემა მიძნელდებოდა. როცა ქალის სუნთქვა პირისახესთან ვიგრძენი, ახლოდან ვიხილე იმისი მუდარით აღსავსე ვიშრის თვალები და ყურს მომხვდა ატირებული ხმა, კინაღამ ხელიდან გამივარდა თოფი.

— რა კარგად დააფრთხეთ... — იხუმრა ტიგრან ავეტიჩმა.

— დიახ. კარგად ავაციდინე, — ვაღიარე მე.

— არა, თქვენი ბრალი არ იყო, მე არ გავიშვი, — გამომესარჩლა ვერგინე.

ხევის ძირში ჩამოვედით, სწორედ იმ ალაგას, სადაც პატარა ხნის წინ შევლი იდგა. ვერგინე შეჩერდა, ხელი გულზე მიიღო და რაღაც მანიშნა. მე გულშოდგინედ დეაკვირდი გაყვითლებულ, გამხმარ ფოთლებს და რამდენიმე წვეთი სისხლი შევნიშნე.

— დაქრილა, — გულისტკივილით ჩაილაპარაკა ვერგინემ.

— აფსუს, რომ არ მოკალით! — დაუმატა ტიგრან ავეტიჩმა. მე აღელვებისა-

გან პასუხი ვერ გავეცი. მართლა აფსუ-
სი იყო. ან არ უნდა დამეჭრა, ანდა, რა-
კი დავჭერი, უნდა მომეკლა უძველად.
ამჯერად „მონადირის ყინი და ღვარ-
ძლი“ მალჩობდა, მაგრამ გვიან-ლა იყო,
თავჩაქინდრულმა გავწიე წინ.

მაღე გზატყეცილზე გამოვედით, გან-
ვავრძეთ გზა და ლამპების ანთების ყაშს
სახლში მივედით.

V

მთელი კვირა სახლში არ დავბრუნე-
ბულვარ. გზატყეცილის ერთ ადგილას
გადმოშვებული კლდე გამსყდარიყო და
გზაზე ჩამონგრევას აპირებდა. ამიტომ
გადავწყვიტე იმ კლდის აფეთქება.

კლდის აფეთქებას არამარტო ვხელ-
მძღვანელობდი, არამედ თვითონვე ვა-
წარმოებდი ყოველგვარ ოპერაციას.
ხშირად, როცა ბიჭვორდის ზონარს მო-
ვუქიდებდი, მშვიდად გამოვბრუნდებო-
დი ხოლმე. მუშები მიყვიროდნენ, მაფ-
რთხილებდნენ, მაჩქარებდნენ, მაგრამ
მე ყურსაც არ ვიბერტყავდი. ხანდახან
აფეთქება ისეთი მძლავრი ყოფილა
ხოლმე, რომ მთელი არემარე შერყეუ-
ლა, ქვა და ხრეში მოუყრია ტანისამოს-
ზე, ძალზე გავმტვერიანებულვარ, მაგ-
რამ ვითომც აქ არაფერი ყოფილაო, ისე
გამიგრძელებია ჩემი გზა.

მართლა და, ასეთი უსულგულო რად
გავხდი? ნუთუ სიცოცხლე მომბეზრდა,
თავზე ხელი ავიღე და ამ სახიფათო თა-
მაშით ჩემი სიცოცხლის მოსპობა მსურ-
და? არა და არა, ასეთი რამ ფიქრადაც
არ მომსვლია. უხილავი ძალა მუდამ
ყურში ჩამჩურჩულებდა: „ნუ გეშინია,
ყურადღებას ნუ მიაკცევ, არაფერი და-
გემართება“... ასე იყო თუ ისე, ჩემდა
უნებლიედ, ჩემში დაესაბუღრა რაღაც
უცხო გრძობას, რომლის ძირფესვიანად
ამოგდებას ვლამობდი და რომელსაც
ჩემი არსება მთლიანად შეებოჭა.

მე ვერ გამომერკვია, რა იყო, სიყვა-
რული თუ უბრალო ნიავი, რომლის წი-
ნაშე ბევრჯერ თავი მომიხრია და გამო-
ფხიზლების შემდეგ ანგარიში მიმიცია
ჩემთვის, გონს მოვსულვარ და მწარედ
მინანია.

„არა, სიკაბუეემ უკვე განვლო, —
ვფიქრობდი მე, — განაფხულმა უკვე
გაიარა, შუაღღეს მივალწი. მე სახლში
პასაკში ვარ, როცა კაცს იმდენი ნების-
ყოფა უნდა ჰქონდეს, რომ შეეძლოს
ყველა გრძობის ძაფებს მუქში მოუ-
ყაროს თავი, განასხვავოს სეტყვის შრი-
ალი წვიმის წვეთების ხმაურისაგან, გა-
მოძახილი — ნამდვილ ხმისაგან. ამ
ბრძოლის დროს ჩემ თავს ვეციხავდი,
მაგრამ მაინც ვერ იქნა ვერ შევძელი
ჩაქრობა იმ ცეცხლისა, რომელიც გულ-
ღვიძლს მიღრღნიდა. მე იმ მოსამართლე-
სა ვგავდი, რომელიც კანონების მიხე-
დვით სჯიდა უტიფარ დამნაშავეს, მაგ-
რამ გულის სიღრმეში თანაუგრძობდა
მას და შურდა კადეც.

„ეჰ, არაფერია, ქარია, გაივლის, —
უღარღელად დავიმშვიდე თავი, — ჩემი
სიცოცხლის განაფხულზე რომ სიყვა-
რული ქარიშხალმა არ დაიგრილა, ეხ-
ლა რაღა დროსია?...“

ეს შთაგონება არაფერს მშველოდა,
ღამღამობით მოძრავ კარავში ვწვებოდი
მდინარის პირას, მაგრამ როგორც ეშმაკს
არ მოუვა ძილი, ისე მეც არ მომდიოდა,
მთელი ღამე ვოცნებობდი, ვფიქრობდი,
შამფურავით ვტრიალებდი, თეთრად ვა-
თენებდი. სულ მთლად გამოვიცვალე,
ველარავინ მცნობდა, სევდას და ნალ-
ველს სიკაბუეის ოცნებები აღედგინა
ჩემში.



ერთ საღამოს ვეღარ მოვითმინე და
სახლისაკენ წამოვედი. გზაში ვმღერო-
დი, რომ აღარაფერზე მეფიქრა. სწორედ
გითხრათ, თანაც ვშიშობდი, ვაი თუ აზ-
რები შემეცვალოს და შუა გზიდან უკან
გავბრუნდე-მეთქი. თუმცა ვერგინე მი-
ყვარდა, მაგრამ იმავე დროს ისე ვერ-
დებოდი, როგორც ექვიანი ავადმყოფი
ექიმს.

„მაირკია“ რძეს აღულებდა გარეთ,
ცეცხლზე. მობრუნდა ხელის ცეცხვით
თვალები მოიჩრდილა, თუმცა მზე აღარ
იყო და მეგობრულად მისაყვედურა:
— სადა ხარ, შვილო? წახვედი და

წახვედი, ჩემ ტიგრანას ძალიან ენატრებოდა შენი ნახვა. აფსუს, არ მოხვედი. სულ იმას იძახდა, კარგი ბიჭიო, კარგი დრო გაეატარეთო...

— წავიდა? აფსუს, აფსუს... მანქანაში ადგილი უშოვეთ?..

— ჰო, შვილო, ვუშოვეთ, კარგა მოეწყო...

ჩემი საუბრის დროს კარებში ვერგინე გამოჩნდა, ჭიქას ამშრალედა. თავი დამიკრა და საქმე განაგრძო.

მე გულგრილად მოვაჩვენე თავი და ჩემი ოთახისაკენ გავწვიე. ცოტა ხანს შემდეგ „მიირიკამ“ ჩაიზე მიმიწვია. მეც არ ვიცი უარი რად ვუთხარი, მოვიფიხეზე, რომ ძალზე დაღლილი ვარ და თანაც ჩაის მადა არა მაქვს-მეთქი.

ჩემი თავი გაეკიცხე, მაგრამ უკვე გვიანდა იყო. ტანისამოსი გავიხადე და მაშინვე ლოგინში ჩავწექი. იმ ღამეს ძალზე დავიტანჯე, მერე თითქმის ყოველ საღამოს ვბრუნდებოდი შინ, ხანდახან ჩაისა ვსვანდი და ვსაუბრობდი „მიირიკასთან“ და ვერგინესთან, ხან კიდევ შეუმჩნეველად ჩემს ოთახში შევიპარებოდი და მწარე ფიქრებს მივეცემოდი. ჩემს გრანობებს ვერგინეს მიმართ ველარ ვიკავებდი, თუმცა არავითარ სიტყვის გადაკვრას, ან უგვანო საქციელს ადგილი არა ჰქონია. მასთან საუბრის დროს ჩემდაუნებლიეთ მივაშტერდებოდი ხოლმე, თვალს თვალში გავუყრიდი, მთელ ტანში სასიამოვნო გამაბრუნებელი სითბო გამოვიღოდა, ენა მებმოდა და, დანაშაულში შეპყრობილი გამოუცდელი ქაბუკივით, დარცხენილი თავს ჩავლუნავდი. როცა მარტოდ დავრჩებოდი, უმოწყალოდ ვიმათრახებდი თავს ვიკაცხავდი ჩემს ვაჟკაცობას და მუდამ ერთსა და იმავეს გავიძახდი: „სად დაიკარგა ჩემი სიშვეიდე? ვინ მომტაცა, რისთვის?.. ნუთუ მე ის სეფუმიანი არა ვარ, რომელსაც არასოდეს თავი არ მოუხრია ქალის წინაშე? მართალია, მე უცოლო ვიყავი მაგრამ არა ისეთი უცოლო, რომელიც ქალს ისე გაურბოდა, როგორც მგელი ცეცხლს. ჩემს ცხოვრებაში იმდენი ნაცნობები, სიყვარული, შემთხვე-

ვები და განცდები მქონია რომ შკონი ცხოვრებას შემონახული აღარაფერი არ დაუტოვებია ჩემთვის.

ნაცნობი ქალებიდან ზოგმა ჩემს შეტევას ვერ გაუძლო და მალე დამემორჩილა, ზოგი ჩერჩეტი ნადირივით ორივე ფეხით გაება მახეში.

ვერგინე თანდათან მერიდებოდა, ფრთხილობდა, მარტო არა რჩებოდა ჩემთან, ლაპარაკის დროს ხშირად ქმრის სახელს ასხენებდა, თითქოს ამით ცდილობდა შთავგონებინა ჩემთვის, რომ არის ადამიანი, რომელიც მუდამ უთვალთვალედა მას, შენც ვალდებული ხარ, მოერიდო, გონს მოხვიდე, შეიკავო შენი უხამსი გრანობები და ცუდი ფიქრები. ცდილობდი მშვიდად და გულგრილად ვჩვენებოდი, მაგრამ ვერასგზით ვერ ვახერხებდი ამას. ვერგინე გრანობდა მოსალოდნელ ქარიშხალს. რატომ არ მეხმაურებოდა, ნუთუ მას ასეთი ცარიელი და ცივი გული ჰქონდა? დარწმუნებული ვიყავი, რომ ჯან-ღონით აღსავსე ქალის სული სიყვარულით ან სიძულვილით უნდა ყოფილიყო სავსე, იცინოს თუ იტიროს — სულ ერთია, ორივე შემთხვევაში ქალი ნათელი, მზიარული ხდება, ორივე შემთხვევაში ნამდვილი სიცოცხლე უჩქევს გულში, თავისთავი მოსწონს, სხვისათვის კი სანატრელ არსებად იქცევა.

როდესაც დავინახე, რომ ვერგინე თანდათან გამირბოდა, მე უფრო გამბედავი გავხდი და კვალდაკვალ დევნა დავუწყე. იგი, თუმცა არ ეხმაურებოდა ჩემს გრანობებს, მაგრამ არც ხელსა მკრავდა, და არც ახლოს მიკარებდა.

იყო წუთები, როცა ენატრობდი, რომ ვერგინეს ერთი მაგრად გაველანძლე, კარგა გავეკიცხე, მეგონა, ეს უხილავ ცეცხლის ალს შემინელებდა. ფუტკარი კბენის შემდეგ ისარს მსხვერპლის ორგანიზმში სტოვებს და ამის შემდეგ უვნებელი ხდება. ვერგინე არა მკბენდა, თავის ისარს ეფერებოდა. დაე, შეინახოს — ბრანზორეული ვებუტბუტებდი, მაგრამ ეგ გამბოროტება მხოლოდ ერთ წამს გრძელდებოდა, მერე ღრუბლის ჩრდი-

ლივით ჩემი სულის მინდვრებში ქრებოდა და თავის ადგილზე სტოვებდა თბილ და უანგარო გრძობების კვალს.

ღიახ, ვერგინე შევიყვარე, შევიყვარე წრფელი გულით, რადგან მის სულში და გულში ნამდვილი ქალის წმიდათაწმიდა ღირსებას, სათნობას ვამჩნევდი; რომელიც მას ამკობდა. ჩემს ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი შური და ეგ კი ეხებოდა ტიგრან ავეტიჩს. ჩემს ცხოვრებაში ცოლის შერთვასა და ოჯახის შექმნაზე პირველად ვიფიქრე სეროიზულად. მე ვერაფერი ველარ დამკავებდა, ყოველგვარ დაბრკოლებებს გადავლახავდი, ოღონდ ვერგინეს ტუჩებს წამოცდებოდა ერთად ერთი სიტყვა „ღიახ“.

VI

მეორე თვე იყო, რაც ტიგრან ავეტიჩი სანატორიუმში მკურნალობდა. „მაირიკა“ და ვერგინე ხშირად მიდიოდნენ იმის სანახავად. ჩვეულებრივ შაბათობით მიდიოდნენ და კვირა საღამოს ბრუნდებოდნენ. ერთხელ „მაირიკა“ მარტო წავიდა, რძალს რაღაც საქმე ჰქონდა სახლში. იმ საღამოს მე და ვერგინემ ჩაი ერთად დავლიეთ. მთელ ტანში რაღაც თბილი გრუნტელი მივლიდა. ვერგინეს პირდაპირ ვიჯექი, ჩაის ვწრუპავდი, ხმას კი ვერ ვიღებდი, არ ვიცოდი რა მეთქვა ან საიდან დამეწყო. ვერგინესთან ყოფნა სულს მიხუთავდა, მახრჩობდა. მეტადრე, როცა მომავონდებოდა, რომ ამაღამ მარტოდ-მარტო უნდა დავრჩენილიყავით ერთ ჰერქვეშ.

ორი კვირა ჩაის დალევის შემდეგ მალეობა გადაეუხადე და ჩემი ოთახისაკენ გავეშურე. ვერგინეს არაფერი უთქვამს, მხოლოდ ვიგრძენი, რომ ჩემმა უცნაურმა მოქმედებამ გააოცა იგი. როცა იმის ფანჯარასთან გავიარე, შევამჩნიე, რომ ვერგინე გაშტერებული იყურებოდა ჩემსკენ. ასაჩქარებელი რა მჭონდა, ჯერ ათი საათიც არ იქნებოდა. ოთახში სინათლე ავანთე და სარეცელზე ტანისამოსით წამოვეწევი; ავიღე რაღაც ყურნალი, წაკითხვა მოვიწყადინე, მაგრამ ვერ

მოვახერხე, ასოებს ველარ ვარჩევდი, სტრიქონები მიმიბრბოდნენ, ^{საღმრთალო} გვერდზე გადავისროლე, ^{აღმწერი} ფანჯრის დაარბა გამოვალე, სანთელი ჩაეაქრე და ისევ წამოვეწევი. ფანჯრიდან უმთავრო ცაზე მოკიაფე ვარსკვლავები მიყურებდნენ, ცელქი ბავშვებივით ოთახში იპყიტებოდნენ და თავიანთ ვარსკვლავურ ენაზე შეუბნებოდნენ: „მარტო დარჩი, არა?...“

ამ ვარსკვლავთა შორის ერთმა, რომელიც უფრო მონრდილი იყო და ყვითლად ბრწყინავდა, მეგობრულად გამიღიმა და ჩამომძახა: „არაუშავს რა, ახალგაზრდები ხართ, ნუ გწყინთ“...

„ღიახ, მე და ვერგინე ამაღამ მარტო ვართ, ქვეყნის და ხალხის თვალიდან მოშორებული, — ვფიქრობდი მე, — ნეტა ახლა რას აკეთებს? დაიძინა თუ ისევ ღვიძავს? ფეხის ხმა რატომ არ ისმის?.. ნუთუ ასე ადრე დაიძინა? იქნება ისიც ჩემსავით ფიქრობს, იქნება ისიც უმზერს აი იმ ყვითლად მოკიაფე დიდ ვარსკვლავს?“

გარეთ გრილი ნიავე უბერავდა, ღამის ერთადერთი უბედნიერესი მოხეტიალე...

ძილი არ მეკარება, ვფიქრობ, ვოცნებობ, მოუსვენრად ვტრიალებ, ოთახში ჰაერი იღვავა.

რა იქნება გარეთ გავიღე და სუფთა ჰაერზე ცოტა ხანი გავატარო?

ფრთხილად გამოვედი ოთახიდან. რა გრილი და წყნარი ღამე იყო...

დაქანცული ბუნება უდარდელად გაწოლილიყო ზაფხულის რბილ ლოგინზე და ტყბილად ხვრინავდა...

სოფელი ღრმა ძილს მისცემოდა.

პირდაპირ ბალჩისაკენ მივდივარ. ეს ბალჩა სამი მზრიდან კლდეებით და მიწის უზარმაზარი ჩამონაჰქრებით არის შემოფარგლული, მეოთხე მხარეს კი ფიჩხის მალაი ღობეა. ვერგინეს ოთახის წყვილი ფანჯარა ამ ბალჩას გადასცქერის. ფანჯრების ქვეშ თეთრი ნათელი ქვის კიბეებია, საიდანაც გზა ბალჩის კარამდე მიდის. იქვე წყაროა. წყალი ვერცხლის ზონარივით გამოდის გეჯაში. სასიამოვნო რაკრაკი გააქვს.

ფრთხილად ჩავედი კიბეზე, წყაროსთან მივედი, რამდენიმე მუქა წყალი შევისხი პირისახეზე და წინ წავედი. ჩემი ტანჯული სული ბახჩის სიღრმისაყენ მიიღტოდა, მაგრამ რა მინდოდა იქ, რა იყო? ვინ მომიყვანა ამ ჯადოქარ ბაღაში და თვითონ კი გაქრა? არაფერი გამეგებოდა...

ასეთ შეკითხვებს ვაძლევდი ჩემს თავს და ამ კითხვებზე წყარო, ნიაგი, ფშატის და სხვა ხეები, ყველანი ერთსა და იმავეს იმეორებდნენ: „ვიშვი“... აგერ შენმა ვერგუშამ, ვერგინემ...

და მართლაც, მეგონა, იმას ველოდებოდი, იგი შეპირებული იყო, უნდა მოვიდეს, დიად, დიად, უქვევლად უნდა მოვიდეს, ამა სხვა რა საქმე მაქვს ამ შუა ღამისას, რომ აქ მარტოდმარტო დავზოზმანობ...

ბრწყინავდა სავსე მთვარე და ვერცხლისფერ შუქს მიმოაფრქვევდა ირგვლივ, თეთრად გადაპენტილი თეთრი ვარდები ეჯიბრებოდნენ მას. ბაღაში ფოთლებს ნაზი შრიალი ვაჰქონდათ.

მასსოვს, ერთი ასეთი ოცნება ჩემი ცხოვრების განაფხულზეც მქონდა. მაგრამ ახლა როგორ დამიბრუნდა? ვინ მომგვარა?

გული მილიტინებს, მიფრთხილებს, მეკუშმება, რად დაიგვიანა?...ამჟამინს დრომ არ განვლო? რომ არ მოვიდეს? მერე შუბლზე ცივი ოფლი ვიგრძენი, გონს მოვედი: ვინ მოვა? როდის? ვის ელოდები?...

ფშატისაში ფრინველის კიკიკი გაისმა, ნეტავი ვის სიყვარულს უგალობდა? იქნებ იმ თეთრ ვარდებს...

მიუფახლოვდი ვარდის ბუჩქებს, რომ ახლოდან მოვისმინო სიყვარულისაგან დამთვრალი ფრინველის გალობა... ველოდები, ველოდები, და... ადგილზე გავქვედი...

რძისფერ მთვარის შუქზე ლანდი შევამჩნიე, რომელიც აჩრდილივით დაეშვა კიბეზე და ბალისაყენ წამოვიდა. ოცნებაა, სიზმარია...თვლებს ვხუჭავ, ვახელ, არა, მოძრაობს, მოდის... კი არ მოდის, მოცურავს, ჩუმად, უხმოდ...

ავცახცახდი. ვერგინე პირდაპირ ჩემკენ მოდიოდა, მერე შუა გზაზე შეჩერდა და შეჰყვირა:

— ვინა ხარ?

— მე ვარ, ვერგინე, სევდმანი...

— აჰა, თქვენა ხართ?... — გაიმეორა მან და ხელი მიიღო გულზე.

ერთ წამს გავიფიქრე, გადავმტარიყავი, ყელზე მოვხვეოდი, გულსაკლავ ცრემლთა ნაკადით განმებანა მისი მკერდი, ათასჯერ ბოლიში მომეხადა... მინდოდა ერთხელ მაინც ხმით დამეძახა: ვერგინე, ვერგუშ... მაგრამ ენა ჩამივარდა, ადგილიდან ვერ დავიძარი.

— უკაცრავად, ვერგინე, — ძლივს წამოვიღულულუღე მე, — სიცხემ შემაწუხა, გული შემიღონდა და ბაღაში გამოვედი... ბოლიში, რომ ჩემდა უნებლიედ შეგავინეთ...

— ახლა როგორა ხართ? — შემეკითხა მოულოდნელად, — ხომ კარგად გრძნობთ თავს?..

— არა მიშავს რა, კარგადა ვარ, გამიკლის...

ვერგინე მიბრუნდა, ერთ ხესთან მივიდა, რალაცა მოქებნა, მერე მეორესთან. მივიდა და დინჯად წარმოსთქვა:

— არა, აქ არ არის — მერე მე შემომხედა. ერთ ადგილზე გაქვევებული რომ დამინახა, ხელები გულზე მიიღო და მხრები აიჩეჩა:

— ნეტავი სად დამრჩებოდა?..

— დაკარგეთ რამე?..

— მერე ისიც როგორი... წარმოიდგინეთ, ჩემი მეუღლის მორთმეული ბეჭედი. დილას აქ ვასუფთავებდი, ბეჭედი თითიდან წამოვიძრე, ქალაღში შევახვიე, ერთი ხის ფულტოში ჩავდე და დამავიწყდა... ღმერთო ჩემო ნეტა სად შევიჩახე?..

კვლავ მივიდა ხესთან და ხელების ფათურით ეძებდა, მერე ასანთი გაჰკრა და უცბად წამოიძახა:

— მადლობა ღმერთს, ვიპოვნე...

— იპოვნეთ?..

— დიახ, ვიპოვნე...

დამშვიდებულმა ამოვისუნთქე. ვერგინემ ბეჭედი თითზე წამოიკცა და

ბრკეცივია თვალს დიდხანს დასჩერებოდა, შემდეგ მომიბრუნდა და წარმოთქვა:

— ვერ წარმოადგენთ, როგორი კმაყოფილი და მხიარული ვარ...

იმახე არა ნაკლებ მხიარული და კმაყოფილი ვიყავი მეც. ამ დროს ერთმა ბოროტმა აზრმა გამოიღვა თავში: „ნუთუ წასვლას აპირებს?“...

ქალი ბეჭედით გაერთო და მერე წყნარი ნაბიჯით ბაღის კარებისაკენ გაემართა. მე ინსტიტუტად გავედევნე მას „სად მიხვალ, შე უღმერთო, შენა, ნუთუ გინდა, რომ ცეცხლმოდებული ჩემი გული ჩაიფერფლოს, ნაცრად იქცეს და ფეხქვეშ მოვიფანტო, რომ იქნება შემობრალო?“.. ვარდების ბუჩქნარს ახლო გაუარა და გზა განაგრძო. ბუჩქები მალაღლი იყო, მკერდამდე წვედებოდა ქალს. მე მტანჯავდა ის ვარემოება, რომ იგი მართლა მიდიოდა...

ვერგინემ რამდენიმე დიდრონი ვარდი მოწყვიტა, წყალი დააკურა, მერე მობრუნდა და ერთი ვარდი მითავაზა. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა...

— ეს ვარდები ტიგრანის მოტანილია და იმის ხელით არის დარგული. მერე იცით საიდან ჩამოიტანა? სწორედ იქიდან, სადაც ჩვენ არღუნ მეფის და მისი ცოლის საფლავები გვაჩვენა. ძალზე პაწაწინა ბუჩქი იყო... როგორ გაიზარდა?! ოჰ, როგორ მიყვარს პირველი თოვლივით და კეთილშობილი ადამიანის სულივით სპეტაკი და უმწიკვლო ეს თეთრი ვარდები...

შემდეგ ერთმანეთის გვერდით მღუპარედ მივდიოდით, ვერ ვამჩნევდით, დამე როგორ დნებოდა, იწურებოდა...

ერთხელ კიდევ შეჩერდა ვერგინე, მთვარის სინათლეზე ბეჭდის თვალს დააცქერდა. მე ველარ მოვითმინე, უნებლიეთ თითებს ხელი წავავლე, თითქოს ბეჭდის დასათვლიერებლად. ვერგინემ წინააღმდეგობის გაწევის ნაცვლად, პირიქით, ხელი წინ გამოსწია, რომ უფრო ახლოდან დამეთვლიერებინა... გული

ამიფრიალდა, ამიტოვდა, კინაღამ საგულედან ამომვარდა. იმისი თითები გავარვარებულ რკინასა ჰგავდნენ, მთელ ჯანში ცხელმა ქრუანტელმა დამიარა, პირდაპირ ვდნებოდი, თვალთ დამიბნელდა მერე აღარ მახსოვს როგორ მოხდა, იმისი თითები ბაგესთან მივიტანე და მაგრად, მაგრად ვაკოცე...

ვერგინეს ხელი არ წაუთრთვევია. ღრმად ამოისუნთქა. მისმა მკერდმა მალა იაწია და შუბლზე შემეხო. გული სისხლით ამევსო. სწრაფად ხელი წავავლე იმის მერე მაჯასაც და ჩემსკენ გამოვწვიე. ვერგინემ ხელები უკან გასწია, პირისახე მომიახლოვა, თვალეზი და წარბები წყენით მოკუმა და შემევედრა:

— ნუ! ნუ! ნუ!..

ხელების უკან დაწვევისას ჩემი ხელიც თან გაეყოლებინა, მკერდზე მიეზღინა. მე ვიგრძენი, რა სიმძლავრით უცემდა გული. პირისახეზე იმისი თბილი სუნთქვა ვიგრძენი, ხოლო ყურში მესმოდა ხვეწნა-მუდარის ზმა: „ნუ!.. ნუ!.. ნუ!..“ ის სიტყვები, მან რომ პირველად მითხრა, შევლს რომ თოფი დაეუშინებ. ახლაც ისე მეჩვენება, ვითომდა თოფი მექირა, უმანკო, უმწიკვლო სულდგმულის მოკვლას ვაპირებდი და ვერგინე მეხვეწებოდა, მევედრებოდა, უკან დამეზია და მაგ საზარელ გადაწყვეტილებაზე ხელი ამეღო.

თვალეზე ბინდი გადამეკრა, ხელები დამისუსტდა, ვერგინეს ხელი გავუშვი, მთვრალივით წავებარბაცდი და ხეს მივეკარი. ხეები, ღრუბლები, მთვარე, ვარსკვლავები, ერთი სიტყვით, მთელი ბუნება დატრიალდა ჩემ თვალწინ.

მე მაშინ გამოვფხიზლდი, როცა ვერგინე კიბეზე აღიოდა. არ ვიცო, რატომ, ისე მომეჩვენა, თითქოს ვერგინე ფრთებმომტკრეულ ფრინველს წაავაგდა. მისი კობტა და მოყვანილი ტანი დაპატარავებულიყო. თითქოს სციოდა კიდევ, რაღაც უხილავი ქარი სდევნიდა მას...

VII

ერთი კვირის შემდეგ, როცა სახლში დაებრუნდი, ვერგინე აღარ დამიხვდა. ის უკვე ერევანში წასულიყო. „მარიკა“ თვითონაც გაცოცხლებული იყო რძლის ასეთი სასწრაფო გადაწყვეტილებით.

— თქმა და გამგზავრება ერთი იყო. ჯერ ოცი დღე ჰქონდა კიდევ...

— ტიგრან ავეტიჩი? შევეკითხე მე.

— ის ერთი თვე დარჩება კიდევ, დაწვესებულებას ახალი საგზური გამოუგზავნიან...

სიბრაზის და განცვიფრების შენიღბვის მიზნით ჩემს ოთახში შევედი, საწერი მაგიდის წინ გავჩერდი, უმიზნოდ დიდხანს ვუშვარდი მაგიდაზე მიმოფანტულ წიგნებს, პაპიროსის ნაშუქებს, პურის ნატეხებს...

ჩემი ყურადღება მიიპყრო გატეხილი ფანჯრიდან შემოგდებულმა ოთხად მოკეცილმა ქალადმა. ვერგინეს წერილი იყო. წერილი გავხსენი, მაგრამ წაკითხვა, ვერ შევძელი, თვალები ამეღვრა, გულში პატარა იმედის სხივმა გაიღვრა.

წერილი მუქში მეჭირა. გამოვედი ოთახიდან და პირდაპირ გავეწიე სოფლის ბოლოში მდებარე მთის კალთებისაკენ. ავედი მაღლა, თავისუფლად ამოვისუნთქე, ღრმა უფსკრულის პირას ქვაზე ჩამოვეჯექი და ფრთხილად გავხსენი წერილი.

„პატივცემულო მეგობარო, — მწერდა ვერგინე, — ჩემი წასვლის წინ დაწერილი ეს სტრიქონები უცნაური რამ არ გეგონოთ. მე მსურდა გულწრფელი ვყოფილიყავი, გულწრფელად გადაემხალა ეს გული თქვენს წინაშე იმის იმედით, რომ გულწრფელობა არასოდეს არ იქნებოდა დასჯილი. მე მივდივარ და დაკოდილი გულიც თან მიმაქვს. დიად, არა ვმაღავ. მე მოვისურვე, მაგრამ ვერ შევძელი, თქვენეი გულის ქარიშხალს არ გამოვხმაურებოდი, გამოვეხმაურე მხოლოდ შინაგანი გრძნობებით, ისიც მხოლოდ ჩემთვის. მე ჩემგებურად მინდოდა მომესმინა ჩემი სულის გედის სიმღერა. მე იგი მოვისმინე კიდევ

და კმაყოფილიც ვარ... არ ვციცი, იგრძენით თუ არა, რომ იმ ღამეს მეც იმ ოცნებაში, გატაცებაში და წყურვილში მომიყვანა ბალჩაში, რამაც თქვენ. ბალჩაში თქვენც ცივი უარი მიიღეთ, უხერხულ-მდგომარეობაშიც ჩაგაყენეთ, წამოსვლის წინ არც კი გამოგემშვიდობეთ, რასაკვირველია, ძალზე ცუდად მოვიქეცი და ამ საქციელს ჩემს თავს ვერ ვაპატიებ. ცხოვრებაში არსებობს ერთი სიწმინდე, რაც მე უსათუოდ მწამს და თავყანსა ვცემ, რასაც არასოდეს არ ვუღალატებ და მზადა ვარ ყველაფერი შეეწირო: ეგ ჩემი ოჯახია, ჩემი ოჯახის სიფაქიზე, ერთი მითხარით, რისთვის და რა საბაბით ვუღალატო?

ქალის ცხოვრება ათასგვარი შემთხვევებითა და მოულოდნელობით არის სავსე: არის საბედისწერო წუთები, წამები, როცა ერთი გაუფრთხილებელი ნაბიჯი, ერთი მოუფიქრებელი სისუსტე, ერთი უბრალო შეცდომა და — უფსკრულში გადაიჩეხები. საკმარისია, მხოლოდ ერთ წუთს, ერთ წამს შეიკავო თავი, ძალა დაატანო შენს თავს, და სპეტაკი, უმწიკლო, შეუბღალავი დარჩები. ასეთ დამბულ ვითარებაში მე იმ ღამეს შევიკავე ჩემი გრძნობების ზღვა მღელვარება და საფრთხეშიც განვლო... წავიდა სამუდამოდ და დაუბრუნებლად...

ახლა მე ჩემი თავი მიყვარს... თქვენ ვერ წარმოიდგენთ, იმაზე სანატრელი რამ არ არსებობს დედამიწის ზურგზე, როგორც საკუთარი თავისადმი პატივისცემა და სიყვარული... მე შევიამოწმე, მოვისინჯე ჩემი ძალა, ჩემი ნებისყოფა და შედეგით კმაყოფილი დავრჩი... ახლა მე თამამად შემიძლია იმ ქალთა შორის დავიკვირო საპატიო ადგილი, რომლებიც ერთხელ ჩაუშვებენ ღუზას, მაგრამ ისე მტკიცედ და საფუძვლიანად, რომ არასოდეს ნავი აღარ შეირყევა. ჩემი ცხოვრების გაზაფხულზე შეგპირდი იმას, რომ მუდამ ერთგული დავრჩე ჩემი ოჯახისა. ეგ ჩემი სიწმინდეა და ამ სიწმინდის დარღვევა მომასწავებელი იქნება მრავალ სიწმინდეთა უარყოფისა...

ყოველგვარი მსხვერპლის გაღების საფასურით უნდა იქნეს შემონახული ოჯახის სისპეტაკე და პატიოსნება...

მე ჩემი წილი უყოყმანოდ შევწირე კიდეც.

მაშასადამე, სამუდამოდ, მშვიდობით...“

მინაწერი: ახლა, როდესაც ჩვენ შორის ყველაფერი გამორკვეულია, მსურს ორი რჩევა-დარიგება მოგცეთ: პირველი — სიყვარულს, როგორც მოწყალებას, არ ითხოვენ, და მეორე — ქალს ხელზე არა ჰკოცნიან...“ ხელმოწერა არ იყო. ეგ ქალების ჩვეულებრივ სიფრთხილეს წარმოადგენდა.


ჩემს თვალებს არ ვუჯეროდი. მრავალჯერ გადავიკითხე წერილი, მერე ფიქრებში წასული დიდხანს ვუყურებდი ფარატიან ქალაქს. დაღვრემილი და იმედგაცრუებული ვიყავი.

არ მახსოვს, რაზე ვოცნებობდი, როცა შორს, ღრუბლებიდან ტყბილი ხმა მომესმა, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა და ძლიერდებოდა. უკან მივიხედე და ცას მივაშტერდი. ღრუბლებში წეროების გუნდი გამოჩნდა. მათი ხანატრელი ხმაური გაისმოდა ირგვლივ. როდის გაიარა ზაფხულმა, რა მალე...

სანამ წეროების მზერით გართული ვიყავი, მთის ქარმა თითებიდან გამომტაცა ვერგინეს წერილი და ღრმა უფსკრულისაკენ გააქანა... მე საჩქაროდ წამოვხტი, წერილს გავეკიდე, მაგრამ გვიანი იყო და გულჩათუთული უფსკრულის პირას შევჩერდი...

ვემზერდი ქარის კლანჭებში მოფრიალე თეთრი ქალაქის ნაჭერს და მეგონა, რომ ისიც ისეთივე წერო იყო, შორი გზით მიმავალი წერო, რომლის ფრთები მზის შარავანდელით იყო გაბრწყინებული...

თარგმანი ივანე ლავიტიაინისა



შალვა ჩაღინი



მიხეილ ჯავახიშვილი

ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში არა ერთხელ აღენიშნავთ, რომ მიხეილ ჯავახიშვილი განსაკუთრებული მოვლენაა მეოცე საუკუნის ქართულ პროზაში, რომ მისი აღორძინება არა მარტო ქრონოლოგიურად, არამედ არსებითადაც უკავშირდება ამ გამოჩენილი მწერლის შემოქმედებას. მართლაც, მისი „ჯავახიშვილმა დიდი მუშაობა ჩაატარა ახალი ქართული მხატვრული პროზის განვითარებისათვის, მისი უფრო მაღალ საფეხურზე აყვანისათვის.

მიხეილ ჯავახიშვილი განაგრძობდა ქართული კლასიკური პროზის ტრადიციებს. მისი ძალა, როგორც მწერლისა, მდგომარეობდა სიმართლეში, სისადავეში, ხალხურებაში, თხრობის რიტაობაში.

მისი „ჯავახიშვილი ხშირად ამბობდა: „მწერალმა უნდა იცოდეს რას წერს და ვისთვის წერსო“. იგი იმ აზრისა იყო, რომ მწერალმა უნდა ასახოს ის, რაც მას საფუძვლიანად და ყოველმხრივ აქვს შესწავლილი, ან პირადად განცდილი. ეს არის ბუცილებელი პირობა სინამდვილის რეალისტური ათვისებისათვის. ცხოვრება არის წყარო, საფუძველი ხელოვნებისა. მწერალი თავის ნაწარმოებში ანოვადებს ცხოვრების მასალას, ვეაძლევს მის ტიპიურ გამოვლენებას.

მისი „ჯავახიშვილის რომანებსა და მოთხრობებში მეთაბველს ყოველთვის იტაცებს გამოცვეთილი სიუჟეტი და მისი ბუნებრივი განვითარება. თხრობის გამლაგანვითარების ხელოვნებას იგი ისტატიკად ფლობს. მისი „ჯავახიშვილის კარგად ეხერხება ჩაწედობა თავის გმირთა ფსიქოლოგიაში, მათ მართებულად გამოხატავდა მოქმედებაში, ქცევაში, საუბარში. თავის მხატვრულ სურათებს იგი ყოველთვის აძლევს ღრმა აზრს „არსენა მარბდელის“ ავტორმა მოგვცა მრავალი სრულყოფილი სახე და ტიპი სინამდვილისა.

მისი „ჯავახიშვილის პირველმა მოთხრობებმა, რომლებიც 1903 — 1905 წლებში დაიწერა, საერთო მოწონება დაიმსახურეს. ამ ნაწარმოებში გამოვლენილი იყო ავტორის მოსწრაფება ეწვენიანა ბურჟუაზიული საზოგადოების მიერ გარიყული ადამიანები. რომლებშიც სტიქიურად გამოხატულია პოეტისტი ცხოვრების სიმასინჯისა, მისი საფუძვლისა და მორალის წინააღმდეგ.

შეიძლება ითქვას, რომ „ჩანჩურაში“, „უბატრონოში“, „ეკაში“ (თავდაპირველად მას ეწოდებოდა „თავდაღიწყება“), „კურკას ქორწილში“ ნათლად მოჩანს მწერლის დემოკრატიზმი და ჰუმანიზმი.

ამ მოთხრობებში საესებით ჩამოყალიბებულია მისი „ჯავახიშვილის წერის მანერა. იგი მოგვითხრობს ობიექტურად, ებიური სიმშვიდით, სადაღენა ამ ნაწარმოებებისა დახვეწილი, ძარღვიანი და შეტყველია. ცხოვრებას მწერალი ხედავს ღრმად და წარმოგვიდგენს მას მხატვრული გამოცვეთილებით, როგორც რეალისტი.

იმავ ხანებში დიწერილ მოთხრობაში — „ემ-მაკის ქვა“ ავტორმა მოგვითხრო თუ როგორ ჩააქვავა სოფელში თავისი შემოქმედებელი პირები: „ჯიღლიში“, რომელიც დაწერილია 1905 წელს, ასახულია ერთი ებიზოდი ხალხის რევოლუციური ბრძოლისა და შემდეგ, თუ როგორ მოყლა ჯარისკაცმა გიორგი ჯობაძემ შეჯახებისას მებრძოლი ახალგაზრდა მუშა. ამ შემთხვევაში მასზე დიდად იმოქმედა და იგი გაიქცა მეფის ჯარისდინ; „ხალხის სამართალში“ ნაწვენებია განმთავისუფლებული მოძრაობისდრინდელი ერთი ებიზოდი.



„ტყის კაცში“ მისი „ჯავახიშვილმა მოგვითხრო ტყის მცველის პავლეს ცხოვრების ისტორია, რომელმაც დაკარგა ცოლი და ორი შვილი, თვითონ პავლე ჰეაზე შეიშალა. დაღვეგილ-დაფლიელი, ფეხშიშველი, უქუდი, გაბურჯვნილი; მუქყისაგან შექმული პავლე დაღის კარდაკარ სოფელში, ვენახებში, ხეე-ხევეში და ეისაც დაინახავს, მივარდება და ჩახლენილი ხვით მიადახებს: „ჩემი ბიჭები ხომ არ ვინახავსო?“ ტყის კაცად წოდებული პავლე ხან აქეთ გარბას, ხან იქით და თავის შვილებს დაეძებს.

დიდი ტრაგიზმის შემყველია ეს ამბავი. ავტორი გვიჩვენებს ბუნების სიდიადეს და მის ფონზე უბრალო, პატიოსანი ადამიანის ცხოვრების მთელს უხედურებას. ამ მოთხრობაში კიდეც უფრო მკაფიოდ გამოვლენდა ის ტენდენციები, რაც აღერ იყო დამახასიათებელი „ჩანჩურასა“ და

„უბატონოს“ ავტორის შემოქმედებისათვის — ჰუმანიზმი.

ანალოგიური ხასიათისა მოთხრობა „უბანამ დიავიანა“, რომელშიაც მოთხრობილია რკინიგზის დარაჯის თომას ქალის, ბრმა თინას ცხოვრების ისტორია, მისი სამიჯნურო თავგადასავალი და მყურწალობის შედეგად მისთვის თვალების ახელა. ეს მოთხრობა წარმოადგენს რომანტიკულ-ლირიკულ ამბავს და მკითხველზე ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს თავისი უშუალოებით და ადამიანური შემთხვევების დამაჯერებელი ვადმოცემით.

სინამდვილის მართებული ეპიზოდებია წარმოდგენილი „იკრას კბილი“ და „ორ განაწენი“. ამ მოთხრობებში მოიხანს მწერლის დაცვირებულ თვალი და მისწრაფება — ახალი კეთილი შეხედოს ცხოვრების მოვლენებს.

მის. ჯავახიშვილის მოთხრობებიდან მხატვრული სიძლიერით და ცხოვრების ზოგიერთი მხარეთა სწორი გადმოცემის მხრით გამოირჩევა „მარათა აბდულა“. იგი წარმოადგენს თათარ აბდულას თავგადასავალს. პატარა მოთხრობაში უძლიერესი მხატვრული ექსპრესიით არის დახასიათებული მშვიდ და კეთილ აბდულას გადაქცევა მკვლელ და ბოროტ ადამიანად. შემთხვევითი როლია, რომ სალიტერატურო კონკურსში თავის დროზე ამ ნოველამ მიიღო პირველი პრემია.

ჩვეულებრივად მის. ჯავახიშვილი თავის ნაწარმოებებს ამ სახით აშენებს, რომ ყოველთვის ცენტრში ჰყავს გმირი, რომლის გარშემოც თავს იყრიან დანარჩენი პერსონაჟები.



„კვაჭი კვაჭანტრიაძე“ სათავგადასავლო ნაწარმოებია. ამ რომანის შთაფარი გმირის სახით მწერალმა დაგვიტოვა დაიძვერა და გაქნილი ადამიანი, რომელიც ყველას ატყუებს პირადი სარგებლობისათვის. ჯერ კიდევ მცირეწლოვან კვაჭის ასე არავინებდა მშობელი მამა სილიუსტრო კვაჭანტრიაძე: „შვილო კვაჭი, იმ ქვეყანა ასეა მოშართული: ზოგი უმფროსია, ზოგი უმცროსი, ზოგი ღარიბი, ზოგი ძლიერია, ზოგიც გლახაკი, ზოგი თავადია, ან აზნაური, ზოგი კოლო ყაზახია, გლეხია. შენისთანა აზნაურიშვიდმა კვაჭისა თავი არ უნდა გოყუადროს, არ უნდა აქუცეს. ყაზახი და გლახა შენ ვერაფერს მოგეყენ, პირიქით გამოგონებთან რასმე. აზნაურს და მდიდარს დოუმეგობრდი, დოუეაბოვდი, ასამოვნე და მად გოუხდი. მდიდარი და ძლიერი ყოველთვის გამოგადგება: ერთი წინ წაგაყენებს, მეორე გაიქუცებს რასმე, მესამე ხელს მოგიმართავს. ასთეა, ჩემო კვაჭიკო, მოწყობალო იმ ქვეყანა, შენც უნდა მიყვე მას და გამოიყენო“. მამის დარიბება კვაჭის მავრად ჩაექუდა გონებაში.

კვაჭი კვაჭანტრიაძე სულ იმის ცდაში იყო.

რომ ძლიერთათვის ესიაშეგნებინა, მუდმივ იმათ წინ ეტრიალა, თავი მოეწონებინა და ეშაფგან სარგებლობა ენახა. მას ადამიანები გამოეყენებინა იშვიათი უნარი გააზნა. იგი „ქვეყნიანთ კვერთხი“ იყო, დიდაცთან — დიდაცი, ხუმარასთან — ხუმარა, დარდიანთან — დარდიანი, შხაარულთან მხიარული, ძლიერთან — მარჩილი, პირმოთენ, ქლესა, თავაზიანი და მოღიშარი, უხეშთან და პირვეულთან — თავმდაბალი და მოქნილი, სუსტთან — ძლიერი, კანდიერი, თავხედი, კინიანი, პირდაპირთან — ორგული, ფლდი და ორპირი, ორგულთან — ათგული და ათპირი, მუხსათან — ლერწამი, ლერწამთან — მუხა, რკინასთან — ბამბა და ბამბასთან — რკინა, სადაც პირდაპირი გზა დაეკეტო იყო და სხვა ვინმე უკან იხედავ, იქ კვაჭი ხუთიოდე მიხეველ მოხეველ ბილეს იპოვნინდა, უკარო და უფაჯგრო ოთხ კედელში რომ ჩაეარდნილიყო, ათიოდე ხერელს აღმოაჩინდა, ცხა კლიტერ ციხეში ისე შეჭერებოდა და გარემოებოდა, როგორც ნეშტი ბუმბულში“. მას ზედმიწევნით ჰქონდა შეთვისებული უძლეველი ძალი ტყბილი სიტყვისა, ნდობის მოხვევისა. ადამიანის დამორჩილებისა და გაყენებისა. იგი დავრდომილს ჩაიწილა, წამოადგინა რი თამაშად ხველში ამოუღებელი, მომენტის მიხედვით ატყუებდა კანს, ყველაფერი გამოანგარიშებული, აწინ-დაწინილი და გამოზომილი ჰქონდა.

კვაჭი კვაჭანტრიაძე ხერხიანი და ხელმარდი იყო. თითქმის ყველა ოჯახის კარი მისთვის ღია იყო, ყველას გაუმინარებოდა, ყველას დაუმეგობრდებოდა, და ყველაში სათვისად აღმოაჩენდა. სხვებისგან ფულის გამოცანცილით და სხვისი რაოლის რამდენიმეჯერ გაყიდვით დაიწყო მან თავისი „მოღვაწეობა“. იმ ხანებში იმან უკვე დასრულა გიმნაზია და რუსეთისაკენ გაემდგა გზის. თავისი ძალი პირველად კვაჭმ გამოსცადა უმწყო და მოხუც დედასაც, რომელიც უსინდისოდ გაეარცეა და სახლიც წაართვა. ქუთაისში დაწყებულ საქმეს იგი ოდენაში განაგრძობს — შანტაის გზით, შოულბის ფულებს და თანაც დონეუბის. დროდადრო ისევ თბილისს მოაკითხავს.

პეტერბურგში კვაჭი კვაჭანტრიაძე კიდევ უფრო აფართოებს თავისი მოქმედების სარბიულს, იგი დაუახლოვდა სასახლის წრეებს და მათი შინაური კაცო გახდა. გაქნილი და გაიძვირა „წმინდანის“ რასპუტინის შემოებოთ ეს ავანტიურისტი მრავალ ბნელ საქმეს ჩადის და დიდ პირად სარგებლობასაც ნახულობს. კვაჭის ეხედავთ ხან პარიზში, ხან მონტე-კარლოში, ხან ბიარკოში, ხან ლონდონში, ხან ანტვერპენში, ხან ვენაში. იგი ბანკსაც გაეარცევა და ფულების გამოძალვის მიზნით ქალღმირ დაწინებასაც არ თაკილობს. მისთვის ავკაცობის ყოველგვარი გზა გამართლებული.

კვაჭი კვაჭანტრიაძემ პირველი მსოფლიო ომის დროს უფრო მეტ წარმატებებს მიაღწია. მავრამ იგრძნო რა მეფის ტახტის დანგრევის აუცილებ-

ლობა, იგი იწვევს „რევოლუციონერობას“, ემხრობა ბურჟუაზიულ მთავრობას. შემდეგ იგი კვლავ იცვლის განს და მცირე ხნით წითლებთან ცდილობს დაკავშირებას.

თავის პერსონაჟებს მიხ. ჯავახიშვილი გვიჩვენებს, როგორც ტბიურ მოვლენას, რომელიც შექმნილია განსაზღვრული სოციალური წრის, საზოგადოებრივ-ისტორიული პირობებით. კვაჭი კვაჭანტრაძე უნივერსალური სახეა ბურჟუაზიული სინამდვილისა. იგი არის ცრუმენტელი, ცინიკოსი და კოსმოპოლიტი. ამ სახეს მრავალი პროტოტიპი ჰყავდა ძველ ცხოვრებაში.

ამ რომანში მკითხველ საზოგადოებაში ინტერესი გამოიწვია უმთავრესად თავისი სათავედასავალი შინაარსისა და მთავარი მოქმედი პირის ცხოვრების თავისებურებით. კვაჭი კვაჭანტრაძე შეიქნა ერთგვარი სიმბოლო ავანტიურისტ და არამზადა აღმამანებისა, რომლებიც ახერხებენ ყველაფრის „გაიმასქენებას“.



ნაწარმოები, რომელშიც თავის დროზე მკითხველ საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო, იყო „ჯაყოს ხიზნება“. ამ რომანში რელიეფურ სახეებში მოცემულია დაცემა და დაღუპვა შემამულურ-ფეოდალური არისტოკრატის ნაშთის — თეიმურაზ ზევისათვის და ელკაის, მხეციეთ გულამდარი, გაიძვერა, შეუბრალებელი ჯაყო ჯიჯავილისა.

თეიმურაზ ზევისათვის ფეოდალური არისტოკრატის, ოდესღაც განთქმულ ზევისთავთა გვარის უცნაურესი მოგონებაა. ეს გვარი წინდ საქართველოს წარჩინებულებს პირველობას ეძღავენოდა, ერთ დროს ქართლი ზღვსაც განაგებდა და ზოგჯერ მფეხებსაც ძალადუღებას ეცადებოდა. მერც საუკუნეში ამ გვარიდან შემორჩა მხოლოდ თეიმურაზი, რომელიც დაშრეტილ, გამოწყურდ და დამდარ ნაყარად გვევლინება. მის მომავალს შვიი სისლი ჰქონდა აფარებული, ხოლო ყველაფერი, რაც კი ოდესმე გაანსდა, წარსულში ჰქონდა დარჩენილი. იგი ორმოცი წლის ახალგაზრდა მოხუცი გახლდათ — ნათავადარი, ნამამულევა, ნამოლგაფარი და ნაფეილარი. შერკრის თქმით, რევოლუციამდე თეიმურაზი თავისი რწმუნათ უკიდურესი რადიკალი და ზალხოსანი იყო, თუმცა მუღმავსა და აქტიურ პოლიტიკურ მუშაობას არ მისდევდა. იგი ერთგვარ ავტორიტეტად ითვლებოდა ბურჟუაზიულ-თავადაზნაურულ ახალგაზრდობაში.

თეიმურაზის ბინის კარებს ექილის წარწერი ჰქონდა გაკეთებული. მაგრამ ათასში ერთხელ თუ ვინმე გზა-დაბნეული გაბრწყინდებოდა და მას საქმეს ჩააბარებდა. მერმე იმ საქმის პატრონი ნანობდა და თავში ხელს იცემდა. თავდამირველად თეიმურაზი საქმეს ხალისით აიღებდა, თუმცა

ბოლომდე ვერასოდეს ვერ მიატანდა — ხან არხას დროზე არ დასწერდა, ხან განსაჩივრებებს ვაღას გადააცილებდა, ხან ნაყისრი საწმე-სულ-დაიფეყულებოდა, ხან კიდევ საქმის გარჩევას ვერ დაუსწრებოდა, რადგან იმ დღეს ან გადუღებებილი საგაზეთო წერილი ჰქონდა დასაწერი, ან კრებაზე იყო წასასვლელი, ან კიდევ, სასამართლოში მიმავალი, ქუჩაში ვინმეს წააწყდებოდა და ისე გაყვებოდა კამათსა და მუსიაფში, რომ საქმესაც დაიფიწყებდა და ოჯახშიც საღამოზე ძლიეს დაბრუნდებოდა.

თეიმურაზ ზევისთავი თავისუფლად მსჯელობს უცხო სახელმწიფოების პოლიტიკაზე, ფინანსებზე და ეკონომიკაზე. იგი ყველაფერს ეტანება, მაგრამ ერთაფერს აყეთებს. ერთი სიტყვით კვეყნის აშენებას გვპირდება, მაგრამ მის მიერ გაკეთებული ორტის ოღენა საქმეც კი არაიეს უნახავს.

თეიმურაზი ცოლის შერთვამდე შეძლებულ შემამულედ ითვლებოდა, მაგრამ შემდეგ, როცა სიკეთარი ბუდე იშენა და საზოგადო საქმეებშიც უფრო ღრმად შესტკობა, მისი მამულიც უპატრონობის გამო და ჯაყო ჯიჯავილის წყალობით, თანდათან დაილია. უთავებოლო და განერჩეველი ჰველმოქმედება, ხშირი სტუმრობა და პატივი, კარლია ოჯახი მუღმავ ახალ-ახალ ხარჯებს მოითხოვდნენ. თეიმურაზიც ქართლში განთქმულ საყანერებს იქამდე ჰყიდდა ნაჭრობით, სანამ არ შემოვიდა. თანდათან თეიმურაზიც, მისი ოჯახიც და საქმენიც ზეთ-გამოღულ ქრაქივით დაილიენენ და დაღნენ. შვიგნაბარმა და საზოგადო მოღვაწემ ჯერ გაზეთის გამოცემა მოსპო, მერმე სტიმენდებზე. ილია ხელი, შემდეგ თავის ცოლის მარგოს თვალ-მარგალიტი გაჰყიდა და, ბოლოს, თავის მამა-პაპულ განძეულობასაც დააღგა თვალი, მაგრამ ჯაყომ დაასწრო და თაღლითერად მისიაცეთრა ეს განძეულობა. თეიმურაზი „ილითი-დღე ჰყიდდა თავის ბედნაყარე ოჯახსა და ისტორიას, დღითი-დღე სწავდა მომავლის იმედებს და თანაქინდრული, გულდაწყვეტილი, სულდამწეარი, ზღაზენით და ბორძიკით ჩამოდიოდა თავდაღმა ცხოვრების ეკლიან კიბზე.“ თავის ტრანსამელსად დაუწყოა გაყიდვა. ჯერ რამდენიმე ხელი გაჰყიდა, დანარჩენი ვაღმობარუნა და მარცხენა ჯიბეები მარჯვენე მოაქცია, მერმე, საყულოების გახამება რომ გაძვირდა, ვაღამებელს იყუთებდა. ბოლოს, საყულოები და ყელსაბამიც მოიშორა, ხალათი ჩაიცვა, ქამარი შემოირტვა და წვერიც მოუშვა.

თეიმურაზ ზევისთავმა თავის დროზე სამსახურიც სცადა, მაგრამ ამ ცდიდან არაფერი გამოვიდა. ახალში ქვეყანამ და თეიმურაზმა ერთმანეთისა ვერაფერი ვაიგეს, ერთმანეთს გულდასული ვერ შეუგუეს, ორივენი თითქო სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ. თეიმურაზის ახალი წესრიგის შეგდება არ ძალუქდა. შემდეგ ბირკიზე გავიდა და მკაყერობა დაიწყო. „თეიმურაზი თითქოს აღარ იბრძოდა, მოძულებული თავი მო-

для обоснования той, совершенно новой в науке, гипотезы, что таким автором является именно Петр Ивер" (გვ. 421).

საქიბის ამგვარი დაყენება იძლევა საფუძველს იმისათვის, რომ ხსენებული რეცენზიები ანალოგიური თვალსაზრისით იქნეს შეფასებულნი; სახელმძღვანელო, გაირკვეს სწორია და საკმარისი თუ არა რეცენზიებში გამოთქმული მოსაზრებანი იმისათვის, რომ პროფ. შ. ნუცუბიძის პიპოთეზა — „საფუძველს მოკლებულად“ (ს. დანელია, გვ. 384) ჩიოთვალს, ხოლო ე. პოპოვის გამოკვლევა საძიებელ საკითხს არაფერს მშაბტბდეს, და საქიბის კვლაც „იმავე ადგილზე რჩებოდეს, რომელზედაც ის ამდენმანს იდგა“ (კ. კეკელიძე, გვ. 431).



პროფ. შ. ნუცუბიძის მიხედვით, ზაქარია რიტორის, პეტრე იბერის დაკარგული ბიოგრაფიისა და ცნობილი თხზულების, „საეკლესიო ისტორიის“ ავტორს, არ შეიძლებაოდ არ სყოდნოდა — ვინ იყო არეომაგიტიკის ავტორი. მაგამ, მიუხედავად ამ გაჩემოებისა, ზაქარია რიტორი (თხზულებაში „საეკლესიო ისტორია“) განგებ ამხინჯებს სინამდვილეს და ავტორად ღიონისე არეომაგელს ასახელებს (შ. ნუცუბიძე, გვ. 16). ამავე დროს, ზაქარია რიტორი, „ერთგული მოწაფე პეტრე იბერისა, ქმნის უჯანსკნელის გარშემო რაღაც მისტიფიკაციას“ (იქვე; ცდილობს როგორღაც დაარწმუნოს მკითხველი, რომ პეტრე იბერი წერდა, საერთოდ, წიგნებს).

ზაქარია რიტორის ამგვარი საქციელი უნდა აბხსნას, განავრძობს შ. ნუცუბიძე, იმ აბმოსფეროთა, რომელიც ქრისტიანობის შიგნით იყო შექმნილი მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის არსებული მწვავე ბრძოლის გამო. ზაქარია რიტორი მონოფიზიტი, არეომაგიტიკა აღმოცენდა მონოფიზიტთა წრეში. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, მონოფიზიტებს ეს თხზულებანი ისეთი პირისათვის მიეწერათ, რომელიც „თვით პაველ მოციქულის“ მოწაფედ ითვლებოდა და რომლის სახელიც ახალი აღთქმის წიგნებში იყო შეტანილი.

მაგამ, პროფ. შ. ნუცუბიძის აზრით, სრულიადაც არაა საკმარისი პიპოთეზის დასაბუთებისათვის ხსენებული მოსაზრებანი; მოთავრია გაირკვეს: 1. იყო თუ არა პეტრე იბერი თავისი მონაქმეობით, მოღვაწეობის ხასიათით და ინტერესებით არეომაგიტიკა წიგნების ავტორობისათ-

ვის შესაფერისი პირი; 2. ემთხვევა თუ არა პეტრე იბერის შეხედულებანი შეხედულებებს, რომლებიც დაეკლეს არეომაგიტიკაში; და 3. დაჩინა თუ არა რაიმე ლიტერატურული კვალი, რომელიც მიგვიითბებდეს ამ წიგნების პ. იბერის ავტორობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად კვლევის უპირატესად რთული პირობებისა, პროფ. შ. ნუცუბიძემ შეძლო მრავალი საყურადღებო და დამაჯერებელი დაკვირვება გამოეთქვა. ეს ითქმის განსაკუთრებით პირველი და მეორე რიგის საკითხების შესახებ.

პეტრე იბერი, ზაქარია რიტორის სიტყვით, იყო „კაცი, საკვირველად განთქმული მოთღმსოფლიოში“. ანონიმური ბიოგრაფი ქებას უძღვენის პეტრე იბერს და „მეორე მოციქულ პაველსა“ და „მეორე მოსეს“ უწოდებს. პროფ. შ. ნუცუბიძის სიტყვით, არსებული მასალის მიხედვით, სავსებით დასტურდება პეტრეს „მწიგნობრობა, სწავლელობა და მიდრეკილება აზროვნებისაკენ“ (გვ. 24, 25). იდეები, რომელთა შორის ტრიალებს პეტრე იბერი — ესაა ინტელექტი ფილოსოფიის ქრისტოლოგიური ათვისება იმავე განხრით, როგორც არეომაგიტიკაში. პროფ. შ. ნუცუბიძის აზრით, V ს-ის იდეოლოგიურ ცხოვრებაში ორი ხაზი იყო გამომშავებული. ერთი — ნამდვილი პლატონისაკენ, მეორე — არეომაგიტიკისაკენ. ამ უკანასკნელსა და პეტრე იბერს შორის არსებობს ისტორიული კავშირი. ხოლო ყველა დანარჩენის გამორიცხვით, ყველაზე შესაფერისი კანდიდატად ამ ხაზისათვის პეტრე იბერი არის მიჩნეული. ყველა ბიოგრაფის ცნობა ემთხვევა ერთმანეთს იმაში, რომ პეტრე იბერში მისი დროისა და აღვლის გონებრივი ინტერესები იყრიდა თავს (გვ. 27).

შ. ნუცუბიძის მიხედვით, პეტრე იბერისა და არეომაგიტიკული შეხედულებების დამთხვევას აღვილი აქვს იმდროინდელი აზროვნების ძალიანი საყურადღებო საკითხებში. ასეთია — სიკეთისა და ბოროტების მომართების გარკვეული გავება, რაც განმსაზღვრელი მომენტი იყო ახალი, არეომაგიტიკული ქრისტოლოგიისათვის; „პირდაპირი გზა“ სიკეთისაკენ, რომელზედაც აღაპარაკი პეტრე იბერის ბიოგრაფიულ წყაროებში; სიკეთის სუბსტანციულობის აღიარება.

მსგავსებას, სიკეთის გავების თვალსაზრისით, შ. ნუცუბიძე ხედავს როგორც ინტოლოგიურ ასპექტში, აგრეთვე მეთოლოგიკში; ერთი და იგივე პეტრე იბერთან და ფსევდო-ღიონისესთან გზა სიკეთისაკენ.

საყურადღებოა შ. ნუცუბიძის დაკვირვებანი სიკეთის წვდომის მეორე მომენტის — აღამიანის გაღმერთების შესახებ: „Совершенно не в духе христианства разработанная концепция Псевдо-Ареопagitа о грехе, как на это указывал Кох, вытекала из его представления о нереальности зла. Открывающийся отсюда прямой путь к добру, как на это указывал

1. Ш. Нуцубидзе, Тайна Псевдо — Дионисия Ареопagitа ენიჭის შიამბე XIV, 1944, გვ. გვ. 1 — 52. ქვევით, შ. ნუცუბიძის პიპოთეზაზე მსჯელობის დროს ყველგან ეს გამოცემა გვაქვს მხედველობაში (პირველად გამოკვლევა გამოქვეყნდა 1942 წელს).

анонимный биограф Петра Ивера, делал излишним догмат искупления“... „Грех есть недостаточность добра, а не атрибут зла, не являющегося субстанцией. Отсюда — „прямой путь“ не только к добру, но и к богу“ (გვ. 36—37).

ცნობილი მეცნიერი, ბელგიის აკადემიის წევრი, ერნ. პონიგმანი ფსევდო-დიონისეს და პეტრე იბერის იდენტრობის აზრამდე ხანგრძლივი შეშოების შემდეგ მივიდა¹. ჯერ კიდევ შრომაში, რომელიც იქვენალ იერუსალიმელს ეხებოდა და დაწერილი იყო 1946 წელს (გამოქვეყნდა 1950 წ.), მას გამოუთქვამს ვარაუდი, რომ ფსევდო-დიონისე არეოპაგელის სახელით ცნობილი თხზულებების ავტორი „შესაძლებელია იყო პეტრე იბერი“ (გვ. 40). შემდეგ ეს დებულება განვითარებდა მოხსენებაში, რომელიც წარუდგენია ნაუიორკში ბიზანტიურ-სლავურ-ორიენტალისტური კონგრესისათვის (იქვე).

იგი აბლად დაბრუნებია ამ დებულებას, როდესაც ვთვო, რომ „ქართველ მეცნიერს შ. ი. ნუცუბიძეს უკვე გამოუქვეყნებია, რომდენიმე წლით ჩემზე ადრე, იგივე დებულება“ (იქვე).

საყურადღებოა, რომ ე. პონიგმანი მივიდა იმავე დასკვნამდე (განხილვების შესახებ ქვემოთ) შ. ნუცუბიძისაგან და ამ ო რ ე ბ ე ლ ა დ. ხაზასასმელია, რომ პონიგმანის დაკვირვებანი მთელ რიგ არსებით საკითხში შ. ნუცუბიძისას დაემთხვა. ეს გარემოება არ შეიძლება ნუცუბიძე-პონიგმანის თვალსაზრისს ზედმეტ დამაჯერებლობას არ ჰმატებდეს და დამაფიქრებელი არ იყოს მისი კრიტიკოსებისათვის.

ე. პონიგმანი იწყებს თავის გამოკვლევას მსგავსი შეხედულებების გამოძიებით პეტრე იბერთან და ფსევდო-დიონისესთან. „Следует—вкратце—упомянуть Поннигманом — отметить, между прочим, четыре эпитета божественного луча: недоступный, невообразимый, неощутимый, непостижимый, которые отвечают характерным выражениям Псевдо-Дионисия: в самом начале Divina nomina, а также в главе IV; § 11 и в других местах имеются эти четыре эпитета и много других подобного же значения“ (გვ. 33).

საყურადღებოდ მიაზნია ე. პონიგმანს მსგავსების თვალსაზრისით ზილვანი იოანე ლაზისა, რომელიც სიკელიამდე (გარდ. 464 წელს) პეტრე იბერთან ღარბა და მასთან ერთად ეწვიოდა მოღვაწეობას. თუ ფს.-დიონისეს მიერ დადგენილ იერარქიას შევიდარებთ იოანე ლაზის იერარქიას, რომელიც მის ზილვაში არის მოცემუ-

ლი, ცხადი გახდება, ე. პონიგმანის აზრით, შაით იდენტრობა.

ე. პონიგმანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გუშენის გასაგებად საჭიროა ვაითოვლისწინათ შემდეგი გარემოება.

დიონისე არეოპაგელის თხზულებაში ხშირად იხსენება პიეროთეოსი, რომელსაც იგი მიმართავს, როგორც თავის განმანათლებელსა და ზელმძღვანელს, როგორც „ღვთაებრივ მასწავლებელს“, ფსევდო-დიონისეს ნამდვილი და დიდი მასწავლებელი, ე. პონიგმანის აზრით, არის პიეროთეოსი. იმავე დროს, ე. პონიგმანის აზრით, პიეროთეოსი, გამოვანილი პიროვნებაა, ისევე როგორც გამოვანილია ის გარემოება, რომ არეოპაგიტული წიგნების ავტორი დიონისე არეოპაგელია.

თუ ჩვენი პიპოთეზა სწორია, შენშნავს ე. პონიგმანი, მაშინ სწორედ პეტრე იბერმა და მისმა თანამგზავრმა და მასწავლებელმა მითრიდატე ლაზმა უნდა მოგვეცნა გასაღები პიეროთეოსისა და თვით ფსევდო-დიონისეს გამოსაცნობად (გვ. 36). ორი ფიქციური პიროვნების, რომელთა შორის მასწავლებლისა და მოწაფის მიმართება დადგარებული, ამოცნობა შეიძლება ირი რეალური პირის საშუალებით, რომელთა შორის იგივე მიმართება რეალურად არსებობს.

ამ გასაღებს ე. პონიგმანის მიერ მიკვლეული ფაქტები და ამ ფაქტებზე აგებული უარესად გონებამახვილი მოსაზრებანი იძლევიან.

იოანე ლაზის ბიოგრაფიაში მოაპოვება ერთი „ფრაიდ ზუსტი გარემოება“ (გვ. 36), რომელიც მის გარდაცვალებას ეხება. ამ ცნობის მიხედვით, იგი გარდაიცვალა 4 ოქტომბერს.

ერთ ძველ სირიულ მარტიროლოგში (რომელსაც სხვა სირიული კალენდარიც ეთიხშება) 1-ლი დეკემბერი აღნიშნულია, როგორც პეტრე იბერის გარდაცვალების დღე, ხოლო 4 ოქტომბერი, როგორც პიეროთეოსის — „დიდი დიონისეს მასწავლებლის“ — მოსახსენებელი დღესასწაულის თარიღი. (გვ. 37). პიეროთეოსის მოსახსენებელი დღესასწაულის იგივე თარიღი მეორდება ბერძნული ეკლესიის ორიოდოქსიალური სვინიქსარტებსა და ეგვიპტოლოგებში. (წინააღ, 3 ოქტომბერი, ეძღვნება დიონისე არეოპაგელს).

ე. პონიგმანის აზრით, ეს საყურადღებო და საოცარი დამთხვევა ისტორიული, რეალურად არსებული იოანე ლაზის გარდაცვალებისა, ფიქციური პირის — პიეროთეოსის გარდაცვალებისათვის, შეიძლება აიხსნეს მხოლოდ შემდეგი მოსაზრებით: ჯერ კიდევ იმ დროს, სანამ ფსევდო-დიონისეს თხზულებანი ფართო წრეებისათვის ცნობილი გახდებოდა, პეტრე იბერმა, პიეროთეოსის (დიონისე არეოპაგელის, ე. ი. პეტრეს Alter ego-ს) შეგონებითა და ნათლის) მოსახსენებელი იმ დღეს დააწესა, როდესაც იოანე ლაზი გარდაიცვალა. ცხადია, ეს მან იპიტომ ვააკეთა, რომ იცოდა — რა კავშირი არსებობდა იოანე ლაზსა

¹ ე. პონიგმანის დასახ. ნაშრომის რუსული თარგმანი დაიბეჭდა სტალინის სახ. თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის შრომებში, 59, 1955 წ., გვ. გვ. 19 — 78. ქვევით ამ გამოცემის გვერდები გააქვს მითითებული.

და პიეროთოსის შორის, ისევე როგორც იყოლა, რა ვაგშირი არსებობდა პეტრე ბერსა და დიონისე არეოპაგელს შორის. ამგვარად, პიეროთოსისა და მოსახსენებელი დღესასწაულის დამთხვევა იოანე ევანგელის სიკვდილის დღესთან იმდენად მზავალმნიშვნელოვანია, რომ გვიხსნის წვენი პიეროთოსისს ტეშმარიტ სახელს და, მისი შესწავლით, თვით ესტეფანო-დიონისესს სახელსაც“ (გვ. 39).

შემდეგ, ე. პონიგმანის თანმიმდევრულად იხილავს ადრე არსებულ პიპოთებებს, უარყოფს მათ და გადადის საკითხებზე: „Были ли Петр Ивер и Иоанн Эвухх маслителями и писателями, способными продумать и написать произведения столь ученые и глубокие?“ (გვ. 51—57).

ე. პონიგმანს შესანიშნავად ესმის, რომ „для успешного отождествления автора Ареопажитских книг, ясно, что надо найти лицо с необычайными данными“ (გვ. 51).

უნდა აღინიშნოს, რომ ე. პონიგმანი ამ საკითხის გადაწყვეტის დროს, სრულიად არ იჩენს არაერთიკვლად დამოკიდებულებას ძველი ცნობებისადმი, სადაც ამა თუ იმ მოღვაწის შესახებ გამოთქმული ამჟამადლეული ეპითეტები, ხშირად შეიძლება მხოლოდ ლიტონ სიტყვებს წარმოადგენდნენ. და მიუხედავად ამ გარემოებისა, ე. პონიგმანის აზრით, „чего никак нельзя отрицать, это — то, что личность Петра оказывала неизмеримое впечатление на наиболее возвышенные души среди монофизитов его времени“ (გვ. 52).

ჭ. ვაზა ამ დროს წარმოადგენდა „მალალი ელიწური კულტურის კერას“ (გვ. 54). თვით ათინელები ჩამოდიოდნენ ამ დროს აქ პლატონის ენის შესახებ. „Петр Ивер и Иоанн Эвухх, — განაგრძობს ე. პონიგმანი — могли писать, по аттическим свои мистические произведения, не трогаясь с места: философия и софисты из Газы могли доставить им произведения Прокла и всех выдающихся мыслителей Греции“ (გვ. 54—55).

ე. პონიგმანი აგრეთვე ფიქრობს, რომ პეტრე პიეროთოსელი ცნობების მიხედვითაც წერდა წიგნებს. ე. პონიგმანი უტარადღებს აქცევს იმ მართლაც და ფრთხილ დამაფიქრებელ გარემოებას, რომ ო. ბარდენევერის დაკვირვების მიხედვით, არეოპაგიტული წიგნები „говорят, так сказать языком иностранца“; და აყენებს სრულიად კანონიერ საკითხს: „Нельзя ли объяснить это своеобразие Псеудо-Дионисия, допустив, что автор и в самом деле был иностранцем?“ (გვ. 55).

აქ იწყება განსხვავება, რომელიც არსებობს შ. ნუტუბიძისა და ე. პონიგმანს შორის. ე. პონიგმანის აზრით, უფრო სწორია იქნებოდა ვილაპარაკოთ არა ერთ „иностранец“-ზე, არამედ ორზე. „Речь идет об общем произведении двух лиц — Иеротеоса и Дионисия, т. е. согласно

нашему толкованию этих псевдонимов —

Петре Ивере и Иоанне Эвуххе“ (გვ. 55).

ე. პონიგმანის იმდენად დიდ დამოკიდებულებას ნელოვანად მიანიჭა ორივე ამ პირის, პეტრე ბერისა და მითრადატე ლანის, როლი არეოპაგიტული წიგნების შექმნის საქმეში, რომ საჭიროდ თვლის разделить некоторым образом между двумя лицами все характеристики, которые пришлось бы отнести самому Псеудо-Дионисию“ (გვ. 56). მაშინ როდესაც პეტრეს უფრო მიდრეკილება იერარქიისაკენ ჰქონდა, კარგად იყოლა საეკლესიო მოვალეობანი, რიტუალი და ლიტურგია, იოანე ლაზი შთაგონებული იყო პლატონისა და პრაკლეს ნეოპლატონური იდეებით (იქვე).

•••

ისეთია ძირითადი დებულებები შ. ნუტუბიძის და პონიგმანის გამოკვლევებისა.

აღიღოს უქონლობის გამო წვენი შალვა ვერ მოახერხებ მათი შეხედულებანი ისე წარმოგვადგინა, რომ მითხველისათვის ნათელი გაგვიხდა — ჩამდნადაა ერთკვლად რეცენზიკში გვერდადებული ისეთი მომენტები, რომლებიც, შეაძლება ითქვას გამოკვლევათა ენერჯალურ ნაწილს წარმოადგენენ, და რომლებშიც საოცრად დამთხვა ერთმანეთს შ. ნუტუბიძის და ე. პონიგმანის შეხედულებანი; მათმა უფლებეულობამ გააღარბა კვლევის შედეგები, მიჩქალა საკითხების სიმკითროვ და ხშირად მათი გადაწყვეტის გონებამახვილობა.

მიუხედავად ამისა, რომ პრაფ. ს. დანელიას რეცენზია გამოქვეყნდა 1956 წელს (В. Вр., VIII), მისში გაუთვალისწინებელი დარბა ერთ. პონიგმანის შრომა, რომელშიც, როგორც თქვა ე. შ. ნუტუბიძის პიპოთებამ შემდგომი დადასტურება მოაპოვა¹. რომ ე. პონიგმანის გამოკვლევის გაუთვალისწინებლობამ თავისი უარყოფითი კვალი დაინიჭა ხსენებულ რეცენზიას, ეს ჩანს პირველი სტრიქონებიდანვე. საკითხი ამის შესახებ, მაგ., შეიძლება თუ არა ანეოპაგიტული წიგნების ეტრონი ვინმე რეალურად არსებული ღონისზე ყოფილიყო, საესებთ გარკვევით არის გააფიქვრებული პონიგმანის ნაშრომში (გვ. 43—44), სადაც მეცნიერული კვლევა-ძიების მთელი

¹ 1956 წელს გამოქვეყნებულ რეცენზიაში, თუმცა იგი შ. ნუტუბიძის გამოკვლევას ეხება, უნდა ყოფილიყო გაუთვალისწინებელი პონიგმანის გამოკვლევა. საფიქრებელია, რეცენზია ადრე იყო გაგზავნილი რედაქციამში. ეს ჩანს რეცენზიის სიტყვებიდანაც: „до сих пор эта гипотеза не нашла себе никакой оценки“. მაგრამ რატომ არ ვაქვია ე. პონიგმანის გამოკვლევას ანეარბი В. Вр.-ის რედაქციამ, ეს გაუგებარია.

შედეგები არის შეჯამებული ამ მხრივ. მიუხედავად ამისა, პროფ. ს. დანელია კვლავ ამ პირობებს გვთავაზობს (გვ. 378).

პროფ. ს. დანელიას არ აკმაყოფილებს ის პასუხი, რომელსაც შ. ნუცუბიძე იძლევა კითხვებზე: რამ აიძულა ზეპირი რიტორი შეგნებულად დაემხინჯებინა სინამდვილე და პეტრე იბერის თხზულებას დონისე არეოპაგელისათვის მიეწერა? (გვ. 379).

უნდა ითქვას, რომ ყველა მკვლევარი, ვინც დონისე არეოპაგელის ავტორობას უარყოფს (და ეს გაბატონებული აზრია დღევანდელ მეცნიერებაში) დგას სინამდვილის წინაშე — ახსნას, რატომ და როგორ მოხდა, რომ V ს-ის შუაწერის თხზულებანი I ს-ის მოღვაწეს, დონისე არეოპაგელს მიეწერა. შ. ნუცუბიძემ თავისებური ახსნა მოგვცა ამ ფაქტისა. ს. დანელიას არ აკმაყოფილებს იგი: „поднятие авторитета книг Петра лишь в том случае можно было бы считать полезным для партии монофизистов, если бы такое доказано, что содержание этих книг (т. е. аэропагитики) было монофизитское, явно антихалкедонитское?“. ს. დანელიას სიტყვით, შ. ნუცუბიძე თავს არიდებს ამის დასაბუთებას „хорошо, повидимому, понимая всю его трудность“ (იქვე). ნამდვილად კი შ. ნუცუბიძის პირობებს სრულიად არ კარგავს ამის გამო თავის მნიშვნელობას და ამიტომ არც ისახავს ასეთ მიზანს, საკმარისია ის ფაქტი, რომ 532 წლის საეკლესიო კრებაზე დონისე არეოპაგელის თხზულებანი მოწოდებული იქნა მთელი იერუსალიმის მიერ იყო დამოწმებული, რათა ცხადი გახდეს, რომ მათ არეოპაგეტიკა მონოფიზიტურ თხზულებებზე მიახლოდა.

ს. დანელიას შ. ნუცუბიძის არც ის დებულება მიანდა დამაჯერებლად, რომლის მიხედვითაც „მთელს ქრისტიანულ აღმოსავლეთში“ არ ჩანს აღმინანი, ვარა პეტრე იბერისა, „რომელიც შეიძლება იყოს განზიდული, როგორც შესაძლებელი ავტორი არეოპაგეტული წიგნებისა“ (ს. დანელია, გვ. 380). მით უმეტეს, რომ ეს დებულება წამოყენებულია, ს. დანელიას აზრით, ისეთი მეცნიერის მიერ, რომელიც „не стоишь давно стать ориенталистом“ (გვ. 380).

ს. დანელია, ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაშიც არ არის მართალი. ვერ ერთი, შ. ნუცუბიძე ლაპარაკობს არა „მთელს ქრისტიანულ აღმოსავლეთზე“, არამედ ვაზაზე, ილქსანდრიისზე და ბიზანტიისზე (გვ. 8). აზრი „მთელი ქრისტიანული აღმოსავლეთისა“ სანაქვეთა (კონსტანტინოპოლზე, ალქსანდრიისზე და ვაზაზე) დაცემის (свѣдѣ)“ (გვ. 380) შესახებ, ნუცუბიძის თვით ს. დანელიამ იპაწერა. ამდენად კრიტიკა მისივე წინააღმდეგ მიმართება. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ამ და-

სკენამდე შ. ნუცუბიძეზე აღარ წარმოებულა კვლევა-ძიება მივიღო. ამ სამ ქალაქში რამისთვის იმდროინდელი კულტურის მსახურს წარმოადგენდა, აღარ ჩანდა აღმინანი, რომელიც არეოპაგეტის შესაძლებელი ავტორი ყოფილიყო. დასავლეთის მეცნიერებს მხედველობიდან გათიშა პეტრე იბერი. შ. ნუცუბიძე იმდენად აღმინდა ორიენტალისტი, რომ მეცნიერებაში არსებული მდგომარეობა ვაეთვალისწინებინა და კვლევა-ძიება ახალი მიმართულებით წარმართა. ასევე არაა სწორი, ჩვენი აზრით, მსჯელობანი რომლებიც რეცენზიის ეტაპზე ზეპირი რიტორის და მის ცნობას არეოპაგეტის ავტორის შესახებ (გვ. 380); დონისეებს, როგორც არეოპაგეტის შესაძლებელ ავტორებს; მსჯელობანი პარკობა დაწვლას შესახებ (გვ. 381); დასახელება მეცნიერებისა, რომლებიც „უცანასწულ დრომდე“ იყავნ დონისე არეოპაგელის ავტორობას (გვ. 380) და სხვ.

ს. დანელია ფიქრობს, რომ სიქრისტიანო აღმოსავლეთში ცოტა არ იყო „განათლებული და ნიჭიერი პირი“. „Возможно“, — წერს ს. დანელია, — что современники и биографы не называли ни одного из этих лиц ни „вторым Моисеем“, ни „вторым апостолом Павлом“, ни „украшением и гордостью Грузии“, как некоторые называли Петра Иверя. Но это не дает нам права утверждать, что Петр Ивер имеет больше оснований быть признанным за автора сочинений Псевдо-Дюнисия, чем эти лица“. (გვ. 381).

ს. დანელიას ამ სიტყვების მიხედვით, მკითხველი, რომელიც არ იცნობს შ. ნუცუბიძის გამოკვლევას, აუცილებლად იფიქრებს, რომ პეტრე იბერის გაიკვებება ფსევდო-დონისესთან მხოლოდ ამ გარეგან მონაცემებზე არის დაფუძნებული. ნამდვილად კი, თანამედროვეთა აზრი პეტრე იბერზე, როგორც თავისი დროის უაღრესად გამოჩენილ აღმინანზე, სრულიადე არაა შ. ნუცუბიძისათვის საკმარისი პირობა პირობების დასაბუთებისათვის. ამიტომაც რომ იგი, როგორც ზემოთ დავინახეთ, თანამედროველად ვადიდის პირობებით ახალი უცვლელი განზიდვაზე; სწორედ აქაა გარკვეული ისეთი საკითხები, რომლებიც შ. ნუცუბიძის გამოკვლევების მთავარია და, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ამ ნაწილში ვმხოხვევა ერთმანეთს ყველაზე მეტად შ. ნუცუბიძისა და ე. პონიგანის გამოკვლევათა დასკვნებს; აქ წყდება, ასე ვთქვათ, ძირითადი საკითხი მათი შეხედულებებისა. მაგრამ, სამწუხაროდ, სწორედ ეს ნაწილია მთლიანად უგულებელყოფილი ს. დანელიას რეცენზიაში და უკვე ეს გარემოება ლაპარაკობს ამ რეცენზიის ღირებულებასა და მნიშვნელობაზე.

პროფ. კ. ყველიძის კრიტიკული შენიშვნები

ორჯვარი ხსითისია. ერთ მხრივ, იგი ცდილობს ე. პონიგმანის გამოკვლევაში წინააღმდეგობანი აღმოაჩინოს; მეორე მხრივ კი — შეიფასოს პონიგმანის არგუმენტები თავისთავად და არსებობად.

კ. კეკელიძის მიერ აღმოჩენილი პირველი წინააღმდეგობა შემდეგში მდგომარეობს: პონიგმანი ერთ შემთხვევაში თურმე ამტკიცებს, რომ პეტრე იბერი ძალიან კარგად იცნობდა პროკლეს, „ზუპირად იცოდა“ იგი, ხოლო მეორე შემთხვევაში პონიგმანი დამაშვებად სთვლის, რომ პეტრე იბერმა იბოვა თავისი ვარდაცვალებული მეგობრის — იოანე ლაზის ქალღმერთი „извлеченная из произведений Прокла“ და შეედომით იოანე ლაზის თხზულებად მიიჩნია.

„Если он наизусть знал Прокла, — как он мог допустить такую ошибку?“ (კ. კეკელიძე, გვ. 422).

პონიგმანი მართლაც შენიშნავს, რომ „პროკლე ზუპირად იცოდა“ — მაგრამ არა პეტრე იბერმა, არამედ ფსევდო-დორონიძემ. წინააღმდეგობა აქ იმის გამო შეიქმნა, რომ კ. კეკელიძემ პეტრე იბერს მიაწერა ის, რაც პონიგმანმა ფსევდო-დორონიძეს შესახებ თქვა (პონიგმანი, გვ. 20). ჰქონდა თუ არა ამის საფუძველი პროფ. კეკელიძეს? — არავითარ შემთხვევაში!

საქმე იმაშია, რომ მეცნიერებს, სანამ პონიგმანი საკუთარ თვალსაზრისს შეიმუშავებდა, დორონიძეს წიგნების ნამდვილი ავტორი (ფსევდო-დორონიძე) ერთი პიროვნების სახით ჰყავდა წარმოდგენილი. ამიტომ, გასაგებია, რომ ფსევდო-დორონიძეზე, როგორც ერთ პიროვნებაზე, მეცნიერებს ყველა ის დახასიათება და თვისებურება გადაჰქონდა, რომელთა შესახებ შეიძლება მსჯელობა მისი წიგნების მიხედვით. ე. პონიგმანის წინაშე, როგორც დგინახეთ, არეოპაგიტის ავტორი ორი პიროვნების სახით წარმოდგა, რომელთაგან თითოეულს თავისი და განსხვავებული დამსახურება მიუძღვის არეოპაგიტის შექმნაში. ამიტომ პონიგმანი, თითქოს უცვლელად მოსალოდნელი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად გააკვეთით აღნიშნავს, რომ საჭიროა „разделить некоторым образом между двумя лицами все характеристики, которые пришлось бы отнести самому Псев.-Днивию“ (გვ. 56).

ფსევდო-დორონიძემ პროკლე ზუპირად იცოდაო, ამას პონიგმანი თავისი გამოკვლევის დასაწყისში იმბობს, სადაც პრობლემის ზოგად საკითხებზე მსჯელობა და სადაც შეითხველმა ჯერ არაფერი იცის თვით პონიგმანის შეხედულების შესახებ. პონიგმანი აქ ფსევდო-დორონიძეს ჩვეულებრივ გაგებიდან ამოღის და მასზე მსჯელობს, როგორც არეოპაგიტული წიგნების ავტორზე.

გამოკვლევის იმ ნაწილში კი, სადაც პონიგმანს უკვე აქვს ჩამოყალიბებული საკუთარი შეხედუ-

ლება, მან საჭიროდ დაიანხა „გენაწილებანი“ ის „დახასიათებანი“, მანამ რომ წარმოედგინათ როგორც შოლოდ ერთი პირის დახასიათებანი. ამ „გენაწილებას“ მიხედვით, რომელსაც პონიგმანი იმავე გვერდზე (56) იძლევა, სავსებით ნათელი და ცხადი ხდება, რომ „პროკლეს ზუპირად იცნავს“, პონიგმანის აზრით, შოლოდ იოანე ლაზის თავისებურებას შეიღვენს და არა პეტრე იბერისას. ამის შემდეგ პეტრე იბერი და არეოპაგიტის ავტორი (ე. ი. ფსევდო-დორონიძე) ძველი გაგებით აღარ ფარავს ერთმანეთს და ამიტომ ის, რაც პეტრე იბერზე ითქმის, არ შეიძლება მთლიანად იქნეს გადატანილი არეოპაგიტის ავტორზე.

ამგვარად, „წინააღმდეგობის“ მიზეზი შოლოდ რეცენზენტის მიერ დაშვებული ცნებათა აღრევა და არა პონიგმანი.

კ. კეკელიძე წინააღმდეგობას ხდევს პონიგმანის გამოკვლევის ორ შემდეგ დებულებას შორისაც: ერთ შემთხვევაში, წერს კ. კეკელიძე, პონიგმანის მიხედვით, პეტრეს თვით უოქვამს, რომ „написал труды в поучение и назидание монахам и новопосвященным“. მეორე შემთხვევაში კი, პეტრე, იმავე პონიგმანის სიტყვით, „не раз высказывает пожелание, чтобы его труды остались тайною“.

ჩვენთვის გაუგებარია — რა მოსაზრებით შეიძლება აქ წინააღმდეგობაზე ლაპარაკი. პირიქით, უფრო აბოლო ვიწმობდით სიმართლესთან, გვეთქვა, რომ პეტრეს მიერ გამოტყვევებული სიტყვა — საიდუმლოდ დარჩენილი მისი შრომები, შოლოდ იმ შემთხვევაშია გასაგები, თუ მივღებთ, რომ ეს საიდუმლოება იყო გამჟღავნებული გააკვეთულ წერში. ეს რომ ასეა, ნანს პონიგმანის შემდეგი სიტყვებიდან. იგი იქვე შენიშნავს: პეტრე იბერის თხზულებანი „блии доступны только маленькому кругу единовѣрцев из монастыря, по соседству Майумы“.

კ. კეკელიძეს წინააღმდეგობათ აქვს მიმინუელი ისიც, რომ, მიუხედავად არეოპაგიტული წიგნების შედარების შეუძლებლობის, პეტრე იბერის უტუყარი წიგნითან (როგორც ცნობილია, მეცნიერებს დღეს არ მოგპოვება ასეთი წიგნები), პონიგმანი მაინც ცდილობს ფსევდო-დორონიძეს იგივეობა პეტრე იბერთან დადებოდა გადაწყვიტოს (გვ. 423). არა თქმა უნდა, თანამედროვე მეცნიერების განკარგულებაში რომ პეტრე იბერის უტუყარი თხზულებები აღმოაჩენილიყო, მაშინ არეოპაგიტის ავტორობის საკითხის გადაწყვეტა ბევრად უფრო ადვილი იქნებოდა. მაგრამ ასეთი თხზულებები არ არსებობს და, მაშ, არც ამგვარი შედარების საშუალება არსებობს; ეს ასევე კარგადაა ცნობილი ე. პონიგმანისათვის, როგორც კ. კეკელიძისათვის. სწორედ ამიტომ (და არა იმის გამო, რომ იგი წინააღმდეგობებში ვახლართა) მიაჩნია პონიგმანს „თა-

მამ“ საქმედ ფსევდო-დომინის და პეტრე იბერის იგივეობის დამტკიცება. მაგრამ გამოჩენილი არ არის ბიოგრაფიული მონაცემების გზა, რომლის მიხედვითაც მონიგმანი ცდილობს დადგინოს იგივეობა პეტრე იბერის შეხედულებებსა და ართოგრაფიულ წიგნებს შორის. ჩვენ დავინახეთ, რომ მონიგმანმა ამ მიმართულებით დადებით შედეგს მიაღწია. თუ კ. კეკელიძეს ეს დამაჯერებლად არ მიაჩნია, მაშინ მისი არსებითი კრიტიკა იყო საჭირო და არა „წინააღმდეგობის“ ძიება იქ, სადაც ამას იდეალი არა აქვს.

„ყველაზე მსხვილი წინააღმდეგობა“ მონიგმანის გამოკვლევაში იქია, კ. კეკელიძის სიტყვით, სადაც საკითხი „პეტრე იბერის მიმართვის შესახებ“ ეხება. კ. კეკელიძე ამტკიცებს, რომ ავტორი, რომელიც „обладает выдающимися свойствами, острым умом, смелыми комбинационными данными, широким знанием античной философии и патристической литературы, литургическим, аскетическим и мистическим образованием“ (51), შეუძლებელია იმდენად „наивный, недальновидный непредусмотрительный“ ყოფილიყო, რომ პროკლეს იდეებით გამსჭვალული საკუთარი თხზულებები I საუკუნეში გადაეცინა.

უნდა ითქვას, რომ სიტყვები — „обладает выдающимися свойствами“... და ა. შ. ვეუთენის შტიგლმაირის და ეხება ართოგრაფიკის ევტოკოსს, სულ ერთია, ვინც არ უნდა ვიგულისხმოთ მის ქვეშ. მაგრამ ცნობილია, რომ შტიგლმაირი, არაფერი უშლიდა ხელს ფსევდო-დომინის ამგვარი დებსითაობა მოეცა და, ამგვარად, ვფიქრობ, რომ ამ სახელის ქვეშ სევერას ანტოპოელი იმალდებოდა. უფრო მეტიც: უკვლამ, ვინც კი იზიარებს თანამედროვე მეცნიერების აზრს (მათ იზიარებს კ. კეკელიძეც), რომ ართოგრაფიკა პროკლეს იდეების გავლენის ქვეშ აღმოცენდა, უნდა გაიზიაროს ის უტყუარი ფაქტი, რომ ეს წიგნები ცინც არ უნდა იყოს პათო ავტორი) V საუკუნის მოღვაწემ I ს-ში „გადიბანა“. ეს არის ფაქტი და ვერავითარი კითხვა — იყო თუ არა ეს მოღვაწე იმდენად „наивный, недальновидный и непредусмотрительный?“ — ვერ შეცვლის ამ ფაქტს; სულ ერთია, ეს „წინააღმდეგობა“ „აღმოჩენილია“ იქნება მხოლოდ იმ კერძო შემთხვევაში, როცა საკითხი პეტრე იბერისა და ე. მონიგმანს ეხება, თუ სხვა შემთხვევაშიც.

„ყველაზე მსხვილი წინააღმდეგობის“ დამადანტრებლად მიაჩნია კ. კეკელიძეს ისიც, რომ მონიგმანი პეტრე იბერის „აურაცხელ მიმდევართა“ მიზეზს ეძებს პეტრეს მიმდევრებაში „к видениям“. კ. კეკელიძის სიტყვით, მონიგმანი თორმე „პირდაპირ იცხადებს“, რომ „слава и популярность Петра объясняются не столько его умственными способностями, сколько связью его,

как визионера и ясновидца, с обитателями неба. Если искать причину наличия неслышимых последователей Петра Иверя, мы ее найдем в склонности к видениям“ (31) (კ. კეკელიძე, გვ. 424, ხაზი ჩვენი, შ. ზ.). ციტრებულ იდეას დასაწყისში ბრძეკალება ეკლავ, ამიტომ, ციტრების მიხედვით „კითხვები ვერ ვაგებებს არსებითად — რას „იცხადებს პირდაპირ“ მონიგმანი. მაგრამ შედარებიდან ირკვევა, რომ არაფერი მსგავსი პეტრე იბერის „умственные способности“-ს შესახებ მონიგმანის გამოკვლევაში არ მოიპოვება. მონიგმანი ლაპარაკობს მხოლოდ მონოთეისტების წრეში გავრცელებულ ეპიზონორულ ენთუზიაზმსა და მისი მიზეზების შესახებ; კერძოდ, „მონოთეისტების შეთაროსი“ (პეტრე იბერის) აშკარ მიმდევრებაზე და ხედავს ამაში მიზეზს მისი მრავალრიცხოვანი მიმდევრებისა, საოცარი იქნებოდა, მონიგმანს პეტრეს მიმდევართა დიდი რაოდენობა („неисчислимость“) აესნა მისი თხზულებებით, რომლებიც „მხოლოდ თანამორმუნეთა ვიწრო წრისათვის იყო მისაწვდომი“.

ასეთია „წინააღმდეგობანი“, რომლებიც კ. კეკელიძის აზრით, მონიგმანის გამოკვლევაში მოიპოვება. გადავიდეთ კ. კეკელიძის კრიტიკულ შენიშვნების მეორე რგოფზე.

კ. კეკელიძე მზნად ისახავს „тщательно взвесить... данные“ (გვ. 424), რომლებიც ე. მონიგმანის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საბუთს ეხება და მდგომარეობს, როგორც დამინახეთ, სირიულ მარტილოზის ცნობაში. კ. კეკელიძის აზრით, ის გარემოება, რომ „такого имени“ (მხედველობაში სახელი „პიეროთეოსი“) в писанном ономастиконе до VI века не встречается“, არ ნიშნავს, რომ „в действительности, до VI века не было человека с таким именем“ (გვ. 425). კ. კეკელიძეს ქართული ონომასტიკონიდან მოაქვს მაგალითები („შოთა“, „შალვა“) რომლებიც, თუმცა წერილობით ძეგლებში XII ს-ის ბოლომდე არა გვხვდება, მაგრამ აქედან არ გამოიღწიარება, მისი სიტყვით, რომ ამ სახელს ამ დრომდე არავენ ატარებდა საქართველოში. „He в XII же веке, — კითხულობს კ. კეკელიძე — выдумали их грузины!“

ნამდვილად, შეიძლება ითქვას, რომ მონიგმანის დასკვნები, რომლებიც მან დიდი მუშაობის — ძველი პერსიული და ქრისტიანული ონომასტიკონის შესწავლის — შემდეგ გააკეთა, ამ შემთხვევაშიც დიდიად საყურადღებოა და ანგარიშსასაყვეთ. ე. მონიგმანმა ამ შემთხვევაში მართა ფოლოლოგიური კვლევის ჩვეულებრივ მეთოდს, რომლითაც, სხვათა შორის, თვით კ. კეკელიძესაც უსარგებლია და, უნდა ითქვას პირდაპირ, ბევრად უფრო ნაკლებად დამაჯერებელ პირობებში. პრაფ. ი. ჯავახიშვილთან კამათის დროს, „აბიბოს ნეკრესელის სიტყვების“ თარგმანს დაკავშირებით, პრაფ. კ. კეკელიძე

წერდა: „არსენს მეცხრე საუკუნეში არ შეეძლო ესმარა ტერმინები — „ივერია“ და „საქართველო“, რომელიც მეთერთმეტე საუკუნეზე ადრე არ გვხვდება ქართულ მწერლობაში“¹. ხომ შეიძლება დაგვეცვა კითხვა ეს სახელები რომ XI ს-ზე ადრე არა გვხვდება საქართველოში, ნიშნავს ეს თუ არა, რომ в XI веке выдумали их грузини? და თუ ქართველებმა ეს სახელები უფრო ადრე „გამოიგონეს“, მაშინ შემთხვევითი გარემოების გამო არ ასახულა ისინი ქართულ მწერლობაში და მას... კ. კეკელიძის მსჯელობის ძალა აღარ უნდა ჰქონდეს ივ. ჯავახიშვილის წინააღმდეგ².

ცხადია, რომ პროფ. კ. კეკელიძის კრიტიკის მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა მნიშვნელობა, თუ იგი სიტყვა „პიეროთოსის“ არსებობას VI ს-ზე ადრე ლიტერატურულად დაადსტურებდა. ესაა ალბათ მიზეზი, რომ კ. კეკელიძე ცდილობს ამ სახელს ეტიმოლოგიური საფუძველი აღიარებულ ჰქონდეს გამოუნახოს. ბიბლიის სიტყვებში, — საღამოს მეფე შელქისედეცი იყო „მღვდელი დღისის მაღლისა, (პიერუს ტუ თუე, შესაქმე, XIV, 18) იგი ზედავს საფუძველს იმისათვის, რომ სიტყვა „პიეროთოსის“ ძველ სიტყვად იქნეს მიხსენილი (კ. კეკელიძე, გვ. 423).

ვერაფერს ვიტყვით — სწორადაა თუ არა ახსნილი კ. კეკელიძის მიერ სიტყვა „პიეროთოსის“ ეტიმოლოგია. მაგრამ რომ არც შევიტანოთ ეგვიპტის სისწორეში, მაინც ცხადია, რომ პროფ. კ. კეკელიძის მიერ აღნიშნულ ფაქტს საბუთის დაიჭრება არა აქვს. ბიბლიაში აღმოჩენა სამი სიტყვისა (პიერუს ტუ თუე), რომლისგანაც „პიეროთოსის“, ვთქვათ, წარმოიშვა, არ არის საფუძველი იმისათვის, რომ ეს სიტყვაც VI ს-ზე ადრე უნდა ყოფილიყო „გამოგონებული“, ისევე, როგორც არ არსებობს საერთოდ არავითარი უტყუარი საფუძველი იმისათვის, რომ ამა თუ იმ სიტყვის წარმოშობა მისი შესაძლებელი კომპონენტების მიხედვით იქნეს განსაზღვრული. „მზე“ და „კაბატი“, „владеть“ და „восток“ და ა. შ. არ იძლევა თავისთავად არავითარ საფუძველს იმისათვის, რომ ამ სიტყვებიდან წარმოებულ სიტყვების („მზეკაბატი“, Владивосток) „გამოგონების“ დრო იქნეს გარკვეული.

პროფ. კ. კეკელიძის არ ამაყოფილებს ის პა-

სუბი, რომელიც პონიგმანმა გასცა საყურადღებო და მნიშვნელოვან კითხვას: როგორ გამოიყურება ესეველი-დიონისემ სახელმწიფო-ეტიმოლოგიურ ფსევდო-დიონისეს რომ საყურადღებო იხილო ალბათ დიონისე რომელიმე შუა რლისათვის იმ მიეწერა, ამბობს პონიგმანი, მაშინ აღვილო იქნებოდა მათი აპოკრიფული და, მეტიც, შეიძლება ერთეული ხასიათის დადგენა, „так как церковь — წერს პონიგმანი, — решительно следила за каноничностью писаний“ (გვ. 36). „А Дионисию Ареопажиту можно было приписать такие откровения? — კითხვობს კ. კეკელიძე — ведь и он представляется новозаветным писателем (?! в. б.) времен апостольских?“ (გვ. 425).

უნდა ითქვას, რომ ეს შეკითხვა კვლავ ვაუტემა-რობაზე არის დამყარებული.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს რომ დიონისე არეოპაგელი წარმოუდგა კაცობრიობას „Новозаветный писатель“ ად მას შემდეგ, რაც პეტრე იბერმა, გარკვეული მოსაზრებებით, საყურადღებო სახელები მას მიუწერა. სინამდვილეში დიონისე არეოპაგელი რომ არ იყო წერალი, ეს პეტრე იბერმა იცოდა და იცის შეცნობრებაშიც, რომელიმე დიდი ხანია ეს საკითხი ვაარკვევი. საშუალოდ, კ. კეკელიძის დიონისე არეოპაგელი აქამდე ისევე „Новозаветный писатель“ ად „წარმოუდგება“, და თავის კრიტიკულ შენიშვნებს ამ არასწორ წარმოდგენებზე ამაყარებს.

კ. კეკელიძე ცდილობს უარყოს პონიგმანის ბაზოთეზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დებულება. ამ მიზნით იგი სვამს კითხვას: „Действительно ли Петр установил поминовение Иерусалима 4 октября“ (გვ. 426). პონიგმანი კმაყოფილება, კეკელიძის სიტყვით, „одним лишь „предположением“, კ. კეკელიძე გვთავაზობს ახალ предположение-ს შარათლია, შენიშვნას კ. კეკელიძე, პეტრეს „ცხოვრებაში“ არის ნათქვამი, რომ პეტრე იბერს ყოველ წელს 4 ოქტომბერს ასრულებდა მამა იოანეს მოხსენებას, მაგრამ აქ კ. კეკელიძის ვარაუდით, ყოველწლიური ოფიციალური მოსახსენებელი დღესასწაული კ არ უნდა იგულისხმებოდეს, არამედ მხოლოდ „პირადი, ინდივიდუალური“. ვერაფერს ვიტყვით — რა საფუძველი აქვს კ. კეკელიძის იმგვარი ვარაუდისათვის, მაგრამ ცხადია, რომ მისი ვარაუდი საქმის ვითარებას სრულიად კერცვლის და ოდნავადეც არ უკარგავს „доказательная сила“-ს იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ეს დღესასწაული სწორედ პეტრე იბერის მიერ უნდა ყოფილიყო დამყარებული და დაყენებული იმის გამო, რომ იგი პიეროთოსის რეალურ შესატყვისად იოანე ლაზს მიანიჭედა.

მეორე მოსაზრება პონიგმანის იმ დებულების წინააღმდეგ შემდეგში მდგომარეობს. თუ პიეროთოსის მოხსენება 4 ოქტომბერს იმ ფაქტის

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 124.

² უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ გაცხადებული პარალელი ე. პონიგმანსა და კ. კეკელიძის შორის არაა მთლიანი სწორი. საქმე იმაშია, რომ ტერმინი „ივერია“ („იბერია“) დადასტურებულია IX ან XI ს. ს-ზე ბევრად უფრო აღიარებულ ჰქონდა, მაშინ როდესაც სახელი „პიეროთოსის“ არ არის დადასტურებული VI ს-ზე უფრო ადრე.

გამო იყო დაწესებული, რომ ამ დღეს გარდაი-
ცვალა იოანე ლაზი (ეს Alter ego პიეროთეოსის-
სა) — კთხულობს კეკელიძე, — მამ რატომ იყო
დონისე არეოპაგელის მოხსენება დაწესებუ-
ლა 3 ოქტომბერს და არა 1 დეკემბერს, როდეს-
საც გარდაიქცა პეტრე იბერი (გვ. 424).

საოცარი კითხვაა! პიეროთეოსის მოხსენებუ-
ლი დღე დაწესებული იყო პეტრე იბე-
რის მიერ, რომელმაც იცოდა, რომ იოანე
ლაზი და პიეროთეოსი ერთი და იმავე რეალური
პირის სახელები იყო ერთი — ნამდვილი, მეო-
რე — მ ს გ დ ო ნ მ ო. ამიტომ გასაგებია,
რომ მან პიეროთეოსის მოხსენებელი დღე ამ
დღეს დაწესა (4 ოქტომბერს), როდესაც იოანე
ლაზი გარდაიქცა. ამ შემთხვევაში პეტრე იბე-
რი მოქმედებდა გარკვეული მოსაზრებებით.

პეტრე იბერმა, რა თქმა უნდა ისიც იცოდა,
როგორც დამოკიდებულებაში იყო იგი დონისე
არეოპაგელთან და ამის გამო, შეიძლება გვე-
ფიქრა, რომ იგივე მოსაზრებებით იმოქმედებდა
ის საკუთარი გარდაცვალების დღის მიმართაც.
ამით ის მეცნიერების აკივლებდა 15 საუკუნის
შემდეგ წამოჭრილ კითხვას. მაგრამ საქმე იმა-
შია, რომ პეტრე იბერის გარდაცვალების შემ-
დეგ უკვე სხვები მოქმედებდნენ და მოქ-
მედებდნენ უკვე სხვა მოსაზრებით. ეს მო-
საზრებები მაშინ დამაჯერებლობით არის, სხვა-
თაშორის, გარკვეული პონიგმანის გამოკვლევა-
ში. პონიგმანის არგუმენტაციამ დაეკავება მხო-
ლოდ იმის გამო, რომ პეტრეს მახლობლების მო-
ქმედება, როდესაც ისინი დონისე არეოპაგელის
მოხსენების დღეს აწესებდნენ, არ იყო იმავე მო-
საზრებით განსაზღვრული, რაგორითაც პეტრე
იბერი ზღაპრულად პიეროთეოსის მოხსე-
ნების დღის დაწესების დროს, რაღაც საოცრე-
ბად ელტის.

ველზე სიწმინდის შთაბეჭდილებას პროფ.
კ. კველიძის რეცენზიის ის აღვლინები ტოვებს,
რომლებიც მიმართულია პონიგმანის, როგორც
საერთოდ მეცნიერისა და მწიგნობრის, დისკრე-
დიტაციისკენ და, უფრო მეტი, სადაც პოლემი-
კით გატაცებული ავტორი, პეტრე იბერსაც
აღარ იხილავს.

ერთგან ვკითხულობთ, რომ პონიგმანი ყო-
ფილა მეცნიერი „Капиталистического Зала-
да“ და, ამის გამო, „რა თქმა უნდა („конечно“),
გასაგებია მისი მეთოდის მიუღებლობა (გვ. 421);
მეორეგან ნათქვამია, რომ „о научных вообще
(?! შ. ხ.) работах его достаточно ясное
представление дают отрывки о них хотя бы
в Византийском временнике“ (გვ. 430). მი-
თითებულია „В. Вр.“ ტ. III, გვ. 251-57 და
ტ. VI, გვ. 240.

რომ არაფერი ითქვას იმაზე, თუ რამდენად
გამართლებულია ამ შემთხვევაში „კაპიტალის-
ტურ დასავლეთზე“ მითითება, ის მაინც უნდა
აღინიშნოს, რომ იმავე „კაპიტალისტური დასა-
-

ლეთის“ მეცნიერები არიან პ. ენგებერდინგი
და, განსაკუთრებით, ედ. შვარცკი (რომელმაც
შეხედულებებს სწორად ემყარება „Критический
Понигманис Финалдегг პოლემიკაში).

მაგრამ ჩავიხედოთ „В. Вр.“-ში.

ერთ შემთხვევაში (III, 251-157) პონიგმანის
წინააღმდეგ კამათი ეხება საკითხს: როდის დაი-
წყო ბიზანტიის მხრივ ცდები მორავიის საქ-
მეებში ზარებისა, IX ს-ის 70-იან წლებში, რო-
გორც ამას პონიგმანი ფიქრობს, თუ იმავე საუ-
კუნის 80-იან წლებში, როგორც ამას საპკოთა
მეცნიერი ფ. შ. როსივინი ამტკიცებს. არა
გვეგონია, რომ ამის საფუძველზე შეიძლება დღეს
დავებება პონიგმანის მეცნიერული შრომებს
ღირებულებაში вообще!

„რაც შეეხება მეორე შემთხვევას (В. Вр., VI,
გვ. 240), სადაც ნათქვამია, რომ პონიგმანი
ცილობს „проташить излюбленную и истре-
панную идею Западной буржуазной исто-
риографии об отсутствии исторической ни-
шнаты у славянских народов“, — აქ მარ-
თლაც მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური შეზ-
ღუდულობა არის კრიტიკის საგნად ქცეული.
მაგრამ წვედ ვფიქრობთ, რომ მეთოდოლოგიური
ნაკლი, რომელიც „ისტორიულ ანიკატიკას“
მხოლოდ ევროპის ხალხებში ზედგას, დიდი ზე-
ლისშემწეული ფაქტორი უნდა ყოფილიყო პო-
ნიგმანის თვალსაზრისისათვის, რომელიც პეტრე
იბერსა და იოანე ლაზში ზედგას არეოპაგე-
ტიკის ავტორს და თუ, მიუხედავად ამ გარემო-
ებისა, პონიგმანი ამ აზრამდე მაინც მივიდა, ჩანს,
ყალბი და მისთვის დამახასიათებელი მეთოდო-
ლოგიური თვალსაზრისი უძლური აღმოჩნდა
ფაქტობრივი და მეცნიერული მონაცემების წი-
ნაშე. ეს ვარაუზება კი კრიტიკული შენიშვნებს
საბაბი ეს არა, მხოლოდ მისასაღმებელი უნდა
ყოფილიყო საპკოთა მეცნიერებისათვის. ეს
მით უფრეტეს, რომ დასავლეთის მეცნიერებაში
უველა არა დგას ამ მხრივ პონიგმანის სიმაღ-

1 თუ, მაგალითად, კ. კველიძის შრომების
შესახებ „В. Вр.“-ის თავისი შენიშვნები არ გა-
მოთქვამს, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს აქ
საკამათო არაფერი იყოს. ერთ-ერთ სტატიაში,
რომელიც, მართალია, კ. კველიძეს არ ეხება,
კრიტიკულად არის შეფასებული „укоренив-
шаяся в буржуазном литературоведении —
порочная традиция отделять церковную
литературу Византии от свет-
ской.“ (В. Вр., VII, გვ. 354, ხაზი ჩვენი,
შ. ხ.). ქართულმა მეთოდებმა კარგად იცის,
რომ კ. კველიძე ათუთელი წლების მანძილზე
აგრძელებს ანგვარ ტრადიციის ძველი წართული
ლიტერატურის ისტორიაში. მაგრამ ნუთუ გა-
მართლებული იქნებოდა ამის გამო ვინმეს დაეს-
ვა საკითხი მისი სამეცნიერო ნაშრომების ღირ-
ებულების შესახებ „საერთოდ“!

ლზე. არიან მეცნიერები, რომლებიც კვლავ ამ მეთოდოლოგიური შეზღუდულობის ტყვეობაში იმყოფებიან და თავის ყოველ გუმარტულბულ დამოკიდებულებას არა ევროპელი ხალხებისადმი ამტკიცებენ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე წართულ კულტურასა და ხალხს ეხება. ამგვარი მეცნიერის კიდევ ერთი მაგალითი ზენ-თვის ცნობილი გახდა პონიგმანის გამოკვლევიდან: *Этот грузин (I შ. ხ.) — წერს ედ. შვარცი პეტრე იბერის შესახებ — не был какой-либо выдающейся личностью и аскетическое движение среди высокообразованных и духовно возвышенных выучеников Бейрута исходило не от него, а кристаллизовалось вокруг него, как вокруг данного центра*" (პონიგმანი, გვ. 52).

როგორც არ უნდა გადაწყდეს საკითხი არეობაგიტრო წიგნების ავტორობისა, სულ ერთია, მივიჩნევთ მის ავტორად პეტრე იბერს, თუ არა; როგორც შეფასებაც არ უნდა მივცეთ პონიგმანის პიროვნებას და მის არგუმენტაციას — ერთი რამ მაინც ცხადია: შვარცის ეს დებულება უაღბოა არსებითად და შეუწყნარებელია ფორმით. პეტრე იბერის იგივეობა ფსევდო-დიონისესთან შეიძლება კიდევ ვინმეს პრაბლემად მიაჩნდეს, მაგრამ პეტრე იბერი რომ „გამოჩენილი პიროვნება“ იყო, ამასი ევეი მხოლოდ იმას შეიძლება შეეპაროს, ვინც ნამდვილადაა შეზღუდული ბერკეზაბული ისტორიოგრაფიის იმ „излюбленная и истрепанная идея“-თი, რომელიც პონიგმანის წინააღმდეგ არასამართლიანად არის, როგორც ვნახეთ, მომარჯვებული კ. კეკელიძის მიერ. შვარცი არ უწევს არავითარ ანგარიშს არსებულ ისტორიულ მონაცემებს უკიდურესად იმასაც, თუ რა ტომ მოხლდა სწორედ პეტრე იბერის „გარემოში“ „კრისტალიზაცია“ იმ ასკეტური მოძრაობისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა „среди высокообразованных и духовно возвышенных выучеников Бейрута“, კიდევაც რომ დავუშვათ რომ ეს მოძრაობა „исходило не от него“.

„კაპიტალისტური დასავლეთის“ მეცნიერები. პონიგმანი კატეგორიულად ილმჭრებს ედ. შვარცის წინააღმდეგ და ცდილობს რიგი ფაქტებისა და მონაცემების საფუძველზე დაარსების ეს არასწორი შეხედულება პეტრე იბერის შესახებ. ხოლო კ. კეკელიძე, არათუ არ ძილევს ედ. შვარცის ამ შეხედულებას დამაბურცებულ შეფასებას, არამედ, პირიქით, იგი პონიგმანს მოუწოდებს დაიჯეროს და არ დაეფიქროს ის, რაც ედ. შვარცმა პეტრე იბერის შესახებ თქვა: „не мешало бы вспомнить привидимую самим Хонигманом оценку Эд. Шварца, который изучил внимательно, как никто до него, житие Петра“, а именно: „этот грузин...“ და ა. შ. (კ. კეკელიძე, გვ. 424).

ჩვენ ფიქრობთ, ბევრად უკეთესი იქნებო-

და — ყოველთვის გვხსომებოდა სიმართლე პეტრე იბერის პიროვნების შესახებ დამოუკიდებლად იმისაგან — იყო თუ არა ის ავტორი დიონისე არეობაგელის სახელით ცნობილი თხზულებებისა და დამოუკიდებლად იმისაგან — ვის უწუაბს ზღვს ეს სიმართლე: პონიგმანს თუ შვარცს, პროფ. ნუცუბიძესა, თუ პროფ. კეკელიძეს¹.

ასეთია პროფ. კ. კეკელიძის მიერ პონიგმანის წინააღმდეგ წამოყენებული მოსაზრებები. „К чести проф. Хонигмана — წერს კ. კეკელიძე რეცენზიის ბოლოს — нужно сказать, что у него и нет претензий на безгрешность. Основное свое положение он называет „гипотезой“ (36, 40, 57) и догадкой „интуитивного“ характера (36). Этим объясняется, что у него мы встречаем такие выражения: „повидимому“ (36), „если наша гипотеза верна“ (36), „если наша гипотеза правильна“ (57), „если их автором действительно был Петр Ивер“ (61), „если наше объяснение правильно“ (47) и т. д.“ (კ. კეკელიძე, გვ. 430).

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ პროფ. კ. კეკელიძის რეცენზიაში პონიგმანის გამოკვლევის ეს გარეგნული მხარეც არ არის სწორედ გადმოცემული. „თავის ძირითად დებულებას“ რომ პონიგმანი არ თვლის საბოლოოდ „ინტუიციურ მიხედვად“, ეს ძალიან კარგად ჩანს თვით რეცენზიაში მითითებული ადგილიდან: „Не имеем ли мы возможности, წერს პონიგმანი, доказать то, о чем мы догадались скорее интуитивным путем? Думаем, что — да“ (გვ. 36). გამოკვლევის მთელი შემდგომი ნაწილი, რომელიც მის ორ შესამედზე მეტს შეადგენს, ამ დებულებას დასაბუთებლად ეძღვნება. დასაბუთებელი დებულება კი რომ „интуитивური მიხედვად“ აღარაა, ეს საყოველთაოადა ცნობილი. რაც შეეხება დანარჩენ გამოთქმებს — აქ რეცენზენტი საესებით მართალია, მაგრამ ზევს პირველად გვესმის, რომ კორექტობა მეცნიერულ კვლევაში „ეთვის“ („грешность“) მომასწავებელი იფის. აღბათ ამიტომაც პროფ. კ. კეკელიძის რეცენზია ამ გავეთხთ საესებით „безгрешным“. პირიქით, მის ზომანზე მეტი კატეგორიულობა ახასიათებს. მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი ნამდვილად ვერ აღწევს მიზანს. ე. პონიგმანის გამოკვლევა რჩება იმ სიმაღლეზე, რომელსაც უცვლელად ის იდგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომებში“ გამოქვეყნებულ კრიტიკულ რეცენზიაზე.

¹ გვხსომებოდა თუნდაც თვით კ. კეკელიძის მიერ აღწერილი გამოთქმული და ეხლხან კვლავ გამეორებული შეხედულება პეტრე იბერზე, რომ იგი იყო მონოფიზიტების „გამოჩენილი მოღვაწე“ და „დიდი მებაბახტრე“ (იხ. კ. კეკელიძე, „პეტრე უღბი“, I, 1956 წ., გვ. გვ. 34 და 51).



ახალი უცხოური ნაშრომი სულხან-საბას იბრახიმის სათაურის შესახებ

ლონდონის უნივერსიტეტის აღმოსავლეთისა და აფრიკისმცოდნეობის ინსტიტუტის ქართველოლოგიური სექციის გამგემ, დოქტორმა დევიდ მარშალ ლენგმა, რომლის ერთ ნაშრომსაც უკვე იცნობენ ქურნალ „მნათობის“ მითხველები (იხ. № 3, 1956 წ. აქვეთივე ქართული და ვარლამისა და თასაფის თქმულება), სხვებული ინსტიტუტის სამეცნიერო ორგანოში (აღმოსავლეთისა და აფრიკისმცოდნეობის ინსტიტუტის მოამბე, ტ. XVIII, № 3, გვ. 436—448) გამოაქვეყნა ახალი წერილი სულხან-საბა ორბელიანის ცნობილი იგავ-არაკთა წიგნის სათაურის გაგების საკითხთან დაკავშირებით.

დ. მ. ლენგი დიდი ინტერესითა და პატივისცემით ეკიდება ჩვენი ქვეყნის წარსულის შესწავლის საქმეს, მარჯვედ იყენებს ქართულ მასალას, დაყირვებით სწავლობს მას და უკვე რამდენიმე სერიოზული გამოკვლევა აქვს მიძღვნილი ქართველმცოდნეობის საკითხებისადმი. სათაურების უბრალო ჩამოთვლა საკმარისად, ამჟამავეს, რამდენად ფართო და ნაყოფიერია ამ უცხოელი მეცნიერის კვლევის სფერო. ვარდა ზემო-სხვებული ნაშრომებისა, დოქტ. დ. ლენგის კალამს ეკუთვნის „საქართველოს ურთიერთობა საფრანგეთთან ვახტანგ VI-ის მეფობის დროს“, „გრაფი ტოტლემენის 1769—1771 წლების ლაშქრობა საქართველოში ფრანგი თანამშრომლის მოგონების მიხედვით“, „საქართველო გიორგი ბრწყინვალის (1314—1346) დროს“, „მორბილი წიგნი — ქართული ნემიზმატიკის ნარკვევები“, „ქართველოლოგიური მუშაობა ოქსფორდში“, „პეტრე ბერი და მისი ბიოგრაფიები“, აგრეთვე მიღებულია ცნობა, რომ უკვე გამოიცა მის მიერვე ინგლისურად თარგმნილი რჩეული ქართული მაგიოგრაფიული ძეგლების კრებული და სხვ.

დ. მ. ლენგი აგრძელებს ისეთ უცხოელ მეცნიერ-ქართველოლოგთა და ლიტერატორთა ტრადიციას, როგორც იყვნენ გერმანელი არტურ ლასიტო, ინგლისელი — ოლივერი და შარჯორი უორდროუები, ბელგიელი პეტერსი, ამერიკელი ბლეიკი და სხვანი, რომელნიც გულისხმობით, სიყვარულით ეპყრობოდნენ ქართულ კულტურას და აცნობდნენ მის მდიდარ საუნჯეს უცხოელებს. ამნაირ მოღვაწეთა შრომა მოწინავე ქართულ საზოგადოებაშიც ყოველთვის გულისხმიერ მხარდაჭერასა და ზღლისშეწყობას პოვებდა. საქმარ-

სია მოვიგონათ ილია ქაქვიძის დაპოყიდებულმა არტურ ლასიტან, უორდროუებთან.

დოქტ. დ. ლენგი გაბედულად ილაშქრებს ისეთი უცხოელი მეცნიერების წინააღმდეგ, რომელნიც ქართული კულტურისა და ისტორიის დამცობა-გამაბრუნებელს ცდილობენ. ამნაირი პოლემიკური ხასიათისა იყო, მაგალითად, დოქტ. დ. ლენგის ის წერილი, რომელიც მან ცნობილი გერმანელი ბიზანტინისტის პროფ. ფ. დელგერის მიერ ექვთიმე ათონელის დეაქონის განქიქების განათილებას მიუძღვნა. დ. მ. ლენგი გულდინჯად, დაკვირვებით, ფეხდაფეხ მიჰყვა ფ. დელგერის მიერ მოყვანილ არგუმენტაციას, რომლითაც იგი უარყოფდა ექვთიმეს როლს ბერძნული ვარლამისა და თასაფის თქმულების შექმნაში, და იმ პოზიციებიდან, რომლებსაც ჯერ კიდევ ადრე იცავდნენ ვ. რ. ზენი, ნ. შარო, ა. ლ. ხახანაშვილი, ე. თაყაიშვილი, პ. პეტერსი, რ. ვულფი, ნ. ნუცუბიძე, ს. ყაუხჩიშვილი და სხვანი, ვინაშემამხვილურად სცადა გაეჭარჩუნებინა მისი მტკიცებანი.

ქართველმცოდნეობის საკითხების გასამუქებლად დ. მ. ლენგი გულმოდგინედ მუშაობს უცხოეთის არქივებსა და მუზეუმებში და მნიშვნელოვანი მასალა გამოაშუქრა ზემოხსენებულ ნაშრომებში, ამასთანავე, ეს მეცნიერი კეთილსინდისიერად და ღრმა ინტერესით ადევნებს თვალურს საბჭოთა ქართველოლოგიის მიღწევებს და ბერძნული ხალისიანად ეხმობება აქაურ მუშაობას. ამის მაგალითია მისი წინამდებარე ნაშრომი. იგი წარმოადგენს საქმიან გამოხმარებას გ. იმედაშვილის მიერ საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბის 1954 წ. მე-5 ნომერში გამოქვეყნებულ წერილზე „წიგნი სიბრძნე-სიტყვისა“-ს სათაურის გაგებისათვის“. დ. ლენგის ნაშრომის შესავალში, რომელიც ძველი ქართული ლიტერატურის შესახებ არსებული საკმაოდ ახალი გამოკვლევების საფუძველზე გამართული, მოკლედაა გადმოცემული სულხან-საბას ცხოვრებისა და დეაქონის მოაჯარი მომენტები და აგრეთვე საკითხის ისტორია.

ავტორი, როგორც მისი ერთი აღნიშნული ნაშრომიდან ჩანს, წინათ იმ აზრსაც იხრებოდა, რომ ბოლო ხანებში სამეცნიერო ლიტერატურაში გამბატონებული შეხედულება — სულხან-საბას იგავების წიგნის სათაური „სიბრ-

ნე სიცრუისა" უნდა იყოს — სწორი იყო. მაგრამ, როგორც თვითონვე აღიარებს, ვ. იმედაშვილი ნაშრომის გამოკვეყნებას გაუბედურებია, ამასაც ხელა მოეკიდა ამ შეხედულების რვეიზის ცდისთვის.

დოქტ. დ. შ. ლენჯი ასაბუთებს სულხან-საბას წიგნის სათაურის იმ გაგებას, რომელიც გულისხმობს, რომ იგი უნდა გვესმოდეს, როგორც „წიგნი სიბრძნისა და სიცრუისა"; ვ. ი. ისე, როგორც ეს თავგანს თავის დროზე ალ. ცვახარდმა რუსულ თარგმანზე და ოლივერ უორდროპმა — ინგლისურზე. იგი იზიარებს ვ. იმედაშვილის გამოკვლევის დასკვნებს, თანაც საკუთარი დამატებითი საგულისხმო მასალა აქვს მოტანილი ახალი თუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, განახლებული შეხედულების ნათელსაყოფად. ასეთი მასალა ამ ძველის ხელნაწერთა სათაურების ნუსხა; აგრეთვე სიტყვა „სიცრუეს" განმარტებისათვის დამატებითი ცნობები, როგორც თვით საბას ლექსიკონიდან, ისე ქართული ოთხთავის ძველი რედაქციებიდან; „სიბრძნე-სიცრუის" მსგავსი კომპოზიციების ნუსხა; „სიცრუის" სხვადასხვა სახის საილუსტრაციო არაკები სულხან-საბას კრებულადან და სხვ.

თვით საქითხ, რომელიც ვ. იმედაშვილმა აღძრა და მხარდაჭერა პოვა დოქტ. დ. შ. ლენჯის წინამდებარე ნაშრომში, სადღეისოდ, როცა დიდი ქართული მწერლისა და მოღვაწის სულხან-საბას დაბადების 300 წლისთავის იუბილისათვის ეგზიზდებით, ფრიალ დიდმნიშვნელოვანია. საიუბილეო ღონისძიებებში გათვალისწინებულია საბას სხვა ნაშრომებთან ერთად მისი ამ უკვდავი ძეგლის მეცნიერული გამოკვლევა და, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის მოქმედ ხალხთა ენებსა და უცხო ენებზე თარგმნა. ამიტომ სათაურის ავტორისეული ჩანაფიქრის სწორად მიგნებას უკუველად დიდი როლი ენიჭება.

ამ საქამათო საქითხში დოქტ. დ. შ. ლენჯის ეს წერილი ვარკვეული ღირსების მქონე, საინტერესო რგოლს წარმოადგენს და ქართველი საბჭოთა საზოგადოების ფართო წრეებისათვის საყურადღებო უნდა იყოს. თანაც საქითხის საბოლოოდ გადამყვების ინტერესი მოითხოვს კამათს სხვა ქართველი დილოგების ჩაბმასაც, რადგან, როგორც ცნობილია, ჩვენნი თანამედროვე სპეციალისტების უმრავლესობა სხვა აზრს ადგას. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ საბას წიგნის სათაურის აქამდე აღიარებულ გაგებას, როგორც „საიტრუეში ჩაქსოვილი სიბრძნისას", უპაველად თავისი წონა და ფასი აქვს და მისი ეს მხარე კარგადაცაა გამოხატული ილიას მაღლიანი ენით.

საქმეში ჩახედული მკითხველი შენიშნავს, რომ დ. შ. ლენჯი სულხანის მწერთნელ-მასწავლებელს, მცხეთელ ბერეკა ზედგინძეს, მცხეთის

არქივებისკოპოსის ხარისხით იხსენებს, რაც, თითქოს, არ უდგება ჩვენამდე მოღწეულ წიგნებს. საშუალოდ, არ ჩანს, ამ სადღეისოდ რამე წყაროთი ისარგებლა მკვლევარმა, თუ უბრალოდ რომელიმე საბუთის ბუნდოვანმა ტექსტმა აუთუნა.

აგრეთვე უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორი საკამათოდ ხდის საბას გარდაცვალების თარიღს — 1725 წლის 26 იანვრის ნაცვლად, 1726 წლის 26 იანვარს ვარაუდობს იმ საბუთით, რომ ვახტანგ VI და მისი ძმა, რომელშიაც საბა იყო, 1725 წლის 10 მარტამდე არ ჩასულან მოსკოვში. (სხვათაშორის ამდევ აზრს იგი სხვა თავის აღრიხედულ ნაშრომშიც გამოთქვამს). მაგრამ, ეტყობა, პრაქტიკულ მეცნიერს ხელთ არ ჰქონია იმ საბუთის დოკუმენტების ცნობები, რომელიც მიხედვითად ამჟამად დასტურდება, რომ საბა მართლაც ადრევე გაუფრავს ვახტანგს მოსკოვს, იღბათ რომე სპეციალური დავალებითაც, და იგი უკვე 1724 წლის ოქტომბრის მეორე ნახევარში ცარიცინში ჩანს. ამასთანავე, ძალიან საუკეთესო ცვლებას საბას ახლო მეთისე და გარბილი ვახტანგ VI, რომელსაც კარგად ცოდნობობდა თავისი მოამაგის ასაკის ამბავი, როცა მისდამი მიძღვნალ ლექსში („სულხან-საბა ორბელიანზედ") ამბობდა, „საპოცდაქვეს წელს იეთხობა", რაც უმრავლესობის მიერ აღიარებულ თარიღს გაცილებთ უკეთ უდგება.

ავტორის მოსაზრებას, — „...ხსენება საფრანგეთის, იტალიის, რომის, იტალიელი მხატვრების, გრან-დუვრებისა და სხვათა ნაყლებად ტრუვანს ექვს, რომ ზოგი ებოზოდ ავტორის ვერობიდან 1716 წ. დაბრუნების შემდეგ იქნა დამატებული ანდა ხელახლა დაწერილია", — უნდა დავსაძინოთ, რომ ყველა ეს ამბავი, საკმაოდ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, წინებულად შეიძლება სცოდნობა საბას, როგორც თავისი ფართო განათლების წყალობით, ისე უცხოელ მისიონერებთან და დიპლომატებთან ურთიერთობის ნიადაგზე.

დოქტ. დ. შ. ლენჯი, „სიბრძნე-სიცრუისას" გერმანული თარგმანის წინასიტყვაობის ავტორის მსგავსად, ბევრი უცხოური ივან-არაკთა კრებულის კვალს ხედავს საბას ამ წიგნში, მაგრამ ისიც ამჟამად, რომ სხვა ცნობილი კრებულები და შეიგვენიც ხშირად ასევე ჰყვანან ერთმანეთს, და ეს კვალი უმრავლეს შემთხვევაში ადგილობრივ მასალაზე შექმნილი მოკრული, მსგავსი სიუჟეტებით უნდა აიხსნას.

დოქტ. დ. შ. ლენჯის წერილს საქმის ცოდნითა და საყურადღებო და დაწერილი და როგორც სპეციალისტებისათვის, ისე ფართო საზოგადოებისათვის საინტერესო და სასარგებლო უნდა იყოს მისი გაეცნობა.



„სიბრძნე-სიცრუისა“-ს სათაურისათვის*

„ვერცხლის“ ანუ აღორძინების ხანის ქართულ მწერალთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა სულხან-საბა ორბელიანი (1658 — 1726). ქართლის ერთ-ერთი წარჩინებული გვარის შთამომავალი სულხან ორბელიანი¹ მამის მხრით მუხრანბატონ-ბაგრატიონთა ქართლის სამეფო სახლს ენათესავებოდა; დედამისი თამარი კი დიდი ფეოდალის ზაალ არაგვის ერისთავის ასული იყო. ბერად შედგომის მერე სულხანმა თავისი ნათლობის სახელი საბაზე შეცვალა და ამიტომ ჩვეულებრივ სულხან-საბას² სახელითაა ცნობილი.

სულხანის აღზრდას ხელმძღვანელობდა გიორგი ბატონიშვილი, რომელიც შემდეგ მეფობდა გიორგი XI-ის სახელით (1676 — 1709). მისი მასწავლებელი იყო ბერეკა შედგენიძე, მეცხეთის არქიეპისკოპოსი, რომელმაც დიდად შეეწყო ხელი შეგირდის სალიტერატურო მიდრეკილებათა ვადიჭებებს. სულხანმა ადრევე გამოიჩინა უნებისა და აგრეთვე ბუნებისმეტყველების შესწავლის ნიჭი. იცოდა კარგად თურქული და სპარსული, რამდენადაც — სომხური, ბერძნული, ლათინური და რუსული. ახალგაზრდაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა თბილისის სამეფო კარის ცხოვრებაში, როგორც თვით

ამბობს, „ერისთავანი იყო და წარჩინებული დსოფლისა საქმისაგან უცალო იყო“. სხვა მოგვიღობათა შორის სულხანი დაინიშნა აღმზრდელად ბატონიშვილ ლევანის უმცროსი ძის ვახტანგისა, რომელიც დაიბადა 1675 წელს და შემდგომში სახელი მოიხვეჭა როგორც მეფე ვახტანგ VI-მ, ისტორიკოსმა და სჯელმღვებელმა. პირველად, ალბათ, ამ სააღმზრდელო საქმის გამო იყო, რომ სულხანი შეუდგა არაქებისა და მოთხრობების, იმ კრებულის შედგენა-დამუშავებას, რომლის საკითხსაც ამ წერტილში განვიხილავთ.

სულხანი ორჯერ იყო დაქორწინებული: პირველად ბაგრატიონთა ოჯახის წევრ დარეჯანზე, მისი გარდაცვალების შემდეგ კი — სამცხის მმართველ ჯაყელთა სახლის ქალზე.

XVII საუკუნის ბოლო უბედური გამოდგა ორბელიანთა ოჯახისათვის. 1688 წელს ქართლის მეფე გიორგი XI გადააყენა მისმა სიუზერენმა ირანის შაჰმა სულეიმანმა და აღმოსავლეთ საქართველოს ტახტი უბოთა კახელ ერეკლე ბატონიშვილს, რომელმაც გამაჰმადიანების შემდეგ ნაზარ-ალა-ხანი დაირქვა. იტყუა შინაური ომი, რომელშიაც ორბელიანებმა გაიზიარეს ტახტიდან ჩამოგდებული გიორგი მეფისა და მუხრანბატონთა კათონიერი დინასტიის შვილი. ამის შედეგად ისინი გამოქვედბილ იქნენ თავიანთი სამფლობელოდან, რომელიც უზურბატორმა მოაოხრებინა. ნაწილობრივ ეს უბედურება იყო მიზეზი, რომ სულხან ორბელიანმა ბერად აღყვეცა გადაწყვიტა. 1698 წელს იგი საბას სახელით ბერად შედგა დავით ვარჯჯის მონასტერში.

სულხან-საბას მევირცხლი ვრცება დიდი ხნით ზერ დაკმაყოფილა დავით ვარჯჯის უდაბნოს მონაზონთა განდევნელმა და უქმმა ცხოვრებამ. 1703 წელს მუხრანბატონ-ბაგრატიონებს კვლავ დაუბრუნეს სამეფო ტახტი და აღმოსავლეთ საქართველოს ხაზინაშიზმა ანუ რეგენტობა შაჰმა მიანიღო სულხან-საბას ყოფილ მოწაფეს — უფლისწულ ვახტანგს. მალე სულხან-საბამ თავი დაანება განდევნილობას, რათა მონაწილეობა მიეღო იმ კვლავტურულ აღორძინებაში, რომელიც ასე დამასპიათებელი თვისება იყო ვახტანგის მეფისნაცვლობის დროისა. ვახტანგი რომ ქართული სამართლის კოდიფიცირებისა და „ქართლის ცხოვრების“ რედაქციის საქმეებში იყო ჩაბმული, სულხან-საბა რამდენიმე სალიტერატურო შრომას წერდა, მათ შორის — პირველ ვრცელ ქართულ ლექსიკონს.

* სტატია ჟურნ. „მნათობისათვის“ თარგმნილია. გამურელოქმ.

¹ ორბელიანთა გვარი, რომელსაც სულხან-საბა ეკუთვნოდა, აგრეთვე ორბელიანობადაც იწოდებოდნენ. სულხან-საბას ბიოგრაფიისათვის იხილე შესავალი წიგნისა „Die Weisheit der Lüge gesprochen von Sulchan-Saba Orbeliani“ (თარგ. მ. წერეთლისა, კრიტიკული ნარკვევი ზ. ავალიშვილისა), ბერლინი, 1933, 1 — 10; წინასიტყვაობა და დამატება წიგნისა „Книга мудрости и ажи Саввы-Сулхана Орбелиани“ თარგ. ა. ცაგარისა, სანკტ-პეტერბურგი, 1878; კ. კეკელიძე და ა. ბარამიძე, „ქართული ლიტერატურის ისტორია“, I, თბილისი, 1954, 390 — 3.

² და არა — საბა-სულხან; ქართულ ლექსიკონზე მინაწერ ბიოგრაფიულ ცნობაში ნათქვამია: „დაბადებულია სულხან-საბა ორბელიანი ქართულს ქორანიკონს ტ მ ვ (346 = 1658), ოქტომბერს კ დ (24), რომ ლათინურად ითხი ნოემბერი იქნება, დღესა კვირაიკესა, ეპისა შეღამისასა“.

1711 წელს ვახტანგის უფროსი ძმა ქაიხოსრო აელანთა წინააღმდეგ ბრძოლაში მოკლეს უან-დაართან. ქართლის ტახტი ერეკლე ვახტანგს, რომელიც ისპაჰანს გაემგზავრა, რათა თავყვანი მცა შამ სულთან ჰუსეინისათვის და დამტყვევება მიეღო სპარსელი სიუზერენისაგან. მაგრამ შამშამ უარი უთხრა ვახტანგს საქართველოს ტახტის დამტყვევებაზე, თუ იგი არ გამაჰმადიანდებოდა და შინაურ ტყვეობაში დაიტოვებდა სპარსეთის დედაქალაქში. თავისი მეფისათვის ვერობაში ქომავთა შოენის საცდელად სულხან-საბა, რომელსაც დიდი მიდრეკილება ჰქონდა კათოლიკობისაკენ, 1713 წელს დიპლომატიური დავალებით გაიგზავნა ლეო XIV-სთან ვერსალს და აგრეთვე ბაბთან რომს.¹ მისმა მოცუქელობამ ამოუჩინა არა — დასაყვლეთ ვერობის პრესტიჟი დასამეფო კართან არაფერი შეეღა იყო მოსალოდნელი და განზრახული. ვახტანგი იძულებული იყო მიეღო, გარეგნულად შინაც, მაჰმადიანობა, რის სანაცვლოდაც ნება დაერთო 1719 წელს საქართველოს ტახტზე დამჯდარიყო.

როცა სულხან-საბა ვერობიდან საქართველოში დაბრუნდა 1716 წ., მართლმადიდებლურმა სამღვდლოებმა დიდი დევნა მოუწყო მის კათოლიკურ საზრუნველობაზე გადასვლის გამო.² სამეფო საბლის ჩარევამ გადაარჩინა იგი თავის ბრალდებებს. როცა სეფიანთა დინასტიის დამხობამ და აიბერკაცისიაში თურქების შემოსევამ იძულებული გახადა ვახტანგი 1724 წელს რუსეთს გადასახლებულიყო, სულხან-საბაც თან წაყვდა. გარდაიცვალა მოსკოვს 1726 წლის 26 იანვარს³; მისი ძმის, დიმიტრი ორბელიანის

¹ იხ. სხვადასხვა წყაროები, რომლებიც მოითხოვებოდა დ. მ. ლენინის ნაშრომში — „Georgian relations with France during the reign of Waktang VI. (1711-24)“, „საქართველოს ურთიერთობა საფრანგეთთან ვახტანგ VI-ის მეფობის დროს“, JRS, 1950, 114-26. ორბელიანს არ შეეძლო შეხვედროდა ლაფონტენს საფრანგეთში ყოფნის დროს, როგორც ზოგი ირწმუნება, რადგან ფრანგი შერჩალო 1695 წელს გარდაიცვალა.

² ეს მტრობა სულხან-საბასადმი ასახულია ანტონ-კათოლიკოსის ნათქვამში:

„საბას არ ვაქებ ამდ, ვითარმედ ესე ეკლესიასა წმიდასა მტერ განუღვა, წინააღმდეგომ მზრთოლ ექმნა ჰუმარიტებსა, სამოიბის კარნი, გარნა ჯეჯიჯიბის ბუე, აღწერა სულთა წარწყმედად, თოტა წარწყმედა...“

(საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, II კოლექცია, აღ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1953, გვ. 248; ხელნ. № 2854, სტატ. 23).

³ კ. კეკელიძეს და აღ. ბარამიძეს (გვ. 393) სულხან-საბას გარდაცვალების თარიღად მიან-

თქმით, „უჩიად მამწარილი მეშავი, მოკვდა, დაველა რუსთ ველსა“.

სულხან-საბა ორბელიანის გარდაცვალების ტერორ მეშვიდრეობაში ოთხი ნაშრომი გამოიარევა.

1) ქართული ლექსიკონი ანუ „სიტყვის-კონა“, რომელზედაც ორბელიანმა 30 წელიწადს იმუშავა. იგი შეიცავს 17.000-ზე მეტ სიტყვას და შეენიერება დღესაც წმარობენ¹.

2) „მოგზაურობა ვერობაში“ — ავტობიოგრაფიული დღიური სულხან-საბას ელრობისა საფრანგეთსა და იტალიაში 1713-16 წლებში; დიდი ნაწილი ამ ნაშრომისა, ვერსალში სტუმრობის ამის იღწერათურთ, დაკარგულია.

3) გასრულება ვახტანგ VI-ის მიერ შავად თარგმნილი ტექსტის საფუძველზე „ჭილილა და დამანას“ ქართული ვერსიისა, რომელიც დაფუძნებულია ჰუსეინ-ვაიხი ქაშიფის სპარსულ „ავარი სოაილზე“, სულხან-საბას თანამშრომლობა განსაკუთრებით გამოიახტებოდა იმ სტროფების გადამწევაში, რომლებიც ჩართულია პროზულ ობრობაში.

4) არაყების, მოთხრობებისა და თქმების კრებული, რომელიც ტრადიციულად ორი ერთმანეთის გამოირიცხველი სათავითია ცნობილია — „სობრჩე სიცურისა“ ე. ა. „სიცურის სობრჩე“ ანდა, მეორე შეხვედრების მიხედვით, „წიგნი სობრჩე-სიცურისა“, ე. ა. „წიგნი სობრჩისა და სიცურისა“.

ნიათ 1725 წ. 26 იანვარი. ნამდვილად კი 1726 წ. უნდა იყოს, როგორც წერეთელს აქვს, რადგან ვახტანგი და მისი ამაღა 1725 წლის 10 მარტამდე არ ჩასულან მოსკოვს. იხ. აგრეთვე მ. ბროსე, Histoire de la Georgie, II, pt. 1, პეტერბურგი, 1856, გვ. 600; ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიუველენი, II, ტფილისი, 1909, № 281; J. Karst Corpus Juris Ibero-Caucasici, Fasc. 2, შტრასბურგი, 1935, 345-6.

¹ პირველი გამოცემა, ტფილისი, 1884; მეორე გამოცემა ა. უილშიზისა და ა. შინისისა, ტფილისი, 1928. იხ. აღწერილობა (დაფუძნებული ამ სტრუქტურების ავტორის შენიშვნებზე) ლექსიკონის ადრინდელი ხელნაწერისა სოთბის (Sotheby) კატალოგში „Fine oriental manuscripts and Moghal miniatures“ (ლონდონი, 1952 წ. 22 იანვარი), გვ. 8 — 9, ერთი ილუსტრაციითურთ. ორბელიანის ლექსიკონის ავტორგრაფი, დასრულებული 1715-16 წლებში კონსტანტინოპოლს, დაეცულა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში — №H1656. იხ. აღწერილობა H კოლექციისა, ტ. IV, კ. კეკელიძის რედაქციით, თბილისი, 1950, გვ. 78 — 80.

ჩვენი ნარკვევი ამ უკანასკნელ ნაშრომს ეჭვბა. ორბელიანს ეს შესანიშნავი თხზულება ადრევე, ახალგაზრდობაშივე, დაუწვია, როგორც ჩანს ზოგი ხელნაწერის თავწერილიდან, რომელიც ვეაწვევს: „ნათქვამი სულხან ორბელიანისა ეამსა სიქებატისა. მისისა“¹. ამასთანავე, წიგნში ხსენება საფრანგეთის, იტალიის, რომის, იტალიელი მხატვრების, გრან-დუკებისა და სხვათა ნაყლებად ტოვებს ეჭვს, რომ ზოგი ეპიზოდი ავტორის იმერობიდან 1716 წ. დაბრუნების შემდეგ იქნა დამატებული ანდა ხელახლა დაწერილი. ქართულ „ქილილა და დამანამი“, რომელიც ვახტანგ VI-მ და სულხან-საბამ ერთად გაასრულეს, ზოგიერთი ადგილი, — როგორცია „იგავის მტოღინარეს ორბელსა წიგნსა შინა უთქვამს“, — ჩაგვგონებს, რომ „წიგნი სიბრძნე-სიბრუნისა“ ხმარებაში იყო დაახლოებით 1720 წ.² ეს ხელს ან უშლის იმ ვარაუდს, რომ თხზულება თავდაპირველად დაწყებული იქნა ახალგაზრდა უფლისწულის ვახტანგის (დაიბ. 1675 წ.) აღმზრდელად სულხან-საბამ დანიშნისთან დაკავშირებით. მიხანშეწონილი იქნება, თუ თხზულების დაწყების ვადად 1680 წელს ჩათვლით, ხოლო დასრულების ვადად კი — 1716-20 წლებს.

„წიგნი სიბრძნე-სიბრუნისა“ ქარგა კიდევ უფრო ვაგვიმტკიცებს იმ აზრს, რომ იგი დაწყებული იყო, ნაწილობრივ მაინც, აღმზრდელიობითი მიზნით. თხზულება ეკუთვნის ქარგიან ოხრომათა („Rahmenerzählungen“) ჯგუფს, რომლის ცნობილ ნიმუშებს წარმოადგენენ „ათას ერთი ლამე“, „დეკამერონი“ და „ენტიტერბერელი თხრობანი“. ამ შემთხვევაში ქარგა, ჩაჩრა არის სამეფო კარი. მთავარი მოქმედი პირები არიან: „დიდი და მალაღი მეფე“ ფინეზი, მისი „ბრძენი

და კვიანი ვაზირი“ სეღრაქი და სეფეთუხტუცისა სიქურისა რეჟა, ფიცხი და თანაჲ ცინაჲურჩი ვანუჲოის ადამიანი.

შესავალში მოთხრობილია, რომ მეფეს მხოლოდ და მხოლოდ უშვილობის დარდი აწუხებდა. ბოლოს დიერობა შეიბრალო ფინეზი და უბოძა ვაჟი, რომელსაც ჯგუზბერი დაარქვა. ბავშვი რომ მოიზარდა, მისი აღზრდა მამას საგონებელი გაუხდა, მაგრამ იხილა სიზმარი, რომელშიაც კეთილშობილი და ბრწყინვალე შესახედობის ქაბუქი გამოცხადდა. ერთ დღეს სანადიროდ წასული მეფე და მისი დიდებულები ხის ქვეშ მძინარე ახალგაზრდას წააწყდნენ. იგი ზედმიწევნით ჰგავდა მეფისაგან სიზმარში ნახულ ქაბუქს. აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდას ლინი ერგვა და ობოლი იყო. მეფემ იგი თავისი ძის, ყრმა უფლისწულის, აღმზრდელად აიყვანა. თხზულების დანარჩენი ნაწილი შეიცავს სხვადასხვა პირებს შორის მოთხრობებით, იგავებითა და აფორიზმებით გაბასებას, რომელშიაც ლინი პოელოზს ხელსაყრელ შემთხვევას, რათა ლიბერალური და ხანდახან კი სპარტული შეხედულებანიც გამოთქვას უფლისწულთა აღზრდისა და ვადლებულებათა შესახებ, ხოლო საქურისა რეჟა აწვეურებს თავის რეალისტურ და იქვენულ თვალსაზრისს ადამიანის ბუნებაზე.

ჩვენ აქ განზრახული არა ვაქვს დაწვრილებით განვიხილოთ მრავალი წყარო იმ მოთხრობებისა და ამბებისა, რომლებიც სულხან-საბამ წიგნს შეადგენენ. ეს საქმე ზინებულად შეასრულა განსვენებულმა ზ. ავილიშვილმა მ. წერეთლის მიერ შესრულებული გერმანული თარგმანისათვის წამდგარებულ ნარკვევში. ორბელიანისაგან გამოყენებული ბევრი მოთხრობისა და არაკის კვალი შეიმჩნება მივაკვლით სპარსულ, თურქულ, არაბულ და თვით ინდურ წყაროებშიც; ორბელიანმა ზოგი, უეჭველად, შეკრიბა თავისი მოგზაურობის დროს შუა აღმოსავლეთში, სპარსეთისა და თურქეთის ჩათვლით, აგრეთვე ამიერკავკასიის მამულიან მცხოვრებლებთან საუბრებში. მისში აღმოჩნდა კვალი ისეთი თხზულებებისა, როგორცია ვარდანის სომხური იგავები; შუა საუკუნეთა „ფიზიოლოგი“, კარგად ცნობილი სომხური და ქართული რედაქციებით; ესოპეს იგავები; „სინდობა-ნამე“, რომელიც „თამაზიანის“ სახელით ცნობილი ქართული რედაქციით მოიპოვება; „ანჯარი სოჰალი“, რომლის ქართულად თარგმანშიაც თვით სულხან-საბამ მიიღო მონაწილეობა; სპარსული „თეთინამე“ ანუ „თეთიყვების წიგნი“, რომელიც ინდური პროტოტიპიდან მომდინარეობს; „ორმო-

¹ გერმანული თარგმანის სატიტულო გვერდზე სიტყვა „ნათქვამი“ (ანუ შეტყაველებად სონონიჲური ვარიანტი „თქმული“) გადმოღებულია როგორც „gesprochen“. ზნა „თქმა“ მართლაც ნიშნავს „ლაბარას“ („to speak“), მაგრამ აქ ნამდვილად „შეთხზულის“ აზრით უფრო არის ნახმარი, ვიდრე „სიტყვით გამოთქმულისა“ („uttered by word of mouth“).

² „ქილილა და დამანა“, ი. კუონის გამოცემა, გვ. 68; იხ. აგრეთვე კ. კვეციანი, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, ტფილისი, 1924, 303. „Книга о мудрости и ажи“ თარგ. ა. ცუგარისა, გვ. VI — VII.

ცი ვაზირის ამბავი¹, „ბახტიარ-ნამე“; მოლა ანუ ზოჯა ნისრედ-დინის სახტმართა თავგადასავალი; „სასაცილა მოთხრობანი“ ბარ ჰებრეთისსა და, შესაძლოა, თვით მიხეტიალე ებრაელის თქმულება.

ამით იმის თქმა არ გვიწინდებს, რომ სულხან-საბამ შოელი რიგი ან თუნდაც უდიდესი ნაწილი თავისი მასალისა პირდაპირ წერილობითი წყაროებიდან ამოკრება. წიგნში ბევრი რამ ქართული ხალხური სიტყვიერებიდანაა შეტანილი, ზოგი კი ორბელიანის ნაყოფიერი წარმოსახვისაგან შემდგომი ორიგინალური მოთხრობებია. კაცმა ისიც უნდა გაითვალისწინოს, როგორც ავღღიშვილი სამართლიანად შენიშნავს, რომ „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“ ბევრი ეუმორისტული მოთხრობა ინტერნაციონალური ხასიათისაა და, როგორც ასეთი, დიდი ხანია შესისხლხორცებულ ქონდა ქართულ ხალხურ სიტყვიერებას². ყველაფერი რომ აფრინ-დაეწინოთ, აღამიანი არ შეიძლება არ განაცვიფროს იმ ზელოვნებამ, რომელთაც სულხან-საბამ ორბელიანმა ერთმანეთში შეადგო ეს ნაირ-ნაირი მასალა, რათა მკაფიო და ჰუმანიტარული ქართული ხალხური სურნელებით გაეღწეოთლი ერთიანი თხზულება შეექმნა.

ეს ნარკვევი უპირატესად ეხება არა წიგნის ცალკე წყაროების ძიებას, არამედ ავტორის იმ იდეალს, ფართული ჩანაფიქრის ნათელყოფას, უმთავრესად გამოვლინებულ რომ არის უცნაურ სათაურში, ანუ, უფრო სწორად, ვრამანეთის გამოთქმულ ორ სათაურში, რომლითაც მოაღწია ჩვენამდე თხზულებამ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სათაურის ორი ვარიანტია: „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“, რაც ნიშნავს „წიგნი სიბრძნისა და სიცრუისა“ („ამაობისა“, „სიყალბისა“ და სხვ.) და „სიბრძნე სიცრუისა“, სიტყვა „წიგნი“-ს ვარაუდ, რაც tout court [ბირდაპირ, უბრალოდ] ნიშნავს „სიცრუის სიბრძნეს“. ბევრი რამაა დამოკიდებული იმაზე, თუ ამათში რომელია ორბელიანის სათაურის სწორი წყაიბი. ერთი წუთით თავს დაეანებებთ ამ სადავო საკითხს და მთელ ყურადღებას მივაყრით წიგნის სახელწოდების მსგავსებას მეორე ქართული კლასიკური ძეგლის „სიბრძნე ბალავარისის“ სახელთან, რომელიც საყოველთაოდ ცნობილი ვახდა შუა საუკუნეების ევროპაში, როგორც ვარლამისა და იოსაფატის ამბავი. ეს ვახლათ ბუდის ცხოვრების ქრისტიანიზებული ვერსია, რომელმაც საქართველოს მოაღწია ფართურისა და არაბელის გზით და შედგომ ვა-

დათქმული იყო ბერძნულად ექვთიმე ათონელის (დაახლ. 955 — 1028) მიერ³.

ქართულში მეცნიერებმა უკვე მიჩვენეს უკუ-რადღება ამ ორ თხზულებას შორის ზოგიერთ მსგავსებას⁴. შესაძლებელი ჩანს, კიდევ უფრო შორსაც წავიდეთ და მივეთვითთ რამდენიმე დამახასიათებელ ნიშნზე, რომლებიც გვაფიქრებინებენ, რომ სულხან-საბამ სწორედ ბალავარია-ნი ქმონდა გულში, ანდა გულის ენწყულში მანინც, როდესაც თავის წიგნზე შეშობას შეუდგა „ჯერ-ერთი, სიტყვა „სიბრძნე“ ორივე სათაურში კლბე-სიტყვის როლში გვხვდება. მეორე: სახელები ფინეს და რუქა, რომლებიც ორბელიანის წიგნის მეფესა და საქურისს ჰქვიათ, ძალიან მოგვაგონებს ინდოელი მეფის აბენეისას (ზოგ ვარიანტში — აბენესის) და მისი ვარსკვლავთმრიცხველი რაქისისს „სიბრძნე ბალავარისში“⁵. მესამე: მკაფიო მსგავსება მოიპოვება ორივე წიგნის ქარგაში — ორივეში მეფე პირველად უწეოლა, მაგრამ ფაიშვილი შევიძინა ლოცვისა და ღვთის შეწვევის შედეგად; ორივეში უფლისწულის აღზრდაა მთავარი საგანი; ორივეში ბრძენი აღმზრდელი გამოჩნდება — ერთ შემთხვევაში სახელწმიფო მოღვაწე და მონაზონი ბალავარი, მეორე შემთხვევაში — ლეონი; ორივეში ერთიერთზე მოქმედება და კილილია ჰუმანიტარული და ყალბ მოძღვრებებს შორის. ოღონდ სამართლიანი კი იქნება ვადაართო, რომ თუ „ბალავარიაში“ რაქისი და მისი თანამომენი გამოხატული არიან, როგორც ქრისტიანობის მოწინააღმდეგენი და, მამასადამე, ბოროტი მოძღვრების წარმომადგენელი, საქურისი რუქა ორბელიანის წიგნში სრულიადაც არ არის მოკლებული კეთილ ზრახვებსა და გაანად მოძღვრებას. ერთადაც ვაზირი სედრაქი ნამდვილად ქათონურთადაც მიმართავს: „შენ ყოველსა მართალს იტყვი“. სავრთოდ, რუქას რელიგიური შეხედულება აღამიანის ბუნებაზე ხელს უწყობს ლეონისა და გუმბერის უფრო ხელისიანი და ოპტიმისტური თვალსაზრისის რელიეფურად წარმოჩენას. ზემოთქმული საყარისად ნათელყოფს, რომ ორბელიანის წიგნი ნაწილობრივ შეიძლება

¹ დ. მ. ლენგი, ექვთიმე ქართული და ვარლამისა და იოსაფატის თქმულება, BSOAS, XVII, 2, 1955, 306-25 [შტრ. ქერს. „მნათობი“, № 3, 1956, 155-68].

² ავღღიშვილი, „Die Weisheit der Lüge“, 14; ა. ბარამიძე, „О мудрости вымысла“, თარგ. ე. ლოლომერძისისა, 8; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია“ (ახალი გამოცემა), II, თბილისი, 1952, 350; კ. კეკელიძე და ა. ბარამიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 402.

³ ბერძნულ „ვარლამისა და იოსაფატის“ მეფის სახელად „აბენეარი“ გვხვდება, ვარსკვლავთმრიცხველისად — „არაქესი“.

¹ შტრ. „The history of the Forty Vizirs.“ done into English by E. J. W. Gibb. London, 1886.

² „Die Weisheit der Lüge“, 33, 30, 45.

მეცნიერთ, ფორმით მაინც, ბუღის ქართული თქმულების ყლორტად.

სულხან-საბა ბერობასა და ლექსიოგრაფობასთან ერთად ენამსწერილი კაცი იყო. თავისი ქართული ლექსიკონის სათარად ჩვეულებრივი სიტყვის — „ლექსიკონის“ — ხმარების ნაცვლად მან მოიგონა „სიტყვის-კონა“, რომელიც მეტ-ნაკლებად შეესატყვისება დადგენილ ტერმინს — „ლექსიკონი“ და ნიშნავს „სიტყვების თავივლს, კრებულს“. სულხან-საბას ენამსწერბელობის, ზმერი თქმის ეს ძარღვი კიდევ უფრო მეტ პოეტურობას ანიჭებს საკითხს — ჩამდენად ზედმიწევნით უნდა გავიგოთ სახელი, ანუ ორი ერთმანეთის გამოშთიშველი სახელი, რომელსაც ის (თუ მისი კომენტატორები) უწოდებს თავის მოთხრობათა კრებულს, ერთი მხრივ, გვაქვს სათარის ფორმა — „სიბრძნე სიტყვისა“, რომელიც გვიანდება, რომ წიგნის მთავარი ღირსება დაფუძნებულია თუ დაურღნობილია სიტყვისა და ტუთილზე; მეორე მხრივ კი, გვაქვს წყობილი „წიგნი სიბრძნე-სიტყვისა“, რომლითაც „აგტორი აგტორად გელისმობს, რომ მას ორბივე განზრახვა აქვს — მკითხველები ზნეობრივი დარიგებებით გააწრთნოს და თანაც მოგონილი ამბებით გაართოს“¹.

ამ საკითხის ორკომუნიკაციო ბუნება კარგად ესმოდა ქართველ პოეტს, მწერალსა და რეფორმატორს ილია ჭავჭავაძის (1837 — 1907), რომელიც წერდა: „საბა ორბელიანმა რომ თავისი ზღაპრები დასწერა, სიბრძნე-სიტყვის წიგნი დაარქვა. მე ზშირად ჩავფიქრებდივარ ამ უცნაურს სახელს წიგნისას. მართლაც, სადაც სიბრძნეა, იქ სიტყვებს რა ხელი აქვს? სიბრძნესთან სიტყვა რა მისატანია? რა სიტყვის მისაღია? რა უფაით ერთმანეთსა? საბა ორბელიანი ეს ბრძენი, დარბაისელი კაცი, რათ იკადრებდა სიბრძნეში გაერია სიტყვე?“ ილია ჭავჭავაძის აზრით, სულხან-საბა გელისმობდა მკითხველებსათვის ეთქვა: „მე ზღაპრს ვებუნებები და სიბრძნეს კი გამცნებო“. მოგონილი ამბები, იგავი ან გამოცანა, რომელიც არ არის დაფუძნებული ფაქტებზე, გარკვევით სიტყვებს გაღმორგევენ. ასეთი მოგონილი ელემენტები, ილია ჭავჭავაძის აზრით, დამატებითს ძალას ანიჭებს ზნეობრივ კუჭმარობებს და ემსახურება ივისა და კარგის ერთმანეთისაგან გარჩევის საქმეს.²

უმთავრესი სიძნელე ის არის, რომ ჩვენ ნამდვილად არ ვიცით, ზუსტად რა სახის სათარ-

რი წაიწერა ორბელიანმა საკეთიარყოფითად თავდაპირველ ხელნაწერს. თუ დამტკიცდება, რომ სულხან-საბამ თვითონვე დაარქვა წიგნს „სიბრძნე სიტყვისა“, „წიგნი“-ს გარეშე, საკითხი გადაწყვეტილი იქნება: ეს ფორმა იმდენად მხოლოდ ერთ გავებას — „სიტყვის სიბრძნე“. ამ საკითხზე მეცნიერთა შორის ორი მიმართულება არსებობს. უფრო ძველს, პროფესორ ა. ცაგარლისა და ოლეგ უორდროვის მეთაურობით და ბროსეს, მურთისა და ა. ხახანაშვილის შემადგენლობითი სათარისების როგორც „წიგნი სიბრძნე-სიტყვისა“ ანუ „წიგნი სიბრძნისა და სიტყვისა“. მეორე მხრივ, პროფესორი წერეთელი მკაცრად ილაშქრებს ამ გავების წინააღმდეგ და დაიქვინა, რომ კუჭმარობა წაიკეთება უნდა იყოს „Die Weisheit der Lüge“, ე. ი. „სიტყვის სიბრძნე“. ეს შეხედულება მიღებულია თანამედროვე თბილისელ მეცნიერთა უმრავლესობის მიერ,³ რომელთაგან, ზოგმა ამაჯობა თარგმანის სათარად — ფორმა „О мудрости ввымысла“ და ამაჯობად „სიტყვე“ შესცვალა უფრო უწყინარი ცნება — „შეობზეა“ („თხულება“, „თხუელი“) ანდა „გამონათვინი“ („მოგონილი“, „შეობზელი“). უნდა აღინიშნოს, რომ განსწავლული ოლეგ უორდროვი ნაწილობრივ გაკრიტიკებულია იქნა ქართველი ნაწილობის მიერ ვითომდა ორბელიანის სათარისი არასწორად გავებისათვის.

რას გვეუბნებიან ხელნაწერები? ორბელიანის ხელნაწერთა საუკეთესო კოლექცია ამჟამად დაცულია საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკაში, რომლის ხელნაწერთა დამუშავილი აღწერილობა (გარდა ერთი-ორი ხარვეზისა) შეიძლება ადამიანმა ვასილჯოს ბრიტანეთის ბუნების ბიბლიოთეკაში. ამის მიხედვით, ორბელიანის ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერთა სათარისების შემდგენარა სურათი წარმოვიდგინებთ:

ს ა ქ ა რ თ ე ე ლ ს ა ხ ა ბ ლ მ წ ი ე თ ო
მ ე ზ ე ე მ ი ს ქ ა რ თ ე ლ ხ ე ლ ნ ა წ ე რ თ ა
H კ ო ლ ე ქ ე ი ა

H 65, 1851 წლისა: „წიგნი სიბრძნე სიტყვის ამბავი“, ე. ი. წიგნი [შემცველი] სიბრძნისა [და] სიტყვის ამბისა“.

H 287, 1817 წლისა: „წიგნი სიბრძნე სიტყვისა, თქმული საბა ორბელიანისა...“ ე. ი. „წიგ-

კლასიკური თხულებათა შორის, რომლებიც ჩამოთვლილი აქვს აღქმსანდრე ორბელიანს (1801-69) ეურნალ-ცისკარში“, ფელისი, 1858, გვ. 128. აღქმსანდრე ორბელიანი, მართალია, შორეული, მაგრამ მაინც ნათესავი იყო სულხან-საბასი.

ბიბლიოგრაფია იხილე გ. იმედაშვილის ნაშრომში: „წიგნი სიბრძნე-სიტყვისა“-ს სათარისი გავებისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XV, № 5, 1954, 303—4.

3 იხ. მაგ., ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბილისი, 1940, 257; ლ. მენაბდე, სულხან-საბა ორბელიანი, მონოგრაფია, თბილისი, 1953, 80.

1 ოლეგ უორდროვი, წინასიტყვაობა თარგმანის „The Book of Wisdom and Lies“, X. 2 ილია ჭავჭავაძე, „ჩვენი ელანდელი სიბრძნე-სიტყვე“ (ამფლტბი), 1896. ვადმოხუცილი ილია ჭავჭავაძის თხულებათა კრებულში, ტ. IX, ტფილისი, 1928, 270-1. უნდა შევნიშნოთ, აგრეთვე, რომ სულხან-საბას წიგნი, სიბრძნე-სიტყვის“ სახელით გვხვდება იმ ქართულ

ნი სიბრძნისა [და] სიტყვისა, შეთხზული საბა ორბელიანის მიერ...¹

H 292 (მცხრამეტე საუკუნისა): „წიგნი სიბრძნე-სიტყვისა“.

H 407, 1822 წლისა: „წიგნი სიბრძნე სიტყვისა, ნათქვამი სულხან ორბელიანისა...“

H 1233, 1839 წლისა, ანდერძში წერია: „დასრულდა წიგნი ესე სიბრძნე-სიტყვისა...“

H 1290 (მცხრამეტე საუკუნისა): სათაური ისეთივე აქვს, როგორც ხელნაწერს H 407.

არსებობს აგრეთვე ამ თხზულების ხელნაწერები, რომელთაც თავფურცელზე აქვია.

კიდევ რამდენიმე ხელნაწერი მოიპოვება ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში.¹

ქ უ თ ა ი ს ი ს კ ო ლ ე ქ ი ა

H 225 (მცხრამეტე საუკუნისა): სათაური ისეთივე აქვს, როგორც ხელნაწერს H 407.

H 226, 1834 წლისა: ისეთივე სათაური აქვს.

ორი-სამი ხელნაწერია აგრეთვე ლენინგრადში, რომელთაგან ერთი ფრანგულშია². ამ ხელნაწერებზე ამჟამად ხელი არ მივაყვებდები, მაგრამ რაკი ისინი დავარჯელს ხელთა ჰქონია, იბლათ შათი სათაურები იქნება „წიგნი სიბრძნე-სიტყვისა“, რომელიც მან საბოლოოდ აღიარა.

ამხარადა, ამჟამად, რომ ჩვენს ხელთ მყოფ ხელნაწერთაგან არც ერთს არა აქვს მოკლე სათაური „სიბრძნე სიტყვისა“, რომელსაც პროფესორი წერეთელი რჩევობს. საერთოდ, აღარ რეზულება, რომ სულხან-საბას ორიგინალი აღარ არაბ ხელმისაწვდომი, არც რომელიმე ისეთი სრული ხელნაწერი მოიპოვება, რომელიც ევტოროს ვარდაცვალებიდან ერთ საუკუნეზე ადრე იყოს ვადარბროლი. მაგრამ არ შეიძლება არ ვეფიქროთ, რომ ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერთაგან ზოგიერთი მაინც წარმოგვიდგენს ორბელიანის ხარაგებს და რომ მოკლე სათაურის მქონე ხელნაწერების არარსებობა საბუთია პროფესორ წერეთლის ვაგების წინააღმდეგ.

მაგრამ პროფესორე წერეთელი და ამ საკითხზე მისი შეხედულების მქონენი ხელნაწერთა გადმოცემაზე არ ამყარებენ თავიანთ დასაბუთებას. სკობს, რომ სათაური შესწორდეს როგორც „სიბრძნე სიტყვისა“, ან „Die Weisheit der Lüge“, რადგან ორბელიანს განზრახული ჰქონდა, — ასე ამტკიცებენ ისინი, — გადმოცემა არი „die in den Fabeln steckende Weisheit“³ (აიგავებში ჩაქსოვილი სიბრძ-

¹ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, შედგენილი ე. ნიკოლაძის მიერ, კ. კეკელიძის რედაქციით, თბილისი, 1953, 406.

² P. P. Орбели, Собрание грузинских рукописей Института Востоковедения Академии Наук СССР, Ученые Записки Института Востоковедения (Москва); IX, 1954, 57—8; Книга мудрости и лжи, пер. Цагарели, XIII—XIV.

³ „Die Weisheit der Lüge“, XV.

ნისაო). ამგვარად, წიგნის სიბრძნე დაფუძნებულია, გამომდინარეობს თუ შედგება „სიტყვის“ ელემენტებისაგან, რომელსაც პროფესორი წერეთელი ანიჭებს ორმაგ მნიშვნელობას „Fabel“-ის (აიგავების) და „Lüge“-სი (სიტყვისა).

სულხან-საბამ თვითონვე დავიტოვა შკაფით განსაზღვრა, როგორც ესმოდა მას სიტყვა „სიტყვე“. თავის ქართულ ლექსიკონში იგი განმარტავს მას როგორც „დიდ სიმტყუნეს“ და იქვე მიუთითებს V ფსალმუნს. შემდეგ, იმავე ლექსიკონში „ტყუელი“ ასეა ახსნილი: „ტყუილი განიფოფების სამად: ცრუბად, ცილად და კორადა. სიტყუე არს სრულიად ტყუეული იყოს; ცილი არს შეუწამეული და მსავსი ტყუილსა; ხოლო კორი არს რა ჰამაზე გიომსა და ჰამბის მომღები არს საცანერ იყოს და არცაინ ჰამბისა მის ჰეშმარტობა იყოდეს“. შეიძლება დავუმატოთ, რომ ახლანდელ გამოცემულ ქართულ სინონიმთა ლექსიკონში „სიტყვის“ ექვივალენტებად აგრეთვე მოტანილია სიტყვები „ლყაფა“ და „მეჭარბა“¹.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ სიბრძნისათვის მასალა ნაკლებად ჩანს. თუ მივმართავთ ქართული ოთხთავის უძველეს რედაქციებს, სიტყვისათვის — „სიტყვე“ — შიწერილი დამამკრობელი, დამამაბლებელი მნიშვნელობა კიდევ უფრო შეავლითა. იბლენ, მაგალითად, ოთხე VII, 18 „რომელიც ეძიებენ დიდებასა მომავლინებელისა თვისისა, იგი ჰეშმარტ არს, და სიტყვეშ („unrighteousness“) არა არს მის თანა“, ანდა ლევა XVI, 11: „სიტყვესა მას მოინაფსა“) (sin the unrighteous mammon) და ასევე ლევა XVI, 9. შიბაზე თქმულ სწავლაში ეს სიტყვა შემდეგ კონტექსტში გვხვდება: „ნეტარ იყუნეთ თქუნ, რაემს გუეუდრადენ... და თქუნე უფელი სიტყუდა ზორტო თქუნედა მიმართ სიტყუეთი ჩემოვს“ (მთე 5, 11). ანგარებთან მორტავს ივავთ (ლევა XVI, 8) „მენე სიტყვისა“ ეწოლება. იგივე ეპითეტია ნახმარი ესამართლო მსაჯულის მიმართ (ლევა XVIII, 6). დასასრულ, „ესამართლობის“, „ზორტობის“ ჩამოწენი (ლევა XIII, 27) იწოდებთან, როგორც „მოქმედნი სიტყუისანი“². სამწუხარო იქნებოდა გვეფიქრა, რომ ისეთი დაბაბისელი მწერალი, როგორც სულხან-საბა, ქადაგებდა მომღებებს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ამისთანა სავეკო ღირსებებზე იყო დიფუნდებული.

მოხედავად ისეთი ვუძანისა, ამ სტრიქონების ევტორი ვერ გახედავდა შეეძებულიყო პროფესორ წერეთლის დებულებაში, რომ სხვა ქარ-

¹ ა. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი, 1951, გვ. 295.

² ეს მაგალითები ამოღებულია ი. იმნაიშვილის „ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონიდან“, თბილისი, 1948-9, გვ. 540.

თველი მეცნიერებიც, რომელთაც უკეთ შეეძ-
ლიათ განსაჯონ თავიანთი საკუთარი ენის სი-
ნატიფენი, ვიდრე რომელიმე უცხოელმა, სხვა
აზრს არ დასდგომოდნენ. თავდამირველი თბა-
ლისელმა სწავლულებმა ფრიალ გაიბარეს, როცა
აღმოაჩინეს, ცაგარელი და უორდრობი სიღვე-
ნიან, ორბელიანის წიგნი სიბრძნისა და სიკრუ-
ის ერთგვარ წარვედ რომ მიანიათო¹. სიკრუტე
უკვე ისე ეგვენებოდათ, თითქოს სულაც აღარ
იყო სიკრუტე, არამედ — „вымысел“, „Dich-
tung“ ანუ გონებაშეხილური მონაგონი, თხზუ-
ლება².

ბოლო ხანებში კი სიო შეიქცალა და თბილ-
სელი მეცნიერები თითქოს აღიარებენ, რომ ცა-
გარელი და უორდრობი ბოლოს და ბოლოს მარ-
თაღნი იყვნენ. მეცნიერ გ. იმედაშვილის მიერ
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მო-
ამბეში გამოქვეყნებული ნაშრომი აჯამებს სა-
ბუთებს უფრო ძველი შეხედულებისაგან მიბ-
რუნებისათვის.

ავტორს, რომელიც რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ისტორიის³ ინსტიტუ-
ტის თანამშრომელია, მიზნად დაუსაზავს დამ-
ტკიცოს, რომ გამოთქმა — „წიგნი სიბრძნე-სიკრ-
უისა“ — ზედმიწევნით შეესაბამება ქართული
გრატიკისა და სიტყვათა ხმარების წესებს. ზო-
გმა წამოაყენა საბუთი, რომ ეს გამოთქმა არ
შეიძლება ვაგვეთლიყო, როგორც „წიგნი სიბ-
რძნისა და სიკრუის“, რადგან ამ აზრის გადმო-
ცემა მოითხოვდა ორ უკანასკნელ სიტყვას შო-
რის „და“ კავშირის ჩასმის და სიტყვა „სიბრძ-
ნის“ კი ნათესაობით ბრუნვაში ყოფნას. ამრი-
ვად, ცაგარელსა და უორდრობის მტკიცების შე-
ნაშაბისად, ორბელიანის წიგნის სათაური უნდა
ყოფილიყო „წიგნი სიბრძნისა და სიკრუის“⁴.
ცინე ქართულ გრატიკაში მოკოტლებს, უნდა
მოვასხნოთ, რომ ორბელიანის წიგნის სათაურ-
ში სიტყვა „სიბრძნე“ მართლაც საწყის ანუ სა-
ხელობითი ბრუნვის ფორმაში გვაქვს, უკანასკ-
ნელი სიტყვა „სიკრუისა“ კი — ნათესაობითი;
არჩივენი დღევისით არიან შეერთებულნი.

ახლა გ. იმედაშვილი მიუთითებს, რომ ასეთი
განმარტება უსაფუძვლოა, რაკი ქართულში მრავ-
ალი შედგენილი არსებითი სახელია, სადაც

¹ ცაგარელს გარდაცვალების შემდეგ გამოქ-
ვეყნებულ მის თარგმანში, რომელიც ს. იორდ-
ანიშვილისა და ა. ტინიანოვის რედაქციით გა-
მოვიდა თბილისში 1939 წელს, სათაური თვით-
ნებურადაა შეცვლილი, როგორც „Мудрость
лжи“.

² შტრ. ე. ლიბოზეროდის მიერ მიღებულ
სათაური თავისი თარგმანისათვის — „О муд-
рости вымысла“.

³ გ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ის-
ტორია, II, ტფილისი, 1924, გვ. 301.

ორ სიტყვას ერთმანეთთან „და“ კავშირის მ-
გვიერ, ისევე როგორც ორბელიანის სათაურში,
დღეისი აერთებს. ბრუნვის დროს ამ სახელებზე
დან შშოლოდ მეორე იბრუნვის, პირველი კი საწყ-
ის ფორმაში ანუ სახელობით ბრუნვაშივე რჩე-
ბა, თანხმად გამოყენებული სახელის ტრიახა და
კეთილშეგონების წესებისა. გ. იმედაშვილის
საბუთის ნათელიუფისათვის სახელდახელოდ
რამდენიმე მაგალითი ამოვიკრიბეთ ლექსიკონი-
დან:

სახელობითი	ნათესაობითი
ბარგი-ბარხანა	ბარგი-ბარხნისა
ზაზარ-ქუნა	ზაზარ-ქუნისა
დედ-მამა	დედ-მამისა (მძრ. დედ-მამის მყოლი)
წერა-კითხვა	წერა-კითხვისა (მგ., წერა-კითხვის საზოგადოება)
ერბო-კვერცხი	ერბო-კვერცხისა
ივავ-არაკი	ივავ-არაკისა
მუშტი-კრივი	მუშტი-კრივისა
ზნე-ჩვეულება	ზნე-ჩვეულებისა

ზემოჩამოთვლილი სიტყვები უზარატესად წარ-
მოადგენენ მონათესავე ანდა ერთმანეთის შემგ-
სებელი მნიშვნელობის მქონე არსებით სახე-
ლებს, რომელნიც გვერდი-გვერდ დგანან, რათი
განსაზღვრონ, განმარტონ და გაიმაგრონ ერთ-
მანეთი.

ორიოდე მაგალითიც გვხვდება აშკარად საწი-
ნაოღმდეგო შინაარსის მქონე სიტყვების იშნაი-
რად შეერთებისა, როგორც ორბელიანის სათაურ-
შია — მაგალითად, „დატაკ-მდიდარი“, ნათესა-
ობითი: „დატაკ-მდიდრისა“.

ურიგო არ იქნება შევნიშნოთ ავტრევე, რომ
კავშირი „და“ გამოტოვებულია ბევრი ქართული
რომანისა და პოემის სათაურში და საჭირო
ხდება მისი ჩართვა, როცა ეს სათაურები სხვა
რომელიმე უცხო ენაზე ითარგმნება. მაგალითად,
„ვისბამიანი“ — „ვისისა და რამინის (რომანი)“;
„ვარდულებიანი“ — „ვარდისა და ბულბუ-
ლის (ამბავი)“, თარგმნილი სპარსულადან თეი-
მურაზ I-ის მიერ მეჩვიდმეტე საუკუნეში: „ქალ-
ფეთიანი“ — „ქალისა და ვაჟის (ამბავი)“.

ეს მაგალითები საყმარისი უნდა იყოს იმის
დასამტკიცებლად, რომ ქართული გრატიკის
კანონები სულხან-საბას სრულ უფლებას აძლევ-
და შეექმნა „სიბრძნე-სიკრუის“ მსგავსი რთუ-
ლი, შედგენილი არსებითი სახელი, რათი ბრძნე-
ლი და სულელური ივავების ერთმანეთში შერე-
ულობისა და საღი, ჭკვიანური მოძღვრების უაზ-
როსთან დაპირისპირების იდეა გადმოეცა. სა-
კითხის ასეთი ახსნა თავს ავგარიდებინებს წიგნ-

ში მოცემული რაიმე სიბრძნე მხოლოდ და მხოლოდ სიცრუესა და აბღაუბდაზე დამოკიდებულად ეცნობ, როგორც ამას პროფესორი წერეთელი ნიჟის.

გრამანაკა რომ გვერდზე გადავდეთ, ყოველივე ეს როგორ შეესაბამება თვით წიგნის განწყობილებასა და შინაარსს? უპირველეს ყოვლისა თავიდან უნდა მოვიშორეთ ის აზრი, რომ თხზულების ერთი რომელიმე გმირი ბრძნელი მოძღვრების წარმომადგენელია, მეორე კი — ცრუსა ან ყალბისა. ცვატევილი საქურის რქვას რაღაც ეშვავის მოციქულად ხატავდა, წინააღმდეგ ბრძენი ლეონისა და კეშმარიტების სხვა წარმომადგენლებისა, მაგრამ წიგნის სახელდახელოდ ვაძიანსჯავდ კი ააშკარავებს, რომ ნამდილად ქუისი დამრიგებელი და სულელური მოთხრობები მტრ-ნაღლებად თანაბრად ნაწილდება სხვადასხვა მობაასეთა შორის.

მართლაც მოქმედი პირები კი არა, წიგნის იგავები და ამბები იყოფა ორ ჯგუფად: ერთი მხრივ, გვაქვს ლეონისა და სხვათა მთელი სერია დიდაქტიური დარიგებებისა მეფეებისა და ვაზირების მოვალეობისათვის, ახალგაზრდების აღზრდის საუკეთესო მეთოდისათვის, პატიოსანი და ზეფიქრი ქვეყის უპირატესობისათვის და სხვა, ერთი სიტყვით, ის მასალა, რომლისაგანაც შედგება აღმოსავლური ლიტერატურისათვის ასე ძვირფასი მრავალი „სარკე უფლისწულთათვის“. ეს დარიგებანი შემარებელია მოთხრობებით, რომელნიც ვართობის, დინტერესების ხერხით ასურათებენ სულგრძელობის, გულკეთილობის გამჭკაპობის ანდა ღვთისმოსაობის დარსებებს. ასეთი მოთხრობები ხშირად მოგვაგონებენ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ესოპესა და ლფონტენის ტექნიკას, ან ეგზოტრიკიან შილა (ანუ ზოჯა) ნასრ-ედ-დინის მზარულ და თანაც ეთოლოგიურ გამონათქვამებს; სხვანი კი დღევანდელი აიონ ქართულ ხალხურ იგავებსა და ალეგორიებზე.

ამყარად სხვა ხასიათისაა ბევრი მოთხრობა და ეპიზოდი, რომლებიც „სიცრუის“ სხვადასხვა სახეს ასურათებენ. ამათ შორის გამოირჩევა ღმერთობის დამემებელი მეფისა და მისი ვაზირის არაკი¹.

„ყო ერთი მეფე, ღმერთობას ზემულობდა და ვერც ვერაიენ ეტყოდა, რომ ღმერთი არა ხარო. ერთი კვირანი და კარგი ვაზირი უკვა. მან მოახსენა: — რადგან შენ ღმერთი ხარ, მაშა მე შენი ანგელოზობა მიმოქო — უბოძა მან ღმერთთან თავისი ანგელოზობა. გამოხდა ხანი.

¹ „Книга мудрости и лжи“, თარგმანი ა. ცვაგარლისა, 179.

² წერეთლის გერმანულ თარგმანში, გვ. 142 № 59; „Der König, der sich für einen Gott hielt und sein Engel“. [გ. ლენტიძისა და ს. იორდანიშვილის გამოცემაში (თბილისი, 1938) გვ. 72].

უბრძანა მან ღმერთთან მას ანგელოზობა — მრადი, სასწაული ექმნათი! — მისმან ანგელოზობა მოახსენა: — თუ მისმან, უცხო სულებს ვაქვრეს წაუღებ გაქნევიანებო. — დუჯერა. დააცლევინა სახლები მეფისა. სრულად წებვითა და ცხოვართა და ზოხათა ვაშეითა ააყესებინა. გამოხდა კარი. ზახულის ეამი იყო ათი დღე დაიყოენა. მეთერთმეტე დღეს მივიდნენ — ჩვენი ნაქმარი სასწაული ვნახათო. — დააღეს კარები, ნახეს სულ მატლი, კია და ფენდერა დახვეოდა და დია აყროლებულიყო. მეფემან უთხრა ვაზირსა: — ეს რავგარი სასწაულიაო? — ვაზირმან მოახსენა: — შენ რომ ღმერთი ხარ და მე შენი ანგელოზი ჩვენგან ვსეც დიდი სასწაულის ქმნა არის და არც უფროსი გამოგვივაო“.

ეს მოთხრობა კარგი მაგალითია „სიცრუის“ ქართული მნიშვნელობის ერთი სახისთვის, სახელდობრ, ამოცებისა, თვალშიაქცობისა და ცთომილებისათვის. ეს არ არის ისეთი შემთხვევა, როცა სიბრძნე შედგება ანდა გამოიღინარეობს სიცრუისაგან. არ შეიძლება, თუ პროფესორი წერეთელი ნებსს გვიმოქმებს, ვთქვათ, რომ „Weisheit“ („სიბრძნე“) იყოს ამ ხელწიფის „Lüge“-ში („სიცრუეში“); აქ უფრო სიბრძნის დამირისპირების შემთხვევაა სიცრუესთან დავით წარმოადგენს მეორის ანტითეზისს.

მოთხრობების მეორე ჯგუფში ემსახურება მხოლოდ საამო, გასართობი ზერხით ადამიანების ჭკუანაკლებობის, ყვეყრობის დასურათების საქმეს. ამ ჯგუფის დამახასიათებელია სამი ყრუს და ყადის ამბავი!

ერთი ყრუ კაცი იყო და ხარი დაკარგა. საძებნელად წავიდა. ერთი კაცი შემოეყარა. კოხტვა დიუწყო. თურე ის კაცი უფრო ყრუ იყო დავირი თურე ეხოუნა. მან ხარისა ვერა შეიტყო. ასე უთხრა: — ვირი თუ შენია, საბოვენელა მაინც მომეცო — ერთმანეთისა ვერა შეიტყეს. ერთი ცხენოსანი კაცი მოვილოდა და ქალი ვინმე გავას უკდა. მივიდნენ მასთან. ამან ამისი ხარისა უთხრა, მან მისი ვირისა. თურე ის უფრო ყრუ იყო ეგონა, დიაცს მართოვეწო. ფიცო თქვა: — ცოლი მომიყვდა და ეს მისი მოხალე არისო. სხვისა, წუ ჰგონებო. — ვერც ერთმა ვერა ვაიგეს რა. ყადი წვიდნენ, ყველა თათისი ხეჩივარი თქვა. ყადი თურე სიბერით დაურებულიყო. რამახანი იყო. ეს მოჩივარი მთავარს გამოჩენის მახარობელნი ეგონა. თქვა: — რადგან მთავარ უნახვენ, ნღარას კართო. — ვერც ერთმან ვერა ვაიგეს რა“.

ამისთანა მოთხრობები ამყარა ზერელებობას უნდა უმაღლიდენ თავიანთ იუმორს, მაგრამ ვერაიენ იტყვის, რომ დიდი სიბრძნე იყოს მათში. ასევე თქმის სხვა მთელი ჯგუფის შესახებ, რომლის მოთხრობებიც არამართალი ანუ „ყალ-

¹ წერეთლის თარგმანი, გვ. 84 — 5, № 17 [გ. ლენტიძისა და ს. იორდანიშვილის გამოცემა გვ. 27].

ბა" არა იმიტომ, რომ შეიცავენ აღმანერო შეკდომის რაიმე შემთხვევას, არამედ იმიტომ, რომ ისინი უბრალოდ მომდინარეობენ უწყინარი სურვილიდან, რათა ხალხის ბუნებრივი გულბრკვილობა მოატყუონ. ამ ტიპის დაუჯერებელი ამბები, რომელნიც ბარონ შიენმაუხენისას ედარებინან, წარმოადგენენ ვარკვეულ ენის ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში¹. მართლაც, ზანდახან გვეხედება შეჯიბრებათა ამბავი, რომელშიაც ყველაზე უფრო ფანტასტიკური და უთავბლო ამბის მოქმელი ლებულოზს ჯიღღოს. ამ ჯურის არაჩვეულებრივი მოთხრობები საქმიოდ ბევრია ორბელიანის წიგნში. კერძოდ, შიგ მოვლი გვეუფთა მოთხრობებისა, რომლებიც თითქმის აღზრდელ ლეონს უამებს დიდორას ქვეყანაში, სადაც არასოდეს არავითარი სწორი ან მართალი არ იქმნოდა; ყველა, დიდი და პატარა, ცრუ იყო. „მართალს ვერავინ იტყოდა. თუ ვინმე იტყოდა, დიდი სირცხვილი იყო“².

დიდორაში ვაგონიდ დაუჯერებელ ამბებს შორის შეიძლება ვაგისხენათ ბრძა ავაზას ამბავი, რომელსაც პატრონმა კატა დააკრა თავზე, რის შემდეგაც ავაზამ ჩინებულად შეძლო ნადირობა კატის თვალების შეწყობით; ხოხობის ამბავი, რომელსაც მონადირემ მათრახი ესროლა, მათრახი კისერზე ჩამოეცვა ხოხობს და შეზღვეში მისი ყველა ბარტყი მათრახთან გამოიჩნევა; ანდა ამბავი იმ კაცისა, რომელსაც თავი მოსჭრეს, მაგრამ მოკრილი თავის ადგილას ტაფის დადებით გადაურჩა სიკვდილს, იცოცხლა დიდახანს, შექმნა სამი თუ ოთხი შვილი, ოღონდ ყველანი თავტაფიანები.

უამკველდ უსამართლობა იქნებოდა სულხან-საბასთვის დაგვებრალებინა, რომ იგი სერიოზულად ეყარობოდა ასეთ აბადებდა ფანტაზიებს, ანდა, რომ გასართობი ღირსების გარდა, სხვა რაიმე ფასს ანიჭებდა მათ. ავტორი მართლაც ცდილობს ვაბათილოს ისინი, რადგან ლეონს ათქმევინებს: „აქა მათმან ტყუილმან გამაყიკრეა. მრავალი სხვა ასეთი ტყუილი ითქვა, ვერც დავისწავლედ და არც შეფეთ წინაშე აკადრებოა“³. ეს ცხადყოფს, რომ უცნაური, ახირებული, მოგონილი ელემენტი მხოლოდ წარმოადგენს შაქარს, რომლითაც ორბელიანი მოსავეს სწავლადარებების აბს. სიბრძნე კი არის აბი, მაგრამ შეკდომა იქნებოდა, რომ მისი სამოსლისათვის რაიმე დიდპეტყერი ანდა მკურნავი⁴ თვისება მიგვეწერა.

სულხან-საბას რომ კარგად ესმოდა „სიბრძნეს“ და სიცრუეს“ შორის განსხვავება, მტკიცედება მისივე ქართული ლექსიონის რაღაც განმარტებით. სიტყვა „ივავს“ იგი ხსნის, როგორც სიტყვით გამოხატულ „მეაგიოს“, ალგორითის ანუ არაკს ანდა ჰეუსის სასწავლ ნიშნებს. ეს განსაზღვრა სრულიად განსხვავდება „ზღაპრისაგან“, რომელიც, ორბელიანის განმარტებით, არს მოგონებელი ტყუილი ამბავად შეგვეგებებული და არა ქმნილი მყოფობით“. რაკი სულხან-საბას წიგნი ორივესაგან, „ივავებისა“ და „ზღაპრებისაგან“, არის შედგენილი, მაშასადამე, იგი, თვით ავტორის განსაზღვრის თანახმად, ცალ-ცალკე უნდა შეიცავდეს ჰეუსისადამირებულ მაგალითებსაც და მონაცონ ფანტაზიებსაც; მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ამ წიგნის სიბრძნე, როგორც პროფესორ წერეთლის სურს დავაგარწმუნოს, მოთავსებულია წარმოსახვის, ოცნებისა და ფანტაზიის საკეთულებში, რომლებითაც იგი არის მოქარგული.

ეს ვარკვეობა კიდევ უფრო აშკარადდება წინასიტყვაობაში „ქილილა და დამანას“ ქართული ევრსიისა, რომლის შედგენაშიაც თვითონ სულხან-საბა თანამშრომლობდა ვახტანგ VI-სთან, ამისთანა თხზულებებში, როგორც მთარგმნელები წერენ, „სასიბრძნო სწავლა“ და „საცრუეო არაკები“ ერთმანეთშია არეული; მათ „შეცნენინი — სასარგებლოდ და უშეცარნი სალიზღობელად უნდა იკითხვიდნენ“. ეს სულხან-საბას საკუთარ მოთხრობათა წიგნსაც პირდაპირ შეესაბამება. სიბრძნე უპირისპირდება სისულელეს; სიტყვად — მანკიერებას; ყალბი, ცრუ მოძღვრება — ქეშმარიტს. ვასართობად გათვალისწინებული დაუჯერებელი ამბები მოთავსებულია ჰეუსის სასწავლებელი ივავების გვერდით. უბრძნეს აფორიზმებს სრულიად შეუსაბამო, უაზრო ზღაპრები მოსდევს.

სულხან-საბა ორბელიანისათვის სიბრძნე და ქეშმარიტება არ გამოდის სიცრუისაგან და არც დაფუძნებულია მასზე. სიბრძნე უფრო სიცრუის საწინააღმდეგეო წამალია; ტყუილთან დაპირისპირებით სიბრძნე უფრო ბრწყინვალედ გამოჰგებს. როცა, ამასთანავე, მხედველობაში მივიღებთ ზენაწერთა ჩვენებებსა და ქართული ვრამატკის წესებს, აშკარაა, რომ ცვაარლისა და უორდრომისეული წაკითხვა სულხან-საბას უცნაური სათაურისა, როგორც „წიგნი სიბრძნისა და სიცრუის“, სწორია. ვერავითარი სხვა ვაგება ვერ გადმოცემს ზედმიწევნით ვერც წიგნის შინაარსს და ვერც ავტორის ხასიათსა და ზანადიჭრს.

¹ შლრ. მარჯორი უორდრობი, ქართული ხალხური ზღაპრები, ლონდონი, 1894.

² წერეთლის თარგმანი, გვ. 185. [გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის გამოცემა. გვ. 105]

³ წერეთლის თარგმანი, გვ. 193. [გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის გამოცემა. გვ. 110].

⁴ ი. კონონას გამოცემა, ტფილისი, 1886, გვ. 1—2 შლრ. ავრთემა „Anvár-i Suhaili or The lights of Canopus“, trans. E. B. Eastwick. Hertford, 1854, Preface, 4—5.

ზალა პლახიძე



მერიკო ანტაფარიმე

(ლიტერატურული ესეიზი)

ჯორჯო ვაზარი წერდა ლეონარდო და ვინჩის ჯოჯონდის შესახებ: „ყელის ჩაღრმავებაში, ყურადღებით თუ დაიკვირდებით, შეიძლება დაინახოთ ბელსის ფეხები“. ასეთივე „ფიზიკურ შეგრძობას იწყებს ხშირად ვეროკო ანჯაფაროდის თამაში სიენაზე: თითქოს მსახიობის პულსის ცემა გესმით, თუ როგორ ჩქვებს სისხლი საფეთქელში, გრძნობთ დაძაბულ ნერვებს ვინჩისა, გაიწყლებათ, რომ თქვენ წინ მსახიობა და მოქმედ პირის ტანჯვითა და სიხარულით ცხოვრობთ.

აჰ, დენანტოსის წყველა, მუსიკით გაძლიერებული, ერთნატივლის მომგვრელი, თითქოს ყველა მოქმედი პირისა და მკურნალების გულს მძიმე ლოღობით დააწვა, ნებისყოფის ნატამალიც კი წაართვა, თანდათან შეწყდა იგივეთის გულის ცემა, გაიყინა, გაქვევდა იგი, თითქოს მხოლოდ შინაგანი მღვლელებით სუნთქავს და არა პაერით... უფროდ გაისმის ვეროკოს შექაჩე შეძახილი: „სიტყუი, რამინო!“ და თბილმა ტალღებმა მოიცა მთელი დარბაზი, მკურნებელმა თავისუფლად ამოისუნთქა, ბერძნული მღვრეობა და სიციცხლის, სიყვითისა და სიყვარულისა.

დაახლოვებით ასეთივე შთაბეჭდილებას ტოვებს ოლინდ სხვა იდეურ-პსიქოლოგიურ პლანში, ჯეირას შეძახილი: „ბაბაე, საღა ხარ!“ ვაჟ-ფშაველს „მოკვეთილში“. ეს „კრემნდო“, ხმის გაძლიერება, ორივე შემთხვევაში მომზადებულია მთელი როლის შესაბამისად-დრამატული ინტერპრეტაციით.

ნერვული ექსპრესია თანამედროვე მსახიობისა, რომელმაც გადაიტანა ომებისა და რევოლუციების ქარიშხალი, ვეროკოს შემოქმედებაში არასდროს არ გადადის ნევრასტენიაში. იგი მთლიანად ჯანსაღი ტალანტი, არაერთგვაროვანი და კლნიკური ნატურალიზმი, რითაც ასე სილოდადა დეკადენტური თეატრი. ამის ცდუნება კი დიდი იყო ომ დროს, როდესაც ვეროკო ანჯაფაროდის პირველად გამოვიდა სიენაზე, 1919 წელს. ფრანგული ახალი თეატრის ფუძემდებლის ანდრე ანტუანის მოწაფემ რეჟისორმა ვიორჯო ჯაბადარმა დადგა ოპერის თეატრში ევენ ბრესის პიესა „სარწმუნოება“. ვე-

როკი ეგვიპტელი ქალიშვილის იაუმას როლს ასრულებდა. მსახიობისათვის პირველი როლი იგივეა, რაც შეყვარებულსათვის პირველი სიყვარული, მისი სურნელება არასოდეს მოისპობა შემდგომში წლებს მანძილზე. ბედნიერად ვთვლი ჩემ თავს, რომ შემთხვევა მომეცა ვყოფილიყავი ვეროკოს პირველი მკურნებელი, სხვებთან ერთად. ჩემი აზრით, იაუმაში ჩაისახა ის თეატრალური თრთოლეა, ნერვული დაძაბულობა, ხმის თავისებური ინტონაციური ელერალობა, რაც ასე მძლავრად გამომეტადნდა მსახიობის შემდგომ სიენურ სახეებში, იქნება ეს ოფელია, დეზდემონა, ივლითი თუ ლარისა, კლემანტრა, მემენე-ნე-ბანუ...

ვეროკო ანჯაფაროდის უაღრესად თეატრალური მსახიობია.

სამწუხაროდ, სიტყვა „თეატრალური“ გაცეცითილი და დამტკბილებელი ვახდა. ბევრს ეშინია ამ სიტყვის წარმოთქმისა: „თეატრალური“, მასმასაღამე, არარეალისტური? ის კი ავიწყლებათ, რომ თეატრალურობა — სიენიურა რეალიზმის ერთ-ერთი სახეა. მართალია, გერცემმა შრეკეისს უღიღეს ღირსებად და დამსახურებად ის აღიარა, რომ იგი იყო „არათეატრალური თეატრში“, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ უკიდურესობამდე მიყვანილი ვერცეისს ეს ფორმულა საბერძნოლ ფუნქციას ასრულებდა თავისდროისათვის ცერქვასიურა „თეატრალური“ სიყვარულის წინააღმდეგ (გულში ხელს ცემა, ზეპყარობილი თვალეზი, სიენაზე მსახიობი კი არ დადიოდა, არამედ ვიღოდა და სხვ.). საქართველოში ცერქვასიციზმი არ არსებობდა. იყო რეალიზმი, და იყო რომანტიზმი. ხშირად ორივე ერთად თანაარსებობდა, ან როგორც მითართებულა, ან ერთსადაიმდე შემოქმედში. ზოგს ჰგონია, რომ შექსპირის „რომეო და ჯულიეტაში“ სიენა აივანთან — რომანტიზმი, (ნიტილმ, ზომ არა, რომ აქ სიყვარულის ახსნაა?), მაგრამ ეს სიენა — უდიდესი რეალიზმი, ცხადია არა სახელმწიფანელოდანი ამოკითხული რეალიზმი, უფროთა და არამეტერი, რომელიც ნატურალიზმს უფრო წააგავს. სამაგიეროდ ამავე ტრადიციში რომანტიზმი — ქუჩაში სისხლისღვრის სიენები (რომანტიზმი ვალ-

ტერ-სკოტის სკოლის გავებით). ერთხელ კოტე მარჯანიშვილმა საუბარში თქვა, არ შეიძლება რომ ტრაგიკოსო-მსახიობი რომანტიკოსი არ იყოს. დღად, რომანტიკოსია, მაგრამ ამავე დროს რეალისტიც. ასეთი იყო ბელინსკის აღწერით მონალოგი რუსეთში, ჰაინის აღწერით ედმუნდ კინი ინგლისში, ჩვენში — ლადო შესხიშვილი, ჩვენს დროში — უშანგი ჩხეიძე და ვერიკო ანჯაფაროძე.

წინათ, თეატრში ხშირად მხოლოდ ერთი მსახიობის სანახავად ან მოსასმენად დავდიოდით. ასეთი სპექტაკლი უფრო გასტროლის ხასიათს ატარებდა. ამსაბზლს, დეკორაციებს ან მუსიკას ისეთი მნიშვნელობა არ ეძლეოდა, როგორც ახლად. გარდა ამისა, ერთდროშავე სპექტაკლში ხშირად ორი გამოჩენილი მსახიობი გამოდიოდა ხოლმე, მაშინ შეიქმნებოდა დრამატული ან ოპერული დუეტი. არასდროს არ დამავიწყებია ასეთი დუეტები ოპერაში — ვანო სარაჯიშვილი და საბანევეა („ტრაგედია“, „რიგოლეტო“), ვანო და ალექსო („პოვენობები“, „აიდა“, „პიკის ჭაბუკი“), დრამატული თეატრში — ვერიკო და უშანგი (იუფლია და ჰამლეტი, ივლითა და ურდელი). ერთხელ ვანოს უთქვამს ჩემთვის: როდესაც ვარგი პარტნიორი-ქალი მყავს სცენაზე, მავიწყდება რომ ვანო ვარ. ალბათ, ასეთივე გრძნობა ჰქონდათ უშანგის და ვერიკოს, როდესაც „უჩიელ აქოსტაში“ ერთად თამაშობდნენ.

მე მგონია, მწოდელ მოთქმებზეა ისეთი მსახიობი, რომელსაც მთელ რაოი თავიდან ბოლომდე ერთნაირს სიძლიერით ჩაეტარებინოს. ჯერ ერთი, თვითონ დრამატურგიც არ იძლევა ერთნაირი სიძლიერის ტექსტს, მეორეც — მსახიობისათვის ეს ფიზიკურად შეუძლებელია. ჰამლეტი მონალოგს ჰქონდა სუსტი ადგილები, მაგრამ ბელინსკი ამ სუსტ ადგილებს შესაბამისეთივე სიყვარულით წერდა, როგორც ძლიერ ადგილებზე. ამისათვის კრიტიკოსი არ ღანძღავდა, არ ჰკიცხავდა მსახიობს. გარდასახვა — ძნელია და იშვიათი, იგი არ წარმოადგენს მსახიობის შემოქმედების მუდმივ თვისებას, იგი — მომენტია და არა სისტემა. იგივე ბელინსკი წერდა: „Игра Мочалова, по моему убеждению, иногда есть откровение тайнства, сущности сценического искусства“. დღად, არის გარდასახვაში რაღაც ინტუიტურა, თუნდაც მისტიკური, ამ სიტყვის გავრცელებული გავებით (გავისხენით მისი „დეკანოს საღამოები“), მომენტია, როდესაც ადამიანი დროებით კარგავს თავის „მე“-ს და სხვად იქცევა. ასეთი იყო შალიაშვილი ბორისის უკანასკნელ სცენაში, გავიწყდებოდათ რომ თქვენ წინ ოპერის მსახიობია და ფიზიკურ ტკივილამდე განიცდიდით უბედურა მეფის ტრაგედიას. ასეთი იყო საღვინი, როდესაც იგი, სტანისლავსკის ფიგურალური თქმით, „плезал в кожу и тело Отелло“. მაგრამ ეს მხოლოდ მომენტებია, და იქნებ უმან-

გი ჩხეიძის ტრაგედია იმათ უნდა აიხსნას, რომ იგი ხშირად განიცდიდა „სხვადქცევას“. ძირითადში მსახიობს, რაც უნდა ედგინა, ყველაფერს სცენაზე არასდროს არ უნდა ავიწყდებოდეს რომ იგი მსახიობია. ზოგჯერ ვერიკოს უსაყვედურებენ, რომ თათქოს იგი ერთდროიანია. ჩემი აზრით, ეს არაა სწორი. „ანა კარენინა“ და „ადღეობა“ სრულიად განსხვავებული ნაწარმოებებია იდეურ-მინაარსობრივად, მაგრამ ორივე ამ ნაწარმოებში თქვენ გრძნობთ ტოლსკოის ხელოვნებას, რომელიც განსხვავდება, ვთქვათ, დოსტოვესკის ხელოვნებისაგან. ასეთივეა დიდი მსახიობიც. მარგარიტა გოტიე და ივლითა დამეტრალურად განსხვავებული როლებია, მაგრამ ორივეში გრძნობთ ვერიკოს შეუღლებულ ხელოვნებას, რომელიც ვერიკოს შედევრებია, რადგან აქ მსახიობის გარდასახვის მრავალი მომენტების მოქმენი ვართ.

ვერიკო ანჯაფაროძე სცენაზე არასდროს არაა სტატიკური, იქაც კი სადაც დრამატული სიტუაცია ამა მოითხოვს, იგი მუდმივ ცვალებადობაშია. მას უნაკლო სცენური ტექნიკა აქვს, მაგრამ, ეს ტექნიკა არსად ამჯარად არ ხანს, არ გეცმათ თვალში, არ გავიწყებთ. უადრესად თეატრალური, იგი ამავე დროს ღრმად მუსიკალურიტიმული მსახიობია. ყოველი მისი როლის, ასე ვთქვით, მუსიკალური ტრანსკრაცია შეიძლება მოვახდინოთ. მისი ხმა მერყადია, მაგრამ არა ფრანგული სკოლის შლერადობის გავებით, არამედ წამდელი კანტილენა ყველა მისი მოდულაციებით, ერთი ტონალიზმიდან მეორე ტონალიზმში გადასვლით. აქ შეიძლება მუსიკალური ტერმინოლოგიაც კი გამოვიყენოთ. ვერიკოსათვის დამახასიათებელია *pianissimo*, როდესაც სიტყვა წარმოთქმისთანავე დგნება პაერში, ბევრათა თრთოლა, (*tremolo*), ხშირად მსახიობი ბგერას ხანგრძლივობას ანიჭებს, საჭიროებისამებრ წაგრძელებულად წარმოთქვამს სიტყვას, (*fermato*), ხან წყვეტილ-წყვეტილად წამოსერის სიტყვებს, (*staccato*), მაგრამ მის ხმისათვის იშვიათია *forte*, ყოველთვის *crescendo*, თითქმის თანდათანობით აბლვდება ქარიშხალი, ბგერა აწყება ბგერას და ვერიკოსათვის ჩვეული ელფრადობა მოისმის.

ცნობილია, რომ ხმას ისევე როგორც კლორატს ტყუწრებაში, აქვს თავისი ცივი და თბილი ტონები. ვერიკოს ხმის ინტონაციური გამა, არჩეველბებრივ სიბოზს აფრქვევს მყურებლის გულში; რბილი, მუსიკალური ხმა ჩერჩხლის მომენტებშიაც კი თეატრის დაბაზის ყოველ ჯერდმულში იმისი, ხმა, რომელიც არ ბერდება და მუდამ ახალგაზრდაა.

ვერიკო ანჯაფაროძე მსაქოლოგიური დეტალების მსახიობია, როლის გახსნისათვის იგი არასდროს არ იყენებს ყოფა-ცხოვრებითი წერილობებს. ერთსა და იმავე როლის სხვადასხვა მსაქოლოგიურ სიტუაციებში ვერიკო აქტიორული

პილიტრის ნიორნაირ საღებავით უხვად აფერადებს. ბრწყინვალე აქტიურულ მიღწევად ჩაითვლება კლეოპატრას სცენა შიკრიკთან და სცენა აელდამაში, პსიქოლოგიურად და შინაარსობრივად ერთმანეთისაგან შვეთრად განსხვავებული სცენები. დიდ ტრაგიკულ სიმაღლემდია აყვანილი ვარვარა პეტრიძის უკანასკნელი სცენა პიესიდან „სიყვარული გარიჟრაჟზე“. რატომღაც პიონათ, რომ ლარისას („უმზითო“) როლის შესრულებისას, ვერიკო მხოლოდ პასიურ, ტანჯულ ქალის სახეს ხატავსო. მაგრამ ვერიკოს არასოდეს ერთი ეპოეიური ტონალობით არ შეუქმნია არც ერთი როლი. ასეთი იყო იედიით, ასეთივეა ლარისა. აქ არის მომენტები პასიური დამოკიდებულებისა ცხოვრებისადმი, მაგრამ ამავე დროს ჩანს კარანდიშევ-პარატოვების „ბნელი სამედოს“ წინააღმდეგ აჯანყებული რუსი ქალის დიდი პროტესტანტული სული.

როდესაც სარა ბერნარს უჩვენებს შისი მონაწილეობით გადაღებული კინოსურათი „კამილა“, მან წარმოთქვა: „აი, ჩემი უკედავება!“ მართლაც, კინოხელოვნებას ის უბრაატესობა აქვს თეატრთან შედარებით, რომ მას შეუძლია დიდი ხნით შეინახოს მსახიობის მიერ შექმნილი სახე.

ვერიკო ანჯაფარიძეს მრავალი კინოსახე შეუქმნია და ყველაზე სრულყოფილი ის აღმოჩნდა, რომელიც თეატრალური სახის განმეორებას არ

წარმოადგენდა, ესე იგი, თავისი საკუთარი დამოუკიდებელი ცხოვრება ჰქონდა, ცხოვრებას ცხოვრებაში. ჩემი აზრით, ვ. ანჯაფარიძის კინოსურათებიდან დედის სახე „საბაში“ და რუსულად „გიორგი სააკაძეში“.

ერთ დროს ჭეშმარიტი დიდი გიტაცება იყო „ნატურშინიკებით“, მაგრამ ეს არ იყო ნამდვილი ხელოვნება. კინოდრამაში საუკეთესო სახეები ისევ თეატრალურ მსახიობებში შექმნეს: ლილიან გიშ, ვივიენ ლი, პაულ ვეგენერი, ლოურენს ოლივიე... ვერიკო ანჯაფარიძემ თავისი დიდი თეატრალური კულტურა კინოხელოვნების კანონებს დაუმორჩილა და თეატრში უადრესად თეატრალური, იგი კინოში საოცრად არათეატრალურია.

ვერიკო ანჯაფარიძე, როგორც უოველი-დიდი მსახიობი, განუმეორებელია. ჰაინეს მოსწრებულ თქმით, თეთიყუშს შესანიშნავად შეუძლია არწივის ხმას მიბაძოს, მაგრამ არწივისებურ გამოხედვას და იმ ცეცხლს, რომელიც მის თვალებშია, კერასოდეს ვერ გადმოსცემს. ასევე ემართებათ ვერიკოს მიმბაძველებს. საერთოდ, უოველ-გვარი მიბაძვა — უბედურებაა, მეტადრე ხელოვნებაში. დიდი ფრანგი კომპოზიტორი კლოდ დებისისი ხშირად გაიძახოდა უნიკო მიმბაძველებისა და წრეგადასული თავუანისმცემლების შესახებ: „ღმერთო, დამიცივი დებისისტებისა ვა!“

შოთა ძიძიუაძე

მერიკო ანჯაფარიძე და ქართული სასცენო მეტყველება

სასცენო ზელოვნება — მწერლობასთან ერთად — ლიტერატურული მეტყველების ფართოდ დანერგვისა და განვითარების საუკეთესო ასპარეზია. მხატვრულ ლიტერატურასთან შედარებით მას გარკვეული უპირატესობა აქვს თავისი სპეციფიკური ბუნების შესაბამისად: სცენა ეწინააღმდეგება „ცოცხალი გზით“ ავრცელებს, მისი ვაზა უშუალო კონტაქტია, — მაშინ როდესაც მწერლობასა და ხალხს შორის შეღავათითი კავშირია ბევრდროს სიტყვის სახით. გვერდით: საშავეროდ, მწერლობა მეტყველების ნორმების კანონმდებელია არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ ლიტერატურული ტექსტა, რომელიც მსახიობს დაეყვას მაყურებლის ენობიერებაში, დრამატურული ნაწარმოებია, ხოლო დრამატურგია მწერლობის ერთ-ერთი დარგია. ამ დებულების საუკეთესო ილუსტრაციას შეჭსპირის ენა წარმოადგენს: დრამატული მწერლობის რეფორმატორის როლი შესასრულა ინგლისური სალიტერატურო ენის განვითარებაში... ამრიგად, ცხადია ჩინს, რომ სასცენო მეტყველება არა მხოლოდ გადამცემი საშუალებაა (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) ნორმატიული სამწერლო ენის ინტენარისა, არამედ თვით წარმოადგენს სიტყვათმეშპედემათს წყაროს, ნოვატორული ენობრივი ფორმების დამკვიდრებისა და, საერთოდ, ენის ფორმირების მძლავრ საშუალებას. მასხადამე, ლიტერატურული ენის ფორმირებისათვის სცენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

რამდენადაც სცენიდან „ცოცხალი სიტყვა“ მოსმის, ბუნებრივია, აქ, ენის პოაფლოგიურ-სინტაქსური მომენტის გარდა, ახალი მომენტები წნდება: ესაა მეტყველების შელოდიკურინტონაციური მხარე, რაც ნიშანდობლივი აქტიორული შემოქმედებისათვის.

ვერიკო ანჯაფარიძე ეყუთნის იმ პირველხარისხობა მსახიობთა გუნდს, რომლებსაც დიდი სკოლა გავულიათ სიტყვასთან-შემოქმედებით ბრძოლისა და ჭიდილისა. ენას აქვს ფართო დიაპაზონი ფონეტიკურ-ინტონაციური ნიუანსირებისა, და ამ მხრივ ვერიკო ანჯაფარიძე სწორ. უპოვარია, რამდენადაც იგი მაქსიმალურად იყენებს ენის ამ მრავალფეროვან შინაგან შესაძლებლობებს.

მე მინდა აქ ხაზი გავუსვა ანჯაფარიძის მეტ-

ყველების ერთ საყურადღებო მხარეს: მის წარმოქმანში ქართულ სიტყვას არაჩვეულებრივი კეთილშობილება ენიჭება, მსახიობი ნაშლეოდ სწვდა ქართული მეტყველების ბუნებასა და თვისებას, „ენის სულს“, როგორც იტყოდა მარქსი. იგი ბუნებრივ შემამებით აკავშირებს ფრაზის ყოველ კომონენტს და საბოლოოდ ვლდებულობთ ერთ მოლიან ვამას, რომელიც აბსოლუტური ინტონაციური ზედმოქმენილობით ვადმოსცემს ტექსტის ავტორის შთანაფიქრს. ვერიკო ანჯაფარიძის მიერ მოწოდებული ფრაზა ინტონაციურად სრულიად დამთავრებული ერთეულია და, ამავე დროს, არ იკარგება ამ ფრაზის შემადგენელი ელემენტებისაგან ცალკეულად მიღებული შთბედელებანი.

ზემოთქმულიდან შეიძლება დავსკვნათ, რომ ვერიკო ანჯაფარიძეს აქვს უტყუარი ენობრივი ალაო, — მეტყველების ბუნებრიობა არ ირღვევა მაშინდა, როცა საქმე გვაქვს ზოგიერთი როლის ხასიათით ნაყარნახევ სტილოზებულ მეტყველებასთან.

ზეწი დასკვნები სრული არ იქნება, თუ არ მივატყვედით ურადლებას ზოგიერთ სხვა გარემოებასაც.

ქართულ ცოცხალ მეტყველებაში ფონეტიკურ-მელოდიკური მაჩვენებლების მიხედვით (გარდა გრამატიკულისა) ორი ნაყადი ვამოყოფარ აღმოსავლურქართული და დსავლურქართული. საშუალო ინტონაციურ-ფონეტიკური მოდუსის ვამომეშავება ზღვალთა ქართული წარმოთქმისა. ვერიკო ანჯაფარიძის საარტიკულაციო ბაზისში ბგერებს დაყარული აქვთ დიალექტური ნიშანდობლობა და ისინი ამოღლებიან ზოგადქართულ საწარმოთქმით კანონზომიერებაში.

ვერიკო ანჯაფარიძე დირსეული ვამრქმელებულია სასცენო მეტყველების იმ ტრადიციისა, რომელიც დამკვიდრეს ძველი ქართული თეატრის კორიფეებმა. მაგრამ იგი მარტოოდენ ვამგრძელებული არ არის. მოშვალი ძიებებში ობობა თვალსაჩინოს ვახდიან, რომ ზეწმმა მსახიობმა შექმნა თავისებური სტილი, და ეს სტილი „ვერიკოს სტილია“.

დასასრულ მინდა შევნიშო შემდეგი. ვერიკო ანჯაფარიძეს ეყუთნის საყურადღებო ექსპერიმენტები ძველი მელოდიკურ-ინტონაციური ფორმების აღდგენისა. მე მხედველობაში

მაქვს ჩვენი მსახიობის დეკლამაციური ძიებები — საიათნოვასა და გრიგოლ ორბელიანის რეპერტუარი, სადაც გვეხმის თანამედროვე ქართული ენის მელოდიკის თვალსაზრისით თითქოს შეუფერებელი ინტონაციური გარდაციები, მაგრამ ალბათ შესაფერისი იმ ტიპაჟის მეტყველებისათვის, რომელიც ამჟამად აღარ აჩვენებს და მხოლოდ ლიტერატურული რემინისცენციებით წარმოვიდგენია (იგულისხმება საიათნოვა-ორბელიანის დროინდელი გარკვეული სოციალური ფენა — თბილისის თავისებურ ეარგონზე მოუბარი). იმგვარ ძიებებს, პირობით, „გარდასული მეტყველების“ მელოდიკურ-ინტონაციური აღდგენის გზა ეუწოდოთ... შეიძლება ამ მხრივ ჩვენს მსახიობთან დეტალური დამუშავების სფეროში ზოგი რამ ვინმეს სადაცო ექნეს, — მაგრამ არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ ეს სფერო ანჯაფარიძის შემოქმედებაში დიდი შთანთქმებისა და მუ-

შაობის გზითაა მოპოვებული. იგი პრინციპული ხასიათის გააზრებათა შედეგია და ამდენად, ღირსია განსაკუთრებული დეკლამაციური

დღეს ქართული მეტყველების სიწმინდისა და მაღალხარისხოვნობის საპატიო საქმე სახელმწიფოებრივი მხრუნველობის საგნადაა ქცეული. არტისტული სიტყვის ისეთ ოსტატთა გამოცდობა, როგორც არის ჩვენი ძვირფასი ვერიკო ანჯაფარიძე, სამაგალითოდ უნდა მიაჩნდეს სცენის ახალ თაობას...

ვერიკო ანჯაფარიძის არტისტულ-ენობრივი ფუნქციონის შესწავლა საგანგებო ძიების საგანია...

მე ბედნიერად ჩავთვლიდი თავს, თუ ამ მომავალი ძიებებისათვის მასალად გამოდგებოდა აქ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება გაღრმავებისა და განვრცობის შემდეგ.



მოსა შიძინებელი



რამდენიმე შენიშვნა „ვეფხისტყაოსნის“
საბავშვო შრი გამოცემის გამო

„ვეფხისტყაოსანი“ ქართული ერის სულიერი კულტურის უდიდესი ძეგლია. მისი ესთეტიკურ-მხატვრული ღირებულება გასულმა დიდმა დრომ ოდნავადაც ვერ შეამცირა. საერთოდ, კულტურის ასეთი ძეგლის აჩრებობა და სიციცხლე, კაცობრიობის სიციცხლესა და აჩრებობისათვის ხანგრძლივია. იგი, თითქმის, აღმავანს მხატვრული გრძნობის მუდმივი მასაზრდოებელი წყაროა.

ამ უკვდავ ქმნილებას ქართული ერი ყოველთვის მოკრძალებით ეპყრობოდა, სულ ერთაა, ხელნაწერისა თუ ნაბეჭდი სახით ვრცელდებოდა იგი. მუდამ ცდილობდნენ, რომ პოემის ვარგულთა გაფორმება გენიალური შინაარსის ხაჯლი ყოფილიყო.

კარგი იქნებოდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ახალი, ოცდამეოთხრამეტე გამოცემის გაფორმებას წვენი შესაძლებლობის შესაფერი ყურადღება მიქცეულიყო. მისი შინაგანი და გარეგანი ვაფორმების სიკვამლე არათუ წინაა უწყველი ოცდამეოთხრამეტე გამოცემასთან შედარებით, არამედ კიდევ ჩამორჩება მას.

თუნდაც თავი დავანებოთ იმას, რომ წიგნის შინაგანი და გარეგანი ვაფორმება — ტიტულა, თავსამკაული, ბოლოსამკაული და სხვ. რაღაც კავშირში უნდა იყოს წიგნის ტექსტთან თუ შინაარსთან, იგი ისედაც უხეშად ეჩვენება თვალს.

აიღოთ 30-ე-46-ე, 66-ე და 92-ე გვერდებზე მოთავსებული ბოლოსამკაულები. რა არის ეს, მხატვრის სიჩქარე თუ მოტყუელი ხელი? რა გონია ასეთი რამ აღმავანის სიღამაშის გრძნობას აკმაყოფილებდეს. ბუნებაში, ისე როგორც ცხოვრებაში, მშვენიერების მოძლეად ყველაფერა როდი ვამოძღვება. 41-ე გვერდზე მოთავსებული ბოლოსამკაულები რამდენიმე ადგილას არას განმეორებული ხან გადაიდებულია და ხან შემეკრებულა. საერთოდ, მთლიანად აღებულთა თავსამკაულებისა და ბოლოსამკაულების ეს სისტემა რაღაც ერთფეროვანი, ბნელი, დისპროპორციული და არასიმეტრიულია. უნდა აღინიშნოს, რომ 37-ე გამოცემის გარეგანი და შინაგანი ვაფორმება უფრო ფაქიზი, გამკვირვლე და ნათელი იყო. „ვეფხისტყაოსნისაღმ“ ასეთი უყურადღებობა ვაფორმირებულია. ამ უკანონ ნაწარმოებს მისი შესაფერი ვაფორმება უნდა ამშვენებდეს.

ზოგიერთი გამოცემა „ვეფხისტყაოსანს“ მხა-

ტვრული ასოებით ასათურებდა. ეს მის ვაფორმებას სიღამაშეს მხატვრული. საჩუცრული გამოცემა მის სასტამბო ასოებით ასათურებს. გრძნობა, რომ ამით წიგნის ვარგვნობას რაღაც აკლდება.

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის ილუსტრაცია იგივეა, რაც 37-ე გამოცემისა. ამ მხარე მასში არაფერია შეცვლილი. საჭირო იყო, აკვლხისტყაოსნის“ ვაფორმების ამ მხარეაე მიქცეოდა შეტი ყურადღება. ნიჭიერი მხატვრის ირ. თითქმის მიერ შესრულებული მოფერებული ილუსტრაციები აკადემიური გამოცემის მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს. შეიძლება მისი ილუსტრაციები აკადემიური თვალსაზრისით ყველა უნალო და ზუსტი იყოს, მაგრამ მხატვრული თვალსაზრისით ისინი თითქმის ყველა მოისესტებს.

მხატვრის ძლიერ ხელს უღვას წინ საგნები და აღმავანის ფიგურები, როცა ის მათ აკადემიური და ფოტოგრაფიული სიზუსტით ხატავს. შორეული წარსლის აღმავანების ფიგურის, პორტრეტის ან, საერთოდ, ყოველგვარი საგნების ფოტოგრაფიული დეტალებითა და მკვეთრი გრაფიკული მანერით ხატვა ერთობ სასიოთირო და სახიფათო საქმეა.

აიღოთ მისი ყოველთვის ერთნაირად, ფაქიზად და კონტად ჩაცმულ-დახურული ტარიელი. ის ვერ გვანიჭებს სიამოვნებას. დიდი ეფექტის გამოწვევის მიზნითაა შექმნილი ილუსტრაცია — ტარიელის ვეფხვთან პარძოლა. მაგრამ მისი მხატვრულობა არ შეესაბამება ნაწარმოების პოეტურ აღმავრუნს. მხატვარი, როგორც ყოველთვის აქაც ზედმეტად აღამაზებს ტარიელის ვარგვნობას, მის წაცმა-ღამაზებას. ყოველი ხაზი ტარიელის ფიგურისა აკადემიური სიზუსტითაა ვაგლებული, ვეფხვა კონტადა შემოსკვებული ტარიელის სხეულზე და ტარიელი თითქმის კიდევ ცდილობს, რომ ვეფხვი ძირს არ ჩამოეყარდეს. თითქმის ყველაფერი ლამაზადაა, მაგრამ ნამდვილად ტარიელის ვეფხვთან პარძოლას უღამაზად აღვიღას სურათი მინე ვერ განმობატავს. როგორ შეიძლება ვაფორმებული პარძოლას დროს ტარიელი თავისი ვეფხვის ქედლ ასე კონტად და ზუსტად ვებროს თავზე. როგორც ყოველთვის, ეს დეტალია, მაგრამ დეტალი არა უბრალო, არამედ დეტალი, — მხატვრული და დამაბასათიებელი. მხატვრული დამაბასათი-

თებელი დეტალების უგულვებელყოფა და ფორთოვრათვითი დეტალებისადმი გამოდევნება საერთო ნაკლია ირ. თოიძის ამ ილუსტრაციებში. ისტორიულ-ეთნოგრაფიულ გარემოს მხატვრის მიერ საქმით უზრაღდება არ ექცევა და ამიტომ მისი ილუსტრაციების ეთნოგრაფიული ელფერი და ისტორიული პერსპექტივა სუსტია. აქედან წარმოდგება ამ სურათების კომპოზიციური სისუსტეც. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების საქმე მხატვარ ზინის შემდეგ დიდად არაა წინ წასული. საქირაა მხატვრები ამ გარემოებით სერიოზულად დაინტერესდნენ და „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების შექმნისას ისტორიულ გარემოში უფრო ღრმად შეიხედონ. ეს აუცილებელი პირობაა ეთნოგრაფიული ელფერისა და ისტორიული პერსპექტივის მქონე ილუსტრაციების შექმნისათვის.

არაფრით არ მართლდება რუსთაველის ტრადიციული პორტრეტის შეცვლა ირ. თოიძის მიერ შესრულებული მხატვრული პორტრეტით. ეს უკანასკნელი შეიძლება თავისთავად წინაშეწელოვანი მხატვრული ღირებულების მატარებელი იყოს, მაგრამ ძალიან სცილდება რუსთაველის ტრადიციულ პორტრეტს. ტრადიციული პორტრეტი მაინც უფრო ძლიერია (განსაკუთრებით ჯ. გაგარინის ალბომში მოთავსებული პორტრეტი). აყადმობური გამოცემა ამ მშვენიერ პორტრეტს უნდა დაემშვენებინა. ეს ტრადიციული პორტრეტი ხალხმა ისე შეისისხლხორცა, რეალურად აქცია და შეიყვარა, როგორც ნამდვილი პორტრეტის შეყვარება და შესისხლხორცება შეიძლება. ეს პორტრეტი აქვს მზედველობაში ხალხს, როცა ამბობს: „ეს კაცი რუსთაველს ჰგავს“.



ანდრო ლომიძის ნოველები და მოთხრობები



ანდრო ლომიძე უმოთავრესად პატარა მოთხრობებისა და ნოველების ავტორია. ზღვა და ბუნების წიაღი, მუხლგაურთი და შონადირე — აი მწერლის ძირითადი თემები.

თავის მოთხრობებში ან. ლომიძეს სწირად გამოყავს ძლიერი, მტკიცე ნებისყოფის, ჩაინდი და კეთილშობილი ადამიანები, ასეთებია: ინკინერი ანდრო ჯაფარიძე („წყალდიდობა“), მოხუცი იაკობი („სიცოცხლის ზეიმი“), ჭალარა კაბიტანი და მისი ცაღზელა ვაჟი („ზღვაური“), მუხლგაურები მალვა ლომსაძე („ხელოვნება“), ლევან ჩხარტიშვილი („მშობლიური“), ლავრენტი გოგინავა („ცეცხლფარეში“), მებრძოლი გლეხაკები დენა და რემა („ნაღები და ყვავილები“) და სხვა.

ფრონტიდან შეებულებით დაბრუნებულ ანდროს უბედურება დახედება — მამა აღარ ჰყავს. დიდი ადამიანური სითბოთია ვაგნოცემული ანდროს მძიმე სულიერი მდგომარეობა, ტკბილი შოგონებანი მამაზე... მას აღარ სურს დარჩენი სოფელში და იმაე ღამეს ფრონტისაკენ მიეშურება, რათა შერი იძიოს მუხანათ მტერზე, რომლის ბრძენმაც იმსხვერპლეს მამა. ეს ოთხგვერდიანი მოთხრობა „მამა“ ლაკონურია, ამავე დროს, ბევრის ჩამტევი.

თეატრგარდევლებისათვის მისწოდებული იარაღით დატვირთულ გემს მუხლგაური ლევანი იმძირავს და დედიო დაობლებულ შეილთან ერთად ლაზეთისაკენ გასწევს. ზღვაზე მეტად სახიფათო მოგზაურობის შემდეგ, ისინი სამშვიდობოს გაიღწევენ, თავიანთ საზღვარგარეთელ ძმებთან იწყებენ ცხოვრებას და საქართველოში საპოთო ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბრუნდებიან. ასეთია შედარებით ვრცელი მოთხრობა — „მშობლიური“ სიუჟეტის ქარგა. მოთხრობაში ვაგნოცემულია ლაზების დუხჭირი ცხოვრება თურქთა ბატონობის ქვეშ, მათი ჩუქურთალი პატრიოტული სული. აი პატარა გურამისა და ისმაილის დიალოგი:

...„სარდაფში ძალან დიდი ქვევრები გააქებს. შენ არ იცი, მამამ საიდან მოიტანა ქვევრები. — ისმაილის თვალეში აღტაცება გამოიხატა. —

თურმე მამა მიწას თხრიდა და ქვევრებს წააყვდა. ქვევრები ღამით გაღმაოტანა და სარდაფში ჩაფლა. მამამ თქვა: დიდი ხნის წინათ აქ მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ, ეს ქვევრები ქართველებმა გააყეთსო. მამამ ქვევრს აჯოცა და იტრია.

— ჩემმა მამიკომ მითხრა — ლაზეთში ქართველები ცხოვრობენო. შენც ქართველი ხარ?

— ქართველი ვარ, მამ ვინ ვიქნები? — იწყინა ისმაილი.

გურამი მიხედა, რომ ისმაილს აყუენინა, გადახტია ხელი და თვალეში ჩახედა“.

მუხლგაურების ცხოვრების კარგ ცოდნას იმედოვნებს ავტორი მოთხრობებში „მამეული“, „ზღვაური“, „ხელოვნება“, „ცეცხლფარეში“, „ქარიშხალი“ და სხვ. მწერალი დამაყურებლად მოუთხრობს მკითხველს ზღვის ბობოქარ ტალღებსა და მუხლგაურების არა ნაკლებ ბობოქარ ცხოვრებაზე, მათს ვაგაკობასა და თავადიდებაზე, სიყვარულსა და ტკივილებზე.

სამგორის არხის მშენებლობის თემაზე საკმაოდ ბევრი მოთხრობა დაიწერა. თავისებურად გამოუტყა ეს თემა ან. ლომიძემ მოთხრობაში „სიცოცხლის ზეიმი“. მას აქვე შემოაქვს ზღვის ხმაური. ამ მოთხრობის მთავარი გმირი გიორგი, მუხლგაურია. თუმცა იგი სრულიადე არ მოქმედებს მოთხრობაში, ფრონტზე დაიდუბა სამამულ ომის დროს, მაგრამ მისი სული აქ ტრიალებს, სამგორის გადახრეულ ველეზე, რომელთა მორწყვასაც ოცნებობდა იგი. მისი აირდილი ადამიანთოვანებს მოხუც მამას მუშაობაში. დიდ ბილმას იმარხავს გულში მოხუცი იაკობი, რომელმაც გაიგო შეილის დაღუპვის ამბავი და ოჯახში ყველას უმაღავს — მეუღლეს, რძალს, შვილიშვილს... იიმედებს მათ, შორეულ ნაოსნობაში გაუხანჯავითო, უბედური დღეა ეს „ფოსტალიონის გულისფანცქალით მაინც შეპყრებდა ხელში, სალომესათვის რომ გეკითხათ — როგორი ცხერი ან ტუნები აქვს ფოსტალიონს, ვერაფერს გეტყვითო. სამაგიეროდ მან კარგად იცოდა: მარჯვენა ხელის ნეკზე ორი მუქიკი ეჯდა ფოსტალიონს, ხოლო სალოკი თითი შუაზე ქონდა მოყვითილი“. (მწერლის მიერ კარგად დანახული

დებტალი). ბოლოს აღსრული ხალხის საუკუნო-
 ვრთი იტყვება: „დიდლილოს ირგვლავ ხალხი
 გააშენეს, ვაზი ჩაყარეს. იისფრად, ვარდისფრად,
 თოვლისფრად აყვავდა ხეხილი. აყვავებულ ხე-
 ხილს შეპულა ეტანებოდა. თითქოს ბეჭდები კი
 არა, ყვავილები დაფრინავდნენ ხიდან ხეზე. სამ-
 გორის მუდამ ტიტველი მთები ხშირი ბუჩქნარით,
 მსუქანი ბალახითა და იისფერი, ოქროსფერი, თე-
 თორი ყვავილებით შეიშოსა. ბუჩქნარში მელა,
 ყურღღელი და გნოლი დაბინავდა“. პატარა შიშვა
 პაპა იაკობს პირველ გვეჯილს მოუტრუნენებს. ახ-
 ვირთბულ გვეჯილს გამხედავს მოხუცი და გვი-
 დან ამოღებს შეიშის ნაქონს ნიჭარის სათუ-
 თუნეს, რომელიც „გდელით ფეჭაქადა და ზღვა-
 სავით ხმარობდა“, თითქოს საპარეშოა იგრანო
 გიორგიმ თავის განუხორციელებელი ნატერის
 ახლოა.

ცხოვრების მტკიცეულ საკითხს ეგება მოახ-
 რობა „თებრონე და შხია“. ჯერ კიდევ არიან
 ჩვენში ისეთი ადამიანები, როგორცაა ლონგინ-
 ნოზი, უმაღური შვილი — თავისი მოხეცა დედა
 რომ მიატრევა უპატრონოდ. საყოდავი თებრონე
 ყველას უმაღავს თავის უბედურებას. დიდური
 საპაყე არ აძლევს ნებას საიდუმლო გაამჟღავ-
 ნოს. აი რას უპასუხებს იგი შხიას, რომელშიც
 იცის მისი საიდუმლო:

— „ლონგინოზი გეხმარებათ? — წამოსცდა
 შხიას, სალოკი თითი მყის პირში ჩაიდო და იკ-
 ბინა.

შხიას შეკითხვამ ჯერ გააბრუა თებრონე, იგი
 აზრმიუცემლად, თვალდაუხამამხებლიე მისწერე-
 ბოდა დახვეწულ, დარცხვენილ ვაგონას. მერე წა-
 მოჯდა, მკაცრად შეჰყარა მალაღი, სიცხისგან
 დაცეპრული შებლის ნაოქებია.

— ვინ თქვა არ მეხმარებათ?
 — არავის უთქვამს, შე ისე... ისე...
 — მაინც ვინ თქვა, რომ ცუდი, უგულო
 შვილი შევს, ვინ ვაბედა?

შხია ნათობდა — ეს რა წამომცდია.

— ყოველთვიურად ვეხებულობ ლონგინოზი-
 საგან ამანათს, შვილო, ვეხებულობ ფულს,
 ვეხებულობ... შენ, ფოსტალიონს არ დუჯგვრო,
 ნურავის მოევა ფეჭად-ლონგინოზმა მიატრე-
 ვა თავისი მოხუცი დედაო, იმას ენაცვილის
 დედა...“

მოთხრობაში ნათლად ჩანს, რომ თებრონე
 არაა უპატრონოდ, რომ მისი პატრონია გულ-
 შემტკივარი მეზობლები, მთელი სოფელი,
 მთელი ხალხი...

მკითხველის მესხიერებაში დიდხანს დარ-
 ჩება მოხეცი რუმას, მამაკი დუმას და ქაბუ-
 კი ვახტანგის ოსტატურად გამოკეთილი სახე-
 ები მოთხრობიდან „ნალები და ყვავილები“, ან-
 და „მებადურებში“ აღწერილი ბეგისა და დ-
 რეჯანის უიღბლო სიყვარული და ნინოშვილი-

სეული პალიასტომის ტბაზე დარბილებულ-
 შორე ტრაველიო.

მოთხრობებში „წყალდიდობა“, „არბი“, „გ-
 ზაფხული“, „სიკოცლუ“ — საბჭოთა ადამი-
 ნების ყოველდღიური შრომისა და ბრძოლის,
 სიყვარულისა და სიძულვილის, მწუხარებისა
 და მზიარობისა და მაკერებელი და რეალის-
 ტური სურათები მოცემულია. მწერლის მსხვილი-
 თვლი კარგად ამჩნევს მცირეოდენ დეტალებსაც
 და მიხერხებულად იყენებს მათ თავის ნაწარ-
 მებებში, მაგრამ იყენებს არა თვითმიზნურად,
 განყენებულად, არამედ ვაშაბთლებულად და
 ხშირად სიმბოლურადაც. ასეთი მხატვრული,
 ცოცხლად დანახული და ხელშეისახებად აღწე-
 რილი დეტალები უხედაა განხვეული ან. ლო-
 მინის მოთხრობებში. მაგალითისათვის მოვიყ-
 ვანთ რამდენიმე ადგილს:

„სიბრუნის დროს, როგორც მეზღვეურებს
 სხვევით, მისი დიდი ტანი ხან შარჯენოვ, ხან
 მარცხნივ ახრებოდა. მიდილობა ბარდნაში,
 თავდაბრის სქუდ ხელთ ეჭირა. აქაოთათე-
 ბულ ასკილის ბარდს მზარით შეეხო. ბარდი შე-
 ქანდა, ვარდის თეთრი ფერცლები მხრებზე
 დააცვივდა. მისი მხრებიდან თეთრი ჩიტებივით
 აფრანდებოდნენ ვარდის ფერცლები და ბარდებ-
 ზე, მიწაზე სხდებოდნენ...“ („მამველი“).

„ნავი ადგილიდან რომ დაიძრა, მისი ანძის
 წვერი მომინარისავე გადმობრილ თეთის ტოტს
 მოედო. ტოტი შეირბა, ზველიდან რამდენიმე
 კვერცი გადმოვარდა, ერთი ნავში ჩემს ფეხებ-
 თან დაეცა, გატყდა და ნაწუქიდან თავი გა-
 მოჰყო ქედნის ღინღიანმა ბარტყმა. საყოდა-
 ვი აცეკვბად თვალბს.“ („სიკოცლუ“).

„ლევანი ზოფებს ლონგინოვად ეწოდო. ზოფები
 იღუნებოდნენ. მხრებამდ დაკამოწმებულ მკლ-
 ვებზე მსხვილი ძარღვები დაბეროდა. მარჯვენა
 მკლავზე, იაღწინაინი ნავი რომ ჰქონდა დახა-
 ტული, კენთი და თითის სისქე ძარღვი უთრ-
 თოდა. მკლავზე ქინძისათვით დაბატული ლილის-
 ქვარი იაღწანი მაშინ ისე მოჭრაობდა, თითქოს
 ჰქარი არხესო.“ („შობლიური“).

წიგნში მოთავსებულ ნაწარმოებებში — „უღ-
 ბნოსთან“, „აზურბაიჯანელი მონადირე“, „კა-
 კები და გიურზა“, „გადი“, „მონადირე“, „შვე-
 ლი“, „სილიანში“, „მონადირის დღიურიდან“,
 „თოლია“ და „სიმღერა სიკოცლისა“ აღწერი-
 ლია ნაღირობის ამბები. მიუხედავად ამისა,
 რომ ამ მოთხრობებს მძაფრი სიუჟეტი არა
 აქვთ, ისინი იკითხება შეუნელებელი ინტრიგ-
 სით. მწერალი აქ ადგენებს ჩვენი ფლო-
 რისა და ფაუნის კარგ კოტნას. საყურადღებოა
 ესკიზი „თოლია“, რომელშიაც ნათლად ჩანს
 ბუნებაში გამეფებული დაუნდობელი „ბრძოლა
 არსებობისათვის“ — ძლიერის მიერ სუსტის
 განადგურება — თოლია დაპირილ იხვს დაცხ-

რება, ხოლო შემდეგ თვითონ ხდება ძვრას მსხვერპლი. უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად ერთგვარი სქემატრებისა, ავტორი ამ ციკლშიაც ახერხებს რამდენიმე დასაშასოვებელი პერსონაჟის დახატვას. ასეთებია, მგალითად, აზერბაიჯანელი მონადირე თაბარი, პტიემოტყვარ ვანო და სხვ.

ამ მოთხრობებში აქა-იქ ჩართულია ავტორის დაკვირვებანი ცხოველებსა და ფრინველებზე: „შაშალ ინდაუეს ზურგი ჩრდილისათვის შეუდარებია, ხოლო თავი მზის მცხენვარე სხივებისათვის შეუშვერია. სიცხისაგან გაბრუნებულს ნისკარტი დაუღია, არ იცის თავი საით წაიღოს, თუმცა საკმარისია მცირე მანძილი დახიოს, რომ მზის მხურვალეობას ასცდეს“ („სანუქარი“) „ჩემა შავ ფრთებს ისწორებდა. შერე წყალში ჩახტა, მცირე მანძილი გასცურა, ჩაყვინთა, წყლიდან ნისკარტით კარგა მოზრდილი თევზი ამოიყვანა. ჩვამას ნისკარტი ზევით აეწია, კისრის მარტლებს ძალას ატანდა, თევზის ვადილაპავის ცდილობდა, თევზი ბოლოს ღონივრად იქნეგდა, იგი ნისკარტიდან გაუსხლტა, წყალზე დეცა და თავს უშველა. გაბრაზებული ჩემა დაედევნა, ჩაყვინთა. გეწმილებული ამოცურდა, კისკრი წაიკრძელა, აფრინდა...“ („ხელოვნება“).

ან, ლომიძე საქართველოს პეიზაჟის დაკვირვებული ფერმწერია, იქნება ეს კოლხეთის კობიანი ადგილები თუ აზერბაიჯანის ტრამალები. მოთბე თუ ზღვა. ამავე დროს, მწერლის მიერ დახატული პეიზაჟი ხშირად ორგანულ კავშირშია ადამიანთან, მის სულიერ განცდებთან და შინაგან მდგომარეობასთან. აი, მგალითად:

„ღღე იღვეა, გრილა ფერღობზე, ზეკეკურის ჩერაში, სამეფვა სკამზე ზის თებრონე.

დასაუბეთოსაყენ ჩაბრახანებული მზის შუქი უსკად ეფრტვევა ქედს,მოთებს, სახლებს, ფოთოლშემოკვენილ ხეებს, მანღარინის ოქროსფერ ნაყოფსა და მწვანე ფოთლებს. მზე ჩადის და

ზეკეკურის ჩრდილი ფართოვდება, გრძელდება მზე ცახცახით, აუჩქარებლად მიიღრტვის მთა-გრებილისაყენ, მერე რატომღაც უცყენ ვარდებში მთის იქით და თვალს ეფარება. მთაზე მთაზე გრძელი, ცეცხლოვანი ხაზი. ხაზი ნელ-ნელა მოკლდება, წერტილად იქცევა და უჩინარდება. თებრონე ახლა ხედავს დაბინდულ მოებს ზემოთ ათინაბებულ, ბაცი, ვარდისფერ შუქსა, ფართო, უმშვენიერესი ქამარით რომ არტყია სამყაროს“ („თებრონე და შხია“) „ზეირთები ჯაგშინიან კედლებს ეჯახებოდნენ, იმსხვერვოდნენ, ქაედებოდნენ და მზილით მიექანებოდნენ იქით-იქენ, სადაც ალვის ხის სილუეტს არჩევედა ქარი. ხანჯამოშვებით უზარმაზარი ტალღა გამოინდებოდა, კრეისერის უკანა ნაწილს მიენარცხებოდა, წყლის მზეფებს გეშმაზე ისროდა, მერე შუაზე იჭრებოდა, ხომალდის გვერდებს ჩაურბენდა, კრეისერის ცხვირთან ერთდებოდა, გარბოდა და თან მიჰქონდა მთავარისფერი ქაფი“ („მამა“).

უნდა ითქვას, რომ ზღვისა და ნადირბობის თემაზე დაწერილ კარგ მოთხრობებთან შედარებით, ზოგიერთი მოთხრობა, რომლებიც ამ თემას სცილდება, ახადამაჯერებელ შთაბეჭდილებას ტოვებს („სანუქარი“, „დაფიწყარი ღღე“). ზოგი მოთხრობა კომპოზიციურად ვერ არის შეჯერული, რაც იწვევს სიუჟეტური ვადასვლების ერთგვარ უნერხულობას („არბი“). ზოგიერთი პერსონაჟის გარეგნული აღწერილობა ხანდახან ერთფეროვანი და არაგამომსახველია („ახალგაზრდა, ქერათმიანი ინგერი“, „ზეკუქთმიანი ვანო თოიძე, ახოვანი ჯიღაური“, „ახოვანი აფორიაქებული ლევან ჩხარტიშვილი“).

ანდრო ლომიძე თავისებური და საინტერესო პროზაოსთა, მისი შემოქმედება ღირსია ყოველმხრივი და დაწერალებითი შესწავლისა.

ალ. სანადირაძე

მონოგრაფია ურტ უიტმენზე



ლანა დოლობერიძის წიგნი „ურტ უიტმენი“ ასეთი ეპიგრაფა მიუძღვის წინ: შეგობარო, ეს არ არის წიგნი, ზელი ახლე და კაცს შეეხებო... უიტმენი, მშვიდობით“.

შებნდალარული, პილარა მოხეცის, ცოცხალი, ღრმად ჩაფიქრებული თვალები შემოგაკეპრდებიან იქვე, გვერდით მოთავსებული პორტრეტოდან და მთელი წიგნის მანძილზე თან მოგდევს მათი მზერა. თითქოს მართლაც გრძნობ ამ ადამიანის სიბოძის, ენერჯის და იმ ღიღ სიყვარულს, რომელიც ამ კაცს ჰქონია გულში ადამიანობის მიმართ“ პე 5.

მიანისაღმი. მართლაც მოგინდება ზელი ახლა და შეეხო ამ კაცს, როგორც შეგობარს. მაგრამ, თუ ოღონე ჩაუფიქრდები ამ ცხოველ გრძნობას, უცერად აღმოაჩენ, რომ ამ წიგნში ორი ადამიანია მოთავსებული, მათ შორის უცნაურად შერწყმულია ერთიერთობაა გამობატრული. ერთი ის, რომელსაც წიგნი შეეხება, მეორე კი ის, რომლის სიყვარულის გარეშე პირველს არ ჩაედგებოდა სული და იგი, წიგნი, არ იქცეოდა ადამიანად. ლ. დოლობერიძემ დაწერა ეს წიგნი ღიღი ახარავდა პოეტის სიყვარულზე ადამიანის მთელი მოღვმისაღმი, იმ ღიღ რწმენაზე, რომელიც პოეტს

კაცობრიობის მომავლისადმი გაინდა. მე არ ვიცი, პარველად როდის ჩავსახა წიგნის ავტორის ეს დიდი სიყვარული გულში, მაგრამ ვიცა კი, რომ დიდი ხანია იგი ცდილობს ყველა საშუალებით გამოჩაგროს თავისი განსაკუთრებული დამოკიდებულება პოეტისადმი.

შეიძლება პოეტის და წიგნის ავტორის ეს ურთიერთგაგება ყველაზე მეტფიოდ ჩანდეს მის მიერვე თარგმნილ სტრიქონებში:

რასაც შენა გრძნობ, როცა უშებერ ცას და მდინარეს,

მეც გგრძნობდი იმას, როგორც შენა ხარ ამ მღვდელარე ზღვის ნაწილი,

მეც იმავე ზღვის ნაწილი ვიყოფი, როგორც შენ ახლა ამ მდინარის სრბოლა გაგრილებს,

მეც იგი ისე მაგრძნობდა, მეც ხომ შენსავით შეეკუთროდი მდინარეში ზეცის ხატებას,

მეც მამბრებდა მზის სხივების ნაწილი...

სარეკენიო წიგნში უკუდებულება მეცნიერულ მსჯელობის მშრალი და განზომილი მანერა, ავტორის გრძნობას გაერღვევია მისი ჯებირები და ლაღად გამილია მხატვრული მეტყველების ფართო კალაპოტში. ამიტომაც არის ეს წიგნი ასე უხვად დასტრიალებული ავტორის მიერვე შესრულებული მშვენიერი პოეტური თარგმანებით და თვით იუტილებელი პუბლიცისტური პასაჟებიც კი მხატვრული სახეებით არის დამშვენებული.

მდიდარი სახეობრივი სტილით და ლაკონიურობით არის მოთხრობილი პოეტის ყრბობა და სიჭაბუკე: „ზღვა-მღვდელარე და ცვალებადი“, „თვითნება და სითეთი“, ყოველთვის საიდუმლოებით იყო სავსე. აჰ, ზღვის ნაპირას, უსმენდა ბიჭი საყვარელის უკვდავი მომხერლის, დაბლებულ ზივის სიმღერას, და თასის სხვა უფრო ძლიერი, ხამაღალი და სედიანი სიმღერა იბადებოდა მასში, იბადებოდა, რათა არსდროს მომკვდარიყო... იქნებ მართლაც აჰ, ოკეანის სანაპიროზე, პატარა ბიჭის ვიწრო მერდში იბადებოდა დიდი პოეტის გული (გვ. 6 — 7).

მხატვრულ პორტრეტებს ცელის სერიოზული და სწორი თვალსაზრისით შესრულებული ანალიზი მე-19 საუკუნის ამერიკის საზოგადოებრივი ცხოვრებისა. განსაკუთრებით დიდი ყურადღება აქვს დათმობილი უიტმენის ბრძოლას ამერიკულ-დასავლურ ზღვის დამახასიათებელი სამარცხენო მოვლენისადმი, რომელსაც მოწინაა ეწოდება.

სამართლიანად ამტკიცებს ავტორი, რომ უიტმენის პირველსავე მნიშვნელოვან ლექსში იგრძნობა მთელი მისი პოეზიის განმსაზღვრელი ძალა — პოეტის ღრმა და უძლეველი ოპტიმიზმი, მოტივი უსასრულოდ გამილი, ფართო გზისა, რომელიც უიტმენს სურს დაინახოს ყოველ ადამიანს

მისან გაღებელი ფანჯრიდან, მოტივი იმ ჰაერისა, რომელსაც შეისუნთქავს აქ აღმზისში და რომელიც თვით სიყვარული იქნება, — წიგნის მხრველი თავის მთავარი მოტივიცა და ამიტომაც ეს თავი დამახასიათებელ სათაურს ატარებს „დიდი ზვის დასაწყისი“.

შემდგომი თავი „სიციცხლის მოაღერსე“ ეხება უიტმენის მოავარ ნაწარმოებს „ბალახის ფოთლები“. ავტორის აზრით, ეს წიგნი ჰგავდა ღია წერილს, რომელიც პოეტმა მისწერა თავის ქვეყანას და რომელზეც იგი მითითებულ გულით ელოდა პასუხს. პასუხი არც თუ სასიხარულო იყო: უიტმენის ლექსებს ახსითებდა სრულიად ახალი, უცნაური ფორმა. მათში მოთავსებული იყო პოეტის კოლოსალური, კოსმიური „მე“, რომელიც თერმე იგივე ყოფილა, რაც „შენ“ ან „იგი“ — ყოველი მეათხველი, ყოველი ადამიანი, მთელი კაცობრიობა. კრიტიკა ამ სიახლეს და უცნაურობას მტრულად შეხვდა და მხოლოდ დიდი ამერიკელი მოაზროვნის ემერსონის მიერ უიტმენის ტრადენტის აღიარებამ დაუღო სათავე პოეტის მსოფლიო დიდებას.

შემდგომად გავხსნა ავტორის მნიშვნელობა უიტმენის წიგნის სათაურისა „ბალახის ფოთლები“. ბავშვივით ნორჩი და სუფთა ბალახი, რომელიც ყველგან ერთნაირად იზრდება, თითქმის საყოველთაო თანასწორობის პრინციპს ასახელებს. იგი „სამარჯობა მშვენიერი, შეუწყვეთვი თიანა“, მუნებმის მარადიული განახლების სიმბოლოა, შეუწყვეტელი სიციცხლის ნიშანი. იგი „იზრდება იქიდან, სადა იდგესდაც სამიწელი წყლული იყო და, მიუხედავად ამისა, ის სუფთაა, უხალო და ნაზი“. ბალახის უსასრულოდ ბევრი ფოთლია ქმნის ისეთსავე ერთობლიობას, როგორსაც წარმოადგენს მრავალი ინდივიდუულისაგან შემდგარი ხალხი. ის უბრალოა, შეუმჩნეველი და თავდაბალი და ამიტომ ქვეშაპირტად დიადი:

მკერა — ბალახის ფოთლიც კი ისე დიდია, როგორც ვარსკვლავთა მთოქცევა

ყოველდღიურია.

ორმაგი მნიშვნელობა ინგლისური სიტყვისა leaves — ფოთლები და ფერცლები — პოეტს თავისი წიგნის სათაურის საფუძვლად უქცევა.

მისი წიგნის ფერცლები და ბალახის ფოთლები ერთი და იგივეა, პოეტის გულიდან მოსული ბალახის ფოთლები, — ეს მისი გრძნობებია, ბალახები — ეს მისი მეგობრებია. მათ შორის, როგორც მეგობრებს შორის, პოეტი მარტოდ არა გრძნობს თავს.

ასეთივე სიმბოლური სახეებია ზღვა და გზა. ცვალებადი ზღვა ხან პოეტის საკუთარი მუნების სახეება, ხან კი, როცა ის უპირისპირდება ადამიანს, პოეტის სიძულვილის საგანი. დასურბული ზვის მრტივი — თავისუფლების და შეუზღუდველობის სიმბოლოა, მუღბივი წინესვასა და პროგრესის განსახიერება, იგი საცეკა მრავალი დიდი თანამგზავრით.

წიგნი სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი უიტმენის ძირითად პოემებს და მათ უმნიშვნელოვანეს თემებს, როგორცაა ადამიანის სხეულის დიდების თემა. ავტორი მართებულად ფიქრობს, რომ პოეტის პემანისტური მსოფლმხედველობის არსი კონკრეტულადაა გამოთქმული შემდეგ სტრიქონებში:

მე შევიცანი, რომ ღმრის სული ძმა
 არის ჩემი,
 და რომ ყოველი მამაკაცი — ქვეყნად
 შობილი, ჩემი ძმა არის,
 და ყველა ქალი — ჩემი დაა და
 საყვარელი,
 რომ ამ სამყაროს საფუძველი —
 სიყვარულია...

პოემაში „სალამი სამყაროს“ დაჭერილია უიტმენის პოეზიის მსოფლიო მასშტაბი, მისი პოეტური დიაპაზონის სიფართოვე. პოემაში „ბრტყლის ხილზე“ — გამოფენილია პოეტის წარმოსახვაში აბსტრუქციული მონაგის სურათი.

საყურადღებოა წიგნის მეორე თავის ბოლოში მოცემული ანალიზი უიტმენის ესთეტიკის ზოგერთი მხარისა. ავტორი უიტმენის ესთეტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპად თვლის ბუნებასთან სიახლოვეს: უიტმენის ლექსები ჰგავან ბუნების სხვადასხვა მოვლენებს, პოეტს სურს მათი ზეგავლენა ადამიანებზე ჰგავდეს ბუნების სტატიონის ზემოქმედებას. მისი ლექსიც ისეთივე სადა, მარტივი და ნათელი უნდა იყოს და ხელოვნურობას მოკლებული, როგორც ბუნება: „არავითარი ლეივნიდა, მითო, რომანი, რითმა“, აცხადებს ავტორი. ავტორის აზრით, უიტმენი ეძებდა „ახალი, დემოკრატიული, საყოველთაო სიმღერებისათვის შესატყვის ფორმას“. ბე-

ტორი მოკლე, მაგრამ სწორ ანალიზს ექცეობს უიტმენის ლექსთწყობას, რომელიც კრატმულ-სინტაქსურ პარალელიზმებს ვერცხმობს. ავტორი ნახვს მისი რიტმის მრავალფეროვნებას, მუსიკალურ ნაწარმოებთან სიახლოვეს.

წიგნის მესამე თავი „დაჭრილია მესვეური“ დათმობილი აქვს უმათერესად იმის გადმოცემას, თუ როგორ გამოშვლავნდა საქმით ის დიდი პემანისმი, რომლითაც გამსჭვალულია „ბალიხის ფოთლები“ პოეზია. ეს თავი ეძღვნება პოეტის კონკრეტული პოლიტიკური სიმპათიებისა და მოტივების გამოვლენას მის პოეტურ სიტყვასა და პრაქტიკულ საქმიანობაში ამერიკის სემოქალაქო ომის დროს.

პოეტის სოციალური და პოლიტიკური კრიტიციზმის დამუშავებული სურათია გამოატრული წიგნის უკანასკნელ, მეოთხე თავში „ძღუელი სიბერე“, რომელიც მნიშვნელოვან წილად პოეტის პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებას ეძღვნება. სოციალისტური უკანასკნელ წლებში უიტმენი, როგორც ჩანს, ბევრს ფიქრობდა სოციალური რეფორმების შესახებაც, რომლებიც მოპოვებულ იქნება უფრო მშვიდობიანი გზით, ვიდრე ძალადობით.

მთელი წიგნი დაწერილია მეტყველი, ხატოვანი, შეიძლება ითქვას, პოეტური სტილით და მასში მოიწინა ავტორის საკუთარი ხმა, წერის ინდივიდუალური მანერა. ეს წიგნი პოეტისა და მკითხველის პერსონაჟი და ცოცხალი შემოქმედებითი ურთიერთობის მაგალითია, ნიმუშია იმისა, თუ კარგი მოქმელის თქმულს კარგი გამგონე როგორ გადასცემს სხვებს და ამით ყველას აგრძნობინებს მოქმელის სიდიადეს.

გინი ბახჩილაძე

საქართველოს მედიცინის ისტორიის მესამე ტომი



მშობლიური მედიცინის ისტორიის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს მედიცინის ისტორიის მესამე ტომის პირველი წიგნის გამოცემა. როგორც წიგნის გაცნობიდან ჩანს, ავტორები ცდილან, ერთი მხრივ, ზოგადად მოეხაზათ ქართული მედიცინის განვითარების ძირითადი გზა, ხოლო, მეორე მხრივ, ცალკეულ საკვანძო პრობლემებზე უფრო ფართოდ შეჩერებულან.

წიგნი წარმოდგენილია შემდეგი თავები: შესავალი, საქართველოს მედიცინის განვითარე-

ბის ძირითადი საფეხურები V — XVIII საუკუნეებში, ზოგად-ბიოლოგიურ შესხედულებათა განვითარების საკითხისათვის, წარმოდგენები ადამიანის სხეულის აგებულებისა და ორგანიზმში მიმდინარე სისიცოცხლო პროცესების შესახებ.

ყურადღებას იპყრობს მთელი რიგი თავები, სადაც განხილულია მედიცინის ისტორიის განსაკუთრებით საინტერესო საკითხები, როგორცაა, მაგალითად, ჯანმრთელობა და დაავადება, ექიმი და ექიმობა, მეურნეობისა და სამედიცინო განათლების კრებები და სხვა.

ექიმი სპეციალისტებისათვის განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს წიგნის ის ნაწილი, სადაც განხილულია პრაქტიკული მედიცინის ცალკეული დარგები, როგორცაა შინაგანი სწულეზანი, ქირურგია, ნევროპათოლოგია და ფსიქიკური დაავადებანი.

მ. სააკაშვილი, ა. ველაშვილი. საქართველოს მედიცინის ისტორია, ტ. III, ქართული მედიცინა V — XVIII საუკუნეებში, წიგნი პირველი. საქმედგამი 1956. მთავარი რედაქტორი პროფ. დ. გ. მამათაიანი-შვილი.

წიგნის შესავალში კრიტიკულად განხილულია მთელი რიგი ცნობები, რომლებიც გვხვდება ისტორიულ, არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ სპეციალურ ლიტერატურაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძველ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ მატერიალურ კულტურის ძეგლები (მაგ., ჰაგიგნური დანიშნულების მქონე კომუნალური და საკულტო ნაგებობანი დღევანდელ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ჩამორჩენილი სატძობო და მავთური მედიცინის გადმონაშთები), უცხოელ ავტორთა მრავალიცხოვანია ცნობები „ანტიკური საქართველოს“ შესახებ შესწავილი არ არის. ამიტომ სრულიად გასაგებია, როდესაც ავტორები ძველ ქართულ მედიცინის პრაქტიკებს ფართოდ განიხილავენ. უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი საკითხების დაყენება მეტად რიგიანაღურია და განვითარებისათვის გამოიჩინება.

ამ მხრივ უარესად საინტერესოა ეტიმოლოგიური ანალიზი სიტყვებისა — „კარაბადინი“ „შუგ“ და „შურა“ — „ფშანი“ და „ფშინვა“ და სხვ. ავტორებს საკმაოდ დამაჯერებლად აქვთ გაშუქებული ქართული სამედიცინო წიგნების — „კარაბადინების“ წარმოშობის საკითხი.

სიტყვა „ფშინვა“ და „შურა“ ანალიზის შედეგად ავტორებს თვალსაჩინო დასკვნები გამოაკეთებენ ქართულ მედიცინაში ანტიკური-ფიზიოლოგიურ წარმოდგენებზე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორებისათვის დამახასიათებელია დიდი და თავშეკავებული მსჯელობა, უცხო ავტორთა ცნობების მეტად ფრთხილი გამოყენება.

მეთოლოგიური და ლიტერატურული ცნობები არგონავტების მოგზაურობის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში არა ერთხელ, იყო გამოყენებული იმის აღსანიშნავად, თუ როგორ მაღალ დონეზე მდგარა ძველი საქართველოს (კოლხეთის) კულტურა ანტიკური ეპოქაში. ჩვენ ავტორები ამ საკითხს ახლებურად ამუშავებენ მთელი რიგი მახვილგანიერული მისაზრებებით ასახულებენ, რომ ბერძენებს სხვა კულტურულ მიწვევებთან ერთად შეიძლება სამედიცინო ხასიათის ცნობებშიც წყველოთ საქართველოდან.

წიგნის პირველ თავში განხილულია საქართველოს მედიცინის განვითარების საფეხურები V — XVIII საუკუნეებში. მედიცინის განვითარების ცალკეული ეტაპების გადმოცემის დროს, რა თქმა უნდა, ავტორები ზოგიერთ ისტორიულ ფაქტს გვუჩვენებენ ვერ აუვლდნენ, მაგრამ ეს ფაქტები, თუ შეიძლება ითქვას, მედიცინის ისტორიკოსის თვლით არის დანახული, ე. ი. ხაზგასმულია მათი მნიშვნელობა ძველი ქართული მედიცინის განვითარებისათვის.

მეტად საინტერესოა წიგნის ის თავები, სადა აღწერილია ძველ საქართველოს არსებული სამედიცინო დაწესებულებები და ის პიროვნებანი, რომელთა საქმიანობაც მკვიდროდ იყო დაკავშირებული პრაქტიკულ და თეორიულ მედიცინასთან. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას

იქცევს მთელი რიგი საერთაშორისო და ზოგიერთ შემთხვევაში, საკმაოდ დასაბუთებულ მოსაზრებანი იმის შესახებ, რომ ქართულ კულტურის რიგი უდიდესი წარმომადგენელი — იოსებ პეტრიწი და იოსებ ბატონიშვილი — ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა მედიცინის დარგში.

არანაკლებ საინტერესოა წიგნში არსებული ცნობები ექიმ ანტონ და იოსებ ყარაშვილების შესახებ, რომლებიც მეფის კარის ექიმები უფიქრად და პირველი ექიმბაშის ტიტულით მოიხსენებოდნენ.

წიგნში ცალკე თავია მიძღვნილი იმ სამედიცინო დაწესებულებებისადმი, სადაც ხდებოდა ავადმყოფის მკურნალობა და, აგრეთვე, ექიმთა პრაქტიკული და თეორიული განსწავლა.

თემანტიკურად ცალკე გვჯერს შეადგენს წიგნის ის ნაწილი, სადაც გადმოცემულია ავადმყოფის გამოკვლევის ზერხები, ქირურგიული დაავადებანი, შინაგანი სნეულებანი, ნერვული სისტემის სნეულებანი და ფსიქიკური დაავადებანი.

აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიც ავტორებს მასალა ქრონოლოგიური თანამიმდევრობით აქვთ განხილული. ისინი ცდილობენ ძველ ქართულ მედიცინაში არსებული წარმოდგენები ამა თუ იმ დაავადების შესახებ ისტორიულ პერსპექტივაში განიხილონ, ე. ი. ხაზი გაუსვან იმას, თუ მომდევნო საუკუნეში რა არის ახალი შეტყობილ ავადმყოფობის გაგების თუ მკურნალობის საქმეში.

სპეციალური ნაწილის განხილვის დროს ყურადღებას იპყრობს ძველი ქართული მედიცინის მაღალი დონე, როგორც ჩანს, ძველი ქართული ექიმები იცნობდნენ თავისი ეპოქის მედიცინის მიწვევებს და მას პრაქტიკულ საქმიანობაშიც იყენებდნენ.

წიგნში არსებული რიგი თავი — ავადმყოფის გამოკვლევის ზერხები და შინაგანი სნეულებანი — დაწერილია ექიმ ბ. ქ. რაჭველიშვილის მიერ. ავტორი განსაკუთრებით ფართოდ ჩერდება დიაგნოსტიკის იმ მეთოდებზე, რომლებიც ავადმყოფის საწოლთან მრავალი წლის დაკვირვების შედეგად იყო შემუშავებული და ამიტომ დღესაც არ დღევარგავთ სადიაგნოსტიკო ღირებულება.

როგორც ირკვევა, საქართველოს ექიმები უძველესი დროიდან იცნობდნენ ისეთ შინაგან სნეულებებს, როგორცაა წყალმანკი, ფილტვის ტუმბერკულიზი, კუჭის წყლული, ნაღვლის ბუშტის დაავადებანი, თირკმლის და საშარდო გზების დაავადებანი, სურავანი, შაქრიანი დიაბეტი, სამღლიური და ოთხღლიური მალარია, ყვავილი, კეთრი და სხვა.

აღნიშნულ დაავადებათა აღწერილობანი მთელი რიგი შემთხვევაში ახლოს დგას თანამედროვე მედიცინაში მიღებულ აღწერილობებთან.

საინტერესოა რომ სკოპიტის განვითარებაში მნიშვნელობას ანიჭებდნენ არა მარტო შინაგანი ნივთიერების (ვიტამინების) ნაკლებობას,

არამედ კლამატურ ფაქტორებსაც. საჭირო იყო, ეს საკითხები უფრო ფართოდ ყოფილიყო გაშუქებული.

ძველი ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის დღევანდელ მიზნით არანაკლები მნიშვნელობა აქვს შინაგან დაავადებათა ძველ ქართულ სახელწოდებებსაც, რომლებიც წიგნში საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდება. ასე, მაგალითად, ამსცესს ეწოდებოდა "ფოლტვის მგლობი" ანუ "ფოლტვის მუწვი", პლევრიტის — "ბრჭვალა", შაქრიან დიაბეტს — "ქლომილისა სიმშილი", გასტროენტეროკოლიტს — "ელდაი", კუჭის წყლულს — "სტომაქის წყლული" ანუ "მკამელი". ასეობის დღევანდელ სახელწოდებებსთან — წყალმანი ეტრიოლოგიურად ახლოს დგას ძველი ტერმინი "წყლითმანკეობა", რომელიც ჰაგიოგრაფიულ ძვლებშია მოხსენებული. ასეთი მაგალითები იმდენად ბევრია, რომ მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

ვფიქრობთ, რომ თანამედროვე ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის შევსებისა და დანუსტების დროს აღნიშნული ტერმინები უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული მათი აღდგენისა და თანამედროვე ლექსიკურ ფონდში შეტანის თვალსაზრისით.

ქართველ ხალხს თავის არსებობის მანძილზე განუწყვეტლივ უხდებოდა ომების წარმოება უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. ამ გარემოებაში განაპირობა ძველი საქართველოს ჭირთურობის განსაკუთრებით მაღალი დონე. ჯერ კიდევ უძველესი ძვლებში ჭირთურობა ანუ "ჯარაობა" წარმოდგენილია როგორც ცალკე დარგი მედიცინისა, ხოლო "დოსტაქარი" თავისი საქმიანობით გვევლინება როგორც მედიცინის გარკვეულ დარგის სპეციალისტი.

აღნიშნული საკითხები ფართოდ და საინტერესოდ არის წარმოდგენილი თავში "ჭირთურობა დაავადებანი". ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც შინაგანი მედიცინის გადმოცემის დროს, ყურადღებას იქცევს მთელ რიგ ჭირთურობულ დაავადებათა აღწერილობა და მათი ძველი ქართული სახელწოდებანი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაჭრილ-დაყოფილთა მკურნალობა ძველ ქართულ მედიცინაში საკმაოდ მაღალ საფეხურზე იდგა. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ წიგნში მოტანილი მასა-

ლების მიხედვით მეთერთმეტე საუკუნის ძველში უკვე ვხვდებით ჭრილობის პირველად დამუშავებას, ხოლო მეშუთმეტე საუკუნის ძველში ჭრილობების აბრეშუმის ძაფით ყრულ გაყვრვაზე ირის აღწერა. აქვე აღწერილია ჭირთურობის მანიპულაციები და მარტივი ჭირთურობის ოპერაციები. განსაკუთრებით საინტერესოა ის გარემოება, რომ ძველი საქართველოს ექიმებს ჭრილობიდან სისხლის შესაჩერებლად გამოუყენებიათ გამზარის სისხლის ფესვლი.

წიგნის დასკვნით თავებია ნერვული სნეულეზანი და ფსიქიური დაავადებანი.

ნერვული სნეულებებიდან ძველი საქართველოს ექიმთათვის ცნობილი ყოფილა რბილი დამპლის სხვადასხვა სახეები, ეპილეპსია და სხვ. წიგნში მოტანილია ამ დაავადებათა აღწერილობანი და ის საჭიროა საზოგადოებრივი, რომლებიც ძველი ექიმების მიერ გამოიყენებოდა. თუ რამდენად მაღალ საფეხურზე იდგა თავის ეპოქასთან შედარებით ფსიქიურ დაავადებათა შესწავლა-მკურნალობა, ამას წიგნში მოტანილი თუნდაც ის ფაქტი ამტკიცებს, რომ ფსიქიური აშლის სხვადასხვა ვარიანტების აღსანიშნავად ძველ ქართულ მედიცინაში თერთმეტი სახელწოდება ყოფილა ცნობილი.

წიგნი ზოგიერთ შენიშვნასაც იმსახურებს, რომლებიც სრულიად არ ამცირებენ მის მნიშვნელობას. მათ შორის აღვნიშნავთ ზოგიერთს.

არქიტექტონიკის მხრივ უნდა ითქვას, რომ უკეთესი იქნებოდა დაავადებების განხილვისადმი მიძღვნილ თავებში ქვეთავები ყოფილიყო გამოყოფილი. კარგი იქნება, თუ ავტორები ამას შემდეგ გამოცემაში გაითვალისწინებენ. მოსალოდნელია, რომ საინტერესო-პოეტიკის საკითხები სპეციალურ თავში იქნება გაშუქებული, მაგრამ შესავალში აბანობის განხილვის დროს საჭირო იყო მათ შესახებ უფრო დამწიქებით შეჩერება. შეიძლება ზოგიერთი დაავადების გავებაც დავას იწვევდეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გადაუტარებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ წიგნით ქართველ მედიკოსებს საშუალება ეძლევა ნათელი წარმოდგენა მიიღონ ძველი ქართული მედიცინის შესახებ.

პროფ. ზ. ნათაძე

საქართველო ხალხური ხელოვნებისათვის



ძველი ტიპის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების შესწავლა საინტერესოა არა მარტო შემოქმედებითი არქიტექტურული პრაქტიკისათვის და ახალი ტიპის ბინათმშენებლობისათ-

ვის, არამედ საყურადღებოა ეთნოგრაფიულ-ისტორიული თვალსაზრისითაც. დღევანდელ ვითარებაში მრავალსაუკუნოვანი ხალხური სამშენებლო გამოცდილებისა და ტრადიციების გარეშე ძველი იქნებოდა თანამედროვე საყოფარღო საცხოვრებელი ნაგებობის ისეთი ტიპის შექმნა, რომელიც მთლიანად დააკმაყო-

ც. ადამია, ქართული ხალხური ხელოვნებისათვის. აქარა. "ხელოვნება" 1956.

ფილებდა საბჭოთა გლეხის გაზრდილ მოთხოვნა-ნილებებს და, ამავე დროს, უპასუხებდა ჩვენი ქვეყნის ამა თუ იმ ხალხის ყოფის ნაყოფანაღორ თუ ეთანაყოფ თავისებურებას. სადავო არ არის, რომ საცხოვრებელი სახლი ნამდვილად წარმოადგენს შიგ მცხოვრებელ კონკრეტულად ადამური აუჯანის გეონომიური, კულტურული და სოციალური ცხოვრების, მისი ყოფის ცენტრს. ამიტომაც კვლევის დროს არ უნდა იქნეს დაფიქსურებული ის გარემოება, რომ საბინაო მშენებლობაში გადამწყვეტი ჯერ გეონომიური პირობებია, ხოლო შემდეგ გეოგრაფიული გარემო. სწორედ ასეთი თვალსაზრისით არის დაწერილი ილ. ადამიას ნაშრომი „ქართული ხალხური ხერით-მოძღვრება აკარა“.

შრომის წინასიტყვაობაში ავტორი წერს, რომ თანამედროვე ტბაიური ბინათმშენებლობის საქმეში ადგილებად ვასათაჟისწინებელია ის ძველი სამშენებლო შემეცოდებობა, რომელშიც საფუძვლების გამოცხად გაუძლო და შეგებულა ადგილობრივ სამშენებლო, ბუნებრივ-კლიმატურ, ტოპოგრაფიულ პირობებს და წარმოქმნილია გარკვეულ სამეურნეო ვითარებაში. ეს გარემოება ილ. ადამიას ძირითადად კარგად აქვს გაგებულ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ გადახვევებს, რომელთა შესახებაც გზად-გზა გვჩვენებდა ლაბარაკი.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სარეცენზიის ნაშრომი ქართული ხალხური ხერითმოძღვრების შესწავლის საქმეში საგულისხმო მოვლენაა. პირველ რიგში აღსანიშნავია მისი ვრცელი ნაწილი, რომელიც, შეიძლება ითქვას, მეტად ძვირფასი მასალის შემცველია და კეთილსინდისიერადაც არის დამუშავებული. ამ მხრივ ილ. ადამიას ნაშრომი ერთ-ერთი საუკეთესოა აქამდე გამოკრულია შორის, რომლებშიც ზოგადად თუ კონკრეტულად განხილულია ხალხური ხერითმოძღვრების ესა თუ ის საკითხი. შრომის გრაფიკულ ნაწილში თავმოყრილია აქარული სოფლების დანახლება-განლაგების, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობის გეგმები, კრილუბი, ჩანახებები, ჩანახატები, ფოტომასალა ხალხური ორნამენტის — ხეზე კეთლის შესანიშნავი ნიმუშები და სხვა ზასათის ხალხური ხერითმოძღვრების მიღწევების ამახველი ძვირფასი გრაფიკული და ფოტომასალა.

მართალია, ნაშრომის ავტორი არქიტექტორია, მაგრამ ილ. ადამიას კვლევა-ძიება უფრო ფართოდ აქვს წარმოდგენილი და ხშირად წმინდა არქიტექტორული კვლევის ფარგლებს საყმაოდ სცილდება. რასაკვირველია, ეს უკანასკნელი გარემოება ავტორის სასარგებლოდ ლაბარაკობს.

ადამიანთა ყოფის ისეთი ძირითადი კომპონენტის, როგორც არის საცხოვრებელი სახლი, შესწავლა ხალხისაგან მოწყვეტით, მისი შემქნელისაგან იზოლირებულად სასურველ შედეგს ვერ მოგვეცემს. სწორედ მოქცეულია ავტორი, როდესაც

საც მას ამგვარ გააზრებაში აქვს განხილული აქარული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები.

ზიგლნიოთიქა

ილ. ადამიას ილწერილი და განხილული აქვს აქარული სოფლის წარმოშობა-განვითარება-დაგვემარების საკითხები და ამის შესახებ საყურადღებო მოსაზრებები აქვს წამოყენებული. მეტად სანტერესო ცნობებს გვაწვდის სოფლის წყალმომარაგების შესახებ, წყლის გაყვანა-გაღაზიდვის ტექნიკის მხრივ. ილწერილია და ტიპოლოგიურად აქვს დახასიათებული აქარულ-სოფლი და, საერთოდ, ოდელი ტბის სახლებთან ერთად სამეურნეო ნაგებობები, ხეზე კეთის ხალხური ხერითმოძღვრების მოტივები და ა. შ. გაჩვენებულია აქარული სოფლების მოავარი შემდგენელი ნაწილები: უბანი — „მეხლად“, რომელიც შეტანილია ერთგვარიანი მოსახლეობით არის წარმოდგენილი, საზოგადოებრივი დანიშნულების მოედანი, საკულტო ნაგებობა, შესანიშნავადია ილწერილი და ტიპოლოგიურადაც კარგად არის დაუფილი აქარაში არსებული სიმახასიათებელი ზონის სოფლებისათვის დამახასიათებელი კარ-მიდამო, საცხოვრებელი და სამეურნეო ხასიათის ნაგებობები. პირველ საცხოვრებელ ზონაში, რომელიც შთა ადგილს განეკუთვნება, კარ-მიდამო პატარა ზომისაა და ნაგებობა აქ ვერტიკალურ განზომილებაში განვითარებული. სახლები აქ საფლავში ყოველთვის ხისა და ორ და სამსართულიანია. ამავე ნაგებობებში, ერთ სახურავქვეშ ადამიანის საცხოვრებელთან ერთად წარმოდგენილია სამეურნეო ნაგებობებიც: ბოსელი, საბძელი, საშეშე და სხვ. მეორე საცხოვრებელ ზონაში კარ-მიდამო უკვე სკამად ვრცელია და სახლის მშენებლობაში ხესთან ერთად ქვეც არის გამოყენებული. სამეურნეო ნაგებობებში გვხვდება მარანი, რომელიც პირველი ბინისათვის არ იყო დამახასიათებელი. ამ ბინაში გვხვდება ერთი საბძელი, რაც ბოსლის ცალკე შენობაში არსებობით გამოიხატება. მესამე საცხოვრებელ ზონისათვის დამახასიათებელია ორი სახის ეზო. პირველი სახლის ფასადის მხარეზე გზის პარალელურად მოთავსებული დეკორატიული ეზო, სადაც გამართულია ფანტატური და გამოყვანილი წყაროს წყალი. მეორე ეზო სახლის უკან არის და სამეურნეო საქმიანობისათვის გამოიყენება. აქ დგას ბუდელი, საშეშე, საქაიფე, ბოსელი. ისეთ ეზოს ყოველთვის ცალკე შესისვლელი აქვს. ასე რომ, ამ ზონის დასახლებაში ადამიანის საცხოვრებელი სქონლის საღვრამისა და ზოგა სამეურნეო ნაგებობისაგან საბოლოოდ არის გამოჯერული.

ილ. ადამიას ნაშრომი შესადარებელი მასალის თვალსაზრისითაც მეტად საყურადღებოა. როგორც ცნობილია, ზოი ხერითები ლახეთ-აქარაიდან საქართველოს სხვა კუთხეებში ერთად მესხეთ-ჯავახეთსა და თრიალეთშიც მიმოდირდნენ. თრიალეთის და მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში გადმონათვის-სახით დღემდე შე-

მონაბეღლია ქარიშხან-თავარებთან მიწურბანანინ ოდა სახლები, რომლებიც შინაგანი გაფორმების ზოგიერთი თავისებურების მიხედვით იღ. ადამიას მიერ სოფ. დიდუბარაში აღწერილი ა. დემეტრაძის სახლის ინსოვს წარმოადგენს. მსგავსება განსაკუთრებით შეიმჩნევა ბუხარის ფორმის, საბუნებრივ კედლების მოპირკეთება-მოწყობასა და ასეთ სახლებში მალაქსატურული გემოვნებით შესრულებული, კერძო ორნამენტარული ვარდულების — თავანის მიმაგრების ტრადიციონი (იხ. ილ. ადამიას ნაშრომის, გ. ჩიტაიას, სიციოქლის ხის მოტივი ლახურ ორნამენტში, „ენიკის“ მოამბე, ტ. X, 1941 წ. თ. ჩიჭვანის, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი თრიალეთში, ავტორიფერტი საკანდიდატო დისერტაციისა, საქ. სსრ მეც. აკადემიის გამოქვეყნება 1954 წ. და ლ. სუმბაძის, საკანდიდატო დისერტაციის, სათინალო გვერდები და ტაბულები). ეს უკანასკნელი გარემოება კი იმის მიხედვებელია, რომ თრიალეთისა და მესხეთ-ჯავახეთის ქარიშხან-თავარებში იღ. ადამიას საერთო ქართულ-კულტურულ სამყაროში ერთი და იმავე სამშენებლო ტრადიციონებზე აღმოცენებულია. ვარადა ამასა, თუ ვარადა დავაკვირდებით, აქვარა ხდება, რომ აქარაში ა. დემეტრაძის სახლში, მესხურ-ჯავახურ-თრიალურ ქარიშხან-თავარებთან ოღამი და პრავ. გ. ჩიტაიას მიერ ქებალანის ხეობაში აღწერილ დაბაზშიაღი კი ბუხარის ფორმა და საბუნებრივ კედლების მოწყობა-მოპირკეთება ერთმანეთს იმეორებენ და ნათესაურ სამშენებლო ტრადიციებზე მიგვიტოლებენ. ეს გარემოება უფრო ნათელი გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ აქარა და მესხეთ-ჯავახეთი, ისევე როგორც თრიალეთი წარსულში ერთ მთლიან ეთნიკურ სამყაროს წარმოადგენდა და ისტორიული ქართლის საზღვრებში იყო გაერთიანებული. ასე რომ ილ. ადამიას მიერ აქარაში დამოწმებულია და აღწერილია (ა. დემეტრაძის) სახლმა ახალი სინათლე შეიტანა აქამდე სავარაუდოდ ცნობილ საკითხის გარკვევაში.

ავტორი შრომის წინასიტყვაობაში, მართალია, წერს, რომ მისი მონოგრაფია აქარის ხალხური ხუროთმოძღვრების შესწავლის პირველი ცდაა და ამის გამო შეცდომებისაგანაც დაზღვეული არ იქნება, მაგრამ ამ პირველ ცდაში ავტორს ზოგიერთი საკითხის გარკვევაში საშინო იყო მეტი სიფრთხილე გამოვიჩინა.

როდესაც ავტორი ეხება საქართველოს ისტორიის საკითხებს, წერს, რომ „საქართველოს წარსულში დამპყრობთაგან დიდი აწიოკება განუცლია“ (გვ. 7). შემდეგ იგი ავითარებს აზრს და გადადის არაბთა და თურქთა შემოსევებზე, როდესაც ჩვენს ქვეყანას მართლაც დიდი ვასაკიბი ადგა. ავტორი აქვე იშველიებს ს. მაკალათიას და მოყავს მისი ციტატა: „მე-7, მე-8 საუკ. არაბებისაგან დევნილი ქართლის მოსახლეობის მიგრაცია ხდება ლაზიკაში და კოროხის ხეობაში,

სადაც ჩნდება ახალი დასახლებული ადგილები: გურია, აქარა და შავშეთ-კლარჯეთი. სადაც ბიზანტიის მფარველობაში პოულობდა უფრო ასატან ბოლიტიკურ-ეკონომიურ პირობებს და სარწმუნოებაზე თავისუფლებას“ (ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, 1938 წ. გვ. 14). ილ. ადამია ს. მაკალათიას აღნიშნულ მოსაზრებას ყოველგვარი კრიტიკის გარეშე იღებს და, რასაკვირველია, იზიარებს კიდევ. ჩვენს ავტორებს თუ დივერსებებს, მე-7, მე-8 საუკ. ლაზიკა და კოროხის ხეობა (ეს უკანასკნელი ხელოვნურად ირის გამოყოფილი ლაზიკადან) დაუსახლებელ ტერიტორიებს წარმოადგენდნენ, რომ გურია, აქარა და შავშეთ-კლარჯეთი (ავტორებს გამოჩინათ, აღბათ, კოლა-არტანუჯი, ერუშეთი და სხვა ტერიტორიები), როგორც სამხრეთ საქართველოს ბრიტანიკები, ზემოაღნიშნულ ხანაში ჩამოყალიბებულან?! საინტერესოა, რას ეყრდნობოდა ს. მაკალათია და მის საფუძველზე შემდეგ ილ. ადამია, როდესაც ამას წერდნენ. ანდა სად, რომელ ისტორიულ წყაროში ამოიკითხეს, რომ ქართლის მოსახლეობის ნაწილი მე-7, მე-8 საუკ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დასახლდა?! ილ. ადამია შორსაც მიდის და იმავე გვერდზე მიგრაციის თეორიით (რომელიც საფუძველშივე მცდარ მიმდინარეობას წარმოადგენს) ცდილობს ახსნას ის მეტ-ნაკლებად მსგავსი სამშენებლო ტრადიცია, რომელიც აქარაში შეიმჩნევა საქართველოს ზოგიერთი კუთხის მიმართ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ აქარა და, საერთოდ სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს გარკვეული ნაწილი ოლითგანვე ზემო ქართლის ცენტრში იყო გაერთიანებული; ამას არც ი. ადამია უარყოფს. ასე რომ, ავტორის მსგავსი სამშენებლო ტრადიციის არსებობა უნდა განეხილა არა ქართველ ტომთა მიგრაციის საფუძველზე, არამედ იმ ერთიან მთლიანობაში, რომელშიც იყო წარმოდგენილი როგორც ზემო, ისე შუა და ქვემო ქართლი.

საცხოვრებელი ადგილები და საცხოვრებელი სახლების ტიპების მიხედვით ავტორს აქარა დაყოფილი აქვს სამ ზონად. ამ ზონალურ დაყოფას ილ. ადამია საფუძველად უღებს დასახლების ხალხური დაგვიგარების წესს. მაგრამ დასახლების განმსაზღვრელი კონკრეტული ფაქტორებიდან იგი პრიმატს რელიეფს ანიჭებს, რაც სინუსტეს მოკლებული უნდა იყოს. რელიეფის გარდა, იგი სხვა ფაქტორებიდან ასახელებს სოციალ-ეკონომიურ პირობებსაც, რომლებიც აქ მეორეული მნიშვნელობითია წარმოდგენილი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დასახლების და იმა თუ იმ ტიპის სახლის წარმოქმნა-განვითარებაშიც კი ძირითად განმსაზღვრეელ პირობას კონკრეტულად ადებული კუთხისათვის ყოველთვის ადგილობრივი სამეურნეო ვითარება წარმოადგენს და შემდეგ — სხვა ხელისშემწეობი ფაქტორები. დასახლების ტიპის დახასიათების დასკვნის ნაწილში ავტორი წერს, რომ: „ამგვარად, საქართველოს ამ კუთხის ტო-

პოგრაფიულმა პირობებმა და მტრთა წინააღმდეგ ბრძოლამ, ამასთან მასიური ვადასახლების გამოცდილებამ (სიცი) ჩვენი წინაპრები მოიყვანა იმ დასკვნამდე, რომ დასახლებულიყვნენ შემუდროვებულად, რადგან შემუდროვებული დასახლება ადვილეს სიერით მტრის წინააღმდეგ ბრძოლის სწრაფ ორგანიზაციას და რაიმე გაჭირვების ეპის, ან შრომა-საქმიანობის პროცესში ურთიერთ დახმარებას" (გვ. 12). დასახლების რომელიმე ტიპის ასეთ ასპექტში განიხილა, თუნდაც აქირის მავალითზე, მცდარია და კომენტარებსაც არ საჭიროებს.

აქვე უნდა დავუმატოთ, რომ აქირის აღმინისტრაციული დაყოფიდან აღმია ასახელებს ზათუმის, ხელის, ქედის და ქობულეთის რაიონებს (გვ. 11-12). შუა ხევის რაიონი, რომელიც უკვე რამდენიმე წელიწადია არსებობს, ავტორის ჩანთშიც გამოტოვებია.

სარეცენზიო შრომის ავტორს სამივე ზოლის დასახლებისათვის დადასტურებული აქვს „ილევი“ და „ეშლები“, რომლებიც სეზონურ დასახლების ტიპს განეკუთვნება, და როგორც ილ. აღმია წერს, აქ საცხოვრებლის ახალი ტიპი არა ვხვდებოდა. აქაური სახლები აგებულია იმავე წესით, „როგორცაც ვხვდებით საერთოდ აქირის

სოფლების ცალკეულ ნაგებობათა ტიპებში“ (გვ. 13). ილ. აღმია „ილევის“ და „ეშლებს“ აქირის ძველი სოფლის პრიტიკულმა მონეტებს და ხალხური დაგვიმარების ევოლუციის პირველ ეტაპად თვლის (გვ. 13). მაგრამ იმას კი აღარ წერს, რა საბუთით ანდა რის საფუძველზე ავტორმა აღმათ იყის, რამ „ეშლები“ და „ილევი“ წარმოქმნილია მომთაბარე შესაქონლეობას ნიადაგზე. აქირაში კი, როგორც ვიცით, სოფლან მეთრნეობაში გაბატონებული მდგომარეობა ყოველთვის მიწითმომკვდებს ვაკეა. ამიტომ ავტორი ზემოაღნიშნულ გარემოებას მეტა სიფრთხილით უნდა მიმოკიდებოდა და დამაჯერებლობისათვის საჭირო იყო სათანადო საბუთების მოტანა.

ჩვენ მიერ მოყვანილი ზოგიერთი შენიშვნა არ ამკირებს ნაშრომის ღირებულებას. ილ. აღმიას წიგნი ქართული ხალხური სურათმომღერების შესწავლის საქმეში კარგ დახმარებას გაუწევს არა მარტო ხელოვნებისმცოდნეებს და არტიტიკტორებს, არამედ ისტორიკოსებს და პირველ რიგში ეთნოგრაფებს.

თიხურაჯ ჩიქოვანი

კლუტარქის ქართულად გამოცემის გამო



ქართულმა მეიბხველმა შობლიურ ენაზე მიაღი ელინისტური ეპოქის ისტორიკოსისა და შწერლის პლუტარქეს თვალსაჩინო ნაშრომის „პარალელური ბიოგრაფიების“ პირველი ტომი, რომელშიც შეტანილია ათი ბიოგრაფია: თეზეუსი, ლეკრგე, სოლონი, ლეულუსი, პომპეუსი, ალქსანდრე მაკედონელი, გაიუს იულიუს კეისარი, ტიბერიუს გრაკუსი, გაიუს გრაკუსი, ციკერონი.

„პარალელურ ბიოგრაფიებში“ აღწერილია ძველი საბერძნეთისა და რომის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა, ალქსანდრე მაკედონელისა და იულიუს კეისრის სამხედრო მოღვაწეობა, რომის რესპუბლიკის უკანასკნელი საუკუნის შლოთიანი პერიოდი, მშები გრაკუსების რევოლუციური ბრძოლა; ასახულია რესპუბლიკისა და დიქტატურას შორის წარმოებულ ბრძოლის სურათები, წინააღმდეგობანი უფლუბოებას და უფლებამოსილებს შორის, პატრიციებსა და პლუბებს შორის. „პარალელურ ბიოგრაფიებში“ მღაენდება პლუტარქეს ღრმა უმანიში, სამართლიანობა, თავანისციება გამაჩინელი აღამიანთა მემართ, ხელ ერთია რომელი ეროვნებისა ის: ბერძენი სოლონი და ალქსანდრე მაკედონელი, რომელი პომპეუსი თუ კართაგენელი პანიბალი. მაგრამ პლუტარქე თავისი ეპოქის შვილია, მონათმფლობელური საზოგადოების გაბატონებული კლასის წარმო-

მადგენელი. ეს კი ვაგლენას ახდენს მის მსოფლმხედველობაზე. მისთვის თავისუფალი და მონა, პატრიცი და პლუბეი საზოგადოების აუცილებელი ელემენტებია.

პლუტარქეს „ბიოგრაფიები“ შეუნელბელი ინტერესით კითხულობდენ ყველა თაობები. ამის შესახებ მთარგმნელი აკაი ურუშაძეს უხე მასალა აქვს წარმოდგენილი წიგნის შესავალ ნაწილში და მასზე აღარ შეეჩერდებოთ.

სარეცენზიო წიგნის ქართული გამოცემა იხსნება თეხვესის ბიოგრაფიით. მასში მოცემულია ავტორის, როგორც ისტორიკოსისა და შწერლის დამოკიდებულება აღსაწერი ბიოგრაფიებისადმი. იგი გულახდილად თხოვს მეიბხველს მოტტვეოს მას ის სიზუსტეს მოკლებული აშბები, რომლებიც შეიძლება მას თბრბისას გავაბროს. „ჩემი სურვილია—წერს ის— ეს მოთბრობა ზღაბრული აშბებისაგან განეწინდო, უკუშართებას დავუმორჩილო და ისტორიის სახე მივეცე. მაგრამ იქ, სადაც იგი სიჯიუტეს გამოიჩინს უკუშართების მიმართ და არ ეცდება სონამდელიუს დექვემდებაროს, კეთილმოსურნე მეიბხველს ვთხოვ, მოწყალე თვლით შეჰხედონ ძველსძველ აშბათა ვადმოცემას“ (გვ. 3). თავის წიგნის შესახებ ავტორი წერს: „მე ცხოვრებას ეწერ და არა — ისტორიას. დიად აშბებში ყოველთვის ცხადად რიდი ჩანს სიკეთე თუ მან-

კერება... ნება მომეცით, ზემ მიერ აღსაწერ პიროვნებათა სულიერ სამყაროს ღრმად ჩაეწვდეთ და თითოეული მათგანის ცხოვრება ამისდა მიხედვით აღსაზო. და, სხვებმა აღწერონ მათი დიდი საქმენი და ომები!" (გვ. 145).

პლუტარქეს აზრით თეზევსი მამაცი ვაჟაკი, სამართლიანობისათვის მებრძოლი ადამიანი, „მეგრამ მას არ დაუშვია ის, რომ შრავლად მოხლავებულ ვაჟმართავ ბრბოს რაღაც ადრეული და უწესრიგო დემოკრატია შეექმნა... თანასწორობა მან დააფუძნა იმაზე, რომ ევბატრადები გამოირჩეოდნენ პატივით, გემოვნებით — სარგებლიანობით, ხოლო დემოკრატები — მრავალრიცხოვანობით“ (გვ. 13). ასეთია პლუტარქეს „დემოკრატია“.

პლუტარქეს ასეთი მსოფლმხედველობა ჩანს ლაქურგის ბიოგრაფიაშიც, სადაც უხუცესთა საბჭოს დაარსებაში იგი ხედავს მაწინასწარბებელ ძალას „მეფეთა გადაქარბებულ ძალას“ და „დემოკრატულ წყობას“ შორის (გვ. 23). საინტერესო ცნობებს გვაწვდის პლუტარქე ლაქურგის ე. წ. რეტრის შესახებ ანუ წინასწარმეტყველების შესახებ, რომელიც მას, თითქმის დღეფოდიან ჩამოუტანია.

პლუტარქეს სადი გონება კარგად ხედავდა, რომ ე. წ. „კრიპტები“ ანუ სპარტულ მონათმფლობელთა დროადრო ნადირობა უბედურ პილოტებზე მახინჯი მოვლენა იყო. აღწერს რა ამ ბარბაროსულ ელტას, როცა ახალგაზრდა სპარტელები „შარავზანე გამოვიდოდნენ და ხოცოდნენ ყველა პილოტს, რომელიც ხელში მოხვდებოდათ“ (გვ. 38), ავტორი მამაც დროს ცდილობს შეარბილოს ამ აკრით გამოწვეული შემპირწუნებელი შთაბეჭდილება და ამისათვის ბრალს ბედურულ პილოტებსაც დადოს. „სპარტელები — წერს პლუტარქე — ასეთი მკაცრნი გახდნენ დიდი მიწისჭერის შემდეგ, ამ მიწისჭერით ისარგებლეს თურმე პილოტებმა და... მრავალი უბედურება მოუტანეს ქვეყანასო“ (გვ. 38).

სოლონის საქმიოდ ვრცელ ბიოგრაფიაში პლუტარქე გვიხატავს სოციალურ და პოლიტიკურ მდგომარეობას, რომელიც არსებობდა სოლონისდროინდელ საბერძნეთში. მართალია, პლუტარქე საუკუნეებით არის დაიღლებული სოლონის გზაქას, მაგრამ იმის გამო, რომ იგი ხშირად იხსენიებს და გყარდნობა მარკელხარისზოიან წყაროებს, როგორც არის არსებობდა, (საერთოდ პლუტარქე სამასზე მეტ ავტორს იყენებს და გყარდნობა თავის „პარალელურ ბიოგრაფიებში“), მისი თხრობა დასაჯერებელი და უტრადლებს დირსია.

ლუკულუსის ბიოგრაფია, ვარდა სხვა მხარეებისა, იმითაც არის საინტერესო, რომ მასში უხვად არის გაზნებული ცნობები საქართველოს

შესახებ. „...კასპიის ზღვის მხრიდან დაძრული მრავალრიცხოვანი აღბანები დაიღბნებნენ... მრავალად მცხოვრები იბერებმა...“ (გვ. 112). წყის ავტორი, სხვა ადგილას ის წერს: „ლუკულუსის წინააღმდეგ მტრის რჩეული და მრავალრიცხოვანი მხედრობა იყო ჩაწყრივებული. ამ მხედრობის წინ ცხენოსანი მშვიდლისნები — მარდები და შუბოსანი იბერები იღვნენ. უცხო მეომართა შორის ყველაზე უფრო დიდ ნდობას, როგორც საუფეთესო მებრძოლებს, ტერანის სწორედ ამა უცხადებდა“ (გვ. 87). იქვე პლუტარქე ჩამოთვლის ლუკულუსის ზელქვეით მყოფ ტერიტორიებს „ვიღრე ფახისამდე“ (გვ. 88).

პომპეუსის დანაშენას აღმოსავლეთის ომეკრატების საქარმოებლად პლუტარქე ასე აფიხებს: „ეს კანონი, ბოლოს და ბოლოს, იმას მოასწავებდა, რომ რომელთა ძალაუფლება მთლიანად ერთი პიროვნების ხელში მოქციულიყო...“ (გვ. 113).

პომპეუსის ბიოგრაფიაშიც მრავალი საინტერესო მასალა საქართველოს შესახებ. ასე მაგ. „პომპეუსი... მთორღატეს წინააღმდეგ გაემართა იმ ტომებზე ვაფელი, რომლებიც კავკასიონის ქედის გარშემო ცხოვრობდნენ. ამ ტომთა შორის ყველაზე უფრო უღიფესნი აღბანები და იბერები არიან. იბერთა ტომი მოსხურ მიებამდე და პონტომდე აღწევს. იბერნი რიცხვით აღბანებს არ ჩამოუვარდებოდნენ, გულადობათაც სხვებზე უფრო მამაცი იყვნენ... იბერნი არც მიდიელების მორჩილებაში ყოფილან, არც სპარსებს ექვემდებარებოდნენ და, თავის დროზე მაკედონელთა შტრძანებლობაც აიცილნენ თავიდან იმის წყალობით, რომ აღუქსანდრე ფრიად სწრაფად გაბრუნდა პირკანიიდან. მეგრამ პომპეუსმა იბერებიც დაამარცხა დიდ ბრძოლაში ისე, რომ ცხრა ათასი კაცი მოკლულ იქნა, ხოლო ათი ათასზე მეტი რომაელებს ჩუვარაბტყად.“

დაამარცხა თუ არა იბერები, პომპეუსი კოლხეთში შეიჭრა“ (გვ. 117).

პლუტარქე იბერებისა და კოლხების შესახებ ცნობებს პომპეუსის ბიოგრაფიის სხვა გვერდებზედაც გვაწვდის (გვ. 118, 121, 123).

პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიების“ ქართული თარგმანის პირველი ტომის გამოსვლასთან დაკავშირებით გვსურს ზოგიერთი სურვილები გამოვთქვათ.

ანტიური ავტორების გამოცემას ჩვენში ჯერჯერობით სათანადო ყურადღება არ ექცევა, რასაც ხსნიან თემის „არა აქტუალობით“. სკკითხისადმი ასეთი დამოკიდებულების მდებარებაზე სწორად მიუთითა ვაზ. „Литературная газета“-მ. (1955 წ. 10/XI და 1956 წ. 25/VIII) მარქსიზმის კლასიკოსები დიდი ინტერესით სწავლობდნენ ანტიური საზოგადოების სო-



ცილა-გონომიერ და საშხედრო-პოლიტიკურ საკითხებს. ვფიქრობთ, რომ ჩვენი გამოცემლობები მხარს დაუჭირენ ავტორებსა და მთარგმნელებს, რომლებიც მეცნიერების ამ დარგში შემოაბნენ და თავის ვარსებო შემოთქმებენ მათ,

რითაც მეტად კეთილ სამსახურს გაუწევენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს, რამდენიმეწლიანი ზედმეტი როლი ანტიური საზოგადოებრივი კარგით ცოდნა.

ბ. ბუაჩიძე

ნაშრომი საგოთა ლიტერატურის სწავლების საკითხებზე



საბჭოთა ლიტერატურის სწავლების საშუალო სკოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სკოლაში საბჭოთა ლიტერატურის სწავლება უნდა შეესაბამებოდეს საბჭოთა პედაგოგიკურ მეცნიერების ამოცანებს. ამ თვალსაზრისით მეტად აქტუალურ საკითხს წარმოადგენს იმის გამოკვლევა თუ როგორ მიმდინარეობდა საბჭოთა ლიტერატურის სწავლება ქართულ საშუალო სკოლაში, რა წარმატებები და ნაკლი გაჩნდა მას. როგორც ცნობილია ჩვენმა სკოლაში დღემდე განვითარების უაღრესად რთული და შინაარსობრივად მდიდარი გზა განვლო, ბოლო სკოლის განვითარების პერიოდებთან დაკავშირებით საბჭოთა ლიტერატურის სწავლების მიზნები, ამოცანები და შედეგები სერიოზული მეცნიერული კვლევის საგანს წარმოადგენს. დღემდე ჩვენ არ მოგვეპოვეთ არცერთი მეცნიერული ნაშრომი, რომელიც მოიცავდეს ქართული საბჭოთა სკოლის განვითარების პერიოდებთან დაკავშირებით საბჭოთა ლიტერატურის სწავლების ეტაპების ანალიზს. ამ მხრივ საყურადღებოა პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის მიერ გამოცემული გ. ნოორაძის წიგნი „საბჭოთა ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში“. ამ ნაშრომში ავტორი აქვდაყენებს საბჭოთა მწერლობის შესახებ არსებულ შესაბამის ლიტერატურის, სასწავლო პროგრამების, სასკოლო სახელმძღვანელოების, პედაგოგიური პრაქსის საფუძვლიან ცოდნასა და თვით საბჭოთა ლიტერატურის მდიდარი შემოქმედებითი გამოცდილების განზოგადებისა და დამოუკიდებელი მეცნიერული კვლევის უნარს.

წიგნი იხსნება მიმოხილვით „ზოგიერთი ცნობა მხატვრული ლიტერატურის სწავლების რევოლუციამდელი ისტორიიდან“. ავტორი ვრცლად ეხება რევოლუციამდელ სკოლაში გაბატონებულ სქოლასტიკურ-დოგმატიკურ სწავლების წინააღმდეგ ბრძოლას (მ. ბუსლავეთი), ლიტერატურის, როგორც სასწავლო საგნისა და მეცნიერების ერთმანეთისაგან გამოკვეთას (გ. სტოიუნინი), ლიტერატურის სწავლებაში ფეხგაღმდელ რატორიკული მიმართულების წინააღმდეგ ბრძოლას (ბ. ბელინსკი), რაც შემდეგში დიდი რუსი მწერლების შემოქმედების სკოლაში სწავლების საგ-

ნად გადაქცევისა და თანამედროვე ლიტერატურის სწავლების დიდი საგანმანათლებლო და აღმზრდელი ფუნქციის აღიარების უშუალოდ მიზნზე გახდა. აქვე მოკლედ აღნიშნულია რევოლუციონერ-დემოკრატთა (ჩერნიშევსკი, დობროლინოვი) დაუცხრომელი ბრძოლა რუსულ რეალისტური ლიტერატურის სწავლებისათვის. ყურადღებას ამაყობს მასალები, რომელიც ეხება მე-19 საუკუნის საქართველოში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას, მაგრამ აქვე უნდა დავსძინოთ, რომ მეტად ძუნწიათ არის წარმოდგენილი ილიის, აკაის, ვოგენაშვილის ბრძოლა ქართული ენის სწავლების დანერგვისათვის.

ამის შემდეგ ავტორი იხილავს საბჭოთა ლიტერატურის სწავლების ამოცანებს. ამ განაცხედში მეცნიერულად სწორად და სათანადო ფაქტობრივი მასალების მოტანით განხილულია საბჭოთა ლიტერატურის სწავლების ძირითადი მიზანი, მისი შემეცნებითი და აღმზრდელი ფუნქცია. საქმის ცოდნით არის მოცემული საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის სწავლების წინაშე დაუყენებელი ამოცანები და სასათაურო. თუ ვაითვალისწინებთ იმას, რომ „მხატვრული ლიტერატურის აღმზრდელი მნიშვნელობა დიდია, იმიტომ, რომ ის ერთდროულად და ერთნაირად სიძლიერით მოქმედებს აზრზე და გრძობაზე“ (მ. გორკი), მაშინ ვასაგები იქნება თუ რა დიდი ფაქტორია პოეტური ნაწარმოებების მხატვრული სახეები, რომლებიც ვარკვეულ ემოციურ ზეგავლენას ახდენენ ბავშვის განებრივ, ზნობრივ და ესთეტიკურ აღზრდაზე. სწორედ კლასიკური ლიტერატურისა და ამ შემთხვევაში საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის სწავლებით მოსწავლეს უნდა გამოუფუნებოთ ცხოვრებაზე სწორი შეხედულება.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ წიგნის ამ მონაცემთა მეცნიერულად სწორად, მასალების საფუძვლიანად განალიზების შედეგად მოცემულია საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის სწავლების ამოცანები, ვფიქრობთ, უკეთესი იქნებოდა წიგნი სწორედ ამ განაცხედით დაწყებულიყო, მით უფრო წიგნის ძირითადი მიზანი არის საბჭოთა სკოლაში საბჭოთა ლიტერატურის სწავლების საკითხების განხილვა.

გ. ნოორაძე. საბჭოთა ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში. პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემა.

ავტორს საკმაოდ ვრცლად აქვს განხილული „საბჭოთა ლიტერატურის სწავლების შინაარსი და ძირითადი ეტაპები ქართულ სკოლაში“. საბ-



კოთა სკოლისა და საბჭოთა პედაგოგიკური მეცნიერების განვითარებასთან შეიძლება არის დაკავშირებული ლიტერატურის სწავლების გეგმავლობის გზებიც. ნაშრომის ამ განაცხადში წარმოდგენილია საკმაოდ მასალა, რომელიც შექმენს მოსწავლეებში საბჭოთა პატრიოტიზმის, სოციალისტური ქვეყნის მაღალი იდეალების აღზრდისათვის პროგრამით გათვალისწინებულ ნაწარმოებების თვისებურებას და სწავლების სხვადასხვა ეტაპის დამახასიათებელ ძირითად ნიშნებს. ურთიერთობის იქცევს ქართული საბჭოთა მწერლობის სწავლების პერიოდიზაციის საკითხი. ცხადია, საბჭოთა მწერლობის ისტორიის პერიოდიზაცია თავისთავად განსაზღვრავს ლიტერატურის სწავლების სხვადასხვა საფეხურებს, პერიოდებს, საბჭოთა მწერლობის პერიოდიზაციის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. ამდენად ეს საკითხი ცალკე განხილვის ღირსია, მაგრამ რამდენადაც გ. ნოზაძის ნაშრომშიაც ამ საკითხში თავისებური გადამწყვეტა პოვა, საქართველოში მიგაჩნია გავლენით ზოგიერთი შენიშვნა.

გ. ნოზაძე საბჭოთა ლიტერატურის სწავლების პერიოდებს შემდეგნაირად წარმოგვიდგენს: პირველი პერიოდი 1921 — 1931 წ., მეორე პერიოდი 1931 — 1941 წ., მესამე პერიოდი 1941 — 1945 წ. და მეოთხე პერიოდი 1946 წლიდან 1953 წლამდე. აქ წარმოდგენილი პერიოდიზაცია, ვფიქრობ, დასაზუსტებელია. ასე მაგალითად, პირველი პერიოდი, ჩვენი აზრით, საჭიროა ორ ხანად, ან ამავე პერიოდში მოქცეულ განვითარების ორ საფეხრად დავეყო. ამ პერიოდის პირველი ხანა (პირველი საფეხური) იქნება 1921 წლიდან, ვიდრე ცენტრალური კომიტეტის 1925 წლის 18 ივნისის რეზოლუციამდე — „პარტიის პოლიტიკის შესახებ მხატვრული ლიტერატურის დარგში“, ხოლო მეორე ხანა (მეორე საფეხური) 1925 წლიდან ვიდრე ს.ე. პ. ბ(ი) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის ისტორიულ დადგენილებამდე, რომელშიც არამარტო ქართულ, არამედ მთელი საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი განვითარების საქმეში უარესად დადგინდნენ ისეთი როლი ითმინა. აი, სწორედ ეს მიჯნა, ეს ზღვარი უფრო მკვეთრად რომ ყოფილიყო ნაშრომში მოცემული, ვფიქრობთ, უკეთესი იქნებოდა. ასევე შეიძლება სხვა პერიოდების განსაზღვრის შესახებაც ითქვას, მაგრამ უნდა ვღიბოთ, რომ ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში პერიოდიზაციის საბოლოოდ მტკიცედ დადგენა ჩვენი მეცნიერული ძალების, კრიტიკოსების, ლიტერატურათმცოდნეების საქმეა; ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარების პერიოდების მტკიცედ განსაზღვრა დიდ როლს ითამაშებს საშუალო სკოლაში საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის კურსის აგების საქმეში და ხელს შეუწყობს საშუალო სკოლის უფროს კლასში ქართული ლიტერატურის კურსში საბჭოთა ლიტერატურის ადგილის, მოცულობის აკრძოვად გადამწყვეტელი საკითხების საბო-

ლო მოგვარებას.

საბჭოთა ლიტერატურის სწავლებას შინაარსად და ძირითად ეტაპებს ქართულ სკოლაში მოსწავლეებს „საბჭოთა ლიტერატურის ზოგიერთი თემის მიმოხილვისათვის სკოლაში“ შემდეგი სემინტების ფილოლოგიურად განმუშავება: 1. „კომუნისტური პარტია საბჭოთა ლიტერატურის წარმმართველი ძალაა“, 2. „საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებითი მეთოდი სოციალისტური რეალისმი“, და 3. „მხატვრული ლიტერატურის შედარებითი შესახებ“. გარდა იმისა, რომ ნაშრომის ამ ნაწილში ზოგიერთი რამ დასაზუსტებელია (მაგ. „მხატვრული ნაწარმოების ანალიზისა ურთიერთობის იქცევს ის ფაქტიც, რომ ნაწარმოების ენა სავრთო-ნაციონალური ენასთან შედარებით ერთგვარად განსხვავდება (ნათესა აქაც და შემდეგშიც ჩემია ა. ნ.), ეს განსხვავებულობა კი მწერლის ინდივიდუალური სტილიზაცია მომდინარეობს“) უკეთესი იქნებოდა ეს საკითხები მოცემული ყოფილიყო არა, როგორც დანართი დამატების სახით, არამედ ამ საკითხების სწავლების გზები და ხერხები პროგრამულ მასალასთან დაკავშირებით და მაშინ იგი ნაშრომის ორგანულ ნაწილად ჩაითვლებოდა.

როგორც აღვნიშნეთ გ. ნოზაძის ნაშრომში ერთადერთი წიგნია საბჭოთა ლიტერატურის სწავლების საკითხებზე. ამის გამო მიზანშეწონილად მიგვაჩნია ავტორმა ზოგიერთი საკითხი, წიგნის ახალი გამოცემისას, უფრო განავრცოს და სრულყოფილად წარმოგვიდგინოს. ასე მაგალითად, სასურველია კონკრეტული მასალების საფუძვლებზე, კლასების მხედველი, ნაწილები იყოს თუ როგორ იყო გამოყენებული საბჭოთა ლიტერატურის სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობაში საბჭოთა დამინების მაღალი მორალური თვისებების განვითარებისათვის. აქცენტებელია ნაწილები იქნეს თანამედროვე ლიტერატურის თეორიის მომარჯვებით ლიტერატურის მოწინავე მასწავლებლები როგორ ახდენდნენ საბჭოთა ლიტერატურის ნიმუშების ენობრივ და კომპოზიციურ ხერხების სწავლებას, კერძოდ, როგორ წარმოებდა დაეკონტროლა საბჭოთა მწერლის ნაწარმოების ენაზე, როგორ იყენებდნენ მოქმედ პირთა ინდივიდუალურ მეტყველებას, მათ ლექსიკას, როგორც ერთერთ საშუალებას გვირის დასახასიათებლად, პროზულ მეტყველებას მოსწავლეთა ლექსიკური ფონდის გასამდიდრებლად. უსათუოდ საინტერესოა ავტორმა გვიჩვენოს საბჭოთა ლიტერატურის სწავლებისას, როგორ ხდებოდა იდეების და მხატვრული სახეების, ახალი ფორმებისა და ენობრივი მოსწავლეთა გაცეკვა და რა საშუალებებით, როგორ აღწევდნენ მოსწავლეთაში საბჭოთა ლიტერატურის, როგორც მსოფლიოში უცვლავლად მოწინავე და იდურ ლიტერატურის ჩვენებას.

საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის იდურ-თემატიკური შინაარსის ისტორიულ ასპექტში გადმოვიცემისას სასურველია ნაწილები იქნეს საბ-

წიგლო პროგრამებში თუ რა ადგილი ეკავა მოძ-
შე საბჭოთა რესპუბლიკების ლიტერატურის ნი-
მუშების სწავლებას, როგორი თემატიკით იყო
იგი წარმოდგენილი და როგორ უწყობდა ხელს
ხალხთა შორის მეგობრობის გრძნობების აღზრ-
დას. სასურველია კონკრეტულ მაგალითებზე
ნაჩვენები იყოს თუ, როგორ ისწავლებოდა ელ-
სიკური რეალიზმისა და სოციალისტური რეა-

ლიზმის პრინციპული და თვისობრივი განსხვავ-
ებულობა, როგორ ახერხებდნენ კრიტიკულ ლი-
ტერატურის გამოყენებას, რა პდგებლმ ეკავა საბჭო-
ბოთა მწერლების ბიოგრაფიის სწავლებას და სხვ.
ნაშრომი კარგი ლიტერატურული ენითაა და-
წერილი და იგი ქართულ მეთოდოლოგიურ ლიტერა-
ტურაში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს.

პრაიმლ ჩაჩიბაია



პედაგოგიკური იოსელიანი



ლია წყნელი ქუჩაზე „მნათობის“ რედაქციის მიმართ

„მნათობის“ 1956 წლის № 4 გამოქვეყნებული იყო პროფ. ს. კაკაბაძის რეცენზია ჩემს წიგნზე: „რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამშრომლობის ისტორიიდან (XIX საუკუნის რეფორმამდელი პერიოდი)“.

საქონლო მიმართვა განვაცხადე, რომ ჩვენს ენაშაობაზე პრესაში გამოქვეყნებული ყველა (ხუთამდე) რეცენზიისაგან განსხვავებით ს. კაკაბაძის რეცენზიაში მოტანილი როგორც ფაქტობრივი შენიშვნები, ასევე საერთო შეფასება ამ წიგნისა მცდარია და სრულებით დაუსაბუთებელი. რეცენზენტი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისა და საქართველოს მე-19 საუკუნის ისტორიის აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილ ჩვენს წიგნს უპირისპირდება ბერკევაიელი ისტორიკოგრაფიისაგან შემდგომრებით მიღებულ უკიდურესად არქაული კონცეფციით, რომელიც შორს ღდას მარქსიზმისაგან; ხოლო რაც შეეხება ფაქტობრივი ხასიათის შენიშვნებს, ისინი ბოლომდე წესი, ჩვენი აზრით, ასევე მცდარია. მშობლიური ისტორიის ფაქტობრივებისაგან დაციკოსა და ლიტერატურული ცთაცის ინტერესები გაიძილებს ამჯერად მაინც რამდენიმე შენიშვნა გაეკეთეთ ს. კაკაბაძის ამ რეცენზიაზე.

ვილაპარაკო ფაქტებით: 1. რეცენზენტს, სამწუხაროდ, ვერ გაეცია თვით პრობლემა, და რასაკვირველია, შემთხვევითი არაა, რომ მას ჩემი წიგნის სათაურზედაც კი ყალბი წარმოდგენა მოეპოვება. იგი წერს: „საბერკევაიო წიგნი ეხება მეტად საუფრადღებო თემს. მისი მიზანია ასახოს რუს-ქართველთა მეგობრობის ფაქტები სამხედრო ბრძოლების (II) ისტორიაში“ (გვ. 181), ეს სადაურა თემა ან პრობლემა; რაგორ შეიძლება იყოს იგი ჩვენი წიგნის მიზანი? ირკვევა, ჩვენს რეცენზენტს რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამშრომლობის ისტორიული პრობლემა რუს ქართველთა ერთობლივ (სამხედრო ბრძოლებს) ფაქტების გეგმატული აღრიცხვამდე დაეყვანა.

ამგვარი მიდგომით მას შეთხვევას უჭრაღდება რეცენზენტის რეცენზიის ურთიერთობისა და საქართველოს მე-19 საუკუნის ისტორიის პრობლემატიკიდან იმის მოახრობაზე გადააქვს, რაგორცია, მაგალითად, თბილისის გუბერნიის თავდაზნაურობის მარშალმა დიმიტრი თამაზის-ძე ორბელიანმა, გრიგოლ ლევანის-ძე დადიანმა, ე. ანდრონიკაშვილმა, ელისეს სულთანმა დანიელ

ბეგმა და სხვ. როდის და რომელ ბრძოლაში რასამხედრო წოდება მიიღეს. აი რას წერს რეცენზენტი: „ავტორს (გვ. 108) მოხსენებული ჰყავს თბილისის გუბერნიის თავდაზნაურობის მარშალი გენერალი ლეიტენანტი დიმიტრი თამაზის-ძე ორბელიანი. სინამდვილეში კი ეს ორბელიანი იმ დროს პოლკოვნიკი იყო. გრ. ორბელიანი 1846 წლის ბრძოლაში მოხსენებულია (გვ. 123) როგორც ინფანტერიის გენერალი, მაშინ როდესაც მას ამ დროს პოლკოვნიკის წინა ჰქონდა“. (183 გვ.). მაგამ რეცენზენტი რატომ იმას არ უფიქრდება, რომ მთელ ამ ტირადას შილოდ არც-დაარევა შეაქვს მსჯელობაში. თუ დღემდე ჩვენ ვწერდით, მაგ., გენერალი პ. ბაგრატიონი დაიბადა 1765 წელს და ა. შ. რეცენზენტს ეს დიუშვებლად მიიჩნია, რადგან პ. ბაგრატიონს მისი დაბადების დროს არ ჰქონია გენერლის წოდება მინიჭებული და სხვა.

რას შეიძლება ვუწოდოთ რეცენზენტის ასეთ და ამის მსგავს ბევრ ყოვლად ატრიბუტულ, საღ აზრს მოკლებულ ახიარებას?

ამაგვად, რეცენზენტი ჩემი წიგნის მიმართ პრობლემის გვერდს უვლის და მსჯელობა შემოფარგლული იქვს ემპირიული წერილობრივებისადმი ყალბი კონტრარებით. ვისაოცარი მაინც ასეთი რეცენზენტის მენტორული ტონია. მაშ რა აიძულებდა რეცენზენტს მოეციებინა ჩემი ამგვარი საქმისათვის? ამის განსჯა თვით მეითხველისათვის მივიჩნევი.

2. რეცენზენტი ცდილობს უარყოს ჩვენი არგუმენტები ჩრდილოეთ კავკასიაში ქართულ-სომხური მოსახლეობის განიგნისა და დასახლების ისტორიისადმი პრობლემის შესახებ. რუსი და ქართველი ხალხების ერთმანეთთან დაახლოების პროცესი ჩრდილოეთ კავკასიის გზით ჩვენს რეცენზენტს დაეყვანა მოზლოკისა და ვლადიკავკაზის დაარსების ოფიციალურ თარიღამდე. იგი სერიოზულად „გვიმტკიცებს“: რაკი მოზლოკი დაარსდა 1763 წელს, ხოლო ვლადიკავკაზი კი 1784 წელს, რუს და ქართველთა ერთმანეთთან დაახლოების პროცესს ამ მხარეში როგორ შეიძლება და ჰქონოდა მინამდე ადგილი? (გვ. 182).

სად ვამბობთ ჩვენ, რომ მოზლოკი და ვლადიკავკაზი ამ წლებში არ დაარსებულა? ეს ზომ-ცარა ახიარება, ანდა, მათი დაარსების თარიღების ცოდნით ვინ სურს გააკვირვოს ს. კაკაბაძეს? ასე-

თი მას ხომ იდვილად შეეძლო ამოკეთება ექსკურსანტისა და ტურისტის ელემენტარულ შეგზერში?

ჩვენი რეცენზენტი ჩრდილოეთ კავკასიის წინარე ისტორიის რომ გულსუფროთ მოპყრობოდა და არ დაკმაყოფილებულიყო მისი გვიანი პერიოდის ისეთი ამბებზე, როგორცაა მითითებული ორი ქალაქის დაარსების თარიღი, იგი სხვაგვარ დასკვნამდე მივიდოდა.

ამით ახსენება ის ფაქტობრივი შეუსაბამობა, რომ მას „გადაუწყვეტია“ რუსი და ქართველი ხალხების ურთიერთობა, კავკასიის საკორდონო ხაზის ამ ორი ქალაქ-სიმაგრის დაარსების მოგვიანებულ თარიღამდე დაიყვანოს, მაშინ როცა თვით კავკასიის საკორდონო ხაზის შექმნის ისტორიაც კი გაყალბებული იქვს.¹

რეცენზენტმა უნდა იცოდეს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის გავლენის წარდახან ერათხილავს, რომელიც მე-16 საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება, იცვლება ამ მხარის ტოპონიმაც. მრავალი ქალაქისა და სოფლის ძველი სახელები რუსული, ახალი სახელებით, იცვლება; მაგალითად, ციხე სიმაგრე კ. თერგი წინად „ტიუმენად“ იწოდებოდა და არსებობდა ბევრად ადრე, ვიდრე რუსები დამკვიდრდებოდნენ იქ² იგივე ითქმის ვლადიკავკასისა და სხვათა შესახებაც. ე. ვლადიკავკას (ორჯონიძეთს) ძველად „კაპ-კაი“ ანუ „კაპ-კეი“ იწოდებოდა³. მაშასადამე, იგი 1784 წლამდე ბევრად ადრე არსებობდა, აქ უკუბრუნდა მისახლეობა და მათ შორის ქართვლობაც. ამ ფაქტების ცოდნა, სხვა რომ არ იყოს რა, ევალებოდა „ფაქტების“ მოყვარულს კ. კაბაძეს.

რეცენზენტი ჩვენი წიგნიდან მოყვის იდვილი, სადაც იწერს: „პეტრე პირველის ცნობილმა ლეკობამ ჩრდილო კავკასიაში ქართველ სომეხთა გადასახლების ადრე დაწყებული პროცესი უფრო დიდად გააღრმავა“. (იხ. ჩვენი წიგნის გვ. 32, ს. კაბაძე შეტყობით 31 გვერდს ასახელებს)

¹ ე. წ. „კავკასიის ხაზი“ არა 1760—80-იან წლებში შეიქმნა, როგორც იმაში კაბაძე არწმუნებს მეთხველს, არამედ ბევრად ადრე — 1739 წლიდან ბელგრადის საზავო ზღმურტულეების სადრეველზე. რუსეთ-ოსმალეთის 1768—1774 ომისა და კურჩუკ-კაინარჯის ზავის შედეგად გაგრძელდა ეს ხაზი და მოზდოკიდან აზიამდე და დონის ციხეებამდე შიდალში, 1784 წლიდან კი იგი უღბანის ზემო წელს აღწევს, ვიდრე გროგორიანოპოლის სიმაგრემდე, ხოლო 1790-იან წლებში იგი შეიზღვის პირეთსაც მდებარეობდა. (იხ. П. Г. Бутков, Материалы. ტ. 1, გვ. 281, 292, ტ. II გვ. 20, 170, 48—50).

² იხ. სსკკ სამხედრო ისტორიული არქივი, ფ. საქ. 41 — 882 ფონდი.

³ Вейденбаум, Кавказская понника о Пушкине, Тифлис: 1899 г; стр. 49.

მას, როგორც ჩანს, თავისებურად ესმის ზეფევატანე VI-ის და პეტრე I-ლის ეპარქიის რუსი და ქართველი ხალხების მაშინდელ ურთიერთობა და ავიწყდება ის ისტორიული ფაქტიც, რომ ჯერ კიდევ 1713 წლის 15 მაისს გამოქვეყნდა პეტრე პირველის ბრძანებულება, რომლითაც ქართველ ხალხს უფლება ეძლეოდა რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში დაუბრკოლებლად შესესლსა და მის მიწაყალზე ცხოვრებისა.

პეტრე I-ის ეს ბრძანებულება იყო ერთმორწმუნე რუსეთში ქართველი მოსახლეობის იტვლებითი ლტოლვის დიდი ხნის წინან დაწყებული პროცესის კანონმდებლობითი დადასტურება, რომელიც საწყისებს შაპაზახის ამოხრებელი შემოსევების შედეგებში პოულობს და გრძელდებოდა ოსმალ-ლუკათა განუწყვეტელი თავდასხმების ვითარებამდე¹. დ. გურამიშვილმა თავის ავტობიოგრაფიულ ტიპიურად გამოხატა ათასობით ტყვეყოფილ ლტოლვილთა განწყობაც, როცა იგი წერს:

„ქვეყნის წახდენის მიზეზით ვცხოვრობდა ხვის ქვეყანაში“.

ჩრდილოეთ კავკასიის ქართველი მოსახლეობის კონტინენტი იმ პერიოდში ძირითადად შედგებოდა თავდადწევის მხარით, ყირიმიდან, ყაბარდიდან, საჩინოიდან და დაღესტნიდან გამოქცეულ ტყვეებიდან. ისინი იქვე ბინადრდებოდნენ და სამშობლოში მცირე ნაწილი თუ ახერხებდა დიბრუნებას. შერჩალ ს. ჩიქოვანის და გ. ნატროშვილის დაკვირვებით და მათ მიერ დამატარებული საბუთის დამოწმებით, „ქართველები იქ ოჯახებს აწყობდნენ და სამუდამოდ სხლდებოდნენ“. ავტორები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ „მაშინ იქ დასახლება და ახალი ცერის დიდებება, ჩვეულებრივი ამბად ყოფილა, იმგვარ ახალ მოსახლეთა და ტყვეყოფილთა რიცხვს ვერუფროდნენ ის ფხოველი იანგარაც, რომელიც თერგზე გადასულ დაივოს კახაყებმა თარჯიმნად მოკვარეს“².

3. ჩვენი ნაშრომში საგანგებოდ ეჭვრდებოდა დაღესტნელი და ქართველი ხალხების შორეულ ისტორიულ მეგობრებაზე, ტრადიციებზე, რომელთა შესახებაც ძვირფასი ცნობები აქვს შემონახული ქართლის ცხოვრების პირველწყაროების შესწავლით მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ დაღესტნელი და ქართველ ხალხთა ის ისტორიული

¹ მაგ. იოანე რუსთველ-არქიეპისკოპოსი 1760-იან წლებში თავის თხოვნაში რუსეთის მთავრობისადმი აღნიშნავს, რომ საქართველოში მისი ეპარქია ლეკების მიერაა აოხრებული, აქ ცხოვრება არ შეუძლია და გადაწყვეტილი იქვს რუსეთში დარჩენის საცხოვრებლად. (იხ. „მასალები“ 1940 წ. ნაე. 1, გვ. 15).

² იხ. ს. ჩიქოვანის და გ. ნატროშვილის წერათი: „დავით გურამიშვილი დაღესტანში“, „ლტვანა“, 1955 წ. 24 იანვარი.

მგობრობა თურქეთის აგენტებისა და დაღესტანის ფეოდალური რეაქციული ზედაფენების მოჭმელებით, გარკვეულ პერიოდში, მტრობით შეიცვლება, რაც გამოხატულებას „ლეკიანობაში“ პოულობს. რეცენზენტი ეწინააღმდეგება ჩვენს ამ მოსაზრების და ცილობის „დასაბუთოს“, რომ ლეკი ფეოდალები და ხანები აქ არაფერ შეაშავეს: ქართველი ხალხის მარბიელი და მისი ძარცვის ორგანიზატორი თითქმის მთლიანად მხოლოდ ლეკი მშრომელი ხალხი იყო. რეცენზენტი წერს: „ლაბარაკი იმაზე, რომ საქართველოზე თავდასხმებს ლეკი ფეოდალები აწუხებდნენ (რასაც ავტორი თავის წიგნში ბევრ ადგილას აღნიშნავს) არ შეეფერება სინამდვილეს“. ს. კაკაბაძე მთლიანად დაღესტნელ ხალხს აცხადებს საქართველოზე თავდასხმებელ მძარცველთა ბრძოდ, ფეოდალებს და ხანებს კი ნამუსს წმენდს, მაშინ როცა დაღესტნელი გლეხების მოხდენილი თქმით, დღემოდ კოლმურენა გლეხებთან შეხვედრისას (1954 წ. დეკემბერში) — „კავკასიის მიწები საერთო დედაა, რომლის ერთი ძრეული ჩვენ ვაკვებებით, მეორეით კი ქართველებით“ (იხ. ჩვ. წიგნი, გვ. 199).

4. ყალბი მსჯელობა რეცენზენტისა, თითქმის ზერქვეთა აყარასა და ოსმალეთში გადასახლებაში, მათ ამოწყვეტაში და გადაგვარებაში მხოლოდ რუსეთი იყო დამნაშავე და ამ ბოროტოქმედებაში არავითარ როლს არ ასრულებდნენ ოსმალეთის აგენტები, მათი ისლამის პნელეთის მოკავშირე მოღუბნი ე. წ. „მუჰაჯირული“ მოძრაობის ქადაგების გაჩაღებით და სხვ.

ჩვენს რეცენზენტს ასევე უნდა მოსხენდეს, რომ აფხაზეთის მთავარს მიხედა შერვაშიძეს მეორე, შესლიმანური სახელი ჰქონდა და სწორედ ამ სახელით იწოდებოდა იგი უმეტესად 1820-30-იან წლებში; და არა მარტო მიხეილი, არამედ საერთოდ აფხაზეთის მთავრები მე-19 საუკუნეში — 1810 წლიდან, რაც სამთავრო რუსეთის ქვეშევრდომობაში მოექცა, მთავრები ორ სახელს ატარებდნენ — შესლიმანურს და ქრისტიანულს. მიგაღიჯად, აფხაზეთის მთავრის ქველმშვეგის შედლის, საფარ ალი-ბეგის, ვიოჩრე ეწოდა ქრისტიანობაში. იგი ორივე სახელით იწოდებოდა. ასევე საფარ-ალიბეგი შარვაშიძის მეგვილდრე პაშეთ-ბეგადაც და მიხეილიდაც იწოდებოდა. როგონი თავის მიმართებაში 1832 წელს სწორედ მამამდიანური სახელით იხსენიებს მას.

5. რეცენზენტი სტეფანურად ჩერდება ჩვენი წიგნის დანართში (რომელსაც ნებისმიერად იგი წიგნის „დამატებას“ უწოდებს) მოთავსებული დოკუმენტების პუბლიკაციაზე. აქ რეცენზენტის დაუდგენლობა და ფაღსიფიკაცია ყოველგვარ ფარგლებს შორდება. შევჩერდეთ ისევე ფაქტებზე: № 5 საბუთი ჩვენს ინტერპრეტაციას ს. კაკაბაძე შეცდომად თვლის და თავის მხრივ შე-

ნაშნავს: „ერეკლე წერს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ერთ ყაბაზში თბილისის სამი მოქალაქეს მეორე ყაბაზიდან წაართვეს საქონელი და ორი ქრისტიანი ტყვე. ყაბაზი თათართ სიტყვაა, ნიშნავდა გომურს, მაგრამ აქ პატარა სოფელს ნიშნავს. ეს სიტყვა ცნობილი იყო მაშინდელ რუსეთშიც Кабак-ის სახით“. ჩვენ ვეკითხებით რეცენზენტს, რომელი ეპოქის თურქულ და რუსულ ენაში იხმარებოდა Кабак-ი სოფლის, ან გომურის მნიშვნელობით? ახლა, და ასევე ურველთვის, მის ზომ „ტრაქტიორს“ მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს? მაგრამ, მთავარი ეს როდია, — შეფე ერეკლეს წერილი ჰ. პოტიომკინისადმი ლაბარაკია არა იმაზე, რომ თბილისელ ვაჭრებს ერთ ყაბაზიდან მეორე ყაბაზში წაართვეს საქონელი და ტყვე, როგორც ამის რეცენზენტი აუბრალოებს, არამედ გარკვევითაა საბუთში დასახელებული როგორც პირველ, ასევე მეორე ყაბაზიდან ამ საქონლისა და ტყვეების წამრთმევი იქაური ბეგის, ბუდარის შვილი დლი. ერეკლე სოხვეს პოტიომკინს, რომ ეს საქონელი და ტყვეებიც დაუბრუნდეს თბილისელ ვაჭრებს და თქვენგან ამის დასტურიც მისცეთ, რომ აქ ვაჭრობა არ დღეშალოს“ იმავეო (იხ. ჩვენი წიგნის 215 გვ. № 5 საბუთი); რის ლაბარაკობს ეს საბუთი, თუ არა იმას, რომ თბილისელ ვაჭრებს ყაბაზის მიღამოებში (რომელიც, რეცენზენტის აზრითვე, სოფელია ჩრდილოეთ კავკასიაში) დენა იქაური ბეგისაგან არ განეცადათ, და ჰქონოდათ ნებართვა (რუსეთის წარვეით) თავისუფლად ვაჭრობისა? რეცენზენტი ურწმუნო თომასავით მანეც თავისას ვაიძახებს: „არავითარ თავისუფლად ვაჭრობაზე აქ ლაბარაკი არააო“, მაგრამ საბუთი და ფაქტი ზომ ჯიუტი რამ არის, სიდ უნდა წაუვიდეს ამ ფაქტს ჩვენი რეცენზენტი?

ასევე დიდი გაუგებრობის შემცველია რეცენზენტის შენიშვნა № 1 საბუთზე. ირკვევა, რომ რეცენზენტი სავსებით უგულუბელყოფს რუსეთისმალეთის 1774 წ. კონტრ-კაინარჯის საზავო ზღმურებულების მნიშვნელობას და მის შედეგებს რუსეთის პოზიციების განმტკიცებისათვის ყირიმსა და კავკასიაში. მისი განცხადებებოთ, ვინაიდან „რუსული მმართველობა ყირიმში დამკვიდრდა მხოლოდ 1783 წელს“, ამიტომ თითქო შეუძლებელი იყო, 1774 წელს ლევან ბატონივილს მოეთხოვა ქართველი ტყვეები ახლად განთავისუფლებული ყირიმიდანა.

რეცენზენტი უნდა მოესხენებოდეს, რომ 1774 წლიდან ყირიმი ჩამოშორდა და განთავისუფლდა რა თურქეთისაგან, იგი არსებითად რუსეთის პროტექტორატში მოექცა, რაც 1783 წლის აქტით კიდევ გაფორმდა.

საბუთი, რომელიც 1774 წლით თარიღდება, ზომ გარკვევითაა აღნიშნული: ქართველი ტყვეები რომლებიც „გამოსული იყენენ ყირიმიდან და განთავისუფლებულნი საჭურველითა როსისითა“. რა საბუთი მოუბოვება ს. კაკაბაძეს ამის უარსაყოფად? რეცენზენტმა უნდა იცოდეს, რომ

1 იხ. ს. ჯიანშია, გ. შერვაშიძე, სოხუმი, 1946 წ. გვ. 7.

ვიღებ ყირიმს რუსეთი გამოიხსნა (ფაქტობრივად 1774 წლამდე) იგი ერთერთი უდიდესი პუნქტი იყო, სადაც კავკასიის მთიანეთის შამხალი-ნური ტომები საქართველოდან გიტაცებულ ტყვეებს ეზღებოდნენ და ჰყიდდნენ ოსმალ-ტყვე მოკვრებზე.

რუსეთ-თურქეთის ომის კუნთ-კინაზის 1774 წლის საზავო ხელშეკრულებით მრავალრიცხოვანი ქართველი ტყვე ყირიმიდან იქნა გამოყვანილი და დაუბრუნდა საქართველოს, რუსეთისათვის მზრუნველობით. ამას ადასტურებს ლეონ ბატონიშვილის წერილიც, რუსეთი, შიიფვედა რა კავკასიისკენ, ნიადაგს ატლიდა თურქეთის ვაღენას და ტყვეთა ბარბაროსულ ვაჭრობას. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1739 წელს ხელგადაცის ხელშეკრულებით, ყაზარღო ჩამოშორდა თურქეთის ვაღენას და რუსულ ორიენტაციის დაუბრუნდა. რატომ „იფიწყებს“ რეცენზენტი ასეთ ფაქტებს?

6. ჩვენი წიგნი ემყარება ბირველწყაროებს, საარქივო ფონდებს, რაც კი შემონახავს ქობილისის, მოსკოვისა და ლენინგრადის საცავებს. მაგალითად, ჩვენ ვიყენებთ მოსკოვში სახელმწიფო ძველ საბუღების არქივში დაცულ პ. პოტიომკინის ძვირფას ფონდს და თეთი პოტიომკინის „რუსეთის სამეფო კარის მოხელედ“ ვსაბუღებთ; რეცენზენტი, მიუხედავად იმისა, რომ არ იცნობს ამ ფონდს და თვალათივთ არ უნახავს ეს საბუღები, გადაპირით შენიშნავს, რომ ეს კარის მოხელე კი არა, გრ. პოტიომკინიაო. ჯერ ერთი, საკითხავია, გრ. პოტიომკინი რა საბუღით არ ჩათვლება რუსეთის სამეფო კარის მოხელედ? მეორეც, რეცენზენტი არავითარ „ანართს“ არ უწევს იმას, რომ ფონდი გენ. ბაღუე პოტიომკინის ეკუთვნის და სტ. მისივე მსჯელობით, თურმე სუბორდინაციის წესით მეფე ერეკლეს თითქოს არ შეიძლება პატაკი გაეგზავნა რუსეთის სამეფოს ამ მოხელესადმი, რაც ამჟამად სიცრუეა, ერეკლე წერაღებს სწორად და პატაკებს უგზავნიდა ბერძნულსავე კი, რომელიც მისივე სამეფო კარზე იმყოფებოდა დიდი ხნით.

7. რეცენზენტის შენიშვნას ნაშრომის შეზღუდული სათარის შესახებ, ასევე როგორც მის განცხადებას, თითქოს XIX საუკუნის ბირველი მესამედის ყველაზე შესამჩნევი ფაქტები რუსეთი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობისა ნაშრომში არ გვაქვს მოხსენილი, ანა-

თათქოს აღნიშნულია დამახინჯებულად, არავითარი საფუძველი არ გააჩნია, ვინაიდან არის ასეა, რატომ ვერ ასახელებს რეცენზენტი ცნობილი ფაქტები მაინც, რომელიც გამოტოვებულია ან აღნიშნულია დამახინჯებულად?

8. დასასრულად არა სწორი რეცენზენტის შენიშვნა, რომ იმერლებს ფოთის გამოხსენისათვის ბრძოლაში თურქთა წინააღმდეგ თითქოს „არავითარი მონაწილეობა არ შეუღიათ და არც შეიძლება მიეღოთ, რადგან იმერეთის მეფე სოლომონი, რუსეთის წინააღმდეგ იყო განწყობილი“. ეტობა, იმერლებსა და სოლომონ II-ს შორის რეცენზენტი იგივეობის ნიშნის სვამს. მას აფიქსებს, რომ სოლომონ მეორე, საერთოდ, და მითუმეტეს ამ პერიოდში, ნაკლებად გამოხატავდა იმერეთთა ზრახვებს.

ისტორიული საბუღები მხოლოდ იმაზე მეტყველებენ, რომ იმერლებს მხრივ დიდ სიმშაობებს და მუდმივ მხარდაჭერას პოულობდა ერთმორწმუნე რუსეთის ყველა ბრძოლები, რომლებიც იმერეთიდან თურქ-დამპყრობელთა განსაფრთხილად წარმოებდა.

იქვეა, რომ რეცენზენტი იმერეთის 1810-იანი წლების ისტორიაზე, საერთოდ, მცდარი წარმოდგენა ჰქონია. იგი ვერ აჩინებს სამეფო ხელისუფლების შეგნით ამ დროს დიდად გაძლიერებულ ოპოზიციურ ჯგუფებს და რუსეთის მომხრეთა მიმდინარეობას, რომ არაფერი ვთქვათ ზალხის მასების დიდ უმრავლესობათა ლტოლვაზე რუსეთში შეერთებისა და იმერეთიდან თურქეთის გაღვინის აღმოცხადებისათვის.

9. რეცენზენტი უარყოფს რეფორმის წინა პერიოდში საქართველოს გლეხთა რევილუციურ ბრძოლებს ბატონყმობისა და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. მან ცარიზმის კავასიელი სერტაპების ბარბატისაცისა და მილიტერის პრეპტი საქართველოში ბატონყმობის გაქმების პირობების შესახებ, წარდგენილი ალექსანდრე II-სადმი, პროგრესულად მიიხსნა და რიხიანად დასძინა:

„ბარბატისის მოხსენებაში გლეხების ახალ დორგონებაზე და რუსების მიერ საქართველოს კოლონიზაციის „არაფერი“ იყო ნათქვამი“. — ცარიზმის საკლებო პოლიტიკის უკეთესი აბოლგერტია მწელი წარმოსაფენია.

რეცენზენტი უოველმხრივ ცდილობს ცარიზმის კავასის სერტაპთა გათვრებას. მას ჩვენი აღნიშვნა ბარბატისის პატეოგოგერობაზე „ფაქტების უკიდინარობა“ მიიხსნა. ასევე ყალბი დუსაფრთხილა პროფ. ს. კავასიის დანარჩენი შენიშვნებიც.

ყველაფერიდან სჩანს, რომ რეცენზენტი ამოხინჯებს ისტორიულ ფაქტებს და არასწორ კომენტარს უკეთებს მათ.

¹ მრავალი წერილია დაცული ერეკლეს ბერძნულ-საქართველოში. ასევე: А. А. Цагарели. Новые материалы для жизнеописания и деятельности И. А. Бурнашева, бывшего в Грузии в 1787 г. с. Петербург, 1901 г.



ახარი წიგნები

სახელმწიფო გამომცემლობა



- მაო ძე-დუნი — რჩეული ნაწარმოებები, ტომი 2. გვ. 500, ფასი 13 მან. 70 კაბ.
გრიგოლ კენამე — ვეფხე-ფშაველას შემოქმედება. რედ. ლ. ლაშქარაძე. გვ. 324, ფასი 10 მან.
შაღვა ჩინლა — დაღბნითი გზირის ბითბლემე ქართულ საბჭოთა რომანში. რედ. გ. ნატროშვილი.
გვ. 256, ფასი 6 მან. 45 კაბ.
ხუტა ბერულავა — ერთბოშეული. რედ. გ. ნატროშვილი. გვ. 376, ფასი 8 მან. 25 კ.
ვახტანგ მაჭარაძე — ასპინძის ბრძოლა. რედ. გ. გულბანი. გვ. 140, ფასი 3 მან. 30 კაბ.
დავით ლაშქარაძე — ჰაინრიხ ჰაინე. რედ. თ. ჯინორია. გვ. 228, ფასი 6 მან. 20 კაბ.
აფხაზური პოეზიის ანთოლოგია — რედ. ირ. აბაშიძე. გვ. 204, ფასი 10 მან.
აფხაზური პროზის ანთოლოგია — რედ. ს. ჭილაია. გვ. 188, ფასი 10 მან.
გაზაფხული აფხაზეთში. (კრებული) — რედ. შ. აფხაიძე. გვ. 192, ფასი 4 მან. 50 კაბ.

საბავროთა მწიგნალი

- ანა კალანდაძე — ლექსები. რედ. ან. თევზაძე. გვ. 164, ფასი 3 მან. 10 კაბ.
სოლომონ თავაძე — დაუეწყარნი. რედ. კ. ლორთქიფანიძე. გვ. 244, ფასი 5 მან. 90 კაბ.
მიხეილ მარტელიშვილი — პიესები. რედ. ან. თევზაძე. გვ. 248, ფასი 8 მან. 15 კაბ.
სერგი ჭილაია — წიგნები დღე ბუღაბრეთში. რედ. თ. კობლაძე. გვ. 48, ფასი 1 მან.
სვეტიცხოველის იასონი — აგელოფერის ვხედავ. რედ. ან. თევზაძე. გვ. 100, ფასი 2 მან. 70 კაბ.

სავალიტრამი

- მარკ ტვენის — ფელსწეული და მათხოვარი. თარგ. თ. დიასამიძის ა. რედ. გ. კვიციანი.
გვ. 226, ფასი 6 მან. 40 კაბ.
სიმონ შავარაძე — ფილანია. რედ. ე. გოგოლაშვილი. გვ. 108, ფასი 2 მან. 75 კ.
როდამ ნაჩაიძე — მოგვარევი უმწიველები. რედ. ნ. კალანდარიშვილი. გვ. 76, ფასი 2 მან. 50 კაბ.
დ. კვიციანი — ორდინგის ტყეში. რედ. კ. ლორთქიფანიძე. გვ. 122, ფასი 3 მან. 30 კაბ.
ოთარ ჩივაჭავაძე — ზეფტენის კბილა. რედ. ე. გოგოლაშვილი. გვ. 54, ფასი 2 მან.
ვახტანგ გოგოლაშვილი — მასწენდება მშობლიური სკოლა. რედ. რ. შარვაშიანი. გვ. 86, ფასი 1 მან. 70 კაბ.
ვ. ანანიასი — სევენის პირს. თარგ. ზ. დავითიანი ს. ა. რედ. ლ. ასტვაცატროვი. გვ. 354, ფასი 8 მან. 90 კაბ.
გ. შაპიაშვილი — დიდი ცხოვრების გზაზე. რედ. თ. შახაშვილი. გვ. 176, ფასი 5 მან.

შეცდომის გასწორება

ქუჩის „მნათობის“ № 4-ში გვ. 154 პირველი სვეტის ბოლო ორი სტრიქონი უნდა იყოს შემოკლებული: „ეს იმიტომ, რომ დამატკიცოს ძველი დაკარგვა, ახალი შეიქმნა და იმიტომ ახალი ქართლის ცხოვრებად უნდა იწოდებოდეს ვახტანგისეული ქართლის ცხოვრება“.

გვ. 156-ზე ბოლოდან მე-3 და მე-9 სტრიქონი უნდა იყოს შემოკლებული: „იყვის მცხეთას, რეკა თავადი რე იყვის ყოველთა მათ სხლათა ზედა და არცა სხეულ-უღებულთა...“

17

ფანდი 8 ა.

6 06 / 21



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„მნათობი“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ